

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები
ISSUES OF LINGUISTICS

I, 2008



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:

ელ. ბაბუნაშვილი, ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, ჯ. გიუნაშვილი,
დ. თვალთვაძე, გ. კარტოზია, ბ. უტიე, კ. ფენრიხი, მზ. შანიძე,
კ.პ. შმიდტი, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:

E. Babunashvili, W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, I. Gippert,
J. Giunashvili, A. Harris, G. Kartozia, B. Outtier, M. Shanidze,
K.H. Schmidt, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, **თ. გამყრელიძე** (მთავარი რედაქტორი),
თ. გვანცელაძე, რ. ენუქიძე, **ივ. ლეჟავა** (პასუხისმგებელი მდივანი),
დ. მელიქიშვილი, **ირ. მელიქიშვილი** (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
ეთ. სოსელია, ი. ქობალავა, ნ. ქუთელია, მ. ქურდიანი, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:

R. Asatiani, T. Bolkvadze, R. Enukidze, **Th.V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),
T. Gvanceladze, M. Jikia, I. Kobalava, M. Kurdiani, N. Kutelia, **I. Lezhava**
(Executive Secretary), D. Melikishvili, **I. Melikishvili** (Deputy Editor-in-Chief),
E. Soselia

ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და ზურაბ სარჯველასის მიერ

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISSN 1512-0473

*კრებული ეძღება
ალექსანდრე ონიანის ხსოვნას*



ალექსანდრე (შურა) ონიანი

1926-2008

ალექსანდრე ონიანი

გამოჩენილი ქართველოლოგი, კეთილი ადამიანი

ალექსანდრე ონიანის ხსოვნას

ალექსანდრე (შურა) ონიანი ქართული ენათმეცნიერების გამორჩეული წარმომადგენელია. მან კარგი საენათმეცნიერო განათლება მიიღო: 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და 1951-54 წლებში აკად. გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით გაიარა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ასპირანტურის კურსი. შემდგომში იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, კითხულობდა ქართველოლოგიურ კურსებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი საკვლევი სფეროები იყო ქართველურ ენათა ფონეტიკა, ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგია, სვანური ენა; იგი იყო წვერი ენათმეცნიერთა ჯგუფისა, რომელსაც ქართული ენათმეცნიერების „ახალი ტალღა“ შეიძლება ეწოდოს – მას ეკუთვნოდნენ წასულთაგან გივი მაჭავარიანი, ზურაბ ჯაფარიძე, ბაქარ გიგინეიშვილი, ზურაბ სარჯველაძე, რომლებიც თავიანთ საკვლევ სფეროს ენთუზიაზმით, შემოქმედებითად და ნოვატორულად ეკიდებოდნენ. ისინი მუდამ ეძიებდნენ მეთოდოლოგიურ სიახლეებს, ითვალისწინებდნენ ენის თეორიის უახლეს მიღწევებს. 60-იანი წლებისათვის ეს იყო სტრუქტურული ენათმეცნიერება და შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ონიანი ქართული სტრუქტურული ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ლინგვისტური დებულებების წამოყენებისას მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასაბუთების სიმწყობრესა და თანმიმდევრულობას, ენის სისტემური ხასიათის გამოვლენას; მას ეკუთვნის გამორჩეული ნაშრომები ქართული და სვანური მორფოლოგიის სფეროში, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხების კვლევის სფეროში.

ალექსანდრე ონიანმა ქართველოლოგიას შესძინა მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევები: „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“ (1978), „სვანური ენა“ (1998), „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა“ (2003). მისი გამოკვლევა სვანური ენის შესახებ გერმანულად ითარგმნა და 2005 წელს გამოიცა იენაში ორ ნაწილად. ალექსანდრე ონიანის მოსაზრებები ქართველურ ენათა მორფოლოგიის ძირითად საკითხებზე გამოირჩეოდა საკითხების ახლებური გააზრებით. სვანური ენის შესწავლის საქმეში მისი წვლილი განსაკუთრებულია, მას ეკუთვნის სვანური ენის პირველი სრული გრამატიკული აღწერა. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა ქართველოლოგიის ნაკლებად დამუშავებული სფეროა (შედარებითი ფონეტიკისა და ეტიმოლოგიისაგან განსხვავებით) და ალექსანდრე ონიანის გამოკვლევები

ქართველურ ენათა ზმნური კატეგორიების შესახებ სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ემსახურებიან.

ალექსანდრე ონიანი მომხიბლავი პიროვნება იყო – უაღრესად მეგობრული და კეთილგანწყობილი. იგი უხვად ჰყენდა თავის გარემოს სითბოსა და კეთილგანწყობას. მის გარშემო მუდამ გახსნილი, ხალისიანი, იუმორით სავსე განწყობა წარმოიქმნებოდა. ამასთან ერთად მას ჰქონდა პრინციპული დამოკიდებულება მეცნიერებისადმი, ახასიათებდა ადამიანური ღირსების გამორჩეული შეგრძნება და საკუთარი მოსაზრებების მტკიცე დაცვის უნარი. ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციას იგი მხნედ, ვაჟკაცურად, იუმორით ხვდებოდა, თუმცა სიძნელებები არ აკლდა მისი ცხოვრების გზას. თავისი შრომებით მან გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ენათმეცნიერებაში.

თამაზ ბამჩრელიძე, ირინე მელიქიძევილი, იზაბელა ქობალაშვილი

ვალმოხდილი მეცნიერი

ქართველ ენათმეცნიერთა ოჯახმა მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ქართველურ ენათა ცნობილი მკვლევარი და ახალგაზრდობის გულისხმიერი მასწავლებელი, პროფესორი ალექსანდრე ონიანი, ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იმ თაობისა, რომელიც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის საქმეში.

მე და ალექსანდრე, რომელსაც ახლობლები შურას ეძახდნენ, ერთად ვსწავლობდით თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ „შურამ სვანეთს მიაშურა“ და სოფელ ჟახუნდერში საშუალო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდა პედაგოგმა მალე მოიპოვა როგორც მოსწავლეთა, ისე პედაგოგთა კოლექტივისა და მთელი მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა, მაგრამ ამავე დროს ყველამ იგრძნო და დაინახა, რომ ერთი პატარა სოფლის ასპარეზი მისთვის ვიწრო იყო. მომდევნო წელს ალექსანდრემ სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ზოგადი ენათმეცნიერების განხრით; აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით დაწერა საინტერესო ნაშრომი ქართველური იდიომატიკის საკითხებზე, რომელიც მალე ცალკე წიგნად გამოიცა.

იმ დროიდან მოკიდებული, ალ. ონიანის ნაშრომები, მიძღვნილი ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველურ ენათა ფონეტიკური და გრამატიკული სტრუქტურის აქტუალური საკითხებისადმი, განსაკუთრებით კი სვანური ენისადმი სისტემატურად იბეჭდებოდა სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესის ფურცლებზე, გამოდიოდა აგრეთვე ცალკე წიგნად. ამ ნაშრომების განსაკუთრებულ ღირებულებას შეადგენს სვანური ენის სრულყოფილი ცოდნა და ღრმა ანალიზი, საილუსტრაციო მასალის სიუხვე და დამაჯერებლობა. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელშიც მკაფიოდ გამოჩნდა

ალ. ონიანის ნიჭი და მეცნიერული პოტენციალი, იყო „გრძელი ზმონების საკითხისათვის სვანურში“ (იკე, XIII, 1962). მას კვალდაკვალ მოჰყვა „ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის ზოგი საკითხი“ („მოამბე“, №2, 1962), „პირველი და მეორე პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში“ („მოამბე“, №3, 1963), „ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში“ („მაცნე“, №1, 1965) და სხვანი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მონოგრაფიული ნაშრომები, გამოცემული ცალკე წიგნებად: „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხების“ ორი ტომი, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა“, „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“ და სხვანი.

სვანური ენის კვლევა-ძიების სფეროში მოპოვებული შედეგები შეჯამებული სახით წარმოდგენილია მონოგრაფიაში „სვანური ენა“ (1998), რომლისთვისაც ავტორს აკაკი შანიძის სახელობის პრემია მიენიჭა და რომელიც დაიბეჭდა გერმანიაშიც.

ალ. ონიანმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სვანური ტექსტების შეკრებისა და გამოცემის საქმეშიც, სახელდობრ, მისი რედაქციით (მაქსიმე ქალდანთან ერთად) არის გამოცემული სვანური პროზაული ტექსტების IV ტომი (ლაშხური კილო. 1979 წ.). მანვე მოამზადა გამოსაცემად და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. კარპეზ ღონდუას სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონს (ლაშხური დიალექტი. 2001 წ.).

ვალმოხდელი მიდის ჩვენგან ალექსანდრე ონიანი – ნიჭიერი მკვლევარი და ღირსეული მოქალაქე.

პროფესორი
გელათის აკადემიის აკადემიკოსი
ზურაბ ჭუმბურიძე

„რეზონანსი“, 16 მაისი, 2008 წ.

*

ღრმად დამამწუხრა ჩემი უძვირფასესი ძველი მეგობრის, ალექსანდრე ონიანის, დაკარგვამ, რომელთანაც მე ოცდაათოთხმეტი წლის განმავლობაში დაკავშირებული ვიყავი როგორც მეცნიერი და ადამიანი. მე დიდად ვაფასებდი მას, მეგობრულ, გულითად და პატიოსან ადამიანს, რომელიც შესაძლო შედეგების გათვლის გარეშე ყოველთვის მტკიცედ გამოხატავდა თავის აზრს. ალექსანდრე ონიანი წლების განმავლობაში მიხსნიდა მე სვანურ ტექსტებს და მშობლიური ენის სიმდიდრეს მაზიარებდა. ჩემთვის ეს იყო საჩუქარი, რომლის ღირებულებას არასოდეს დავივიწყებ და რომლის ნაწილსაც სიამოვნებით გავცემ ხოლმე. ალექსანდრე ონიანმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩემს წარმოდგენაში იმ თაობის ქართველ ენათმეცნიერთა სახე. ის ყოველთვის ერთგული იყო

სამეცნიერო პრინციპებისა და იმ შეხედულებებისა, რომლებიც სწორად მიაჩნდა. ამ პრინციპებისა და შეხედულებების ერთგული რჩებოდა იგი მას შემდეგაც, რაც ისინი პოპულარობას კარგავდნენ.

ალექსანდრე ონიანი იყო კლასიკური გაგებით ქართველოლოგი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ყველა ქართველური ენა. ამასთან დაკავშირებით მე შემიძლია გავიმეორო ის, რაც მისი ოთხმოცი წლის იუბილეზე ვთქვი და რაც შეიძლება დღეს უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, ვიდრე ორი წლის წინ: ალექსანდრე ონიანმა თავისი წიგნებითა და სტატიებით ხაზი გაუსვა იმას, რომ სვანური და ქართული ერთნაირად არის ზუსტი მეთოდებით კვლევის ღირსი. ამით იგი ქართული ენათმეცნიერების საუკეთესო ტრადიციას აგრძელებდა. ზუსტი მეთოდი იყო მისთვის სტრუქტურული ანალიზი. ბატონი ალექსანდრე და მასთან ერთად ზოგიერთი ახალგაზრდა თავის დროზე სტრუქტურალიზმის თანამიმდევრული გამოყენებით ხელს უწყობდნენ მეცნიერული აზროვნების წინსვლას. იმედი მაქვს, რომ მომავალი თაობა კარგად გაიგებს, რაოდენ მისაბამია ალექსანდრე ონიანის მაგალითი. მისი საქმიანობის მეორე დამახასიათებელი თვისება იყო მტკიცე პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ისტორიულ-შედარებითი ანალიზის წინაპირობა უნდა იყოს დაწვრილებითი და სისტემატური ანალიზი და არა მსგავსების ინტუიციური ინტერპრეტაცია. ეს მიდგომა დღემდე არაა საყოველთაოდ გაზიარებული. ესაა ერთ-ერთი პირობა იმისა, რის გამოც შეუცვლელი უნდა იყოს მისი ფუძემდებლური გამოკვლევები ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის სფეროში.

იმედი მაქვს, რომ ალექსანდრე ონიანის სამეცნიერო მემკვიდრეობა მომავალშიც ნაყოფიერ გაგრძელებას იპოვის და იცოცხლებს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში.

ჩემთვის ყოველთვის დიდი ბედნიერება იყო ალექსანდრე ონიანთან ერთად მუშაობა და სამეცნიერო დიალოგი, ჩვენი საუბრები და თბილი შეხვედრები თბილისსა და ოლდენბურგში; ეს ბედნიერება მტკივნეულად დამაკლდება მომავალში.

ვიწმინდებ კოედი

ალექსანდრე ონიანი

ქართველ ენათმეცნიერთა რიგებს გამოაკლდა პროფესორი ალექსანდრე ონიანი – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი...

მან ღირსეულად განვლო არაერთი დაბრკოლებით აღსავსე გზა მშობლიური ლენტეხის რაიონის სოფელ ჟახუნდრის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამდებობიდან ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორამდე.

ალ. ონიანს იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, რომელსაც აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ „მტურმ უნდ ღრანგ“-ის ეპოქა უწოდა. სხვადასხვა დროს

ის იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ძველი ქართული ენის კათედრების პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ჯერ უმცროსი, შემდეგ კი უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქართველურ ენათა პრობლემატიკის შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე.

ბატონი ალექსანდრე საერთაშორისო დონის მკვლევარი იყო. იგი ავტორია შვიდი მონოგრაფიისა (მათ შორის სახელმძღვანელოებისაც), რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა“, „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“, „სვანური ენა“. ეს უკანასკნელი დაიბეჭდა თბილისსა და იენაში ქართულსა და გერმანულ ენებზე, რისთვისაც ავტორს მიენიჭა დიდი აკაკი შანიძის სახელობის პრემია. სწორედ ამ სახელმძღვანელოთი სწავლობენ დღეს მაგისტრანტ-დოქტორანტები სვანურს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ ოლდენბურგის, ფრანკფურტის, იენისა და მონრეალის უნივერსიტეტებში. პროფესორ ალ. ონიანს თავიანთ მასწავლებლად თვლიან სახელგანთქმული ქართველოლოგები: ვინფრიდ ბოდერი, ჰაინც ფენრიხი, იოსტ გიპერტი, კევინ ტუიტი.

ალ. ონიანი გახლდათ არაერთი სამეცნიერო საბჭოს წევრი და საქვეყნოდ აღიარებული პუბლიკაციების ავტორი თუ რედაქტორი. სწორედ მან გადაარჩინა მივიწყებას დიდებული ქართველოლოგის პროფესორ კარპეზ დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“, რომელიც თითქმის საუკუნის განმავლობაში იდო ხან პეტერბურგში, ხანაც მოსკოვში მიუსაფარი ხელნაწერის სახით.

ბატონი ალექსანდრე აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში „Georgica“ და „Вопросы языкознания“, თითქმის ყველა ქართველოლოგიურ სიმპოზიუმსა და კონგრესზე კითხულობდა მნიშვნელოვან მოხსენებებს, იყო არაერთი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი, ექსპერტი, რეცენზენტი...

სტუდენტ-ასპირანტთა უსაყვარლესი ლექტორი ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი იყო – უკეთილშობილესი პიროვნება, უღალატო მეგობარი, უერთგულესი მეუღლე, უფაქიზესი მამა და ბაბუა...

უკანასკნელ ხანებში სერიოზულად იავადმყოფა. როცა მოვინახულეთ, საოცრად გაიხარა, დამშვიდობებისას კი ხმა გაეზარა – არ დამივიწყოთო...

ანდერძად დაგვრჩა მისი სიტყვები...

არც ერთ ჭეშმარიტ მეცნიერს არ უწერია დავიწყება – მათ შრომებზე ხომ მომავალი თაობები იზრდებიან!

ასეთი გახლდათ პროფესორი ალექსანდრე ონიანი...

იზა ჩანტლაძე, 505(7) 4(0)073060ქმ

„საქართველოს რესპუბლიკა“, 17 მაისი, 2008 წ.

ალექსანდრე ონიანი

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი ალექსანდრე (შურა) ონიანი ჩემი ძმა და მეგობარი იყო. ჩვენი ოჯახებიც მეგობრობდნენ და ახლობლობდნენ. შურა და მე შურამ, დაუვიწყარმა შურაბ სარჯველაძემ, დავგახლოვა, დავგამეგობრა. მეგობრობისათვის მხოლოდ აზრთა სიახლოვე, იდეური ნათესაობა არა კმარა, გადაწყვეტი მნიშვნელობა პიროვნულ თვისებებს, ხასიათის დეტალებს, ნიუანსებს აქვს. მე შურას პირდაპირობა, სიცრუისა და სიყალბისადმი შეურიგებლობა, პრინციპულობა მნიშვნელოვანია; სისხლში გამჯდარი ზრუნვა, ყურადღება მოყვასისადმი ხომ მისი ხასიათის საოცარი მხარე იყო. მეგობართა, ახლობელთა მოკითხვა, ტელეფონით ხშირად შეხმიანება, მათი გამხნივება აუცილებელ წესად ჰქონდა. ჩემი ავადმყოფობის დროს (თვეების განმავლობაში) დღე არ ჩაუგდია, რომ არ დაერეკა, რომ არ გავემხნეებინე.

ალექსანდრე ონიანი წლების განმავლობაში უძღვებოდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას. მან ღირსეულად გააგრძელა შურაბ სარჯველაძის საქმე და ამ კათედრას მისი სახით ჰყავდა არა მარტო მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის მქონე, არამედ, ამასთან, დიდი ადამიანური, კაცური ღირსებების მატარებელი ხელმძღვანელი, შესანიშნავი პედაგოგი, დიდი საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულშვილი, რომელიც კოლეგებისა და სტუდენტების გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას მუდამ გრძნობდა.

ალექსანდრე ონიანის ნაშრომთაგან, ვფიქრობ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წიგნს „სვანური ენა (ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საკითხები)(1998). წიგნში მონოგრაფიულად არის განხილული ერთ-ერთი ქართველური ენის – სვანურის – ფონემატური და მორფოლოგიური სისტემები. მასში კრიტიკულადაა განხილული არსებული ლიტერატურა სვანურისა და სხვა ქართველურ ენათა ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და მორფოლოგიის კარდინალურ საკითხებზე. სვანურის ენობრივი მოვლენები სხვა ქართველურ ენათა კონტექსტშია წარმოდგენილი, მკვეთრად არის გამოიჯნული მასალის სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი.

ქართველური ენებისა და დიალექტების ურთიერთობის საკითხი ალექსანდრე ონიანისათვის ყოველთვის ცხადი და გარკვეული იყო. ამ წიგნშიც საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ „სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწერლობო ენაა“, რომ „ქართული იყო მუდამ მთელი ქართველი ხალხის ბუნებრივი (და არა – თავსმოხვეული) საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც ისტორიამ ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან“.

ავტორი დამაჯერებლად უარყოფს ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებას სვანური ენის ნარეგობის, ქართველური ენების ოჯახში მისი განსაკუთრებულობის თაობაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სვანური საერთო-ქართველური ფუძე ენიდან უწყვეტი გზით მომდინარე ჩვეულებრივი ქართველური ენაა და სულაც არ გამოირჩევა ნასესხები ელემენტების სიჭარბით სხვა ქართველური ენებისაგან. ავტორის ამ და სხვა ადრინდელი შრომების გადამწყვეტი როლი ამ მართებული თვალსაზრისის დამკვიდრებაში უდავოა. წიგნში ნაჩვენებია აღნიშნული მცდარი თეორიის კონკრეტული უარყოფითი შედეგები. მაგალითად, ავტორის აზრით, სვანურის ნარეგობის მცდარი თეორიის გაზიარებამ ხელი შეუშალა მკვლევრებს, რომლებიც „ნარევი“ სვანურის სახელთა ბრუნებაში სხვადასხვა ენათა სისტემებს გამოყოფდნენ და ამით კიდევ უფრო ართულებდნენ ისედაც რთულ სისტემას.

ფრიად ყურადსაღებია ავტორის მიერ მოხმობილი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ „თანამედროვე სვანეთის ტერიტორია ქართველთა პირველ-სამშობლოს შემადგენელი ნაწილია“. არგუმენტირებულია და სარწმუნო ავტორის მსჯელობა სვანურის დიალექტურ შედგენილობაზე, კერძოდ, ჩოლურულის ცალკე დიალექტად გამოყოფის თაობაზე.

ენობრივი მოვლენების ონიანისეული გაშუქება, მასალის სისტემატიზაცია და ფაქტების ინტერპრეტაცია გამოირჩევა ლოგიკურობით, თანმიმდევრულობით, თანამედროვე ენათმეცნიერების ამოსავალი მეთოდოლოგიური პრინციპების მკაცრი დაცვით.

ალექსანდრე ონიანის – სვანური ენის, მისი დიალექტური ნიუანსების შესანიშნავი მცოდნისა და ღრმად მწვდომის – ინტერესი და ყურადღება მთელი სისრულით მოიცავს სვანური ენის კილოურსა და კილოკაურ თავისებურებებს. წიგნი ქართველური ენათმეცნიერების საეტაპო მნიშვნელობის შენამძენია. მან ღირსეულად დაიმსახურა აკაკი შანიძის სახელობის პრემია.

ალექსანდრე ონიანმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართველოლოგთა ახალი თაობის ელიტაში. მე იმ ელიტაზე მოგახსენებთ, რომლის რიგებს ამშვენებს გივი მაჭავარიანის, თამაზ გამყრელიძის, ტოგო გუდავას, გიორგი კლიძოვის, კარლ ჰორსტ შმიდტის, ბაქარ გივინეიშვილის, ზურაბ სარჯველაძის სახელები.

ალექსანდრე ონიანზე საუბრისას ამ ბრწყინვალე მკვლევრების კონტექსტში მოვიაზრებდით და მოვიაზრებთ მას.

ბურამ პარტიოზია

*

შეწყდა ქართული საზოგადოების ერთ-ერთი კოლორიტული, ღვაწლ-მოსილი მეცნიერ-ქართველოლოგის, ბრწყინვალე ლექტორ-ადმზრდელის, ზნეკეთილი მამულიშვილის, ფართო თვალსაწიერის მქონე პიროვნების ბატონ ალექსანდრე (შურა) ონიანის მაჯისცემა. ენით აუწერილი დანაკლისი განიცადა

ოჯახმა, ეროვნულმა ენათმეცნიერებამ, მისმა ტოლ-სწორებმა, ე. წ. ოთხმოცი-ანელებმა (ანუ ოთხმოც წელს გადაცილებულებმა – უკვე თითზე ჩამოსათვლელებმა).

ჩვენთვის დღეს არ არსებობს უფრო მაღალი და საპატიო მოვალეობა, ვიდრე სიტყვით მივაგოთ პატივი იმ პიროვნებას, ვინც ხანგრძლივი დროის მანძილზე საპატიოდ და ერთგულად ემსახურა ქართველოლოგიას და ახალგაზრდა თაობის პედაგოგიური წვრთნის უკეთესობილეს საქმეს.

ბატონი ალექსანდრე იყო ყოველმხრივ ღვაწლმოსილი, ქალბატონ მედეა ყურაშვილთან ერთად შექმნილი სამაგალითო ქართული ოჯახის წინამძღოლი, ღირსეული მეუღლე, მამა, ბაბუა. იყო უანგარო და გულმხურვალე, უშურველი და გულუხვი, დამხმარე, გამამხნეველები, ბევრი ახალგაზრდის მეცნიერების ჭეშმარიტ გზაზე დამყენებელი და გზის დამლოცველი. ბევრს ახსოვს მისი მოზომილი, კეთილმოსურნე, მეცნიერულ პრინციპულობასთან შეზავებული დასკვნები თუ რეცენზიები – საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე საპაექროდ წარმოდგენილი. ბატონი ალექსანდრეს მიზანი და დღენიადაგ საზრუნავი იყო ღირსების დაცვა, მოვალეობის პირნათლად შესრულება, ნებისმიერი მოვლენისა თუ პიროვნების შეფასებაში საკუთარი, შეუვალი კრიტერიუმები, პატიოსნება, კეთილშობილება, უანგარობა, გულისხმიერება და ლხინში თანადგომა.

იყო ბრწყინვალე მამულიშვილი, ჩვენი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე მყარად მდგომი. ბევრს გაახსენდება, პროფესორ ზურაბ სარჯველაძესთან ერთად, ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი, ღრმამეცნიერულ არგუმენტებზე დაფუძნებული პოლემიკური სტატიები, რომლებიც მიმართული იყო ჩვენი მეზობელი ქვეყნის ზოგიერთი წარმომადგენლის საქართველოს საწინააღმდეგო ანტიმეცნიერული გამოხტომების გასაქარწყლებლად.

იყო ძალიან თბილი, გულისხმიერი კოლეგებთან, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობაში. განსაკუთრებით თბილი იყო სტუდენტების მიმართ. ამიტომ უყვარდა ბატონი ალექსანდრე ყველას – სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

– ოთარო! – ასე მომმართავდა ხოლმე, – სტატია დავწერე, მინდა სხდომაზე მოგახსენოთ (იგულისხმებოდა ქართული ენის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა წლების მანძილზე), ყველას აზრი მაინტერესებს, – განსაკუთრებით აფხაზეთსა და აფხაზეთის შესახებ დაწერილ გამოკვლევებზე გვესაუბრებოდა.

იყო უღალატო მეგობარი. რა დამავიწყებს მის განცხადებას ჩვენი საერთო მეგობრების – ანდრო მირიანაშვილისა და ზურაბ სარჯველაძის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლასთან დაკავშირებით.

კვირა არ გავიდოდა, ტელეფონით არ შემომხმინებოდა:

– ოთარო, ბიჭო, როგორ ხარ?

მოკითხვის შემდეგ დავიჩვილებდით ჩვენი ქვეყნის, მშობლიური ენის გასაჭირზე და საკუთარი სვალინდელი დღის იმედით ვემშვიდობებოდით ერთმანეთს.

ბატონი ალექსანდრე დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა უცხოელ კოლეგებს შორის, დიდ ანგარიშს უწევდნენ მის მოსაზრებებს ქართველოლოგიის პრობლემებზე. ის ეკუთვნოდა ქართველ მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა იმ კოჰორტას, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ჰარმონიული შერწყმით.

ასეთი იყო ბატონი ალექსანდრე ბოლომდე, ასეთმა დატოვა ოჯახი – მეუღლე, შვილი, შვილიშვილები, ქართული მეცნიერული და პედაგოგიური საზოგადოება, ნაცნობ-მეგობრები, ტოლ-სწორები... ყველა, ვისი მენსიერებიდანაც არ წაიშლება მისი სიყვარული და პატივისცემა.

ღმერთმა გაცხონოს, ჩემო შურა!

საპატიო პროფესორი ოთარ ქაჯაია

*

ქალბატონ მედეა ონიანს
ქალბატონო მედეა,

მიიღეთ ჩემი სამძიმარი ბატონი ალექსანდრეს – დაუვიწყარი შურა ბიძიას – გარდაცვალების გამო. მან წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართველურ ენათმეცნიერებას; მის ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლიან ქართველოლოგთა მომავალი თაობები.

აქ, გერმანიაში, ღრმად დამწუხრებულია ყველა, ვინც ბატონ ალექსანდრეს პირადად იცნობდა – მისი გერმანელი კოლეგები, ისევე, როგორც ქართველი სტუდენტები და ახალგაზრდები, რომლებიც მის ლექციებსა და სემინარებს დასწრებიან საქართველოში. ბატონი ალექსანდრე – გამოჩენილი მეცნიერი, შესანიშნავი პედაგოგი და პატივისცემი პიროვნება – სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

გულწრფელად ვწუხვარ, რომ ვერ ვესწრები მის დაკრძალვას.

ღრმა პატივისცემით,
ალექსანდრე კარტოზია

ბერლინი, 15 მაისი 2008

*

ძვირფასო ქალბატონო მედეა,

თქვენი მეუღლის, ჩემი უძვირფასესი მეგობრისა და კოლეგის, ალექსანდრე ონიანის დაღუპვის ცნობამ ძალიან დამამწუხრა. ნება მიბოძეთ, გამოვხატო ჩემი გულითადი სამძიმარი.

ალექსანდრე იყო დიდი მეცნიერი, რომლის ადამიანური თვისებები ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდა. მან დაწერა კაპიტალური შრომები. რაკილა დიდი ხნის წინ სვანური ენის შესახებ ჩემი ცოდნა ალექსანდრე ონიანის მშობლიური დიალექტის ბაზას ემყარებოდა, ჩემმა მასწავლებელმა, გერჰარდ დეტერსმა, იმ დროს წამაკითხა ლაშხური ტექსტები, რომლებიც არსენ ონიანის მიერ იყო შეკრებილი სოფელ სასაშში 1917 წელს.

მე ყოველთვის ვგრძნობდი განსაკუთრებულ სიახლოვეს ალექსანდრესთან.

პროფ. კარლ ჰორსტ შმიდტი

*

ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რექტორს, გივი თევზაძეს
ბატონო გივი,

ვუერთდებით ქართული სამეცნიერო საზოგადოების მწუხარებას ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ქართველოლოგიის აკადემიური სკოლის შესანიშნავი წარმომადგენლის, ბატონ ალექსანდრე ონიანის გარდაცვალების გამო.

ქართულმა მეცნიერებამ ალექსანდრე ონიანის სახით დაკარგა ღვაწლმოსილი მეცნიერი, სვანური ენის შესანიშნავი მოამაგე, პედაგოგი, არაჩვეულებრივი პიროვნება. ბატონი ალექსანდრეს კვალიფიციური ნაშრომები კიდევ დიდხანს იქნება ქართველოლოგთა ინტერესისა და დისკუსიის საგანი.

პატივს მივაგებთ ბატონ ალექსანდრე ონიანის ხსოვნას და მწუხარებას ვუცხადებთ მის ოჯახს.

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი, პროფესორები: იოსტ გიპერტი, მანანა თანდაშვილი

ალექსანდრე ონიანის სამეცნიერო ნაშრომების
ბიბლიოგრაფია

1954

ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები (საკანდიდატო დისერტაცია), 1954.

1955

Вопросы грузинско-сванской идиоматики (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), 1955.

1956

ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (რეცენზია თ. სახოკიას წიგნზე), „მნათობი“, №6, 1956.

1962

ქართველურ ენათა ბგერათმესაზღვრის ზოგი საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, I, 1962.

გრძელი ხმოვნების საკითხისათვის სვანურში, იკე, XIII, 1962.

1963

პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის პრეფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3, 1963.

1965

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, №1, 1965.

1966

ქართული იდიომები, „ნაკადული“, 1966.

1969

ზმნისწინთა ალომორფების განაწილება სვანურში (ლაშხური დიალექტის მიხედვით), თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, 1969.

თანზმოვანთა დისტრიბუცია სვანური ზმნის თავკიდურ მორფემათა მიჯნაზე, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969.

უმლაუტის შესახებ სვანური ენის ლაშხურ დიალექტში, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969.

სუბიექტურ პირთა მორფემები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1969.

1970

სუბიექტური პირის მორფემათა ალომორფების განაწილება სვანური ენის ლაშხურ დიალექტში, იკე, XVII, 1970.

Фразеологизм и слово (на материале картвельских языков), Труды Самаркандского Гос. Университета им. Алишера Навои, Новая серия, вып. № 178, Вопросы фразеологии, III, Самарканд, 1970.

ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა VIII რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1970.

სვანური ენის ისტორიის ზოგი საკითხი, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1970.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა /ხ-/ და /ჰ-/ სეგმენტების დიაქრონიული ურთიერთმიმართება ქართულ ზმნაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, 1970.

1971

Против извращения вопросов грузинской топонимики (თანაავტორი ზ. სარჯველაძე), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1971.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ხანმოკლე და ჰაემეტ ტექსტებში, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა XXXVI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1971.

1972

К проблеме взаимоотношения фразеологизма и слова, Труды Самаркандского Гос. Университета им. Алишера Навои, Новая серия, вып. № 219, Вопросы фразеологии, V, часть первая, Самарканд, 1972.

პირველი სუბიექტური პირის მორფემა ქართველურ ენებში (დიაქრონიული ანალიზი), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1972.

1973

Вопросы диахронической морфологии картвелских языков (категории глагола – лицо, число, инклюзив-экслюзив), (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), 1973.

თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირების შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1973.

1974

მორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში (სინქრონიული ანალიზი), ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.

1975

ზმნის პირის საკითხები ქართულში, თსუ პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1975.

1978

ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, „განათლება“, 1978.

Вопросы изучения грузинской топонимии, ВЯ, № 2, 1978 (თანავტორები ა. ლლონტი, ზ. სარჯველაძე).

1979

სახელობითი ბრუნვის მორფების დიაქრონიული ანალიზი სვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1979.

სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო (შემკრები და რედაქტორი მ. ქალღანთან ერთად), 1979.

მესამე სუბიექტური პირის მორფემა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, საენათმეცნიერო კრებული, 1979.

1980

მიცემითი ბრუნვის მორფემის დიაქრონიული ანალიზი სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, 1980.

ოპოზიცია „ხმოვანი-თანხმოვანი“ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, იკე, XXII, 1980.

1982

მორფონოლოგიის ზოგი საკითხი, მეტყველების ანალიზი, VI, 1982.

1984

ქართველურ ენათა დიაქრონიული მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1984.

1985

О грамматической категории класса в картвелских языках, "Вопросы языкознания", № 3, 1985.

1986

სვანური ვოკალიზმის ზოგი საკითხი, იკე, XXV, 1986.

1987

წოდებითი ბრუნვის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, „აკაკი შანიძე – 100“, 1987.

Введение в историю грузинского литературного языка (რეცენზია ზ. სარჯველადის წიგნზე, თანაავტორი გ. კლიმოვი), "Вопросы языкознания", № 5, 1987.

1988

ლოკალური ბრუნვების შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საინსტიტუტო სამეცნიერო სესიის თეზისები, 54; 27. V. 1988.

Zum Deklinationssystem in der modernen georgischen Literatursprache, "Georgica", Heft 11, 1988.

1989

ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, 1989.

აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო ენობრივ მონაცემთა მიხედვით, „სახალხო განათლება“, 20. XII. 1989.

Абхазия и Западная Грузия по языковым данным, "Народное образование", 24. 12. 1989.

1990

აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო ენობრივ მონაცემთა მიხედვით, „სახალხო განათლება“, 3. 01. 1990.

Абхазия и Западная Грузия по языковым данным, "Народное образование", 7. 01. 1990.

1991

Типы склонения в современном сванском языке, Историческая лингвистика и типология, М., „Наука“, 1991.

1992

დიდი წვლილი ქართველოლოგიაში, „ლიტერატურული საქართველო“, 31. 07. 1992.

1993

გვარის მორფოლოგიური კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, თბილისის უნივერსიტეტი „გეორგია“, ქართული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიის თეზისები, 1993.

1994

საქართველო და აფხაზეთი ენობრივი მონაცემების მიხედვით, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი, ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე – საქართველო, ბიულეტენი № 2, თბ., 1994 (იგივე სტატია გამოქვეყნდა აგრეთვე რუსულად და ინგლისურად სხვადასხვა კრებულებში).

О древнейших обитателях Абхазии, „Свободная Грузия“, 29. X. 1994.

აფხაზეთი უძველესი ქართული მიწა! „საქართველოს რესპუბლიკა“, 19. 05. 1994.

1995

გრძელი ხმოვნების რედუქციის საკითხისათვის სვანურში, ფილოლოგიური მიკროსაქმიანი, „მეცნიერება“, 1995.

ვინ არის აფხაზეთის მიწის უძველესი ბინადარი?! ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, I, 1995.

1996

თანხმევანთა სისტემა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ანტონ I-ის დაბადებიდან 275 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1996.

ქცევის კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, „ქართველური მემკვიდრეობა“, I, ქუთაისი, 1996.

1997

ისევ აფხაზეთის უძველეს ბინადართა შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 31. I. 1997.

სახელწოდებათა „აფსილი“ – „აფსუა“ ურთიერთმიმართების შესახებ, გაზ. „მთაწმინდა“, № 10, ივლისი, 1997.

ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის რაობის შესახებ, გ. მაჭავარიანის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, 1997, 8-20. XII.

ხარისხის კატეგორია სვანურში, ზურაბ ჭუმბურიძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1997.

ქცევის კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართველური მეცნიერება, VI, 1997.

სახელთა ბრუნების ტიპები თანამედროვე სვანურში, ს.-ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 3, 1997.

1998

საქართველო და ქართველური ენები, „ქართველური მეცნიერება“, VII, ქუთაისი, 1998.

სვანური ენა, თბილისი, 1998.

სახელთა ბრუნების ტიპები თანამედროვე სვანურში, კრებული მიძღვნილი გივი მაჭავარიანის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი, თბილისი, 1998.

სვანური ენა (ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საკითხები), 1998.

ლოგმატიზმისა და ტოტალიტარიზმის შესახებ ჩვენს მეცნიერებაში, „ახალი საქართველო“, 30. 04–5. 05. 1998.

1999

ისევ და ისევ აფხაზეთის უძველეს ბინადართა შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 5. XI. 1999.

ფრაზეოლოგიზმი – სიტყვა – შესიტყვება (ქართველურ ენათა მასალის მიხედვით), ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 1999.

ისევ აფხაზთა ისტორიული სახელწოდების შესახებ (აფსილი, აფშილი, აფსუა), ენათმეცნიერების საკითხები, № 3, 1999.

2000

თანხმოვანთა სისტემა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (პარადიგმატული ანალიზი), ენათმეცნიერების საკითხები, № 2, 2000.

ხმოვანთა სისტემა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული ენის კათედრის შრომები, № 5, 2000.

ცრუპატრიოტიზმი და პოპულიზმი პატრიოტიზმის ნიღბით, „საქართველოს რესპუბლიკა“, 14. 09. 2000.

2001

კარპეზ ღონდუა: სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი), ტექსტი გადაამუშავა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ალექსანდრე ონიანმა, თბილისი, 2001.

ორიენტაციის კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, № 4, 2001.

მიაყარე კედელს ცერცვი, „კალმასობა“, № 1, 2001.

რიცხვის მორფემა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სახელთა სისტემაში, ენათმეცნიერების საკითხები, № 2, 2001.

2002

სახელთა ბრუნების ტიპები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, № 4, 2002.

ერისკაცი, კრებ.: და აღვამაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა, აკაკი ბაქრაძისადმი მიძღვნილი კრებული, 2002.

2003

ენა და დიალექტი (ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები?!), ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 2003.

Swanische idiomatische Wendungen, Kaukasische Sprachprobleme, herausgegeben von Winfried Boeder, Universität Oldenburg, 2003.

Inklusiv und Exklusiv in Swanischen, Kaukasische Sprachprobleme, herausgegeben von Winfried Boeder, 2003.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დროშა?! „ლიტერატურული საქართველო“, 17-23. 01. 2003.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია), 2003.

ისევ ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, № 2, 2003.

2004

ე. წ. უნებლიობის კატეგორიის შესახებ, „ენათმეცნიერების საკითხები“, № 2, 2004.

ქცევის კატეგორია ქართველურ ენებში, ა. შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები, 26. 02. 2004.

2005

Die swanische Sprache, Teil I, Jena, 2005.

Die swanische Sprache, Teil II, Jena, 2005.

აღმოსავლეთმცოდნეობა

606(7) ეჭობაძე

მიმღეობა არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტში

მიმღეობას სალიტერატურო არაბულში აქვს ზმნისა და სახელის გრამატიკული ნიშნები. სახელის გრამატიკული კატეგორიებიდან, როგორც ცნობილია, მას სტატუსი, ბრუნვა, სქესი და რიცხვი¹ ახასიათებს, ხოლო ზმნის კატეგორიებიდან – გვარი, თემა და დრო. ჩვეულებრივ, მიმღეობა წინადადებაში არსებით და ზედსართავ სახელთა სინტაქსური ფუნქციით დასტურდება და ქვემდებარეს, დამატებას ან განსაზღვრებას შეიძლება წარმოადგენდეს. თუმცა, სალიტერატურო არაბულში იგი ზმნა-შემასმენლის ფუნქციითაც გამოდის:

رأى ثورا غير آكل علفه (წერეთელი 1975, 19-20) – „დაინახა, რომ ხარს არ ეჭამა თავისი ულუფა“ (მიმღეობის ფორმამ დამატება აკუზატივში დასვა, როგორც შემასმენელმა).

არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტში მიმღეობა ასევე გამოდის ზმნის, არსებითი ან ზედსართავი სახელის ფუნქციით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო არაბულთან შედარებით, მისი ზმნა-შემასმენლის ფუნქციით დადასტურების შემთხვევები იმდენად დიდია, რომ ზოგი ავტორი მიმღეობას ზმნის ფორმად განიხილავს.² არაბული ენის დიალექტებისთვის, ისევე, როგორც, ზოგადად, ნებისმიერი არასალიტერატურო სამეტყველო ენობრივი ფორმისთვის, დამახასიათებელია გამარტივებისკენ სწრაფვა როგორც ფონეტიკის, ასევე მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის სფეროში. აქედან გამომდინარე, დიალექტი ხშირად ანიჭებს უპირატესობას მიმღეობას ზმნის ფორმათა წინაშე, რაზედაც სტატიკაში უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი.

¹ მართალია, სქესი და რიცხვი სახელისა და ზმნის საერთო გრამატიკული კატეგორიებია, მაგრამ მიმღეობა სქესსა და რიცხვს არაბულში სახელთა მსგავსად აწარმოებს, რის გამოც მისი სქესისა და რიცხვის კატეგორიები აქ სახელთა ჯგუფს მივაკუთვნეთ.

² იხ. el-Sayed 1983:47: "Verbs have finite and nonfinite forms. Nonfinite verb forms are participles and inflect like adjectives to agree with their nouns"; Aboul-fetouh 1969:55, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ეგვიპტურში „არის (ზმნათა) ზოგიერთი ფორმა, რომელიც არ იუღლვის, მაგრამ ზმნათათვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენს“. საუბარია ‘āwiz, nāwī და მსგავს ფორმებზე (I თემის მიმღეობები). ავტორი ამ ფორმებს უპირო ზმნებს არქმევს; ასევე, Eisele 1990: 192-233; 194-195, სადაც ავტორი მიმღეობათა ფორმებს სტატიკურ ზმნათა რანგში განიხილავს.

წ ა რ მ ო ე ბ ა

აქტივის მიმღეობა

წარმოების მიხედვით მიმღეობა ორ ჯგუფად უნდა დავყოთ:

1) სამთანხმოვნიაანი, ან წარმოშობით სამთანხმოვნიაანი³ ზმნები, კერძოდ, სწორი სამთანხმოვნიაანი, გემინირებული, სუსტი და ორმაგად სუსტი ზმნები I თემის ფორმით.

2) ოთხთანხმოვნიაანი და დერივაციულ თემათა ფორმით წარმოღვენილი ზმნები.

პირველი ჯგუფის ზმნები აქტივის მიმღეობას აწარმოებენ ძირითადად CāCiC მოდელით. სამხრეთ სა'იდის (ანუ სამხრეთ ზემო ეგვიპტის) მეტყველებაში დასტურდება CāCeC, ხოლო ეგვიპტის ჩრდ. სანაპიროს ბელუინთა მეტყველებაში – CāCiC მოდელის პარალელურად – CīCiC მოდელიც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ C₁=w ზმნებში I რადიკალი, რომელიც დიალექტში იკარგება, მიმღეობის წარმოებისას აღდგება, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ცარიელ ზმნებში, იმისდა მიუხედავად, C₂= w თუ y, აქტივის მიმღეობაში C₂-ის ადგილას დასტურდება y:

სალიტერატურო არაბული	კაიროს მეტყველება	ჩრდ. სა'იდის მეტყველება	სამხ. სა'იდის მეტყველება	ჩრდ. სანაპიროს ბელუინთა მეტყვ.
fā'il ^{um}	fā'il	fā'il	fā'el	fā'il/fī'il
ḍārib ^{um}	ḍārib	ḍārib	ḍāreb	ḍārib/kitib
(მცემელი, ვინც სცემს ან სცემა/ ვინც წერს, მწერალი)				
mādid ^{um}	mādid	mādid	māded	mīdid
(ვინც იწვდის, მაგ. ხელს და მისთ.)				
ākil ^{um}	wākil	wākil	wākel	wīkil
(მჭამელი)				
rā'ih ^{um}	rāyih	rāyih	rāyeh	rāyih
(მიმავალი)				

მეორე ჯგუფის ზმნები აქტივის მიმღეობას აწარმოებენ: კაიროს მეტყველებაში m(i) – i-, სა'იდის მეტყველებაში me – e-, ხოლო ჩრდ. სანაპიროს ბელუინთა მეტყველებაში – m/mi – i- პრეფიქს-სუფიქსებით. ჩრდ. სანაპიროს ბელუინთა მეტყველებაში m- თავსართი ხმოვნითაა წარმოღვენილი (mi-), თუ მას უხმოვნო თანხმოვანი მოსდევს და პირიქით, უხმოვნოდ დასტურდება (m-), თუ მის შემდგომ თანხმოვანს ხმოვანი მოსდევს. კაიროს მეტყველებაში m(i)- პრე-

³ აქ იგულისხმება ის ზმნები, რომელთა შესატყვისებსაც სალიტერატურო არაბულში I ან III რადიკალად სუსტი თანხმოვანი მოუდით, ასეთი ზმნები დიალექტში ორთანხმოვნიაანი.

ფიქსში ხმოვნითი ელემენტი რედუცირებულია, ხოლო სწრაფი მეტყველებისას, განსაკუთრებით კი, გრძელი ხმოვნის წინ, შეიძლება დაიკარგოს.

კერძოდ,

დერივაციული ფორმა	სალიტერატურო არაბული	კაიროს მეტყველება	სა'იდის მეტყველება	ჩრდ. სანაბ. ბელუინთა მეტყველება
II	mufa' il ^{un}	m(i)fa' il	mefa' el	mfa' il
III	mufā' il ^{un}	m(i)fā' il	mefā' el	mfā' il ⁴
V	mutafa' il ^{un}	m(i)tfa' il	_____ ⁵	mitfa' il
VI	mutafā' il ^{un}	m(i)tfā' il	_____	mitfā' il
IX	muf' ill ^{un}	mif' ill	mef' ell	mif' ill
X	mustaf' il ^{un}	mistaf' il	mestaf' el	mistaf' il
ოთხთანხმოვ- ნიანი ზმნები	muzalzil ^{un}	mizalzil	mezalzel	mzalzil
ღერივ. ფორმა	mutazalzil ^{un}	mitzalzil	metzalzel	mitzalzil

პასივის მიმღეობა

კაიროსა და ზემო ეგვიპტის მეტყველებაში იწარმოება I ჯგუფის ზმნებისთვის maf' il მოდელით. ასევეა ჩრდ. სანაპიროს ბელუინთა მეტყველებაშიც იმ ზმნებთან, რომელთა I ძირეული თანხმოვანი არაა გლოტალური. თუ C₁ ყელისმიერია, მაშინ -a- ბგერის პროგრესული მეტათეზისი ხდება და mfa' il მოდელს ვიღებთ. მაგალითად, maḏ bīḏ (მომზადებული საჭმელი), ma' līb (გადატრიალებული), მაგრამ mḥarūm (ის, ვისაც რამე წაართვეს), mḡalīb (დაჩაგრული, ის, ვისაც სძლიეს) და სხვ. გარდა ამისა, ბელუინთა მეტყველებაში ზმნებში, რომელთაც C₁-ად მოუდით w, პირველი ძირეული თანხმოვანი გადადის y-ში:

*mawjūd > mayjūd (არსებული, მდებარე),

*mawlūd > maylūd (დაბადებული, ახალშობილი),

*mawjū' > mayjū' (ნატკენი) და სხვ.

მეორე ჯგუფის ზმნებისგან პასივის მიმღეობა იწარმოება აქტივის მიმღეობათა მსგავსად, მხოლოდ II რადიკალთან -i/-e- ხმოვნის ნაცვლად გვექნება -a- ხმოვანი.

⁴ ცნობილია, რომ არაბული ენის დიალექტებში, და მათ შორის ეგვიპტურ არაბულშიც, IV დერივაციული ფორმა არაპროდუქტიულია და ჩანაცვლებულია II დერივაციული ფორმით.

⁵ ზემო ეგვიპტურში V დერივაციული ფორმის აქტივის მიმღეობა II თემისას ემთხვევა, არ გვაქვს VI და VII თემათა მიმღეობები, ფორმათწარმოების უნარი დაკარგული აქვს VIII თემას, რომელიც მოცემულ მეტყველებაში ასევე ვერ აწარმოებს მიმღეობას, ხოლო ის ერთეული ფორმები, რომლებიც მაინც არის შემორჩენილი (meḥtaram – პატივცემული და მისთ.), სალიტერატურო არაბულიდანაა ნასესხები ფორმაუცვლელად. VII და VIII თემათა მიმღეობები ასევე არაპროდუქტიულია ეგვიპტურის სხვა მეტყველებებშიც.

ფუნქციები და გრამატიკული კატეგორიები

მდედრობითი სქესის მიმღეობა მამრ. სქესის მიმღეობასთან შედარებით – a(t) სუფიქსით ფორმდება. maf'ūla(t), mifa'ila(t) და ა.შ. III და VI თემებში, ასევე, I თემის აქტივში, ამ სუფიქსის დართვა ფონეტიკურ ცვლილებას იწვევს, კერძოდ, II რადიკალის ხმოვანი ვარდება: fā'la(t), mfā'la(t), mitfā'la(t) და მისთ.

აღინიშნა, რომ მიმღეობას მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა ფუნქციები ახასიათებს. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში დადასტურდა შემდეგი:

1. სუბსტანტივირებული შეიძლება იყოს როგორც აქტივის, ასევე პასივის მიმღეობა: bāliḡ – სრულწლოვანი, უფროსი (ადამიანი),

ma'gūn – პასტა, კრემი,

miballiḡ – ინფორმანტი,

mrabba' – ოთხკუთხედი და სხვ.

სუბსტანტივირებულ მიმღეობებში შეიმჩნევა შემდეგი თავისებურებანი:

ა) ისინი აწარმოებენ ორობით რიცხვს, რომელიც, როგორც ცნობილია, დიალექტში მხოლოდ არსებით სახელებს შემორჩათ და ისიც არასრულად: ḡalībēn – ორი სტუდენტი, mab'uṭēn – ორი დელეგატი და სხვ.⁶

ბ) I თემის აქტივისა და პასივის მიმღეობებს შეიძლება ჰქონდეთ სწორი ან მსხვრეული მრავლობითი:

bāyi' (გამყიდველი) – მრ. რ. mabāyi'a;

ḡābi' (მიმღევალი) – მრ. რ. atbā';

bāliḡ (სრულწლოვანი) – მრ. რ. bāliḡīn,

განსხვავებით არასუბსტანტივირებული მიმღეობებისგან, რომლებთანაც მხოლოდ სწორი მრავლობითის ფორმები გვხვდება: nāzil (ჩამსვლელი, ვინც ჩადის) – nāzilīn, dāḡil (შემსვლელი, ვინც შედის, შემოდის) – dāḡilīn და სხვ.

გ) არასუბსტანტივირებული მიმღეობა ეგვიპტურ დიალექტში მრავლობით რიცხვში სქესს არ განარჩევს და მრავლობითის იმ ფორმით დასტურდება, რომელიც წარმოშობით მამრობითისაა, სუბსტანტივირებული კი – მდედრ. სქ.-ში მდედრობითი სქესის სწორ მრავლობითს აწარმოებს მაშინაც კი, თუ მამრ. სქესის ფორმაში მას მსხვრეული მრავლობითი ახასიათებს:

bāyi' (გამყიდველი) – მრ. რ. mabāyi'a, მაგრამ

bāyi'a (გამყიდველი ქალი) – მრ. რ. bāyi'āt;

ḡālib (სტუდენტი) – მრ. რ. ḡālib, ḡalaba, მაგრამ

ḡāliba (სტუდენტი გოგონა) – მრ. რ. ḡālibāt.

დ) ნაწარმოებ თემებში ნებისმიერი მიმღეობა აწარმოებს მხოლოდ სწორ მრავლობითს: mibarridīn – მაცივრები, muḡrifīn – საზიზღრები, miḡ tarimīn – პატივცემულნი და სხვ.

⁶ ცნობილია, რომ არაბულის დიალექტებში ორობითი რიცხვი სახელებში მხოლოდ ირიბი ბრუნვების სახითაა შემორჩენილი.

ე) როდესაც მიმღეობას აქვს არსებითი სახელის მნიშვნელობა, შეიძლება პარალელურად არასუბსტანტივირებული ფორმაც ჰქონდეს:

da wāgib lkullā bālīg – ეს აუცილებელია ყოველი სრულწლოვანისთვის (მიმღეობა სუბსტანტივირებულია).

da garḥ ʿ bālīg – ეს ღრმა ჭრილობაა (მიმღეობა არასუბსტანტივირებულია).

ვ) ეგვიპტურში –āti სუფიქსით (მრ. რ.-ში –ātiyya) იწარმოება არსებითი სახელები აქტივისა და პასივის მიმღეობებისგან. ეს, ძირითადად, ხელობის აღმნიშვნელი სახელებია:

migabbarāti – ვინც მოტეხილ კიდურებს თაბაშირში სვამს (ხელობა, ძველად გავრცელებული ეგვიპტის სოფლებში, ექიმბაშის ერთგვარი სახეობა);

migalladāti – მკინძავი,

mibakkarāti – ჰაშიშის დამამზადებელი და სხვ.

ზოგ მათგანს, შესაძლოა, ამავე მნიშვნელობის მიმღეობის უსუფიქსო ფორმებიც ჰქონდეს: migabbar, migallad.

ხ) არსებითი სახელი შეიძლება ნაწარმოები იქნას –āt სუფიქსით (მდედრ. სქ.-ის სახელთა მრავლობითობის ნიშანი):

matrūk – რაც დატოვეს, დატოვებული > matrukāt – დანატოვარი.

mibakkar > mibakkarāt – ქმნილებანი (მოდის სფეროში).

2. გარდა არსებითისა, მიმღეობას ზედსართავი სახელის მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. ეს მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა:

bārid – ცივი, nā'im – რბილი, majhūl – უცნობი, შეუცნობელი, mitharrir – თავისუფლად მოაზროვნე და სხვ. ამ და მსგავს სახელებს, როგორც სხვა ზედს. სახელებს დიალექტში, არ გააჩნიათ ორობითი რიცხვის ფორმები. ორობითში დასმულ არს. სახელს ისინი მრავლ. რ.-ში ან მხოლ. რ.-ის მდედრ. სქ.-ის ფორმაში (თუ არს. სახელი უსულოა) შეეთანხმებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ორობითში დასმულ არსებით სახელს ისინი (ისევე, როგორც, სხვათა შორის მეტყველების სხვა ნაწილები) იგებენ, როგორც მრავლობითი რიცხვისას. მრავლ. რიცხვს, როგორც წესი, -īn სუფიქსი აწარმოებს (მამრ. სქ.-ის სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსი არაბულში): baridīn, nā'imīn, majhulīn, mitharrirīn და მისთ.

3. ზმნიზედის მნიშვნელობით: bākīr – ზვალ და სხვ.

4. ზმნის სინტაქსური ფუნქციით (ანუ შემასმენლის ფუნქციით) როგორც სალიტერატურო არაბულში, ასევე ეგვიპტურ დიალექტში, ხშირად გამოდის მიმღეობა.

ზმნური კატეგორიებიდან მიმღეობას თემა, დრო და გვარი აქვს.

თემისა და გვარის კატეგორიებს უკვე შეეხეთ სტატიის წინა ქვეთავში, სადაც მიმღეობათა წარმოებაზე იყო საუბარი. რაც შეეხება დროს:

პასივის მიმღეობა, როგორც წესი, თავის თავში მოიცავს წარსული დროის გაგებას: maktūb – დაწერილი, maqfūl – დაკეტილი და სხვ.

აქტივის მიმღეობები, ძირითადად ახლანდელი-მომავალი დროის (ანუ იმპროფექტივის) გაგებას შეიცავენ: *dāḥil* – შემავალი, შემსვლელი, *ḥāriḡ* – გამავალი, გამსვლელი.

თუმცა, წარსული დროის გაგებაც შეიძლება ჰქონდეთ: *dāris* – ნასწავლი და სხვ.

ზმნა-შემასმენლის ფუნქციით წინადადებაში ძირითადად აქტივის მიმღეობა დასტურდება, თუმცა პასივის მიმღეობა ასევე შეიძლება წინადადების შემასმენელი იყოს: *mal'ūn elli yintizir (al-Ḥakīm 1987, 28)*⁷ – დაიწყევლოს, ვინც მოიცადოს და სხვ.

მიმღეობა

1) პერფექტივის ფუნქციით:

ma ntalli dāḥil w'fātiḥ el-bāb! (al-Tonsī , 8)⁸ - ეს შენ შემოხვედი ჩემზე წინ და კარიც შენ გააღე!

იმპროფექტივის ფუნქციით:

ა) ზოგადი აწმყო – *...ma kānitši šāyifa s-sittāt butū'na elli rakbīn el-utumbilāt?* (al-Tonsī , 108)⁹ – განა ვერ ხედავდა ჩვენს ქალებს, რომლებიც მანქანებში სხდებიან ხოლმე?

ბ) კონკრეტული აწმყო – *entum fahmīn inni nāyim!* (al-Ḥakīm 1987, 28)¹⁰

თქვენ გესმით, რომ მე მძინავს!

გ) მომავალი დრო – *u'sim billāh el-'ālī l-'aẓīm māna sākit!* (al-Ḥakīm 1987, 29).¹¹

მალაღ და დიდებულ ალაჰს ვფიცავ, აღარ გაჩუქდები!

მიუხედავად იმისა, რომ დიალექტში მიმღეობის ხმარება ზმნური ფუნქციებით საკმაოდ ხშირია, შეუზღუდავი მაინც არ არის. ზოგ შემთხვევაში მიმღეობა ან საერთოდ ვერ ცვლის, ან უშუალოდ ვერ ცვლის ზმნას და ამისთვის დამხმარე სიტყვას საჭიროებს.

მიმღეობა ვერ ასრულებს ზმნის ფუნქციას, როცა

1. ზმნა ბრძანებითის ფორმითაა წარმოდგენილი: *uskut* – გაჩუქდი, *iktib* – დაწერე და მისთ. თუმცა, თუ ზმნას პასიური მნიშვნელობა აქვს და გარდაუვალია, ის შეიძლება მიმღეობამ შეცვალოს *kān* ზმნის დახმარებით: *iṭṭammin – kun muṭṭammin* (დამშვიდდი).

2. როცა ზმნა წინადადებაში პირობითი კილოს მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, მისი ჩანაცვლება მიმღეობით ასევე ვერ ხერხდება, ან ხერხდება, მაგრამ მხოლოდ *kān* ზმნის დახმარებით:

⁷ ٢٨ : ١٩٨٧ الحكيم

⁸ ٨ : التونسى

⁹ ١٠٨ : التونسى

¹⁰ ٢٨ : ١٩٨٧ الحكيم

¹¹ ٢٩ : ١٩٨٧ الحكيم

ē ḥayidayyi' en-nās in kunna fatḥīn bābna (al-Tonsī ?, 20).¹²
რა შეაწუხებს ხალხს, ჩვენ რომ ჩვენი კარი გავალოთ!
სადაც in kunna fatḥīn იგივეა, რაც in kunna fataḥna იქნებოდა.

3. როცა ორი სრულმნიშვნელოვანი ზმნა მოსდევს ერთმანეთს, მეორე, ხშირად, პირობითის ფუნქციით გამოდის. ამ შემთხვევაში, რიგით მეორე ზმნის ადგილს მიმღეობა ვერ დაიჭერს:
ti'diri t'ūli keda 'uddāmu? (al-Ḥakīm 1987, 20)¹³ > 'adra t'ūli keda 'uddāmu? შეგიძლია, მის წინაშე თქვა ასე?

ბოლოს, შეგვიძლია განვაზოგადოთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა მიმღეობა ზმნის ფუნქციით kān დამხმარე ზმნის მეშვეობით გამოდის, გასათვალისწინებელია, რომ ა) დამხმარე ზმნა იმავე ფორმითაა, რა ფორმითაც ის სრულმნიშვნელოვანი ზმნა იქნებოდა, რომელსაც მიმღეობა ცვლის და ბ) მიმღეობა სქესსა და რიცხვში უნდა ეთანხმებოდეს სუბიექტს. მაშინაც კი, თუ, მაგალითად, ზმნაში არ გამოჩნდებოდა სქესი (I პირის ფორმა, მრავლ. რ.-ის ფორმები), მიმღეობა სქესს, რა თქმა უნდა, განარჩევს.

სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ მიმღეობის წარმოების ძირითადი პრინციპები ეგვიპტურ დიალექტში სალიტერატურო არაბულიყულის იდენტურია. ასევე საერთოა სალიტერატურო არაბულისა და მოცემული დიალექტისთვის მიმღეობის ძირითადი სინტაქსური ფუნქციები. ზემოთ აღინიშნა, რომ სალიტერატურო არაბულთან შედარებით, ეგვიპტურში მიმღეობა ზმნის ფუნქციით უფრო ხშირად დასტურდება, რასაც თავისი ახსნა აქვს: ვინაიდან დიალექტები ყოველთვის ირჩევენ წარმოებისა და ექსპლოატაციის მიხედვით მარტივ და უნიფიცირებულ ფორმებს ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მიმღეობის სავარაუდო სამი ფორმა (მხოლ. რ.-ის მამრობითისა და მდედრობითი სქესის ორი ფორმა, მრავლ.რ.-ის ერთი საერთო ფორმა ორივე სქესისთვის) უფრო მარტივია გამოყენების თვალსაზრისით, ვიდრე ზმნის რვა შესაძლებელი ვარიანტი (ხუთი ფორმა მხოლ. რ.-ში – III პ. მამრ; III პ. მდედრ; II პ. მამრ; II პ. მდედრ. და I პ. და მრავლ. რ.-ში – III, II და I პირისა), რითაც უნდა იყოს გამოწვეული მიმღეობის ამგვარი პროდუქტიულობა ზმნის ფორმათა ჩანაცვლებისას.

¹² ٢٠ : التونسي

¹³ ٢٠ : الحكيم ١٩٨٧

ლიტერატურა

- წერეთელი 1975* – გ.წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.
- el-Sayed 1983* – el-Sayed D.H; A Descriptive Analysis of the Part-of-speech System and the Grammatical Categories of Egyptian Colloquial Arabic, Michigan, 1983.
- Aboul-fetouh 1969* – Aboul-fetouh, H.M. , A Morphological Study of Egyptian Colloquial Arabic, Paris, 1969.
- Eisele 1990* – J.C. Eisele, Aspectual Classification of Verbs in Cairene Arabic: Perspectives on Arabic Linguistics II, Papers from the second symposium on Arabic linguistics, Amsterdam-Philadelphia, 1990, 192-233.
- al-Ḥakīm 1987* –Tawfīq al-Ḥakīm, ‘awdatu r-rūḥi, al-Qāhira 1987.
الحكيم ١٩٨٧ : توفيق الحكيم، عودة الروح، القاهرة، ١٩٨٧.
- al-Tonsī* – Bayiram al-Tonsī , as-sayid wa mtaru fī Bārīs, al-Qāhira
التونسي : بيرم التونسي، السيد ومراته في باريس، القاهرة.

Nino Ejibadze

Participle in the Egyptian Arabic Dialect

Summary

Participle in Literary Arabic may have the grammatical markers of the verbs or nouns. Normally, it can be confirmed in sentence by syntactical function of the noun and the adjective, and present itself like a subject, complement or definition.

But it also may occur in case of the predicate: رأى ثورا غير أكل علفه
(He saw that the bull did not eat his portion), where the participle like a verb (predicate) causes the complement in accusative.

In Egyptian Arabic participles are more productive than in Literary Arabic. Some authors, due to the frequent functioning of participles as predicates, define them as nonfinite, static verbs, or non-conjugated verb forms.

In this paper ways of forming of participles are given: active and passive, in derivation forms, singular and plural, masculine and feminine in Egyptian Arabic Dialect speeches of Cairo, Upper Egypt and Bedouins of the northern coast of Egypt. For more clearness it is compared with Literary Arabic as the formal standard. Besides, the morphological and syntactical functions of participles are also listed and elucidated in detail.

ორიენტალიზმის საკითხისათვის

ქართულ ენაში ადაპტირებული უცხო ლექსიკის ერთ, დიდ, ნაწილს ორიენტალიზმები წარმოადგენენ, რომელთა შორის არაბული წარმომავლობის ლექსიკური ერთეულების არცთუ მცირე რაოდენობაა. ეს საყოველთაოდაა ცნობილი და პრობლემის შესწავლასაც დიდი ტრადიციები აქვს. აქტუალურია იგი დღესაც. ამასთან, ზოგიერთი ზოგადი საკითხი, როგორც ჩანს, დაზუსტებას მოითხოვს.

1. ქართულში არაბული სიტყვების შემოსვლის დროის ათვლა მე-7 საუკუნის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს (თუმცა ქართველოლოგიურ ლიტერატურაში სხვა დათარიღებაც განიხილება, მაგ., მე-8 ს-ის შემდგომი პერიოდიდან (აბულაძე 1964, 17). ეს ის დროა, როდესაც, ყველა ნიშნის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ ქართლში არაბულ-ქართული ორენოვნების არსებობა – თუნდაც მცირე სოციალურ ჯგუფში, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ვივარაუდოთ შედარებით უფრო ფართო სოციალური ჯგუფისთვისაც (იოანე საბანიძე; „აღვერიენით...“, „ვისწავენით“).

გიორგი წერეთელი სავსებით სამართლიანად ხედავს უშუალო კავშირებს მე-7 ს-ის ორმოციანი წლებიდანვე (წერეთელი, 1947, 34). მე-11-12 საუკუნეებიდან იგი მიუთითებს არაბული სიტყვების შემოსვლისათვის სხვა გზას – სპარსულს და თურქულს (წერეთელი 1947, 38). ეს თეზისი მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს არის მეორე გზა, პირველის გვერდით.

ამ, პრინციპში კორექტულმა დებულებამ ქართველ ორიენტალისტთა ხელში შემდგომში გარკვეული დეფორმაცია მიიღო. კერძოდ: 1) პრაქტიკულად ყველა სიტყვა, რომელსაც ამოსავალი არაბულში ეძებნებოდა, ცხადდებოდა სპარსულიდან (ნაკლებად – თურქულიდან) ათვისებულად, თუ სპარსულში (ან თურქულში) არსებობდა არაბულიდან ათვისებული ასეთივე სიტყვა; საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოულოდნელი დასკვნა იმის შესახებ, რომ უმრავლესობა არაბული (და ნაწილობრივ თურქული) სიტყვებისა ქართულში შესულია სპარსულიდან (ანდრონიკაშვილი 1996, 193, 215). 2) სიტყვების ნაწილისთვის გაჩნდა არცთუ გასაგები ეტიმოლოგიური კვალიფიკაცია – „არაბულ-სპარსული“ ან „სპარსულ-არაბული“.

მიუხედავად იმისა, რომ ორი ენის კონტაქტებისას შესაძლებელია, შუამავალი, ენის არსებობის შემთხვევა ცნობილია საერთოდ (ცნობილია ისიც, რომ ესა თუ ის სიტყვა შეიძლება რამდენიმეჯერ იქნეს ნასესხები, ისევე როგორც ცნობილია, რომ სესხების შემდეგ სიტყვამ შეიძლება ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციები განიცადოს სხვა ენის გავლენით), – თეზისი იმის შესახებ, რომ ქართულში ადაპტირებული არაბული სიტყვების უმრავლესობა არ არის

არაბულის უშუალო გავლენის შედეგი, სერიოზულ შემოწმებას საჭიროებს; მით უმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, ამ დებულების წყალობით, პრაქტიკულად უგულებელყოფილია საკუთრივ არაბულიდან სესხების შესაძლებლობა ყველა იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოცემულ სიტყვას რეფლექსი სპარსულშიც (ან თურქულშიც) აქვს.

ასეთი მიდგომის საწინააღმდეგოდ ბევრი ფაქტორი მეტყველებს.

2. ექსტრალინგვისტური ფაქტორები:

ა) არაბულ-ქართული უშუალო ურთიერთობები (მათ შორის – ენობრივი) დროის ძალიან დიდ მონაკვეთს მოიცავს (ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდს საქართველოს ორმხრივ ურთიერთობათა ისტორიაში). ერთი მხრივ, არაბობა (არაბთა ბატონობა) მე-9 საუკუნის დამდეგის პერიოდს არ სცილდება – შემდეგში არაბთა თბილისური საამირო ქართული სამეფოებისა და სამთავროების გვერდით ფუნქციონირებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ურთიერთობები და გავლენები გაცილებით უფრო ხანგრძლივ ეპოქას მოიცავს, არ წყდება მე-11-12 საუკუნეებში და, როგორც ჩანს, ხუთ საუკუნეზე მეტი დროით უნდა შემოიფარგლოს. მუსლიმური მოსახლეობა, არაბულად მეტყველი, ჩვენში მე-8 საუკუნეშივე გაჩნდა და არსებობდა თბილისის დაბრუნების შემდეგაც. ცნობილია, რომ უცხო წარმოშობის სიტყვების გაჩენისათვის ენათა შორის მინიმალური კონტაქტებიც კმარა (ვაინრაიხი 1972, 42); ამ ასპექტში საინტერესოა, რომ არაბული სიტყვების უშუალო სესხების არაერთი შემთხვევა დასტურდება მეგრულშიც (სილაგაძე, ბალიშვილი 2005), რომელსაც შეუდარებლად უფრო მცირე დროის უშუალო კონტაქტი ჰქონდა არაბულთან, ვიდრე ქართულს.

ბ) მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სხვაენოვანი (სპარსულენოვანი, თურქულენოვანი) მუსლიმური სამყაროს ურთიერთობები ჩვენთან ხშირად (ან – გარკვეულ ეპოქაში) კვლავ არაბული ენის მეშვეობით ხორციელდებოდა. არაბული გარკვეული სამყაროსთვის არა მარტო რელიგიის ენა იყო, არამედ საერთაშორისო ენაც, და მასთან კონტაქტი საქართველოს (და ქართულ ენას) მაშინაც შეეძლო, როდესაც ურთიერთობდა სხვა მუსლიმურ ქვეყნებსა და კულტურებთან.

გ) უშუალო გავლენის საკმაოდ დიდი მასშტაბის მაჩვენებელია ის, რომ ჩვენში არსებობდა არაბულენოვანი ქართული მოვლენები. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, ქართული არაბულენოვანი მონეტები, რომლებიც ქართველი მეფეების მიერ იჭრებოდა არაბთა უშუალო ბატონობის დასრულებიდან დიდი ხნის შემდეგაც და თბილისის საამიროს ლიკვიდაციის შემდეგაც.

დ) აუცილებლადაა გასათვალისწინებელი არაბულ-ქართული ენობრივი კონტაქტების სხვა სფერო, რომელსაც, როგორც წესი, მოცემულ საკითხებზე მსჯელობისას ყურადღება პრაქტიკულად არ ექცევა, – ეს არის არაბულ და ქართულ ქრისტიანულ ლიტერატურათა ურთიერთობა, კერძოდ ქართული ტექსტები, თარგმნილი უშუალოდ არაბულიდან. ყველაფერთან ერთად, ეს ის

სფეროა, რომელშიც მონაწილეობას ვერ მიიღებდა სპარსული თუ თურქული შუამავალი.

3. ლინგვისტური ფაქტორები:

ა) არაბული სიტყვის მესამე ენის გზით შემოსულად გამოცხადებისათვის მთავარი არგუმენტი, როგორც წესი, არის სპარსულთან (თურქულთან და სხვ.) ფონეტიკური მსგავსების გარკვეული დონე. ამგვარი ძიება სავსებით მისაღებია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველ რიგში გათვალისწინებულია (გაანალიზებულია) მსესხებელი ენის მონაცემები და დასკვნაც პირველ რიგში ამას ემყარება. სხვა სიტყვებით, კვლევის ძირითადი ბაზა, ეს არის მოცემული მსესხებელი ენა (ამ შემთხვევაში – ქართული), რადგანაც ნასესხები და ადაპტირებული სიტყვა გაფორმებულია მსესხებელი ენის ბგერითი მასალით და ემორჩილება ყველა შესაბამის კანონზომიერებას, რომელიც მოცემულ ენაში მოქმედებს. ამ დროს დასადგენია მყარი ბგერათშესატყვისობები ორ ენას შორის, რის ბაზაზეც აიხსნება ყველაფერი სხვა, მათ შორის გადახვევები და, რაც მთავარია, შემთხვევითი და არაშემთხვევითი მოვლენები. შედეგად, ისეთი ვითარებაც შეიძლება აღმოჩნდეს, როდესაც ფონეტიკური ტრანსფორმაციის ესა თუ ის ელემენტი მხოლოდ ერთხელ მესამე ენის მოცემულობას, მაგრამ წარმოადგენს მსესხებელი ენის იმანენტური სტრუქტურის გამოვლინებას.

ამ ასპექტში ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან.

ეს არის შემთხვევა, როდესაც სპარსული გზით შემოსვლის უაპელაციო ფაქტად მიჩნეულია ისეთი არაბული სიტყვები, რომელთა შემადგენელი ე.წ. ემფატიკური თანხმოვანი **ض** დ ქართულში გადმოსულია როგორც **ზ**. არგუმენტი ამ დროს ის არის, რომ ეს თანხმოვანი ამავე სახით გადმოდის სპარსულში (აგრეთვე თურქულში და ზოგ სხვა ენაში). მაგრამ ლოგიკა ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ მოცემული ენების სიას დაემატოს კიდევ ერთი – ქართული (და არა იმას, რომ სიტყვა აუცილებლად იქნეს მიჩნეული სპარსულის თუ სხვა ენის მეშვეობით ათვისებულად): ქართულს, ისევე როგორც სხვა ენებს, არ გააჩნია ამგვარი ფარინგალიზებული თანხმოვანი და თავისი სისტემის შესაბამისად, ისევე როგორც სხვა ენები, იყენებს მასთან აკუსტიკურად და არტიკულაციურად ახლოს მდგომ თავის თანხმოვანს, რაც გვაძლევს კანონზომიერ დამთხვევას ამ ენებთან და არა ამ ენების ფონეტიკურ ციტირებას.

პრინციპულად ასეთ მიდგომას მოითხოვს სხვა შემთხვევებიც. კერძოდ, შემთხვევები, როდესაც მოცემულ ქართულ სიტყვაში წარმოდგენილია ისეთი ფონეტიკური ელემენტი, რომელიც არ არის შესაბამის არაბულ სიტყვაში ან არ არის საერთოდ არაბულში; ეს ყოველთვის არ ნიშნავს მესამე ენის გავლენას, ძირითადად ეს იმას ნიშნავს, რომ ტრანსფორმაცია განხორციელდა ქართული სისტემის ნიადაგზე და ამ დროს შესაძლებელი დამთხვევა რომელიმე მესამე ენის მოცემულობასთან სრულიადაც არ არის არაბუნებრივი და შემთხვევითი.

ლექსიკური სესხება პროცესია. ყველა შემთხვევაში, მსესხებელი ენა განსაზღვრავს იმასაც, თუ რა იქნება ათვისებული, და იმასაც, თუ როგორ

იქნება ათვისებული. ამასთან, ჩვენამდე, როგორც წესი, მოღწეულია ის ფორმა, რომელიც სესხების შემდეგდროინდელია, – ამ მომენტს განსაკუთრებულად უნდა გაეხვას ხაზი; ცვლილებები, განხორციელებული მსესხებელი ენის ბაზაზე, იმდენად დიდი შეიძლება იყოს, რომ გამსესხებელი ენის მცოდნემ სიტყვა ვერც იცნოს. ეს და ბევრი სხვა რამ დიდი ხანია ცნობილია და დადგენილი ენათმეცნიერებაში (პაული 1960, 277-280). ჩვენი საკითხის პოზიციებიდან საინტერესო ისაა, რომ ერთი და იგივე სიტყვა რამდენიმეჯერ შეიძლება იყოს სესხებული სხვადასხვა დროს; ასევე – სხვადასხვა დროს შეიძლება იქნეს სესხებული სხვადასხვა ენიდან; და ბოლოს – შეიძლება ნასესხები იქნეს ერთი ენიდან და შემდეგ თავისი განვითარების ჯაჭვში შეიძლება ამავე სიტყვის სხვაენოვანი ფორმის გავლენა განიცადოს და ტრანსფორმირდეს. მაგრამ ყველა შემთხვევაში საბოლოო, სრული ადაპტაცია ხდება ამთვისებული ენის კანონზომიერებათა ბაზაზე, პირველ რიგში ამ ენაში მოქმედი ანალოგიის ფაქტორის მეშვეობით.

ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს რთულ პროცესთან, რომლის ანალიზი გაუბრალოებულ მიდგომას ვერ იტანს.

ბ) ასევე უფრო მეტ და გაცილებით უფრო სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს საკუთრივ არაბული სიტუაციის ანალიზი – მხოლოდ ლექსიკონი აქ საქმეს ვერ შეეღობა. იგივე ض د ძალიან ბევრ არაბულ დიალექტში წარმოდგენილია როგორც ظ ذ. ასევე: ლექსიკონში ასახული სამი არაბული (მოკლე) ხმოვანი სრულებითაც არ მოიცავს სრულ სურათს, რადგანაც მათ აქვთ საკმაოდ დიდი რაოდენობა ალოფონებისა, რომლებიც მსესხებელ ენაში შეიძლება დაემთხვეს ფონემას და ასეთად იქნეს აღქმული. ამიტომ, მაგალითად, რომელიმე ე თუ ო, გამოვლენილი ქართულ ნასესხობებში, შეიძლება გარკვეული პირდაპირი ასახვა იყოს არაბული ვითარებისა. ასევე: არაბულ გემინირებულ თანხმოვანს არაბულშივე (და, საერთოდ, სემიტურში) აქვს დისიმილაციის ტენდენცია და ა. შ.

ყველა შემთხვევაში, ღრმად არის გასათვალისწინებელი არაბული ენობრივი სიტუაცია, კერძოდ ის, რომ არსებობს კლასიკური სამწერლო არაბული, ლიტერატურული არაბული ენა, არსებობენ დიალექტები და, რაც მთავარია, არსებობდა (და არსებობს ახლაც) სასაუბრო კოინე, რომელიც განსხვავდებოდა (და განსხვავდება), ერთი მხრივ, ლიტერატურული არაბულისაგან, მეორე მხრივ, დიალექტებისაგან. ქართული ენის ლექსიკურ სისტემას თავის ისტორიაში უშუალო კონტაქტები ჰქონდა მთელ ამ ჭრელ სურათთან (ამ ასპექტში არც თუ ისე რთულია კანონზომიერი დიფერენცირების დადგენა წერილობითი და ზეპირი გზით შემოსულ ფუძეებს შორის; ამ შემთხვევაში ხშირად შეიძლება გამოვლინდეს ვითარება, როდესაც ის, რაც არ ემთხვევა კლასიკური არაბულის ფორმას, ლექსიკონში წარმოდგენილს, ემთხვევა არა მესამე ენის ფორმას ან მისი მსგავსია, არამედ გარკვეულ შესაბამისობაშია არაბული ენის სხვა რეპრეზენტანტთან).

4. ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ არაბულ-ქართული ლექსიკური ინტერფერენცია გამოირიცხავს რომელსამე კონკრეტულ შემთხვევაში მესამე, შუამავალი, ენის გამოჩენას (ეს შეიძლება გადმოღების მომენტშიც და შემდეგაც, როდესაც სიტყვა უკვე ნასესხებია უშუალოდ). მთავარია, ამ და ყველა სხვა შემთხვევის ანალიზის დროს წინ გვედოს ქართული ლექსიკის იმ ნაწილისათვის, რომელიც უცხო, მათ შორის აღმოსავლური და კერძოდ არაბული, წარმომავლობის სიტყვებს შეიცავს, აგებული მწყობრი სისტემა, ყველა ელემენტის, მათი ცალსახა მიმართებების და სესხების ყველა მიმართულების ზუსტი განსაზღვრით.

საკუთრივ არაბიზმებს რაც შეეხება, გასათვალისწინებელია ორი ამოსავალი პოსტულატი: ა) არაბულ სამყაროსთან პირდაპირი კონტაქტი, როგორც ითქვა, ქრონოლოგიურად გრძელ მონაკვეთს მოიცავს, რამაც განაპირობა უშუალო არაბული გავლენები, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში; ბ) ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში არის ისეთი სიტყვების დიდი კორპუსი, რომელთა უშუალო არაბული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (მათ შორის წერილობითი გზით შემოსული ფორმები, რომელთაც არაბული ფლექსიური და დერივაციული აფიქსები გადმოჰყვანს); რაც მთავარია, არის არაბული წარმოშობის ისეთი სიტყვების საკმაო რაოდენობა, რომლებიც არაბულს სპარსულისათვის (ან თურქულისათვის) არ უსესხებია.

ეს უკანასკნელი პუნქტი პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რადგანაც უშუალო სესხების ერთი შემთხვევაც კი რომ იყოს დადასტურებული, იგი უნდა იყოს აღებული როგორც ამოსავალი სესხებათა მთელი სურათის გასაანალიზებლად.

როგორც ჩანს, მართებულია შემდეგი ზოგადი მეთოდოლოგიის განსაზღვრა: თუ მოცემულ მსესხებელ ენაში გამოვლენილია მეორე, გამსესხებელი ენიდან სიტყვის უშუალო შემოსვლის ფაქტი (ერთი, ერთზე მეტი, ერთზე გაცილებით მეტი), იგი ედება საფუძვლად ყველა სხვა შემთხვევის განხილვას, ხოლო მესამე, შუამავალი, ენის გზის არსებობა, ჯერ ერთი, დგინდება კონკრეტული ფაქტის, ცალკეული სიტყვის სპეციალური ანალიზის მეშვეობით, მეორეც, განიხილება როგორც სპეციფიკური შემთხვევა. ასეთი მიდგომა, ჯერ ერთი, გამოირიცხავს აპრიორულ დებულებებს, მეორეც, რეალურ საფუძველს უქმნის კონკრეტული შემთხვევებისათვის სესხების იმ გზის დადგენას, რომელსაც ტრანზიტული გზა შეიძლება ეწოდოს.

ამ შემთხვევაში სათანადო დასკვნა შეიძლება მოგვცეს: ა) ფონეტიკური ტრანსფორმაციის ისეთმა ფაქტმა, რომელიც მხოლოდ მესამე ენის საფუძველზე აიხსნება; ბ) ისეთმა მაქსიმალურმა სემანტიკურმა დაშორებამ, რომელიც მხოლოდ მესამე ენის საფუძველზე აიხსნება; გ) სესხების დროში (და სივრცეში) ლოკალიზების კონკრეტულმა შესაძლებლობამ; დ) სხვა კონკრეტულმა ფაქტორებმა, მაგალითად: მსესხებელ ენაში არსებულმა ისეთმა თარგმნითმა ტექსტმა, რომელშიც მოცემული ნასესხები სიტყვა პირველად არის

ნახმარი, ხოლო ტექსტის ორიგინალში, რომელიც მესამე (შუამავალ) ენაზეა შესრულებული, იმავე ადგილზე წარმოდგენილია იგივე სიტყვა, ასევე ნასესხები იმავე გამსესხებლიდან და სხვ.

ლიტერატურა

აბულაძე 1964 – ილ. აბულაძე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთასა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს“, თბილისი 1964.

წერეთელი 1964 – გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო მოხსენებათა კრებული, № 1, 1947.

ანდრონიკაშვილი 1996 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, ტ. II, ნაწ. I, თბილისი 1996.

ვაინრაიხი 1972 – Вайнрайх У., Одноязычие и многоязычие, Новое в лингвистике, вып. VI, Москва 1972.

სილაგაძე, ბალიშვილი 2005 – ა. სილაგაძე, ა. ბალიშვილი, არაბიზმები მეგრულში, პერსპექტივა – XXI, VII, 2005.

პაული 1960 – Paul H., Prinzipien der Sprachgeschichte, Halle 1937 (რუს. თარგმანი – Принципы истории языка, М. 1960).

Apollon Silagadze

Towards the Question of Oriental Loan Words

Summary

The quite widespread thesis, according to which the majority of Arabic loan words was adopted in Georgian through Persian (in a less degree through Turkish), should be seriously tested. It is necessary to take into consideration the following: 1) extralinguistic factors, among them the long period of the Arabic-Georgian contacts, and a stage the existence of Georgian-Arabic bilingualism in a certain, even smaller social group; also the presence of some Georgian but the Arabic-language appearances (e.g. coins); 2) linguistic factors, namely, the circumstance that the adaptation of loan-words is realized first of all on the basis of the borrowing language immanent structure; besides, the fact that the loaning language was (and still is) presented by literary written language, dialects and colloquial koine.

The main thing is the following: in Georgian there is a large corpus of the words, the direct Arabic origin of which is beyond any doubt; in addition to this,

there is quite a number of words which were not loaned by Arabic to Persian (and Turkish as well). Apparently it is possible to determine the subsequent general methodology: if in the given borrowing language there is the fact of adopting a word directly from another, loaning, language (one, more than one, much more than one case), it is assumed as a basis for analyzing all the other instances. As to the existence of the way through the third, intermediate, language (the transit way), in the first place it is ascertained by means of special analysis of a concrete fact, a separate word, and in the second place it is considered as a specific case.

ენის ფილოსოფია

კონსტანტინე ბრეზაძე

იოჰან ბოტფორდ ჰერდერის ენის ფილოსოფია ობიექტის
ენის ენობრივ-ფუნქციური თეორია

ი. გ. ჰერდერმა თავისი ენის ფილოსოფიური კონცეფცია გადმოსცა ნაშრომში „გამოკვლევა ენის წარმოშობის შესახებ“ – "Abhandlung über den Ursprung der Sprache" (Herder 1997). ფაქტობრივად, ამ ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა ენის ენობრივ-ფუნქციური თეორიას, რომელიც შემდგომ განავითარა ვ. ფონ ჰუმბოლდტმა. შეიძლება ითქვას, რომ ჰუმბოლდტთან ერთად, ასევე ჰერდერია ენის ენობრივ-ფუნქციური თეორიის ფუძემდებელი.

სათაურიდან გამომდინარე, ეს გამოკვლევა თითქოს კონკრეტულად ენის წარმოშობის საკითხს უნდა ეძღვნებოდეს, მაგრამ ეს პრობლემა ჰერდერს ნაკლებად აინტერესებს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ენის ონტოლოგიური არსის, მისი ენობრივ-ფუნქციური ბუნებისა და ენის ფუნდამენტური ფუნქციების განსაზღვრა. შესაბამისად, მას ენის გენეზისის პრობლემა სხვა სიბრტყეზე გადააქვს: კვლევის ობიექტია არა „რა“, არამედ „როგორ“. ანუ, ჰერდერს აინტერესებს არა ის, თუ რა არის ენის წარმოშობის მიზეზი, წყარო, არამედ როგორია ენის ქმედითი როლი ადამიანის არსში. ამიტომაც, რომ ჰერდერი ენის გენეზისის პრობლემას ადამიანის არსთან კავშირში განიხილავს:

„ენა ბუნებრივადაა გამოგონებული, და ეს გამოგონება აუცილებელი იყო ადამიანისათვის, ვინაიდან ადამიანი ადამიანი იყო“ – "die Sprache ist erfunden eben so natürlich und dem Menschen notwendig erfunden als der Mensch ein Mensch war" (Herder 1964, 23). სიტყვა „გამოგონებული“ – "erfunden" აქ პირდაპირი აზრით არ უნდა გავიგოთ, არამედ მასში ჰერდერი გულისხმობს ადამიანის მიერ ენის მოქმედების თავისთავში განცდას, თავის თავში ენის ეგზისტენციის გაცნობიერებას, ენის თანაარსებობის შეგრძნებას.

ცხადია, რომ ადამიანი ჰერდერისათვის იმთავითვე ენობრივი არსებაა და გამოკვლევის პირველივე წინადადება სწორედ ამ თეზისის გაცხადებაა. ჰერდერი მიუთითებს: „ადამიანს, როგორც ცხოველურ არსებას, უკვე აქვს ენა“ – "Schon als Tier hat der Mensch Sprache" (Herder 1997, 5). აქ არ უნდა დაგვაბნიოს იმან, რომ ჰერდერი ადამიანს „ცხოველად“ – "Tier" მოიხსენიებს და მას ცხოველურ არსთან ათანაბრებს. ადამიანის „ცხოველად“ მოხსენიებით ჰერდერი უბრალოდ მიანიშნებს, რომ ადამიანი, ისევე როგორც ცხოველი, სულიერი არსებაა (Gipper, Schmitter 1979, 68). მაგრამ ჰერდერის ამ დებულებაში მთავარი ის არის, რომ ადამიანი როგორც სულიერი, ცოცხალი არსება იმთავითვე ენობრივი არსებაა.

ჰერდერის ანთროპოლოგიის თანახმად, ადამიანი ცხოველისაგან განსხვავებით ინსტინქტებით ღარიბი არსებაა და მისი გრძნობადობის ხარისხი ჩამოუ-

ვარდება ცხოველისას (Gipper, Schmitter 1979, 69). მაგრამ ამის კომპენსირება ხდება ადამიანში მოცემული სულიერი ძალების საფუძველზე, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ მას სამყაროს საგანთმიმართებებისადმი ჰქონდეს დისტანცირებული დამოკიდებულება; ამ შემთხვევაში კი ადამიანი საგანს არა - მართო გრძნობადად აღიქვამს, არამედ მას შემეცნების გამუდმებულ პროცესში მოაქცევს. ამ სულიერ უნარს ჰერდერი უწოდებს "Besonnenheit"-ს („გაცნობიერებულობა“), რაც ფაქტობრივ წარმოადგენს რეფლექსიის უნარს (Metzler 1996, 69). სწორედ რეფლექსიის უნარი ანიჭებს სუბიექტს შესაძლებლობას სამყაროსადმი ჰქონდეს შუალობითი, დისტანცირებული მიმართება, რაც, რა თქმა უნდა, ცხოველის შემთხვევაში გამორიცხულია, ვინაიდან იგი მხოლოდ საკუთარი ინსტინქტების ამარაა დარჩენილი და ამიტომ, უშუალოდაა „მიბჯენილი“ სინამდვილის საგანთა რიგს.

ჰერდერი ცნებაში "Besonnenheit" – „გაცნობიერებულობა“ ორმაგ ინტენციას დებს, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. *Besonnenheit* გულისხმობს:

1. სუბიექტის ენობრივ ფორმას, მიმართულს გარემომცველი სინამდვილისადმი (Liebrucks 1964, 62);

2. სუბიექტის საკუთარი თავისადმი მიმართებას (Liebrucks 1964, 62), ანუ საკუთარი თავის სინამდვილისაგან იზოლირებას (ე. ი. რეფლექსია).

მაშასადამე, "Besonnenheit"-ის ცნების თანახმად, შემეცნების პროცესში სუბიექტი ენის საფუძველზე ამყარებს მიმართებას როგორც შესამეცნებელი ობიექტისადმი, ისე საკუთარი თავისადმი: ანუ, ადამიანი საგანს ენის საშუალებით შეიმეცნებს და ასევე ენის საშუალებითვე მოიაზრებს საკუთარ თავსაც – აფუძნებს შემეცნების ობიექტისადმი დისტანცირებას.

შემდგომ ჰერდერი მიუთითებს, რომ რეფლექსიის უნარი, ანუ სუბიექტის შემეცნებისეული მდგომარეობა (*Besonnenheit*) ენითაა დეტერმინირებული:

„ენამ გამოიგონა და განაპირობა ის, რომ ადამიანი იმყოფება მისთვის დამახასიათებელ გაცნობიერებულ მდგომარეობაში“ (ე. ი. შემეცნებისეულ მდგომარეობაში, ანუ რეფლექსიის პროცესში – კ. ბ.) – "Der Mensch in der Zustand von Besonnenheit gesetzt, der ihm eigen ist, hat Sprache erfunden" (Herder 1964, 23).

ამგვარად, ცხადია, რომ ჰერდერისათვის რეფლექსიის პროცესი უპირველეს ყოვლისა ენობრივადაა განსაზღვრული. ამასთან დაკავშირებით ბ. ლიბრუკსი მართებულად შენიშნავს, რომ ჰერდერის თანახმად „რეფლექსია ადამიანის ენობრივად განსაზღვრული ბუნებრივი უნარია“ – "Reflexion auf sich selbst ist bereits sprachlich angeblickte Natur" (Liebrucks 1964, 62).

შემდგომ ჰერდერი მიუთითებს, რომ ადამიანის ყოველი მდგომარეობა „რეფლექსიითაა შემოსაზღვრული“ – "ist durch Reflexion verkettet" (Herder 1964, 61). და თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად რეფლექსიის პროცესი ენას ეფუძნება, მაშინ ცხადი ხდება, რომ ადამიანსა და მის შემეცნების პროცესში ენის აპრიორულობა აშკარაა. ჰერდერის მიერ აქ უკვე გამოკვეთილი და

ხაზგასმულია ენის არსის ენერგეისტული ბუნება, რაც უპირველეს ყოვლისა სინამდვილის ობიექტების ცნობიერების საკუთრებად გადაქცევაში მდგომარეობს.

ახლა ენახოთ, თუ როგორ განსაზღვრავს ჰერდერი რეფლექსიის პროცესს, რაც იმავდროულად შემეცნების პროცესის განსაზღვრაცაა, რაც დიამეტრალურად განსხვავდება კანტის ტრანსცენდენტალური შემეცნების სქემისაგან: „ადამიანის რეფლექსია იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მისი სული გრძნობადი აღქმის ოკეანეში, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ერთ-ერთ ტალღას გამოჰყოფს, მასზე მიაპყრობს ყურადღებას და შემდგომ მას გააცნობიერებს. რეფლექსია იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანი გრძნობადობის მიერ აღძრული წარმოდგენებიდან ერთ-ერთზე შეყოვნდება, მას ფხიზელი ჭვრეტის არხში გაატარებს და ამ გამოყოფილი წარმოდგენის ნიშან-თვისებებს დაანაწევრებს და ცნობიერების ობიექტად გადააქცევს. ამგვარად, ადამიანის რეფლექსია იწყება მაშინ, როდესაც ის წარმოდგენის ერთ ან რამდენიმე ნიშან-თვისებას ერთმანეთისაგან განასხვავებს და მათ შემდგომ იაზრებს. გააზრების პირველი აქტი უკვე აყალიბებს გარკვეულ ცნებას, რაც არის სულის განსჯის პირველი მონაკვეთი“ (Herder 1964, 24).

მამსადაძე, ადამიანი გრძნობადი აღქმების ნაკადში ერთ რომელიმე მათგანს გამოჰყოფს და მასზე მიმართავს თავის ყურადღებას. ამასთანავე იგი თავის თავსაც აქცევს ყურადღებას, თავის თავსაც მოიაზრებს. რეფლექსიისას ადამიანის ცნობიერებაში შემოდის ყოფიერების სურათები წარმოსახვის ძალის (Einbildungskraft) საფუძველზე. ადამიანი შემდგომ „ყოვნდება“ წარმოდგენის ამა თუ იმ „სურათ-ხატთან“ (Bild) და გამოყოფს მის ნიშან-თვისებებს (Merkmale): ე. ი. სუბიექტი ცნობიერებაში შემოსულ შემეცნების ობიექტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, ერთმანეთს აღარებს და შემდგომ მათ იდენტიფიცირებას ახდენს. ხოლო რეფლექსიის პროცესში ურთიერთისაგან გამიჯნულ საგნებსა და მათ ნიშან-თვისებებს სუბიექტი „ამაგრებს“ და აფიქსირებს ე.წ. „სამშვინელის სიტყვით“ ("Wort der Seele"), ანუ ენობრივი ბგერით; აქ კი ხდება შეცნობილის ბგერათქცევა, ბგერით შემოსვა და ამგვარად ცნობიერებაში შემოსული შემეცნების ობიექტისათვის ეგზისტენციის მინიჭება: „რეფლექსიის აქტის მიმდინარეობისა და წარმართვის პირველი ნიშანია სამშვინელის სიტყვის წარმოქმნა. მთელი ადამიანური ენის გამოგონება მასთანაა დაკავშირებული“ – "Dieses Erste Merkmal der Besinnung war Wort der Seele! Mit ihm ist die Menschliche Sprache erfunden" (Herder 1964, 24).

ამგვარად, ჰერდერის თანახმად ენაა წინაპირობა იმისა, რომ სუბიექტმა „საგანი როგორც გარკვეული ნიშან-თვისების შემცველი მთლიანობა მოიაზროს და შემდგომ ამ ნიშან-თვისებას შესაბამისი ენობრივი ნიშანი მიუსადაგოს“ (Herder 1964, 208). აქ კი ცხადია, რომ რეფლექსიის ჰერდერისეული ღეფინიცია ეფუძნება არტიკულაციის – ე. წ. შინაგანი არტიკულაციის პრინციპს.

ჰერდერთან ცნებას „არტიკულაცია“ ორმაგი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ იგი აღნიშნავს მეტყველებაში გადმოცემულ დანაწევრებულ ბგერათა რიგს; ხოლო მეორე მხრივ (და რაც უმთავრესია) არტიკულაცია ნიშნავს შეც-

ნობილი საგნის ნიშან-თვისების ფიზიკური ბგერით შემოსვას და ამგვარად მის გადაქცევას ენობრივ ნიშნად (Schmidt 1968, 47). ამ შემთხვევაში ბგერა ცნების არა მარტო გარეგნული გაფორმებაა, არამედ მისი წარმოქმნის საფუძველი. ამიტომ, რომ რეფლექსიის დეფინიციისას ჰერდერი მიუთითებდა შემეცნების პროცესში გამოყოფილი შემეცნების ობიექტის ნიშან-თვისებათა (Merkmale) შემოსვაზე „სამშინელის სიტყვით“ ("Wort der Seele"): ე.ი. არტიკულაციის პროცესი ჰერდერს უბირველეს ყოვლისა გადააქვს „სამშინელის“ და არა სამეტყველო სფეროში, რითაც იგი ხაზს უსვამს ცნების ენობრივი ბგერის საშუალებით რეალიზებაზე არამეტყველ მდგომარეობაშიც.

ხოლო გრძნობადობის ის სახეობა, რომელიც ადამიანს ანიჭებს (შინაგანი) არტიკულაციის წარმართვის უნარს, ჰერდერის თანახმად არის სმენა – "Gehör" (Liebrucks 1964, 71). სმენა არის შუამავალი გრძნობა (mittlerer Sinn). მასში თავს იყრის ხედვითა და შეგრძნების საშუალებით გამოკვეთილი შესამეცნებელი ობიექტის ნიშან-თვისებები, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გადაიქცევიან „მიმანიშნებელ სიტყვებად“ ("Merkwort"). ამგვარად, სმენა არის ის „გონითი გრძნობა“ ("geistiger Sinn"), რომელიც თავს უყრის სხვა გრძნობადობის სახეობებით მიღებულ შთაბეჭდილებებს ენის წიაღში: ანუ, ხედვითი, აკუსტიკური და შეხებითი წარმოდგენები თავს იყრის ენობრივ ბგერაში. ამ შემთხვევაში ენობრივი ბგერა კი არ „გამოთქვამს“ (auspricht), იგი უბრალოდ ხმოვანება (Schall) კი არ არის, არამედ „მიანიშნებს“ (andeutet), ანუ მასში მოცემულია შინაარსი, სემანტიკა. მაშასადამე, ჰერდერის მსჯელობის ამ მონაკვეთში მოცემულია ნიშან-თვისებიდან (Merkmnal) მიმანიშნებელ სიტყვაზე (Merkwort) გადასვლა: „ადამიანის გონების თვით უმცირესი ქმედებაც კი ვერ განხორციელდება მიმანიშნებელი სიტყვის გარეშე“ – "[...] dass nicht die mindeste Handlung seines Verstandes ohne Merkwort geschehen konnte" (Herder 1964, 57).

თავის ენის ფილოსოფიაში ი. გ. ჰერდერი მიყვება ი. გ. ჰამანის ენის აპრიორულობის კონცეფციას და აღიარებს ენის პრიმატს გონებაზე: „ენა არის ჩვენი გონების ხასიათი“ – "Sprache ist der Charakter unserer Vernunft" (Herder 1964, 173).

შესაბამისად, ჰერდერის მიხედვით მთელი შემეცნების პროცესი დეტერმინირებულია ენის მიერ: „ამდენად, ენა ადამიანის მთელ შემეცნებას ანიჭებს ჩარჩოებსა და კონტურებს“ – "So gibt die Sprache der ganzen Menschlichen Erkenntnis Schranken und Umriss" (Herder 1877-1913, 147, Bd. I).

აქედან გამომდინარე, ი. კანტის კონცეფცია ენისაგან თავისუფალი „წმინდა“ გონების შესახებ ჰერდერისათვის აბსოლუტური ფიქციაა: „ერს არა აქვს იდეა, რომლის შესატყვისი სიტყვაც არ ექნება. ჭვრეტის ცხოველმყოფელი პროცესი ბნელ განცდად რჩება, სანამ სამშინველი საგნის ნიშან-თვისებას არ იპოვის და მას სიტყვის საშუალებით ადამიანის გონებას არ შეუსისხლ-ხორცებს. წმინდა გონება ენის გარეშე დედამიწაზე უტოპიაა“ – "ein Volk hat keine Idee zu der es kein Wort hat: die lebhaftige Anschauung bleibt dunkles Gefühl,

bis die Seele ein Merkmal findet und es durch Wort endlich dem Verstande der Menschen einverleibet: eine reine Vernunft ohne Sprache ist auf Erden ein utopisches Land" (Herder 1877-1913, 357, Bd. XIII).

„წმინდა“, ზედროული და „უენო“ გონების ყველა თეორეტიკოსს (მათ შორის ი. კანტსაც) ჰერდერი ირონიულად პასუხობს: „ამა სოფლის ბრძენთა „გონების დაბადებაზე“ საუბარი წარმოუდგენელ მკრეხელობად მიაჩნიათ და უარყოფენ კიდევ ამას, ვინაიდან ისინი თავიანთ გონებას თავყვანს სცემენ ვითარცა მარადიულ, თვითნაბად, ყოველგვარი მიზეზებისაგან დამოუკიდებლად არსებულ, შეუმცდარ სფეროს. უეჭველია, ამ ბრძენთ არც შეზღუდული აღქმის უნარი გააჩნიათ და ლაპარაკიც არასოდეს უსწავლიათ, არც ღედაენა ჰქონიათ და არც ადამიანის ენა. ისინი ზომ ისე საუბრობენ, როგორც ღმერთები: ე. ი. ისინი წმინდად აზროვნებენ და ეთერულად შეიცნობენ. ამიტომაც, რომ მათ ბაგეებს მხოლოდ საღმრთო და გონების სიბრძნე სწყდება. პრომეთე არც დასჭირვებით, ისე მოსტაცეს ზეცას შეუმცდარი გონების ნაპერწკალი. მაშ, ნუ დავუშლით მათ თავყვანი სცენ თავიანთ კერპს, დაე იყბედონ რამდენიც სურთ, მათ არ უწყვიან რას იქმან“ (Herder 1877-1913, 198, Bd. VIII).

მართალია აზროვნების (ცნების) გამოხატვის საშუალება ენაა (ენობრივი ნიშანი), მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ აზროვნება, ანუ რეფლექსიის პროცესი სინამდვილის საგანთმომართებზეა მიმართული, ენის არ არსებობის პირობებში აზროვნებას შემეცნების ობიექტები ხელიდან გამოეცლებოდა, რამდენადაც აზროვნებისა და ცნებათსამყაროს „მატერიალიზებისა“, ონტოლოგიური რეალიზაციისა და არსებობის უმთავრესი წინაპირობა ჰერდერის მიხედვით არის ენა, კერძოდ, ენობრივი ბგერა.

სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს ჰერდერი, როდესაც ამბობს, რომ „ადამიანის გონება უშუალოდ არ გადმოსცემს, უშუალოდ არ გამოხატავს საგნებს, არამედ იგი შეიცავს ამ საგანთა მხოლოდ ნიშან-თვისებებს, რომელთაც გონება სიტყვების საშუალებით აღნიშნავს“ – "auch keine menschliche Vernunft drückt Sachen aus, sondern sie hat nur Merkmale von ihnen, die sie mit Worten bezeichnet" (Herder 1964, 67).

ამიტომაც, რომ მთელი მისი თანამედროვე ფილოსოფიური ტრადიციის საპირისპიროდ ჰერდერი ენის უმთავრეს ფუნქციას აზრის ბგერით გამოხატვაში კი არ ხედავს, მისთვის ენა ცნების გადმოცემის ინსტრუმენტი (Werkzeug) კი არ არის, არამედ აზრის აგებისა და დაფუძნების უცილობელი წინაპირობაა.

თავისი ენერგეტული პოტენციის საფუძველზე ენა ადამიანის ცნობიერებას უხსნის გზას სამყაროს შესაცნობად (ჰერდერის თანახმად ენის ეს ძალა მოცემულია „ადამიანის სამშენებლის ბნელითმოცულ სფეროებში“ – "in der dunklen Gegend der Menschlichen Seele"). ადამიანის სული არის შემეცნების ის ფუნდამენტი, „სადაც ცნებები ერთმანეთში ირევა და ყალიბდება“ – "wo sich die Begriffe durchkreuzen und verwirklichen" (Herder 1877-1913, 73, Bd. V). ადამიანის სული არის ადგილი პროდუქტიული ქმედებისა, რაც უპირველეს ყოვლი-

სა ენობრივად განპირობებული წარმოდგენების (sprachliche Bilder) წარმოქმნაში ვლინდება (Herder 1877-1913, 138, Bd. XXII).

ენის დინამიკური მოქმედების პრინციპი, ანუ ენის ენერგეტული პოტენციალი ენის მატერიალურ სუბსტრატს – ენობრივ ბგერებს (ენის გარე ფორმას) აცოცხლებს და სემანტიკით ავსებს. აქ ჰერდერი ერთმანეთისაგან განასხვავებს გარეგან და შინაგან ენას (Herder 1877-1913, 64, Bd. V). იგი ხაზს უსვამს, რომ (შინაგანი) ენის წიაღში მოქმედებს „ჩამოყალიბების შინაგანი პროცესი“ – "innere Bildung und Art" (Herder 1877-1913, 83, Bd. XII).

ცხადია, რომ ჰერდერისათვის (ისევე როგორც ვ. ფონ ჰუმბოლდტისათვის) ენა ორგანიზმია, ენა ენერგეიაა, რომლის შიგნითაც მოცემულია ჩამოყალიბებისა და წარმოქმნისაკენ მიმართული ბუნებრივი და ცხოველმყოფელი სწრაფვა, რის შედეგადაც ენის მატერიალური „მასალა“ შინაგანად ცოცხლდება.

ამგვარად, ენის ენერგეისტული გააზრებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰერდერის მიხედვით სწორედ ენაა ის ძალა, რომელიც აყალიბებს ადამიანის აზროვნებას, იგია „შემეცნების ყალიბი“ – "Umriß der Erkenntnis" (Herder 1877-1913, 147, Bd. I).

ჰამანის მსგავსად ჰერდერი ენას უწოდებს „ადამიანის აზრების ფორმას და ყველანაირი სიბრძნისა და ცოდნის შინაარსს; [...] აზრები არა მარტო ენის საშუალებით იძენენ ფორმას, არამედ ენაა მათი წარმოქმნის საფუძველი“ – "[...] Vehiculum (Form- K.B.) menschlicher Gedanken und den Inhalt aller Weisheit und Kenntnisse. [...] nicht bloss in welcher, sondern auch nach welcher sich die Gedanken gestalten" (Herder 1877-1913, 16, Bd. II).

თუკი კანტის ტრანსცენდენტალური შემეცნების სქემა გონებასა (Vernunft) და ენას (შესაბამისად აზროვნებასა და მეტყველებას) ერთმანეთისაგან აშორებს და ე. წ. იერარქიული დიფერენციალურობის პრინციპს (Hierarchisches Differenz-prinzip) ეფუძნება (Rahden 1989, 427), რომლის მიხედვითაც ენობრივი ქმედება გონების ქმედებას ექვემდებარება, ჰერდერის ენის ფილოსოფია გონებისა და ენის მთლიანობის, მათი სინთეზის კონცეპციას გვთავაზობს და ერთიანობის, უნიტარულობის პრინციპს (Unitätsprinzip) აფუძნებს, რაც ენისა და გონების შინაგან ურთიერთმიმართებას გულისხმობს (Rahden 1989, 427):

„და თუკი დამტკიცებულია, რომ ადამიანის გონების უმცირესი მოქმედებაც კი მანიშნებელი სიტყვის გარეშე არ შესრულდება, მაშინ ცხადია, რომ რეფლექსიის პირველივე მომენტი ენის შინაგანი წარმოქმნის (ე. ი. ამოქმედების – კ. ბ.) მომენტი“ – "Wenn es nun bewiesen ist, dass nicht die mindeste Handlung seines Verstandes ohne Merkwort geschehen konnte, so war auch das erste Moment der Besinnung Moment zu innerer Entstehung der Sprache" (Herder 1964, 74).

ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ ორი კონცეპციის კონფრონტაცია გარდაუვალი იყო. კანტის „წინდა გონების კრიტიკისა“ (შესაბამისად, მისი ტრანსცენდენტალური შემეცნების სქემის) და მის მიერ „ენის დამცრობის“ –

"Missbrauch der Sprache" – წინააღმდეგ ჰერდერი აქვეყნებს თხზულებას „წმინდა გონების კრიტიკის მეტაკრიტიკა“ – "Metakritik zur Kritik der reinen Vernunft" (1799), რომელსაც ჰერდერი უწოდებს როგორც თავისებურ „პროტესტანტიზმს“, ანუ პროტესტს, მიმართულს გონების „პაპიზმის“ წინააღმდეგ (Herder 1877-1913, 12, Bd. XXI).

ჰერდერი სვამს კითხვას, თუ როგორ შეიძლება კანტს მხედველობიდან გამორჩენოდა თავისი ტრანსცენდენტალური შემეცნების დაფუძნებისას ენის ფუნდამენტური როლი, მაშინ როდესაც კანტამდე მთელი ფილოსოფიური ტრადიცია (პლატონი, არისტოტელე, სტოელები, ბეკონი, ლოკი, დეკარტი, ლაიბნიცი) გვერდს არ უვლიდა ენის პრობლემატიკის განხილვას (Herder 1877-1913, 19-21, Bd. XXI) და მას სხვა ძირეული ფილოსოფიური პრობლემების პარალელურად განიხილავდა.

ჰერდერის თანახმად, მხოლოდ „ადამიანის ენის შესახებ ფილოსოფიის“ – "Philosophie der menschlichen Sprache" – საფუძველზეა შესაძლებელი წმინდა გონების ჭეშმარიტი კრიტიკის ჩამოყალიბება, ვინაიდან ენა გონების დედუციების ერთადერთი კრიტერიუმი (Herder 1877-1913, 25, Bd. XXI).

„მეტაკრიტიკაში“ ჰერდერის კრიტიკა პირველ რიგში მიმართულია კანტის a priori-ის ცნების წინააღმდეგ. ჰერდერის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ის, რომ ა) გონება (ცნებები) თავიდანვე დაკავშირებულია ენის მატერიალურ-ბგერით ფორმასთან, რომ გონება დეტერმინირებულია ენის მიერ. აქედან გამომდინარე, გონება თავისთავად ვერ იქნება გრძნობადობისაგან, ემპირეასა და ცდისაგან (Erfahrung) იზოლირებული, არ არსებობს გრძნობადობისაგან თავისუფალი განსჯა (Urteil). შესაბამისად, ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის საწყისი კითხვა (Ausgangsfrage) – „რამდენადაა ადამიანის გონება შესაძლებელი“ – "Wie ist die menschliche Vernunft möglich" – ჰერდერის მიხედვით ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „რა არის გონება? რა არის განსჯის უნარი? როგორ აყალიბებენ ისინი თავის ცნებებს? რის საფუძველზე უკავშირდებიან ცნებები ურთიერთს?“ – "Was ist Verstand, was Vernunft? Wie kommen sie zu ihren Begriffen? Wie knuepfen sich solche" (Herder 1964, 186).

ამასთან დაკავშირებით ჰერდერი ამავე ნაშრომის სხვა თავებში მიუთითებს, რომ თავად კატეგორიები (die kategorialen Ausdrücke) ემპირიული საგნების გრძნობადი აღქმის (Erfahrung) შედეგად ყალიბდება. აქ ჰერდერის ამოსავალი პუნქტია ის, რომ ბუნებამ ადამიანის გონებაში კატეგორიათა ჩამოსაყალიბებლად ჭვრეტისა და განსჯის ფორმები a priori კი არ „ჩალო“, არამედ ადამიანის არსში მოცემულია „შეგრძნებები, ე.ი. (გრძნობის) ორგანოები, რომლებიც გონებისათვის ჭვრეტის მასალას არა მარტო შესაძლებელს ხდიან, არამედ მას გონებას უმზადებენ“ – "wirkliche Sinne, d.i. Organe, die dem Verstand seinen Stoff nicht etwa möglich machen, sondern vorbereiten" (Herder 1964, 190).

მაშასადამე, გრძნობადობა, გრძნობის ორგანოები გონებას აწვდის მასალას ცნებათა ჩამოსაყალიბებლად: „ყოველი გრძნობადი აღქმის პროცესში პარალელურად ჩართულია გონება. ყოველ გრძნობად ცდას მუდამ თან დაჰყვება განსჯა“ –

"in jede sinnliche Empfindung drängt sich beim Menschen Verstand. [...] Alle Sinnesproben ... sind mit Urteil begleitet" (Herder 1964, 190).

შემდგომ ჰერდერი კანტის საპირისპიროდ მიუთითებს, რომ ემპირეასა და გრძნობადობაზე დაფუძნებული გონების მოქმედება, ე. ი. საგანთა რიგის შეცნობა გარკვეულ შინაგან ძალას ეფუძნება, და ეს ძალაა ენა: „ადამიანის გონებას უფრო მეტის ძალა შესწევს, ვიდრე ეს ბნელი სქემატიზებაა. მას შეუძლია შეცნობილ ნიშან-თვისებათა სიტყვების საშუალებით გამოხატვა, მას შეუძლია ლაპარაკი, საგნების ხილვა და მოსმენა“ – "Der menschliche Verstand hat eine viel höhere Kraft, als dunkel zu schematisieren; er kann die erfassten Merkmale durch Worte ausdrücken, er kann sprechen, dass man die Dinge sehe und sie vernehme" (Herder 1877-1913, 125, Bd. XII).

აქ ნათლად ჩანს ჰერდერის მიერ კანტის ტრანსცენდენტალური სქემის კრიტიკა, რომლის არსიც კანტის თანახმად გრძნობადობის ფორმებისაგან დამოუკიდებელ შემეცნებაში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით ჰერდერი შემდგომ მიუთითებს, რომ „აზროვნების შიდა ფორმები საგნების (ე. ი. ემპირეის – კ. ბ.) გარეშე ცარიელი სქემები იქნებოდა“ – "innere Denkformen ohne Gegenstände schon ihren Namen nach leere Schemen sind" (Herder, 1964, 204).

ამდენად, ჰერდერი კვლავ და კვლავ მიუთითებს, რომ გრძნობადობა და ემპირეა კატეგორიათა, ცნებათა ჩამოყალიბების შესაძლებლობის წინაპირობაა. ხოლო გონების სისტემის მოქმედების აღწერა შეუძლებელია ენის არსისა და გონების მუშაობაში ენის მოქმედების ანალიზის გარეშე. ეს უკვე ენის ენერგეისტული გააზრების, ენის ენერგეისტული არსის წარმოჩენისა და წვდომის ცდაა.

მართალია ენის არსის განხილვისას ჰერდერი თავის ენის ფილოსოფიაში არ იყენებს ისეთ ტერმინს, რომელიც ენის ენერგეისტულ ბუნებას აღნიშნავდა, მართალია იგი არ იყენებს, ასე ვთქვათ, ენერგეისტულ ტერმინოლოგიას, როგორც ეს ჰუმბოლდტთანაა, მაგრამ აშკარაა, რომ მისი თანამედროვე ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით (მაგ. ი. კანტი) ჰერდერისათვის ენა ენერგეიაა და არა ერგონი, რომ მისთვის ენა ენერგეისტული ბუნებისაა. განხორციელებული ანალიზიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ჰერდერის ენის ფილოსოფია ენის ენერგეისტულ თეორიას უყრის საფუძველს.

ლიტერატურა

Gipper, Schmitter 1979 _ Gipper, Helmut / Schmitter, Peter: Sprachwissenschaft und Sprachphilosophie im Zeitalter der Romantik, Tübingen 1979.

Herder 1877-1913 _ Herder, Johann Gottfried: Sämtliche Werke; (hrsg.) von B. Supan, 33 Bde., Berlin, 1877-1913.

Herder 1964 _ Herder, Johann Gottfried: Sprachphilosophische Schriften; (hrsg.) von E. Heintel, 2. Aufl., Felix Mainer Verlag, Hamburg 1964.

Herder 1997 _ Herder, Johann Gottfried: Abhandlung über den Ursprung der Sprache; (hrsg.) Hans Ditrich Irmscher, Reclam, Stuttgart 1997.

Liebrucks 1964 _ Liebrucks, Bruno: Sprache und Bewusstsein, Bd I: Einleitung. Spannweite des Problems; Frankfurt am Main 1964.

Metzler 1996 – Metzler Philosophie Lexikon. Begriffe und Definitionen; (hrsg.) von Peter Prechtel, Stuttgart/Weimar 1996.

Rahden 1989 –Rahden, Wolfert von: Sprachursprungsentwürfe im Schatten von Kant und Herder (s. 421-467); in: Theorien vom Ursprung der Sprache in 2 Bdn; (hrsg.) von J. Gessinger und W. von Rahden, Berlin/New-York, 1989. Bd I.

Schmidt 1968 – Schmidt, Siegfried J.: Sprache und Denken als Sprachphilosophisches Problem von Locke bis Wittgenstein, Den Haag 1968.

Konstantin Bregadze

Language Philosophy by Herder as the Energetic Theory of Language

Summary

J. G. Herder stated his philosophical ideas about language in his *Treatise on the Origin of Language* ("Abhandlung über den Ursprung der Sprache"). In fact, the treatise laid the foundation for the theory on the energetic nature of language, which was later developed by Wilhelm von Humboldt. Herder, along with Humboldt, can likewise be regarded as the founder of the theory.

According to J. G. Herder, the expressive function is not the major function of language. He regards the language not as a tool to express ready concepts, but as a necessary precondition for structuring these concepts and for their ontological realization. The conception of Immanuel Kant's 'pure' intellect, free of language, Herder considers it completely erroneous, as he regards reflection as a language-ridden process, while language, in his opinion, is the only precondition for cognition.

მანანა რუსიუშვილი

ინფორმაციული კომუნიკაციის თაობაზე

პრაგმატიკაში კომუნიკაცია მიიჩნევა კოგნიტიური და სოციალური პროცესების ერთგვარ ნაზავად, თუმცა რეალური ანალიზის დროს, როგორც წესი, ზვიადდება ერთ-ერთი ასპექტი. ამ ნაკლს აღიარებენ პრაგმატიკის თეორიის მკვლევრებიც. მაგალითად, რელევანტურობის თეორიის ფუძემდებლები სპერბერი და უილსონი ამტკიცებენ, რომ ამ თეორიაში კოგნიტიური პროცესების როლის ხაზგასმა ვერბალური კომუნიკაციის შესწავლის დროს არ ნიშნავს სოციალური კომპონენტის უგულებელყოფას და რომ ვერბალური კომუნიკაციის სრულყოფილი შესწავლა ორივე ფაქტორს უნდა მოიცავდეს (უილსონი, სპერბერი 2005, 100). ისინი ასევე მიუთითებენ, რომ კომუნიკაციის ინფერენციული მოდელი, რომელსაც ეყრდნობა რელევანტურობის თეორია და რომელიც, უპირველეს ყოვლისა, იკვლევს პროპოზიციული მნიშვნელობის გადაცემის პრინციპებს, სწორედ სოციალურ საფუძველს ეყრდნობა, რადგანაც მეტყველების აქტის დროს კომუნიკანტები, პროპოზიციულ მნიშვნელობასთან ერთად გადასცემენ სოციალურ ინფორმაციას თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (სპერბერი, უილსონი 1997, 147). შესაბამისად, ვერბალური კომუნიკაცია უფრო მეტია, ვიდრე ლინგვისტური ფორმებით ექსპლიციტურად გამოხატული ინფორმაცია (სპერბერი, უილსონი 1997, 148).

შეიძლება თუ არა, რომ რელევანტურობის თეორია იქცეს ერთ-ერთ იარაღად პრაგმატიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პოპულარული მიმართულების, ლინგვისტური თავაზიანობის შესწავლის დროს და თუ ეს ასეა, რა არის შემაერთებელი რგოლი (თუ რგოლები), რომელზეც გადაიკვეთება ეს ორი თეორია? სწორედ ამის გამოკვლევას, არსებული თეორიული მასალის კვალდაკვალ, ისახავს მიზნად ეს სტატია.

აზრი ბრაუნისა და ლევენსონის დღესაც პოპულარული ლინგვისტური თავაზიანობის მოდელის რელევანტურობის თეორიით „შეკვების“ შესახებ ეყრდნობა არგუმენტს, რომ ამის მიღწევის შემთხვევაში ნათელი მოეფინება ლინგვისტური თავაზიანობის თეორიის ბევრ საჭოჭმანო საკითხს, შესაძლებელი გახდება პასუხი კითხვაზე, შეიძლება თუ არა ქცევის გარკვეული მოდელის გადაცემა კომუნიკაციის დროს, როგორც ამას ვარაუდობს ბრაუნისა და ლევენსონის მოდელი. ასევე ამ მოდელის მნიშვნელოვანი თეორიული დებულებების ხარჯზე (იგულისხმება დადებითი/უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები) შესაძლებელი გახდება კომუნიკაციის ახალი მოდელის აგება,

რომელიც გამოიკვლევს მეტყველების აქტის ინტერპრეტაციის დროს მიმდინარე ფარულ პროცესებს (ესკანდელ-ვიდალი 1996; ჯერი 1998).

სანამ ამ პრობლემებზე ვიმსჯელებდეთ, შევეხოთ ლინგვისტური თავაზიანობის ძირითად მოდელებს. როგორც ცნობილია, პრაგმატიკაში ლინგვისტური თავაზიანობის შესწავლისადმი მიძღვნილი სულ სამი აღიარებული მოდელი არსებობს და სამივე თავს უნივერსალურად მიიჩნევს. ესენია ლეიკოფის (ლეიკოფი 1973), ლიჩის (ლიჩი, 1983) და ბრაუნისა და ლევენსონის (ბრაუნი, ლევენსონი, 1987) მოდელები. შემდგომმა ემპირიულმა კვლევამ სამივე მათგანი კულტურულ-სპეციფიკურად მიიჩნია და ამით გააქარწყლა მითი მათი უნივერსალურობის შესახებ (რუსიეშვილი 2006). ესკანდელ-ვიდალი სამართლიანად თვლის, რომ ეს გამოწვეულია ორი მიზეზის გამო: ა) ლინგვისტური თავაზიანობა მიიჩნევა წმინდად სტრატეგიულ აქტად, რაც ინდივიდუალურს სოციალურზე წინ აყენებს; შესაბამისად, თავაზიანობა წარმოჩინდება როგორც პრაგმატული და არა პრაგმატულ-სოციალური ფენომენი; ბ) ერთ სიბრტყეზე დგება და ბინარულ ოპოზიციას ქმნის თავაზიანობა და არაპირდაპირობა, ექსპლიციტურობა და იმპლიციტურობა (ესკანდელ-ვიდალი 1996). შესაბამისად, სამივე მოდელი ცალ-ცალკე დაასკვნის, რომ არაპირდაპირი გამოთქმები რაციონალურ კომუნიკაციას შორდება და მათი დეკოდირებისათვის საჭირო ხდება თავაზიანობის ან/და თანამშრომლობის (გრაისი) პრინციპების გამოყენება. სამივე მოდელი ასევე მიიჩნევს, რომ ირიბი გამონათქვამის დეკოდირების პროცესში გადამწყვეტია ინფერენცია: რაც უფრო გრძელია ინფერენციის ბილიკი, მით უფრო მეტია თავაზიანობის ხარისხი; მეორე მხრივ, თავაზიანობის/თანამშრომლობის სტრატეგიები, რადგანაც ისინი ეფუძნება რაციონალურ პრინციპებს და ვითომდა უნივერსალურ ინფერენციულ პროცესებს, უნივერსალურ ბუნებას იძენს.

უპირველესი შეკითხვა, რომელიც დგება წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის დროს, არის ის, თუ როგორ შეიძლება, ერთი მხრივ, ბრაუნისა და ლევენსონის თეორიის, ხოლო მეორე მხრივ, სპერბერისა და უილსონის თეორიების სინთეზი კომუნიკაციის ახალი უნივერსალური ინფერენციული მოდელის შესაქმნელად (საწინააღმდეგოდ ბრაუნისა და ლევენსონის მოდელის კულტურულ-სპეციფიკური ხასიათისა). ასევე, მოიძებნება თუ არა ადგილი ახალ მოდელში კულტურულ-სპეციფიკური განზომილებისათვის?

გადაკვეთის საერთო წერტილების მოსაძებნად განვიხილოთ რელევანტურობის თეორიის ძირითადი თეზისები. რელევანტურობის თეორია კონვინტიური თეორიაა, რომლის მიხედვითაც ადამიანის უპირველესი მიზანი (და მოვალეობა) სამყაროს შეცნობაა. მეტყველების აქტის დროს კომუნიკანტები (როგორც მოსაუბრე, ისე მსმენელი) ახერხებენ სამყაროდან მომდინარე უამრავი ინფორმაციით დატვირთული იმპულსიდან ამოკრიფონ კონკრეტული სიტუაციისათვის, კონკრეტული სამეტყველო აქტისათვის რელევანტური ინფორმაცია. რელევანტურ ინფორმაციაზე კონცენტრირებით კონტექსტში მიიღწევა წარმატებული მეტყველების აქტი. შესაბამისად, რელევანტურობის

თეორიის უპირველესი პრინციპი კოგნიტიურია. რელევანტურობის თეორიის ამ ჰიპოტეზის თანახმად, ინფერენციის ეს პროცესი არ შემოისაზღვრება *კონკრეტული კულტურით* (ხაზგასმა ჩემია – მ. რ.), არამედ იგი *უნივერსალურია*, მიიღება სამყაროს შეთვისების მომენტში და განპირობებულია ადამიანის კოგნიტიური სისტემის უნარით გამოარჩიოს პოტენციურად რელევანტური სტიმული და ასევე ავტომატურად შეუდაროს იგი თავის ცნობიერებაში არსებულ რელევანტურ ასოციაციებსა და ვარაუდებს. ცხადია, ამგვარი ინტერპრეტაცია შორს დგას ბრაუნისა და ლევენსონის მიდგომისაგან (ასევე გრაისის კოოპერაციის იდეისაგან, რადგანაც ბრაუნისა და ლევენსონის მოდელი ეხმაურება გრაისის კოოპერაციის პრინციპებს). გარდა ამისა, რელევანტურობის თეორია მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სტიმული რელევანტურია (უილსონი 2002, 265). ეს შეადგენს ამ თეორიის მეორე პრინციპს, რომლის მიხედვითაც ინდივიდის ქცევა ფორმირდება *სოციალური ფაქტორებით*, ხოლო მისი *მექანიზმი* კი არა.

უნივერსალური მოდელის შექმნის თვალსაზრისით საინტერესოა რელევანტურობის თეორიაში ექსპლიციტურობა – იმპლიციტურობის სტატუსიც (რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ბრაუნისა და ლევენსონის მოდელში ეს კატეგორიები პირდაპირობა/არაპირდაპირობის მსგავსად, ბინარულ ოპოზიციას ქმნის).

რა არის იმპლიციტურობა და ექსპლიციტურობა რელევანტურობის თეორიის მიხედვით? ექსპლიციტურია გადაცემული პროპოზიცია, რომელიც აიგება დეკოდირებისა და ინფერენციის საშუალებით. ექსპლიკატურის აღდგენის პროცესი (ანუ მსმენელის მიერ მოსაუბრის გამონათქვამის ექსპლიციტურობის აღდგენის პროცესი) ინფერენციულია და აქაც მამოძრავებელი ძალაა რელევანტურობის პრეზუმფცია. ბრაუნისა და ლევენსონის მიდგომის თანახმად, ექსპლიციტური და იმპლიციტური შინაარსების ინტერპრეტაციის დროს ინტერპრეტაციის მეთოდი განსხვავებულია – ინფერენცია მხოლოდ ირიბ მეტყველების აქტს სჭირდება. სპერბერი და უილსონი კი მიუთითებენ, რომ ექსპლიციტური კონტექსტიც ისევე მოითხოვს ინფერენციას, როგორც იმპლიციტური, ანუ ნებისმიერი მეტყველების აქტი არაპირდაპირის სტატუსს იღებს. განსხვავება ექსპლიციტურსა და იმპლიციტურს შორის ამ პერსპექტივიდან არის ის, რომ ექსპლიციტური (ანუ ექსპლიკატურა) წარმოიშვება ექსპლიციტური შინაარსის ჰიპოტეზისაგან ხოლო იმპლიციტური (იმპლიკატურა) კი – იმპლიციტური შინაარსისაგან; შესაბამისად, ექსპლიციტური გამონათქვამი ისევე ინფერენციულია და ისევე ეყრდნობა რელევანტურობის კომუნიკაციურ პრინციპს, როგორც იმპლიციტური კონტექსტი (უილსონი, სპერბერი 2004, 262) ყოველი მეტყველების აქტის ინფერენციის დროს საჭიროა კონტექსტის როლის სრული განსაზღვრა. სპერბერი და უილსონი კონტექსტს განმარტავენ როგორც ფსიქოლოგიურ კონსტრუქტს, დინამიურ პროცესს, რომელიც შედგება კონკრეტული გამონათქვამის შესაძლებელი რელევანტური აქტუალიზაციის შემთხვევების სიმრავლისაგან

(სპერბერი, უილსონი 1995, 13). ისმის კითხვა, თუ როგორ ხდება ინფერენციისათვის რელევანტური ინფორმაციის ამოკრეფა პოტენციური შესაძლებლობების თითქმის უსაზღვრო რაოდენობიდან? რელევანტურობის თეორიის მიხედვით, აქაც მამოძრავებელი ძალაა ადამიანის უნივერსალური სწრაფვა რელევანტურობისაკენ. ვერბალური კომუნიკაციის დროს რელევანტურობა *აბსოლუტურია*, ხოლო კონტექსტი კი – *ცვლადი*. გამონათქვამის ლინგვისტური კონტექსტი, ფიზიკური კონტექსტი და ცოდნა სამყაროს შესახებ არის კომუნიკანტების ცნობიერებაში აღბეჭდილი მენტალური რეპრეზენტაცია, საიდანაც მოსაუბრე არჩევს მოცემული გამონათქვამისათვის რელევანტურ კონტექსტს. შესაძლებელია ამ გზამ მიგვიყვანოს მინსკის „ფრეიმისა“ და „სკრიპტის“ ცნებებთან (მინსკი 1970), რომლებმაც, სავარაუდოა, ითამაშოს მზა კონტექსტის როლი, რომელზე გავლითაც შესაძლებელი გახდება ლინგვისტური თავაზიანობის კულტურულ-სპეციფიკური ინტერპრეტაციების შესწავლა. ფაქტია, რომ ინდივიდის ცოდნა სამყაროს შესახებ, გარდა უნივერსალურისა, კონკრეტულ-ეროვნულ პლანსაც შეიცავს, ანუ იგი ფორმირდება კონკრეტული კულტურის შიგნით და მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. ცალკეული კულტურა აღიარებს სოციალური ურთიერთობის განსხვავებულ ფორმას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის ხარვეზების ასხნა შეიძლება როგორც ორი განსხვავებული ეროვნების ადამიანის მცდელობა ითამაშოს ერთი და იგივე სცენა განსხვავებული სკრიპტით (ესკანდელ-ვიდალი 1996, 643-4).

ამ საინტერესო თვალსაზრისიდან გამომდინარე, ახალი ლინგვისტური თავაზიანობის ინფერენციული უნივერსალური მოდელი შეიძლება დავაშენოთ სამწვერა საფუძველზე: ესენია: ბრაუნისა და ლევენსონის მოდელის თავაზიანობის სტრატეგიები, მინსკის „სკრიპტისა“ და „ფრეიმის“ ცნებები და რელევანტურობის თეორიის თეზისი რელევანტურობის პრეზუმფციისა და მეტყველებოს აქტის სოციალური ბუნების თაობაზე. თეორიულად შესაძლებელია ამ ერთობით როგორც ლინგვისტური თავაზიანობის უნივერსალური და სპეციფიკური ნიშნების კვლევა, ისე მეტყველების აქტის აქტუალიზაციის დროს მიმდინარე ინფერენციის პროცესების შესწავლა. შესაძლოა, მომავალში კვლევამ მართლაც გამოავლინოს ლინგვისტური თავაზიანობისა და, სართოდ, მეტყველების აქტების უნივერსალური საფუძველი და ამ სინთეზური მოდელის მნიშვნელობა როგორც ერთი კულტურის, ისე კულტურათშორის სიბრტყეზე. ჩემი აზრით, პრობლემად შეიძლება იქცეს ბრაუნისა და ლევენსონის თეორიის ადგილი ამ მოდელში, მით უფრო, რომ რელევანტურობის თეორიის მტკიცებას ვერბალური კომუნიკაციის სოციალურად განპირობებული ბუნების შესახებ მივყავართ აზრამდე, რომ პროპოზიციული მნიშვნელობა აიგება ლინგვისტური კოდისა და სოციალური კონტექსტის მეშვეობით და აქტუალიზდება მხოლოდ რელევანტურ კონტექსტში. მოსალოდნელია, რომ შემდგომი ემპირიული კვლევა ამ საკითხებით დაინტერესებულ ენათმეცნიერებს განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას მისცემს.

ლიტერატურა

- ბრაუნი, ლევისონი 1987* – Brown P., Levinson S., Politeness: Some Universals in Language Usage, Cambridge University Press, Cambridge 1987.
- ესკანდელ-ვიდალი 1996* – Escandell-Vidal V., Towards a Cognitive Approach to Politeness, Language sciences 18 (3-14), 1996, 629-650.
- ლეიკოფი 1973* – Lakoff R., The logic of politeness; Or, minding your p's and q's, In Papers from the IX Regional Meeting of the Chicago Linguistic Society, Chicago 1973, 292-305.
- ლიჩი 1983* – Leech, G., Principles of Pragmatics, Longman, London 1983.
- მინსკი 1970* – Minsky M., Form and Content in Computer Science, ACM Turning Lecture, Journal of the ACM, 17 N2, 1970, 197-215.
- რუსიეშვილი 2006* – მ., რუსიეშვილი რატომ არ არის პ. ბრაუნისა და ს. ლევისონის ლინგვისტური თავაზიანობის მოდელი უნივერსალური?, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, 2006, 201-212.
- სპერბერი, უილსონი 1997* – Sperber D., Wilson D., Remarks on relevance theory and the social sciences. Multilingua 16, 1997, 145-51.
- სპერბერი, უილსონი 1986* – Sperber D., Deirdre W., Relevance: Communication and Cognition, Blackwell, Oxford 1986.
- უილსონი, სპერბერი 2002* – Wilson D., Sperber D., Relevance Theory, UCL Working Papers in Linguistics 14, 2002, 249-290.
- უილსონი, სპერბერი 2004* – Wilson D., Sperber D., Relevance Theory. In Handbook of Pragmatics, Blackwell, Oxford 2004, 249-290.
- უილსონი, სპერბერი 2005* – Wilson D., Sperber D., Reply to Rajagopalan, Intercultural Pragmatics 2 (1): 2005, 99-103.
- ჯერი 1998* – Jary M., Relevance Theory and the communication of politeness. Journal of Pragmatics 30 (1): 1998, 1-19.

Manana Rusieshvili

Towards Inferential Communication

Summary

It is a well-known fact that none of the theories surrounding the problems of linguistic politeness can be considered to be universal as they fail to account for cultural-specific differences among languages. This article makes an attempt to analyse the problems hampering this process and with reference to a number of researchers of pragmatics considers a synthesis of several theories (such as Brown and Levinson's theory of Linguistic Politeness, Sperber and Wilson's Theory of Relevance and Minski's theory of Frames and Scripts) to be one of the ways of overcoming the problem. This model would account for both universal and cultural – specific features characterising different languages and cultures.

**ადრესატის ბანზობადობის საფუძვლები და კომუნიკაციური
დანიშნულება**

სამეტყველო კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა **დიალოგი**, რომელიც თავდაპირველად გულისხმობდა მხოლოდ ზეპირ საუბარს კომუნიკანტთა უშუალო კონტაქტის დროს. ახლა დიალოგი მოიცავს როგორც ზეპირ, ისე წერილობით დიალოგებს – ბუნებრივსა თუ მოდელირებულს (დიალოგები მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში, ზეპირი სამეცნიერო პოლემიკა, საუბრები ღია ეთერში, ინტერნეტით მიმდინარე, ყოფითი საუბრები...). საუბარში აუცილებლად მონაწილეობს **მოუბარი (ადრესანტი)** და **მსმენელი (ადრესატი)**. მართალია, აქტიური მოუბარია, მაგრამ კომუნიკაცია წარმოდგენილია ადრესატის გარეშე, მაშინ მეტყველება დაკარგავდა უმთავრეს ფუნქციას – საკომუნიკაციოს, ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას. ცხადია, ეს ფუნქცია თავისთავად ითვალისწინებს ადრესატის არსებობას.

ნებისმიერი ფორმის **კომუნიკაცია** – ზეპირი თუ წერილი მეტყველება, დიალოგი თუ მონოლოგი – ყოველთვის მიმართულია რეალური ან წარმოსახვითი **ადრესატისადმი**, რომლის გათვალისწინება განაპირობებს მოუბარი პირის (ავტორის) მიერ ამა თუ იმ საკომუნიკაციო რეგისტრის (სტილის) არჩევას.

მოუბარ პირსა და ადრესატთან დაკავშირებულ საკითხებს სწავლობს ლინგვისტური პრაგმატიკა, თუმცა ადრესატის პრობლემა თანაბრად აქტუალურია როგორც ლინგვისტიკის, ისე ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

მეტყველების ადრესატთან დაკავშირებით გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: 1. მეტყველების ინტერპრეტაცია (ირიბი ან ფარული აზრის გამოტანის წესები გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობიდან); 2. ადრესატზე გამონათქვამის ზემოქმედება (პერლოკუციური ეფექტი), რაც ვლინდება მის მოქმედებასა და ესთეტიკურ აღქმაში; 3. სამეტყველო რეაგირების ტიპები მიღებულ სტიმულზე (პირდაპირი და ირიბი). ურთიერთობა მოუბარ პირსა და ადრესატს შორის მოიცავს სოციალურ-ეტიკეტურ მხარესაც: მიმართვის ფორმები, ურთიერთობის სტილი და სხვ. (ლეელ 1990, 390).

ადრესატი შეიძლება იყოს რეალური და არარეალური ანუ წარმოსახვითი. **რეალური** ადრესატი (თანამოსაუბრე, მსმენელი) უშუალოდ მონაწილეობს ზეპირ დიალოგებში. საუბრის სპეციფიკა სწორედ მოუბარი პირისა და მსმენლის მონაცვლეობაა: მთელი დიალოგის მანძილზე მუდმივად იცვლება მოუბრისა და მსმენლის როლები.

წარმოსახვითი (ჰიპოთეზური, ფიქტიური, იმპლიციტური, შინაგანი) ადრესატი იგულისხმება ზეპირ საუბრებსა და წერილობით ტექსტებში

(მხატვრულში, პუბლიცისტურსა თუ სამეცნიეროში) ზოგადი მსჯელობისას და მისი ფაქტორის გათვალისწინება, მასზე ორიენტაცია აუცილებელია ავტორისათვის (არუთინოვა 1981).

ლიტერატურათმცოდნეთა აზრით, წარმოსახვითი ანუ იმპლიციტური ადრესატი მხატვრულ ლიტერატურაში იგივე მკითხველია და ის ითვლება შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილედ. ადრესატი მწერლის თანამოსაუბრეა და ხშირად ფორმდება, როგორც მხატვრული სახე (ჩერნეცი 2004, 500). თუკი წერილობით ტექსტში **კოლექტიური** ადრესატი მკითხველია, ორატორულ სიტყვაში ესაა დამსწრე საზოგადოება. „ადრესატის (წარმოსახვითი მკითხველის) გამოყოფა ხაზს უსვამს მხატვრული შემოქმედების დიალოგურ საწყისს, თუმცა ის ხშირად არ ემთხვევა რეალურ მკითხველს. დიალოგი მკითხველთან არის ერთგვარი გზა მისკენ, ხოლო შემოქმედისთვის იდეალური მკითხველი უმეტესად სწორედ **alter ego**-ა“ (ჩერნეცი 2004, 501).

ენის სხვადასხვა დონეზე მოიპოვება საშუალებები მოუბარი პირის (ავტორის) მიერ ადრესატთან კონტაქტის დასამყარებლად. ყველაზე გავრცელებულია **პირდაპირი ადრესირება** – მხ. (ან მრ. რიცხვის) მეორე პირის ნაცვალსახელისა და ზმნური ფორმების გამოყენება. მათ კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს სამგვარი მნიშვნელობა:

1. **პირდაპირი ანუ კონკრეტული**, როცა დიალოგი უშუალოდ მიმდინარეობს ბუნებრივ გარემოში და მოუბარი პირდაპირ მიმართავს თანამოსაუბრეს: „ახლა რაღაცა უნდა გკითხო და უნდა მითხრა აქ, ამ ხალხში“ (გ. დოჩ.); „რა გინდა შენ სცენაზე, სულ არა ხარ ამ მოქმედებაში!“ (გ. დოჩ.);

2. **გაფართოებული ანუ განზოგადებული**: „რამდენი ენაც ეცდ, იმდენი კაცი ხარ“ (ანდ.); „რასაც დასთესავ, იმას მოიმკი“ (ანდ.);

3. **არაპირდაპირი**, ტრანსპოზიციური, როცა მეორე პირის ფორმით იგულისხმება თვით მოუბარი პირი: „ეჰ, ოკეანე ხარ, დიდი, მოქნილი, თევზებით სავსე, ხან – გაცოფებული, თავსდატეხილ გრიგალებს უყვფე, ხანაც კი – მშვიდი, ბლანტე... ოკეანე ხარ, მზეზე ეზმორები და ღამით, უნებურად გაღვიძებული, სიკვდილზე ფიქრობ და გრძნობ, რომ მუდამ ორთქლდები“ (გ. დოჩან.); „შენც კაცი ხარ და შენც გყავს ცოლ-შვილი, შენც არავიზე არ ხარ ნაკლები!“ (მ. ლებ.)

გაფართოებული მნიშვნელობის დროს ადრესატად იგულისხმება არა მარტო უშუალო მსმენელი, რეალური ადრესატი, არამედ ყველა, ნებისმიერი ადამიანი – განზოგადებული პირი (ზექალაშვილი, 2000; 2006).

დისკურსში ხშირად იშველიებენ ამ ხერხს – ადრესატის **განზოგადებას**, როგორც პირის ტრანსსემანტიზაციის ერთ-ერთ სახეობას. ამ დროს ნათქვამი (ან დაწერილი) უმეტესად მიემართება მეორე პირს – ადრესატს, მაგრამ იგულისხმება ყველა ადამიანი ზოგადად. ზოგჯერ ესაა ხერხი, მოუბარმა (ავტორმა) აირილოს საკუთარი თავის დასახელება და წარმოაჩინოს იგი ადრესატად, მხოლოდ უცხო დამკვირვებლად. ასეთ შემთხვევაში ადრესატი უფრო აქტიურდება და ხდება მოქმედების თანამონაწილე.

განზოგადებას ემსახურება ზმნის დროითი ფორმებისა და ლექსიკური საშუალებების (ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების) კომბინაცია.

განზოგადების (ე. წ. გენერალიზაციის) უნარი მეტ-ნაკლებად ყველა პირს აქვს, თუმცა ყველაზე გავრცელებულია მხ. რიცხვის **მეორე პირის** გამოყენება. განზოგადებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ასევე მხ. და მრ. რიცხვის პირველ, მრ. რიცხვის მეორე და მესამე პირებსაც, ხოლო ლექსიკური საშუალებების მოშველიებით – მხ. რიცხვის მესამე პირსაც: ამ დროს გამონათქვამში გვხვდება შესაბამისი სემანტიკის არსებითი სახელი, განუსაზღვრელი, უარყოფითი ან განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: ადამიანი, კაცი, ვინმე, ვიღაც, ყველა, ყოველი... რომელ საშუალებას აირჩევს მოუბარი პირი (ავტორი), დამოკიდებულია მის მიზანსა და სიტუაციაზე, რომელთა შესატყვისიც უნდა იყოს სამეტყველო სტილი.

დავასახელებთ განზოგადებული პირის გამოყენების რამდენიმე შემთხვევას ანდაზებში, მხატვრულ ლიტერატურასა და ყოფით საუბრებში:

მხ. რ. I პირი:

„ვლაპარაკობ – ენა მტკივა, ჩუმადა ვარ – გული მტკივა“ (ანდ.).

„არცა ვქნა და არცა ვთქვალ?“ (ანდ.).

„ვინც განვკურნე, მან დამკოდა“ (ანდ.).

მრ. რ. I პირი:

რამდენ უაზრობას ვლაპარაკობთ ყოველ წუთას (ყოფ. საუბრ.).

საყვარელ ადამიანს რა ადვილად ვტკუნთ ხოლმე გულს (ყოფ. საუბრ.).

სხვის თვალში ბეწვს ვხედავთ, საკუთარში კი დირესაც ვერ ვამჩნევთ (ყოფ. საუბრ.).

„რას ვიზამთ, არიან ასეთი ჯიუტი პაპებიც ქვეყანაზე!“ (რ. ინან.).

„მერე ჩვენ ვძერწავთ საკუთარ სახეს იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით“ (ო. ჭილაძე).

„არაფერი ისე იაფად არ გვიჯდება და ისე ძვირად არ ფასობს, როგორც ზრდილობა“ (ანდ.).

„ორი ყური და ერთი პირი იმიტომ გვაქვს, რომ ბევრი მოვისმინოთ და ცოტა ვილაპარაკოთ“ (ანდ.).

მხ. რ. II პირი:

„ამღვრეულ წყალში თევზს ადვილად დაიჭერ“ (ანდ.).

„გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“ (ანდ.).

„მაღლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო“ (ანდ.).

„მარტი რომ წინ გედღს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აგინებო“ (ანდ.).

„მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგიღვეს სინათლესა“ (ანდ.).

„მოკეთეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო“ (ანდ.).

მრ. რ. II პირი:

ვინმესთან თუ თავს მოისაწყლებთ, წასულია თქვენი საქმე (ყოფ. საუბრ.).

აბა, მიდი და სცადე, ასე ადვილი თუა წარმატებების მიღწევა (ყოფ. საუბრ.).

„სინესტის ორთქლში გახვეულ წუმბეში უთუოდ თვალს მოჰკრავდით მშვენიერ მცენარეს, კოლხურ ფერიას“ (მ. ლებ.).

მრ. რ. III პირი გამოიყენება განუსაზღვრელი პირის აღსანიშნავად, თუმცა ზოგჯერ ჭირს მისი გარჩევა განზოგადებული პირისაგან. ა. შანიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში ზმნა ძირითადად აწმყომია (იშვიათად მყოფადში), რომელსაც ხოლმეობითის გაგება აქვს. „სახლის შენებას საძირკვლიდან იწყებენ“: ეს ნიშნავს, რომ სახლის შენებას „ყოველი კაცი ყოველთვის საძირკვლიდან იწყებს“ (შანიძე 1948, 91).

მესამე პირის მრ. რიცხვში განზოგადებული პირის გასარჩევად განუსაზღვრელისაგან, საჭიროა კონტექსტის გათვალისწინება: თუკი ზმნა აღნიშნავს კონკრეტულ, ერთჯერად მოქმედებას და მოქმედ პირად გულისხმობს ვიღაც კონკრეტულ, მაგრამ დაუსახელებელ ადამიანს (ან ადამიანებს), მაშინ ის განუსაზღვრელია. ზმნის დროც ხშირად წარსულია (თუმცა ეს სავალდებულო არაა): „ამ მინდიაზე აბობნენ დაუჯერებელ ამბებსა“ (ვაჟა); „მუხის ხისგან გათლილი აკვანი საოცარი სილამაზით მღრთეს“ (ლ. გოთუა); „მე ხომ კარის მეზობელი ვიყავ, შემატყობინეს ქალაქში, მთხლვეს დავსწრებოდი მათ დამარხვას“ (გ. ლეონ.). თუკი მოქმედება ჩვეულებრივი, განზოგადებული, მრავალგზისია და გულისხმობს განურჩევლად ყველა პირს, მაშინ ის განზოგადებულია. მსგავსი მაგალითი ხშირად გვხვდება ანდაზებში: „ბელურას ზარბაზანს არ ესვრიან“ (ანდ.); „ბუტიას შეუჭამენ, მძინარეს შეუნახავენ“ (ანდ.); „ვისაც სიტყვით არ ესმის, იმას ჯოხით აკონებენ“ (ანდ.); „ტყუილის მოქმედს მართალსაც არ დაუჯერებენ“ (ანდ.).

ბუნებრივ საუბრებში მოუბარი პირი ადრესატს უშუალოდ მიმართავს, თუმცა ზოგჯერ ამ ფორმებით ის არ გულისხმობს მხოლოდ თანამოსაუბრეს, მსმენელს, არამედ ყველას, საკუთარ თავსაც კი. ეს შესაძლებლობა თვით მეორე პირის სემანტიკაში უნდა ვეძებოთ: „შენ“ შეიძლება იყოს **კონკრეტული, რეალური ან წარმოსახვითი და განზოგადებული**.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული: „შენ განზოგადებული პირია, არ მიუთითებს კონკრეტულ პირზე“ (ბასილაია 1958, 388). „ამ შემთხვევაში მეორე სუბიექტური პირი არ გამოხატავს გარკვეულ მოქმედს, რის გამოც ზმნის „პირი წინადადებაში გააზრებულია არა კონკრეტულ მოქმედ პირად, არამედ განზოგადებულადაც, ე. ი. მოქმედება განეკუთვნება ზმნა-შემასმენლით აღნიშნულ არა მეორე სუბიექტურ პირს, არამედ საერთოდ ყველა პირს“ (ბასილაია 1958, 386; კიზირია 1987, 52). „ეს იმას ნიშნავს, რომ მიჩქმალულია სუბიექტის სინტაქსური ძალა და იგი თითქოს შემასმენლის სამკაულად წარმოიდგინება“ (კიზირია 1987, 54).

მსგავს მაგალითებში ზმნაში გამოხატულია მოქმედება, რომელიც ჩვეულებრივ ხდება ან მოხდება, მაშასადამე, საზგასმულია მოქმედების ჩვეულებრიობა, მუდმივობა (შდრ. კიზირია 1987, 54). ზმნა გამოხატავს ისეთ „მოქმედებას, რომელიც ეხება არა კონკრეტულად ზმნის ფორმით ნაგულისხმევ პირს, არამედ საერთოდ ყველას“ (კვაჭაძე 1977, 211). „განზოგადებულპირიანი

წინადადებები გამოიყენება მაშინ, როდესაც მოლაპარაკეს სურს მოვლენა წარმოადგინოს მოცემულ სიტუაციაში განზოგადებული სახით“ (კიზირია 1987, 59).

განზოგადებულობის საზგასასმელად ხშირად განზოგადებულია **დროც** (აწმყო ან მყოფადი). ამბავი ხდებოდა წინათ, მოუბარი კი იგონებს ხშირად გამეორებულ (მრავალგზის) მოქმედებას ანდა ესაა მუდმივი, ჩვეულებრივი მოქმედება, რაც მუდმივად ხდება და მოხდება. განზოგადებულობიან წინადადებებში ზმნა შეიძლება იღვეს თითქმის ყველა **მწკრივში**: აწმყოში, მყოფადში, ხოლმეობითში, წყვეტილში, თურმეობით I-სა და II-ში, ხოლო კავშირებითის მწკრივებში გვხვდება მოდალურ ნაწილაკებსა და სიტყვებთან ერთად.

აწმყო:

„ქუდი დაიღო თავზე და შინიდან გამოვიდა. ეს რაღაცნაირი იშვიათი მდგომარეობა იყო, როცა არც წერა შეგიძლია, არც კითხვა, მაგრამ მაინც მშვიდადა ხარ“ (გ. ღოჩან.).

„და სვანეთშიც, წარმოუდგენლად გოროზად აღზევებულ კუთხეში, სადაც საღამოობით, დიადი მიყუჩებისას, დალისა და დაეუს არსებობა ისე კი არა, მართლა გჯერა“ (გ. ღოჩან.).

„იბელად გვეწვევება ვილაცის „გაუმარჯოს“ და ქუჩებში უმიზნოდ, უმიზეზოდ დახეტიალობ, რადგან ყველაფერში – დაბნეულად შეყვარებული ხარ, ადამიანის ფასიც იცი და გახსენდება, მაინც რომ აუცილებელია ხანდახან სიმართოვე“ (გ. ღოჩან.).

„კიდევ უფრო კარგია გატეხილი ძილი და ღამის მიუგნებელი ხმების ყურისგდება, ბნელ, უკაცრიელ ადგილას თავსდატეხილი შიში, ყინულოვან ხელებს უცებ ნეკნებში რომ გტაცებს“ (გ. ღოჩან.).

„ჩაგსვამს მანქანაში, გატარებს სულ წყნარად, სულ წყნარად“ (რ. ინან.).

უწყვეტელი:

„მაგრამ ის მაინც გეცოდინება, სავსე ცხოვრება რომ გქონდა, ნაწინწალი და ყოვლისმნახავი“ (გ. ღოჩან.).

მყოფადი:

„ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს“ (ი. ჭავჭავ.).

„სადაც გულის კუნჭულში მაინც გრძნობ, რომ მშვენივრად გამოგადგება ყოველივე ეს“ (გ. ღოჩან.);

„ეგრე რომ ათქმევინო, – უთხრა ამხანაგმა, თვალბეში უყურებდა, – და სტუმარი კარს რომ გაიხურავს, ველარაფერს დაწერ“ (გ. ღოჩან.).

„იცი, რომ ყოველივე ჩქარა გადაგივლის და სანამ მუშაობა მოგინდება, პირდაპირ მისწრებაა ქუჩებში ასე ყალი“ (გ. ღოჩან.).

„წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევიანებს, მწყურვალს დაგტოვებს, ჩაჰყვები ვინცო, ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევიანებს – შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!“ (მ. ლებ.).

„სად ელვა-ქუხილის ხმა, სად კიდევ თოფისა... პირველი ზეცისკენ გაგახედებს და ღმერთს დაინახავ. ხოლო მეორე დასახიჩრებას, ან სიკვდილს გაქაღის“ (ვ. ხორნ.).

„ქვეყანა დალუპა შურმა (უღმერთოდ იცინის ღმერთი).

ხოლმეობითი:

„ისეთი დრო იყო, რომ ცრემლს ვერ გამოაჩენდი“ (პ. კაკაბ.).

„ამ ყვავილის დანახვისას უთუოდ შესდგებოდი“ (კ. გამს.).

სახლი რომ გულდაგულ დაგეთვალიერებინათ, ალბათ ვერც კი შენიშნავდით განსაკუთრებულს რამეს (ყოფ. საუბრ.).

ეს საქმე რომ თავიდანვე კარგად დაგეწყოთ, ასე არ გაიტანჯებოდი (ყოფ. საუბრ.).

წყვეტილი:

„სადაც წამდაუწუმ გელანდება, რომ ქუსლში ორი წვეტიანი, უმიზეზოდ გამწარებული კბილი ჩაგაფრინდა...“ (გ. ღოჩან.).

წყვეტილი ბრძანებითის ფუნქციით:

„ამყოლს აჰყვე და დამყოლს დაჰყვე“ (ანდ.)

„ავი კაცი აქე და ერიდე“ (ანდ.)

„ხოდა... ან გამყიდე ან ცოლი წამგვარე,

ან დანა დამარტყე, ან... რაღაც ამგვარი.

თვარა, ხომ იცე, ღმერთი რავარია!

ვინ იცის, სიკვდილს როდს გაიმეტებს!“ (მ. მაჭავ.).“

პირველი თურმეობითი:

„გინდ რეგენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისთვის გიწამლებია“ (ანდ.).

მეორე თურმეობითი:

„მთელი თავისი გარეგნობითა და პაწია ტანსაცმლით უწყინარი ბიჭი ჩანდა, მაგრამ თვალები, თვალებში რომ შეგეხედათ, უცნაური, უსიამო რამ მოგებჯინებოდათ გულზე“ (გ. ღოჩან.).

კავშირებითის მწკრივები უმეტესად გამოყენებულია მოდალურ სიტყვებსა და ნაწილაკებთან, ზოგიერთ ზმნასა და მყარ გამოთქმასთან: **ეგებ, უნდა, იქნებ, გინდა, შეგიძლია, აუცილებელია, ძნელია, ადვილია** და სხვ.

აწმყოს კავშირებითი:

„ლუკა, მაგალითად, თვლიდა, რომ წერისას აუცილებელია ყოველთვის გახსოვდე ერთი კომპოზიტორი, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე აქვს ისეთი დიდებული მუსიკალური ფრაზა, სხვა რომ ათასჯერ გაიმეორებდა“ (გ. ღოჩან.).

მეორე კავშირებითი:

„და როცა ლუკა ამას მიხვდა, ჯერ იყო და, დანადვლიანდა – წამებითა და ნეტარებით იარღ იქით, სადაც ვერასოდეს ახვალ“ (გ. ღოჩან.).

„შინ თუ ხარ და გრძნობ, რომ მუშაობა კარგად აეწყო, – გაიღიმა ამხანაგმა, – სტუმრისთვის დას ან დედას უნდა ათქმევინო, რომ... შინ არა ხარ“ (გ. ღოჩან.).

„თუ გინდა, რომ რაიმეს მიადწიო, უნდა იყოს გაუმაძღარი, შურიანი, ოღონდ... კარგი გაგებით“ (გ. ღოჩან.).

„ვიდრე ღმერთი შენთვის სიკვდილს გაიმეტებს, –
ხომ უნდა შეიქცოდ თავი რაიმეთი! (მ. მაჭავ.)“

„და თუ შენ, კუთხეში მიმდგარს, თავშებრუნებულს, აღელვებულს, ყველაფერი გესმის და არასწორ, მაგრამ ბუნებრივ გამოთქმებს ხარბად იმახსოვრებ – ეგებ რომელიმე გამოგადგეს სადღაც“ (გ. ღოჩან.).

„წუთისოფელი სავსეა მწვანით, სავსეა წვიმით, სავსეა მთვარით;
და რაზე უნდა გეჭიროს თვალი, და რაზე უნდა დახუჭო თვალი,
და როგორ უნდა გაართვა თავი, და როგორ უნდა გაართვა თავი
მზეს, მთვარეს, წვიმას, შუადღეს, ღამეს,– რომ არა ხორცი იყო,
არამედ იყო უხორციო სიცოცხლის ღირსი! – ვერავინ გეტყვის,
არავინ იცის,– თვინიერ სისხლის, – შენივე სისხლის.“ (მ. მაჭავ.)

„თუ გინდა ადამიანმა შენი ქვეყნისათვის რაიმეს გაკეთება შესძლო,
სათანადო ავტორიტეტი უნდა შეინარჩუნო“ (კ. გამს.).

„საჭმელია, ძალით უნდა ჩასჩარო ამ უხეიროებს“ (რ. ინან.).

„შეიძლება შორი გზითაც მოგატაროს ცოტა, მაგრამ შინ მაინც
მშვიდობით მიგეყვანს ყოველთვის“ (რ. ინან.).

„მაგრამ მაშინვე ვხვდები, რომ არ შეიძლება, დღისით, მზისით, შუა
ქუჩაში რესპონდენტს ყბაში გლიჯო, რაგინდ არ უნდა გაგაბრაზოს, რადგან ეს
– ინციდენტი იქნება ქუჩაში“ (გ. ღოჩან.).

„ღრმა გამოქვაბულები, სადაც შეგიძლია დიდხანს იჯდე, მოკუნტული,
სიბნელესა და სინოტივეში და მერე, გამოსვლისას, მზის ძალუმ შუქზე
თვალები ახამხამო და, ხელმეორედ დაბადებულმა, გაიფიქრო, რომ ქვეყანა
დიდია და მშვენიერი“ (გ. ღოჩან.).

„იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი – ეს სწორედ
ისაა, ვისაც შეუძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის
იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი, ეს სასწაულია და მეტსაც გეტყვი,
ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე იწება“ (გ. ღოჩან.).

„ეს იწყება ბავშვობიდან. ჯერ მშობლები გაიძულებენ, თავისდაუნებურად
და არა რამე ბოროტი განზრახვით, რომ შენ ზუსტად ის გამოხატო, რასაც
ისინი მოითხოვენ“ (ინტ. ზ. თვარ.).

„ძალიან ძნელია ამდენი ხნის მანძილზე არ იცოდ არაფერი ადამიანის
შესახებ, უცებ მიხვიდე და მოკლა“ (ყოფ. საუბ.).

აგებულების თვალსაზრისით თითქმის ყველა სახის წინადადებაშია
გამოყენებული განზოგადებული ადრესატი: მარტივში, შერწყმულში, რთულში,
მაგრამ განსაკუთრებით ხშირად გვხვდება რთულ ქვეწყობილში, კერძოდ,
პირობით, დროისა და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში.

პირობით დამოკიდებული წინადადებები:

„ხოლო თუ მძიმე, ერთხანს უიმედო ავადმყოფობის შემდეგ
გამოჯანმრთელდები, ოო, პირდაპირ ღვთის წყალობაა“ (გ. ღოჩან.).

„და გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ თუ მართლა გშია, ყველაზე გემრიელი საჭმელი ყოფილა ხმელა პური და ხახვი“ (გ. დოჩან.).

„ფოთლებს თუ გადასწევს დაინახავს ორმოს, სადაც წისქვილი დგას და ძალიან გრილა“ (გ. დოჩან.).

„თუ ნამდვილი მკითხველი ხარ, მშვენივრად მიხვდები, რომელია უფრო ძნელი და რომელი – მომგებიანი, ადვილი თემა“ (გ. დოჩან.).

„და ისიც სიცრუეა, რომ თუ ბევრს ნახავს და უამრავი რამ გადაგხდება, სიკვდილის აღარ შეგეშინდება – პირიქით, უფრო გაგიძნელებს სიცოცხლესთან განშორება, (გ. დოჩან.,).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები:

„ეს კი ძალიან, ძალიან ცუდია, როცა შენ რაიმე გჯერა და სხვები არ გიჯერებენ“ (რ. ინან.).

„და როცა ათასგვარ სიკეთეს იგეგმებ, ...თვითონ უნდა მიხვდე და, მიმხვდარი, შეიძლება პირქუშიც გახდე“ (გ. დოჩან.).

„როდესაც ვერ აშბობ საინტერესო რაღაცას, ცდილობ, ისე შეკახნო, ვითომ საინტერესოა“ (ინტ. ზ. თვარ.).

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება:

„რაზე რომ დაწერო, მართლაცდა ღირებული, სინდისი სუფთა უნდა გქონდეს. იმ დღეს მაინც... და საერთოდაც“ (გ. დოჩან.).

როგორც ვხედავთ, მოუბარი (ავტორი) იმ შემთხვევაში მიმართავს **განზოგადებულ პირს**, როცა თვით სათქმელია (მოქმედება) განზოგადებული, ხშირად განმეორებადი, ჩვეულებრივი, თავისთავად ცხადი.

ყოფით ბუნებრივ საუბრებში ზოგჯერ ადრესატის განზოგადებას განაპირობებს სამეტყველო ეტიკეტი, ამ დროს შეიძლება მოუბარმა არ დაასახელოს საკუთარი თავი და მოქმედება ან მსჯელობა განზოგადოს. მაგ., „მოსწავლე რო ხარ, რაღაცა რო ხარ, გინდა შენს აღმზრდელს ასიამოვნო და ასე იმიტომ იქცევი“ (ყოფ. საუბრ.); „თუ დედ-მამას არ სცემს პატივს, მაშინ რა კაცი ხარ? ან საერთოდ გქვია კაცი?“ (ყოფ. საუბრ.); „როცა დღისით, მზისით ადამიანს ესვრდ, ეს საშინელებაა“ (ყოფ. საუბრ.)

პოეტურ ენაში ადრესატის განზოგადებით ხშირად პოეტი ასახავს საკუთარ განცდებს და ადრესატი გაიგივებულია პოეტის ლირიკულ „მე“-სთან, მისი alter ego“-ა:

„ასე მოიგონე შენ წლები ჩავლილი, თუმცა ბავშვობაში არ იყავ დამჯერე. მამის სამარეზე დასტოვე ყვაილი და უკანასკნელი ეს ლექსიც დასწერე“

(მ. ლებ.).

„აპრილს მგოსნები ეტრფოდნენ ოდით: მღვივა ცოლი ერთ დღეს ბაზრიდან და იასამნის გალუმპულ ტოტით ამოგირეცხავს ზამთარს აზრიდან“ (მ. ლებ.).

„ისე ჩამოგივლის მიწაგასახეთი, ვითომც ქვეყანაზე მარტო ის ერთია“.

„რომ ვისიც გწამდა ღირსებით, ნიჭით, ყოფილა გლახა!

აწ არცა გწამს და ვერცა აღდგება ის რწმენა მკვდრეთით“ (მ. ლებ.)

„არაგვი! ხედავ... ხედავ და გინდა,
ხედავ და გინდა, სულ რომ უყურდ...“ (მ. მაჭავ.)
„სისუსტე, რომელსაც ლაჩრობას ვერ დაარქმევ...“ (ვ. ხორნ.)
„როგორ გაგრძნობინებს წუთისოფლის სისასტიკეს და მშვენიერებას
პროფილი მგლისა, ვარსკვლავების ფონზე დანახული“ (ვ. ხორნ.)

პოეტების განსაკუთრებული ლტოლვა პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელებისადმი შენიშნულია რუსულ ენათმეცნიერებაში და ახსნილია მათი მიდრეკილებით თვითანალიზისაკენ; სურვილით, ჩაულრმავდნენ საკუთარ განცდათა სამყაროს (გოლუბი 1989, 90). ქართული ზმნის ბუნებიდან გამომდინარე, I და II პირის ნაცვალსახელთა დასახელება სავალდებულო არაა, რადგან ზმნის ფორმა ისედაც მიანიშნებს პირს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ პოეტურ ენაში მოუბარი და ადრესატი ხშირად არ გვხვდებოდეს, ოღონდ მხოლოდ ზმნური ფორმით.

ლიტერატურულ ნაწარმოებებში გვხვდება მოდელირებული დიალოგები (ძირითადად პროზაში), რომლებიც ყველაზე მეტად უახლოვდება ბუნებრივ, ძალდაუტანებელ საუბრებს, თუმცა ავტორის თვითმიზანი ასეთ შემთხვევაში სულაც არაა დიალოგების ბუნებრიობა. მათი ფორმა და სტილი დამოკიდებულია მხატვრულ ჩანაფიქრზე, აღწერილ სიტუაციასა თუ ნაწარმოების ჟანრზე. ამიტომ მხატვრული ლიტერატურის ენა არაა სასაუბრო ენის იდენტური, მაგრამ მაინც გვაძლევს უფლებას, ვისაუბროთ ზოგად ენობრივ თავისებურებებზე, მათ შორის – ზეპირი დიალოგების ენობრივ მახასიათებლებზეც.

ადრესატის განზოგადება, როგორც ერთ-ერთი სტილისტური ხერხი, დასტურდება სხვადასხვა ფუნქციურ სტილში: მხატვრულში (როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ქმნილებებში), პუბლიცისტიკაში, სამეცნიერო სტილის ზეპირ ფორმებში, ორატორულ სტილში, ყოველდღიურ-სასაუბრო ფუნქციურ სტილში. მართებულადაა შენიშნული, რომ „მეორე პირის ნაცვალსახელი **შენ** : **თქვენ** სამეცნიერო ტექსტებში, ჩვეულებრივ, არ გვხვდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი თავის „თანამოსაუბრეს“ – ადრესატს – უგულებელყოფდეს თხრობისას, არ მიმართავდეს მას“ (კვარაცხელია 1990, 68; ზექალაშვილი 1990).

მეორე პირის ტრანსსემანტიზაცია (კერძოდ, განზოგადება) დიალოგური მეტყველების ერთ-ერთი სპეციფიკური საშუალებაა ადრესატთან (მსმენელთან, მკითხველთან) კონტაქტის დასამყარებლად. „შენ“ ხშირად ყველასთან ერთად მოუბარი პირიცაა (ან ავტორია), რომელიც საკუთარ განცდას, მსჯელობას, აზრს გამოხატავს მეორე პირის ფორმით და ამით კომუნიკაციის ამ ფორმას ანიჭებს დიალოგურობას – ადრესატი აღარ გვევლინება მხოლოდ პასიურ მსმენელად, არამედ საუბრისა და მოქმედების თანამონაწილედ და თანაგანმცდელად წარმოჩნდება.

ადრესატის განზოგადება, როგორც სტილისტური ხერხი, გამოიყენება ბევრ სხვა ენაშიც (რუსულში, გერმანულში და სხვ.). ი. გოლუბს შემჩნეული

აქვს განზოგადებულპირიანი წინადადებების ხალხურ-პოეტური ელფერი, მათი განსაკუთრებული ექსპრესიულობა მხატვრულ ნაწარმოებში, ასევე აღნიშნავს ამ ფუნქციით გამოყენებული მეორე პირის მხ. რიცხვის ფორმათა გავრცელებულობასა და სიმდიდრეს (გოლუბი 1989, 156). ის ასახელებს მაგალითებს რუსული ენიდან:

„Сердцу не прикажешь“.

„В себя ли заглянешь? – там прошлого и нет следа“ (Лермонтов)

„Наскучило идти, - берешь извозчика... а не хочешь заплатить ему – изволь“ (Гоголь) და სხვ.

მეორე პირის ფორმათა გამოყენება განუსაზღვრელად გერმანულ ენაშიც დასტურდება, თუმცა გვხვდება სპეციალური განუსაზღვრელი ნაცვალსახელიც man:

„Was du heute kannst besorgen, das verschiebe nicht auf morgen“

„Beim alten Wirt ist du gut“ (გიოცე, ჰეს-ლიუტიხი 265). ეს წინადადება შეიძლება გადმოიცეს მან ნაცვალსახელითაც: „Beim alten Wirt ist man gut“.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ადრესატის განზოგადება ერთგვარად უნივერსალური მოვლენაა და მიზეზი საძებარია თვით მეორე პირის სემანტიკაში – ადრესატი შეიძლება იყოს კონკრეტულიც და განზოგადებულიც ანუ სათქმელი შეეხოს ნებისმიერ პირს.

ადრესატისადმი პირდაპირი მიმართვა სენტენციების, ზოგადი მსჯელობების, მოუბარი პირის განცდილი მოვლენებისა და დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნების გადმოსაცემად ძალზე მოქნილი, ექსპრესიული საშუალებაა.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ადრესატის განზოგადების კომუნიკაციური დანიშნულებაა: 1. საკუთარი განცდებისა და ფიქრების განზოგადებული წარმოდგენა, მოუბარი პირის დასახელებისთვის შეგნებულად თავის არიდება და საკუთარი თავის წარმოჩენა მხოლოდ უცხო დამკვირვებლად; 2. ადრესატისადმი თანაგრძნობის (ემპათიის) გამოხატვა; 3. ადრესატის ქცევა მოქმედებისა და განსჯის აქტიურ თანამონაწილედ (იმპლიციტურად). ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მსმენელის გააქტიურებას დიალოგში ანუ ადრესანტისა და ადრესატის თანამშრომლობას.

ლიტერატურა

არუთინოვა 1981 – Арутюнова Н. Д., Фактор адресата, Изв. АН СССР, сер. ЛиЯ, т. 40, в. 4, 1981.

ბასილაია 1958 – ნ. ბასილაია, ერთშემადგენლიანი წინადადების საკითხისათვის ახალ ქართულში, მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X-XI, სოხუმი 1958, გვ. 367-406.

გიოცე, ჰეს-ლიუტიხი 1999 – ლ. გიოცე, ე. ვ. ბ. ჰეს-ლიუტიხი, გერმანული ენის გრამატიკა, ენის სისტემა და ენის გამოყენება (თარგმნა დ. ბახტაძემ), თბ.

2006; L. Götze, E. W. B. Hess-Lütich, Grammatik der deutschen Sprache. Sprachsystem und Sprachgebrauch, Bertelsmann Lexikon Verlag, München 1999.

გოლუბი 1989 – Голуб И. Б., Грамматическая стилистика современного русского языка, Высш. школа, М. 1989.

ზექალაშვილი 1990 – რ. ზექალაშვილი, განუსაზღვრელ- და განზოგადებულ-პირიანი წინადადებების მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებისათვის სამეცნიერო სტილში, პროფ.-მასწ. საინსტიტუტთაშორისო სამეცნ. სესია, 56, თბ. 1990, გვ. 68-69.

ზექალაშვილი 2000 – რ. ზექალაშვილი, მეორე პირის ფუნქციები და სტილისტიკური დატვირთვა, თსუ ფილოლ. ფაკ. სამეც. სესია, მოხსენებათა მასალები, 2000, გვ. 185-189.

ზექალაშვილი 2006 – რ. ზექალაშვილი, ქართული დიალოგური მეტყველება (სადოქტორო დისერტაცია), თბ. 2006.

კვარაცხელია 1990 – გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა: თსუ-ს გამომცემლობა, თბ. 1990.

კვაჭაძე 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მე-2 შვედ. გამოც., თბ. 1977.

კიზირია 1987 – ა. კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, მეცნიერება, თბ. 1987.

ლეულ 1990 – Лингвистический энциклопедический словарь (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი), М. 1990.

შანიძე 1948 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, თბ. 1948.

ჩერნეცი 2004 – Чернец Л. В., Генезис произведения, Адресат: Введение в литературоведение (Под ред. Чернеца Л. В.), изд. 2-ое, перераб. и доп., М.: Высшая школа, 2004, გვ. 499-507.

წყაროები

ანდ. – ქართული ანდაზები (შეს. წერილი და რედაქცია ზ. ჭუმბურიძისა), ლიტ. და ხელოვნ., თბ. 1965.

კ. გამს. – კ. გამსახურდია, ვაზის ყვავილობა, თბ. 1959.

გ. დოჩან. – გურამ დოჩანაშვილი, საქმე, მერანი, თბ. 1974.

რ. ინან. – რ. ინანიშვილი, შორი თეთრი მწვერვალი, თბ. 1976.

პ. კაკაბ. – პ. კაკაბაძე, დრამატული პოეზია, ტ. I, 1971.

მ. ლებ. – მურმან ლებანიძე, ლექსები, ბალადები, პოემები (ერთტომეული), საბჭოთა საქართველო, თბ. 1972.

გ. ლეონ. – გ. ლეონიძე, ნატურის ხე, თბ., 1976.

მ. მაჭავ. – მუხრან მაჭავარიანი, ერთტომეული, საბჭოთა საქართველო, თბ. 1979.

ი. ჭავჭავ. – ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 2, თბ., 1950.

- ვ. ზორნ. – ვაჟა ზორნაული, წარღვნამდელი სიყვარულის მოციქულები: ჟურნ. „არილი“, 2005, №5.
- ინტ. ზ. თვარ. – ინტერვიუ ზაზა თვარაძესთან (ესაუბრა ი. არჩუაშვილი): ჟურნ. „არილი“, 2005, №5.
- ყოფ. საუბრ. – ყოფითი საუბრები.

Rusudan Zekalashvili

Means of Generalization of Addressee and its Communicative Functions

Summary

The problem of addressee is relevant to both modern linguistics and literary studies. Any type of communication is addressee-oriented. An addressee can be either a real person, i.e. a direct participant of the conversation, or fictitious, hypothetical, implicit (i.e. a collective person).

The form of grammatical expression of addressee is the second person singular and plural. It may have different meanings, depending on the context and situation: 1. direct (particular meaning), 2. extended (generalized), 3. transpositional (figurative, indirect). The generalized meaning implies generalized person, i.e. all people. The generalization of the utterance is often emphasized not only by person, but also by additional means (time and modality of the verb, pronouns, adverbs, particles). This kind of emphasis is used in aphorisms, proverbs and sayings, or for expressing generalized feelings and emotions of the speaker or author. It determines the prevalence of conditional clauses and subordinate clauses of time.

Being one of the stylistic means, generalization of addressee is used in a number of functional styles: belles-lettres, publicistic, scientific (only in its oral form) and oratorical, though most often it can be traced in conversational style.

The communicative functions of addressee include: 1. expressing one's own feelings, emotions and thoughts, deliberately putting oneself aside; 2. expressing compassion (empathy) towards addressee; 3. the wish to involve the addressee in the action and make it an active participant of thinking process (i.e. an implicit person); 4. the desire to observe the conversation etiquette.

კაუზატივი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში

ზოგადი

წინამდებარე ნაშრომში კაუზატივის გრამატიკული კატეგორია განიხილება ფართო გაგებით, რაც გულისხმობს სათანადო ფორმანტის დართვით როგორც გარდამავალი ზმნის მარკირებას (გარდამავალი ზმნისაგან შუალობითი კონტაქტის წარმოქმნას), ისე გარდაუვალი ზმნის მარკირებასაც (გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნის წარმოებას).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კაუზატივის კატეგორიაში მოიაზრება რეალური სუბიექტის უშუალო ან გაშუალებული მოქმედება უახლოეს (resp. პირდაპირ) ობიექტზე (ჩიქობავა 1950, 377-378; მაჭავარიანი 1988, 62-65; თაყაიშვილი 1974, 5,14; უთურგაიძე 1995, 116...).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გარდაუვალი ზმნებისაგან კაუზატიურ პირველად აქტანტთა წარმოებისას რეალური ინიციატორი ფარულად არსებობს, ნათლად არ ჩანს მიზეზი (ლათ. causa), რითაც არის გამოწვეული მოქმედება, თუმცა ეს ზმნის სემანტიკით არის საცნაურყოფილი. მორფოლოგიურ მარკერთა ჩვენების მიხედვით, ე. წ. შუალობითი კონტაქტის ფორმათა საწარმოებლად იგივე აფიქსები გამოიყენება, რაც პირველადი გარდაუვალი ზმნებისაგან გარდამავალი ზმნების (resp. პირველადი კაუზატივების) საწარმოებლად. აქედან დასკვნა: **გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა კაუზატიური დერივაცია ერთგვაროვან, მონოლითურ მორფოლოგიურ პროცესს წარმოადგენს ზმნურ ძირ-ფუძეთა ამოსავალი სემანტიკის გათვალისწინებით, რაც მათ შორის არსებით განსხვავებას ქმნის.** ამა თუ იმ ზმნის სემანტიკური სხვადასხვაობა არის ის ფარული მუხტი, რომელიც ძირეულად განასხვავებს ამ სტრუქტურულად ერთიან მოდელებს.

კაუზატივის, როგორც გარდაუვალ-გარდამავალ ზმნათა საერთო კატეგორიის, დერივაცია შეუქცევადი პროცესია პასივიდან აქტივისაკენ ან აქტივიდან აქტივისაკენ – გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება, გარდამავალი ზმნა – კაუზატიური მეორეული აქტივი.

ანალოგიური წარმოების საილუსტრაციო მასალის მოხმობა ბევრ სხვა ენათა სინამდვილიდან შეიძლება (იხ. მაჭავარიანი 1988, 63-64).

ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენებიც მხარს უჭერენ კაუზატივის ცნების ფართო გაგებას, ვინაიდან ამ ენებში ჩამოყალიბებულია პირველადი (resp. ერთინიციატორიანი) და მეორეული (resp. ორინიციატორიანი) კაუზატივების წარმოების მწყობრი სისტემა, რასაც ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით. ერთი რამ ამკარაა: ის მორფოლოგიური საშუალება, რომელიც გარდამავლობას აწარმოებს, კაუზატიურია (კაუზატივის ფორმანტებით მარკირდება), რასაც

სპეციალისტთა უმრავლესობა იზიარებს (შანიძე 1980, 369; ჩიქობავა 1950, 59, 61; მაჭავარიანი 1988, 64; თაყაიშვილი 1974, 5; უთურგაიძე 1995, 118 და სხვ.).

ზემოწარმოდგენილი თეზისი თავისთავად სვამს საკითხს როგორც კაუზაციისა და გარდამავლობის ურთიერთმიმართების შესახებ (უთურგაიძე 1995, 118-125), ისე კაუზატივისა და გვარის ურთიერთმიმართების თაობაზე (ნებიერიძე 1984, 145-176). მართალია, ზოგი ზმნის მოქმედებითი გვარის დერივაცია კაუზატივის ფორმანტებით ხდება, მათ შორის განსხვავება მაინც მნიშვნელოვანია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამის საილუსტრაციოდ პირველად აქტივთა მოხმობაც იკმარება.

არსებითი ხასიათის განსხვავება, რაც თავს იჩენს ძირეულ გარდამავალ, არაკაუზატიურ „წერ-ს“ ტიპის ზმნებსა და პირველად კაუზატიურ „ა-დგ-ენ-ს“ ტიპის ზმნებს შორის, სემანტიკური ბუნებისაა: პირველ შემთხვევაში მოქმედების ინიციატორი (რეალური სუბიექტი) თავისი ნება-სურვილით მოქმედებს და პირდაპირი ობიექტი მართლოდენ სამოქმედოა, ხოლო მეორე შემთხვევაში, უახლოესი ობიექტის მოქმედება დაჩნდება, მაგრამ ორგანიზატორი სუბიექტის მოქმედება ფარულად არსებობს და სემანტიკურ-ფუნქციურ კონკრეტიზაციას მოკლებულია (უთურგაიძე 1995, 123-124). მასთან, გარდაუვალი ზმნისაგან კაუზატივის ფორმათა წარმოებისას მკრთალად თავჩენილი ინიციატორი სუბიექტი მოქმედებს უახლოეს ობიექტზე ყოველგვარი საშუალო რგოლის გარეშე, ე. ი. მოქმედებად აღძვრა ხდება შინაგანი იძულებით თუ ნება-სურვილით, რასაც ერთგვარად ფარული მიზეზი უდევს საფუძვლად, თუმცა სიღრმისეული სტრუქტურა-სემანტიკის გაუთვალისწინებლად არ ჩანს, ვინ იწვევს სუბიექტის ამგვარ მოქმედებას. აქ აუცილებელი გარდაუვალობით გასათვალისწინებელია თითოეული ზმნისა და მასთან დაკავშირებული სუბიექტ-ობიექტთა ფუნქციური შინაარსი, ზმნის სემანტიკური ნიუანსები, გრამატიკული ფორმის მდგრადობა, დერივაციის თავისებურება და მისთ. საილუსტრაციოდ საკუთრივ დიდლოურიდან მოვიყვანთ შემდეგ წინადადებას: *ბოწნ (RS) ბეხურსი ზი ა (O^d) „მგელმა მოკლა ძროხა“*. მგელს, როგორც იმთავითვე მტაცებელ ცხოველს, თანდაყოლილი ბიოლოგიური ბუნება აიძულებს შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. ანდა ამგვარი წინადადება: *ხანწ (RS) უუიქ (O^{ind}) ცახერსი ტექ (O^d) „მეფემ ვაჟს დააწერინა წიგნი“*.

ამ წინადადებაში პირველადი კაუზატივით აღძრული მოქმედება სრულდება მეფის ინიციატივით, მისი მიზეზით, თუმცა უშუალოდ შემსრულებელი ვაჟიშვილია. ამგვარი სემანტიკური დიფერენციაცია, თავად ზმნისაგან თუ კონტექსტისაგან გამომდინარე, მრავლად დაგვიდასტურდება.

გარდა ზემოთქმულისა, ჯეროვნად უნდა გაიმიჯნოს გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები ორინიციატორიანი (*ქეც-ერ-ერ-ხო* „აწვენიებს“) კაუზატივი გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები შესაბამისი კაუზატიური ფორმებისაგან. შინაარსობრივად უკანასკნელი პირველს, მისი ფუძის ამოსავალი

სემანტიკიდან გამომდინარე, ერთი ინიციატორით ყოველთვის უსწრებს. აქტანტთა სიმრავლისა და რელაციის მხრივ, გარდამავალი ზმნის პირველადი კაუზატივი გარდაუვალი ზმნის მეორედ კაუზატივს ეთანაბრება, სუბიექტისა და ობიექტის განლაგებაც ერთგვაროვანია. ამ მხრივ, ერთგვარ კორექტირებას საჭიროებს გ. მაჭავარიანის თეზისი: „სამპირიანი კაუზატივის შემთხვევაში იძულება ეხება „ირიბ“ ობიექტს, ორპირიანი კაუზატივის შემთხვევაში – „პირდაპირი“ ობიექტს. ამით განსხვავდება გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატივი გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატივისაგან“ (მაჭავარიანი 1988, 62).

სუბიექტ-ობიექტთა ურთიერთმიმართების მიხედვით, თავისებურ ჩვენებას იძლევა აგრეთვე Verba Sentiendi-ს ტიპის ზმნათა კაუზატიური წარმოება (უთურგაიძე 1995, 124-126).

ამავე ნაწილში შეიძლება ითქვას, რომ კაუზატივისა და გვარის მჭიდროდ ურთიერთგადაჯაჭვული საკითხები საკვლევ ენებში გარკვეულ სიძნელეებს ბადებს. გვარის გრამატიკული კატეგორია დიდიხეობაში ძირითადად ჩამოყალიბებულია (არდლოტელი 1999, 21-29) და, შესაბამისად, გასტაბილურებული (იმნაიშვილი 1963, 257), თუმცა ამას ვერ ვიტყვით ახლომონათესავე ხუნძურ-ანდიურ ენათა მიმართ.

დიდიხეობაში ამ კუთხით კვლევა-ძიების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ცნობილი დებულება: „...მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო“ (ჩიქობავა 1950, 060).

I. სინქრონიული ანალიზი

კაუზატივის წარმოება ორგვარია: 1. სინთეზური და 2. ანალიზური. სინთეზური წარმოება საყოველთაოდ არის გავრცელებული, ხოლო აღწერითი წარმოება გვხვდება იტერატიული სემანტიკისა და ზოგ სხვა ზმნასთან, ამდენად იგი ნაკლებპროდუქტიულია (შდრ. გეურქოვა 1971, 101).

1. **კაუზატივის სინთეზური წარმოება.** ხუნძურ-ანდიურ-დიდიხეობაში კაუზატივის სინთეზური ფორმებისთვის, ზოგი იბერიულ-კავკასიური ენისაგან განსხვავებით (მაგალითად, აფხაზურ-ადიღურ ენებში კაუზატივის კატეგორია პრეფიქსაციით იწარმოება: ლომთათიძე 1945, 89; როგავა, კერაშევა 1966, 257), ნიშანდობლივია სუფიქსაცია. მასთან, საკვლევ ენებში დასტურდება როგორც ოდენ ანალიზური (ხუნძ.), ისე ოდენ სინთეზური (ან დ., ლ ო დ., ჭ ა მ., ტ ი ნ დ., ხ ვ ა რ., ჰ ი ნ.) კაუზატიური ფორმები.

საყურადღებოა, რომ ზოგ ენაში (ა ხ ვ., კ ა რ., ბ ო თ ლ., ს ა კ. დ ი დ.) ორგანული კაუზატიური ფორმების გვერდით გვხვდება აღწერითად ნაწარმოები ფორმებიც.

საანალიზო ენათა შორის ერთადერთი ენა ხუნძურია, რომელშიც

დასტურდება ოდენ აღწერითად, **ჰაბიზე** („კეთება“)¹ მეშველი ზმნის საშუალებით, ნაწარმოები კაუზატივი, მაგ.: *ბეტშიზე „ხენა“ – ბეტშიზაბიზე „მოხენვეინება“*, *ჰალტიზე „მუშაობა“ – ჰალტიზაბიზე „მუშავებინება“*, *ბოსიზე „ალება“*, *„ყიღვა“ – ბოსიზაბიზე „ალებინება“*, *„ყიღვინება“*, *ჟუაზე „წერა“ – ჟუაზაბიზე „დაწერინება“* და მრ. სხვ.

ანდიური ენის კაუზატივის წარმოებისას პირველი უღვლილების ზმნებში -**ოლ** || -**ოლ'** სუფიქსი გვაქვს, ხოლო მეორე უღვლილების ზმნებში – -**ონ** || -**ონ-ლ'** (-**ონ** – აწმყო ზოგადის წყების ერთეულებში, -**ონ-ლ'** – ნამყო ძირითადის წყების ერთეულებში). როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, ზემომოყვანილი სუფიქსები უშუალოდ დაერთვის საუღვლებელი ზმნის ფუძეს და შემდეგ მათ საუღვლებელ ერთეულთა დაბოლოებები მოსდევს (იხ. ცერცვაძე 1965, 267), მაგ.: *ბეტში-იდ-უ „ხენა“ – ბეტში-ოლ-უ „მოხენვეინება“*, *ბახ-ინ-უ „კერვა“ – ბახ-ონ-უ „შეკერვინება“*, *ჟუარ-დ-უ „წერა“ – ჟუარ-დ-ოლ-უ „დაწერინება“* და მისთ.

ახვანურ ენაში კაუზატივის ორგანული ფორმები იწარმოება ზმნის ფუძეზე დართული -**ა** ფორმანტით, რომელიც მის მომდევნო სუფიქსში რიგ ცვლილებას იწვევს – ხმოვანთა შერწყმას და ამის საფუძველზე საკომპენსაციოდ დაგრძელებას, მაგ.: *ყამ-ა-რი „დაჯდა“ – ყამ-ა-რი (<*ყამ-ა-ერი) „დასვა“*, *ჟუარ-ე-რი (<*ჟუარ-ა-ერი) „აწერინებს“* და სხვ.

ამ ენაში დასტურდება კაუზატივის აღწერითი ფორმები, რომლებიც წარმოქმნილია ძირითადი ზმნისა და *ბ-ი-ტორულ'*ა (*„გავ ზავნა“*, *„გაშვება“*) ზმნათა შერწყმის საფუძველზე, მაგ.: *ყინუ ბიტოტა „შეკერინება“*.

კარატაულ ენაში კაუზატივი ახვანური კაუზატივის ანალოგიურად -**ა** ფორმანტით იწარმოება, მაგ.: *ჟუარ-ა-ლ'ა „დაწერინება“*, *ვონ-ა-ლ'ა „მოყვანინება“* და მისთ.

კარატაული ენის ტოქიტურ დიალექტში კაუზატივის საწარმოებელ აფიქსად -**ალ** დაჩნდება: *ჟუარ-ალ-ედუ „დაწერინება“*.

ამავე ენაში აღწერითად, *იტალა* (*„გაშვება“*) მეშველზმნით ნაწარმოები კაუზატიური ფორმებიც გვხვდება: *ბუყიდა იტალ'ა „დაკვლევინება“*... (იხ. მაჰომედბეკოვა 1978, 237-241).

ანალოგიური ვითარება დასტურდება სხვა ანდიურ ენებშიც.

დ. იმნაიშვილმა 1956 წელს დაბეჭდილ წერილში დიდოური ენის კაუზატივის ფორმანტად ხმოვანფუძიან ზმნებში -**რ** სუფიქსი გამოყო, ხოლო თანხმოვანფუძიანებში – -**ერ** სუფიქსი (იმნაიშვილი 1956, 453).

¹ როგორც ცნობილია, ბაზისური ზმნის ბოლოკიდური -**ე** რედუცირდება, ხოლო მეშველი ზმნის **ჰ** უკვალოდ იკარგვის (უსლარი 1889, 199-200; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 339-340; Магомедбекова 1978, 235).

მოგვიანებით დ. იმნაიშვილი საკ. დიდ. ენის კაუზატივის ფორმანტებად ინფინიტივის -ა ნიშნთან ზმნებში -ერ, -ი-რ სუფიქსებს ასახელებს, რომელთა ხმოვნითი ელემენტები ინფინიტივისა და ზოგ სხვა ფორმაშიც „მეზობელი მარცვლის მახვილის გავლენით იკარგვის“ (იმნაიშვილი 1963, 168).

ე. ბოკარევის შეხედულებით, საკ. დიდურში „გარდაუვალთაგან გარდამავალი ზმნებისა და, აგრეთვე, გარდამავალთაგან იძულებითი (მეორეული კაუზატივისა და შუალობითი კონტაქტის – ნ. ა.) ზმნების საწარმოებლად გამოიყენება -რ || -ი-რ სუფიქსი“ (ბოკარევი 1959, 204).

ა. აბდულაევი კაუზატივის ფორმანტად ოდენ -რ-ს მიიჩნევს და მას ორმაგი ფუნქციის (გარდამავლობისა და კაუზატივის) მქონედ თვლის (აბდულაევი 1981, 20).

წინამორბედი მკვლევრები ჰინუსურ ენაში კაუზატივის ფორმანტებად გამოყოფენ: -რ (ბოკარევი 1959, 128), -რი (> -რ), -კი (> -კ) (ლომთაძე 1963, 141).

გ. ბურჭულაძის მიხედვით, კაუზატივის (მისი ტერმინოლოგიით, კაუზატივ-ფაქტიტივის²) ფორმანტად საკ. დიდურისა და ჰინუსურისთვის *ერი რეკონსტრუირდება (ბურჭულაძე 1998, 108). ეს ფორმანტები ერთიან როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან ზმნებს.

ხვარშიული ენის ინსოცვარულ დიალექტში კაუზატივს აწარმოებს -ხ-, -კ- ფორმანტები (ბოკარევი 1967, 429). დ. იმნაიშვილის დაკვირვებით, ხვარშიულში სინქრონიულად კაუზატივის რამდენიმე ფორმანტი გვხვდება: -ე-ხ > -ხ (ძირითადად), -ე-კ, -ხ-ე-კ (საკ. ხვარშ.), -ხ (ძირითადად), -ი-კ, -ო-კჷ, -გ-კ, ხ-ი-კ, -ხ-გ-კ (ინხ.) (იმნაიშვილი 1963, 170-171). ხვარშიულ დიალექტში კაუზატივის სუფიქსად -ხ-ს გამოყოფენ რ. შარაფუტდინოვა და რ. ლევიანა (შარაფუტდინოვა, ლევიანა 1961, 115).

ბეჟიტური ენის საკ. ბეჟ. დიალექტში კაუზატივის სინთეზური ფორმების საწარმოებელ სუფიქსად მიჩნეულია: -ლ- (ბოკარევი, მადიევა 1967, 463), -ლ || -ოლ (მადიევა 1965, 113), -ლ || -ლლ (ხალილოვი 1980, 25), -ლ (< -რ) (ბურჭულაძე 1998, 93).

ჰუნზიბურ დიალექტში ანალოგიური ფუნქციით თავს იჩენს -კ || -ეკ, -ლ (ბოკარევი 1959, 45-46; 1967, 480), -/ე/კ-, -/კ/ლ- (ისაკოვი 1986, 12-13), -კ || < -კე-, -ლ- || < -ლე- (ბურჭულაძე 1998, 89).

იგულისხმება, რომ ყველა ზემოთხსენილი ფორმანტი, რიგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, უშუალოდ დაერთვის როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნების სადა ფუძეებს (ხმოვანფუძიანსაც და

² მთლად ნათელი არ არის პირველადი კაუზატივის (ქეც-ა „დაწოლა“ – ქეც-რ-ა „დაწვენა“) ან ნასახელარი მოქმედებითი გვარის ზმნის (მაჯ'ნი „შორი“ – მაჯ'ი-კ-ა „დაშორება“, შდრ. მაჯ'ი-ლ-ა „დაშორება“ [შორდება]) სინონიმად ფაქტიტივის გამოყენება. საკუთრივ დიდურში -ერ (> -რ) კაუზატივის მარკერია, ხოლო -ეკ (< -კ) კი – მოქმედებითი გვარისა (დაწვრილებით ინ. არდოტელი 1999, 23-24).

თანხმოვანფუძიანსაც) და აწარმოებს კაუზატივის კატეგორიას. პირველ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნის ფუძის აქტივიზაცია ხდება კაუზატივის ფორმანტით და შედეგად ვიღებთ პირველად (resp. ერთმაც, ერთინიციატორიან) კაუზატივს, ხოლო კაუზატივის სათანადო ფორმანტის გაორმაგებით – მეორეულ კაუზატივს.³ საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ინფინიტივის, აწმყო კონკრეტულისა და ნამყო განსაზღვრულის ფორმებს საკუთრივ დილოური ენიდან:

ინფინიტივი

ბ-ეხუ-ა⁴ „მოკვდომა“ – ბ-ეხუ-რ-ა < ბ-ეხუ-ერ-ა (მღრ. აწმყ. კონკრ. ბ-ეხუ-ერ-ხო) „მოკვლა“:

ნეხ-ა „მოსვლა“ – ნეხ-რ-ა < ნეხ-ერ-ა (მღრ. აწმყ. კონკრ. ნეხ-ერ-ხო) „მოყვანა“

ქოს-ა „თიბვა“ – ქოსი-რ-ა < ქოსი-ერ-ა „თიბვინება“

აწმყო კონკრეტული

ბ-ეხუ-რ-ხო (< ბ-ეხუ-ერ-ხო) „კლავს“ – ბ-ეხუ-ხ „კვდება“

ნეხ-ერ-ხო „მოჰყავს“ – ნეხ-ხო „მოღის“

ქოსი-რ-ხო (<*ქოსი-ერ-ხო) „ათიბვინებს“ – ქოსი-ხ „თიბავს“

ნამყო განსაზღვრული

ბ-ეხუ-რ-სი (< ბ-ეხუ-ერ-სი) „მოკლა“ – ბ-ეხუ-ს „მოკვდა“

ნეხ-ერ-სი „მოიყვანა“ – ნეხ-სი „მოვიდა“

ქოსი-რ-სი „მოათიბინა“ – ქოსი-ს „მოთიბა“

ასევე ან მიახლოებით ასევე იწარმოება კაუზატივი დანარჩენ დილოურ ენებში: ჰინ. ბ-უჰე-ს „მოკვდა“ – ბ-უჰე-რ-ი-შ „მოკლა“, ბელ'ე-ს „დაათესა“ – ბელ'ე-რ-ი-შ „დაათესინა“, კოლ'ე-ს „გადახტა“ – კოლ'ე-რ-ი-შ „გადაახტუნა“...; ბეჟ. ჯო ო „წაიკითხა“ – ჯო -ლ-ი ო „წააკითხვინა“, სიკი ო „დაზილა“ – სიკი-ლ-ი ო „დააზელინა“, ჰ ლდ კი ო – „გაათეთრა – ჰ ლდ კი -ლ-ი ო „გაათეთრებინა“...; ხვარშ. კორა-ჰა „ინგრევა“ – კორა-ხ-ხო (<*კორა-ხ-ჰო) „ანგრევს“, ბ-აც-ცო (<*ბ-აწ-ჰო) „ჭამს რაღაცას“ – ბ-აწ-ეხ-ხო (<*ბ-აწ-ეხ-ჰო) „აჭმევს“, ბ-ეს-სო (<*ბ-ეზ-ჰო) „ყიდულობს“ – ბ-ეზ-ეხ-ხო (<*ბ-ეზ-ეხ-ჰო) „აყიდვინებს“ (საკ. ხვარშ.); ბ-ეს-სე (<*ბ-ეზ-შე) „ყიდულობს“ – ბ-ეზ-იხ-შე, ბ-ეზ-ეხ-შე (დიალ. ვარ.) „აყიდვინებს“, ილ'-შე „აძლევს“ – ილ'-ი-ხ-შე „აძლევინებს“ (ინხ.) და მრ. სხვ.

ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების მკვლევართა ნაშრომებში საყოველთაოდ

³ მეორეულ კაუზატივს ზოგი მკვლევარი ორმაგად გარდამავალ ზმნას უწოდებს, რაც, შესაბამისად ორი O^d უქონლობის გამო, უმართებულოა (იხ. შანიძე 1980, 369).

⁴ კლას-კატეგორიის მქონე ზმნათა ილუსტრაცია III კლასის ნიშნის მიხედვით ხდება.

გატარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით გარდაუვალ ზმნათაგან ნაწარმოები პირველადი კაუზატივები უბრალოდ გარდამავალ ზმნებად (ხანდახან ფაქტიტივად) მიიჩნევა, ხოლო კაუზატივად გაგებულია მარტოოდენ გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები მეორეული კაუზატივი (ბოკარევი 1959, 163, 204; შარაფუტდინოვა და ლეეინა 1961, 115; იმნაიშვილი 1963, 168-171; მადიევა 1965, 113; ბურჭულაძე 1998, 96).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დ. იმნაიშვილი ეხება მეორეული კაუზატივის ფორმას ქეც-რ-ერ-ა „დაწვენიება“; მაგრამ ამგვარი კაუზატივის საყრდენი ფორმა (ქეც-რ-ა „დაწვენა“) მას მიაჩნია ჩვეულებრივ აქტივად და არა პირველად კაუზატივად (იხ. იმნაიშვილი 1963, 259).

გარდაუვალი ზმნებისაგან ნაწარმოებ კაუზატივზე (ე. ი. პირველად კაუზატივზე) ყურადღებას ამახვილებს ე. ლომთაძე, რომელიც საკვებით სამართლიანად წერს: „კაუზატივის კატეგორია დამახასიათებელია როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისათვის“ (ლომთაძე 1963, 141; შდრ. ხალილოვი 1980, 25). სამწუხაროდ, მკვლევარი ამ არსებითად მართებულ დებულებას მეტად აღარ ავრცობს და მაგალითებად მხოლოდ პირველადი კაუზატივის ნიმუშებს ასახელებს.

დიდოურ ენაში დასტურდება /-კ-/ : /-ლ'-/ ფორმანტებით მოტივირებული ფუძეები, რომელთა ოპოზიცია ფაქტობრივ გვართა ოპოზიციის რანგშია აყვანილი, მაგ.: ჭაგუ-კ-ა „გაცოცხლება (აცოცხლებს)“ – ჭაგუ-ლ'-ა „გაცოცხლება (ცოცხლებს)“. კაუზატივის კატეგორიის მოტივაცია დამატებით ხდება ჭაგუ-კ- ფუძეზე სათანადო -რ ფორმანტის დართვით: ჭაგუ-კ-რ-ა „გაცოცხლებინება“.

პირველადი კაუზატივის ორგანულ ფორმათა დერივაციის მხრივ, თავისებურებას ამჟღავნებს ხვარშიული ენა, რომელშიც არცთუ იშვიათად დასტურდება ორმაგი სუფიქსით (საკ. ხვარშ. -ხ-ე-კ, ინხ. -ხ-კ) ნაწარმოები კაუზატიური ფორმები, მაგ.: ინხ. ლ-ი -ა „კეთება“ – ლ-ე-ხ-კ-ა „ვაკეთებინება“; შუარდ-ა „გადაწვტომა“ – შუარდა-ხ-კ-ა „გადახტუნება“; საკ. ხვარშ. ბ-იხუად-ა „დაკვლა“ – ბ-იხუად-ხ-კ-ა „დაკვლევინება“; ილ'-ა „მიცემა“ – ილ'-ა-ხ-კ-ა „მიცემინება“ და მისთ. (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ).

მეტად საყურადღებოა, რომ ბოლო დროს დიდოურ ენათაგან ჰუნზიბურში გამოვლენილ იქნა კაუზატივის სუფიქსგაორმაგებული (სუფიქსგასამმაგებული – sic!) ფორმები (ისაკოვი 1986, 13). მანამდე ანდიურ ენათა მონაცემებზე დამყარებით, ზ. მაჰომედბეკოვას თვალსაწიერს მიღმა არ დარჩენია სათანადო სუფიქსის გაორმაგება კაუზატიურ ფორმებში. კერძოდ, ლოღობერიულ ენაში მიკვლევულ იქნა მეორეული კაუზატივის საწარმოებელი სუფიქსის რედუპლიკაციის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომელსაც ზემოხსენებული მკვლევარი დიდოურ ენაში კაუზატივის ანალოგიურ წარმოებას უდარებს და საყურადღებო ვარაუდსაც გამოთქვამს: „ჩვენი აზრით, რაღაც ამდაგვარი დიდოურშიც გვაქვს:

ქეც-ა „დაწოლა“

ქეც-რ-ა „დაწვენა“

ქეც-რ-ერ-ა „დაწვენინება“ (მაჰომედებეკოვა 1978, 246).

დამატებითი ლინგვისტური მასალის გულდასმითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საკვლევ ენებში ამოსავალი კაუზატიური (როგორც გარდაუვალი ზმნის პირველადი კაუზატივისაგან, ისე გარდამავალი ზმნის პირველადი კაუზატივისაგან ნაწარმოები) ფორმებისაგან სათანადო ფორმანტის გაორმაგებით იწარმოება მეორეული კაუზატივი (resp. შუალობითი გზა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარად ნაწარმოები ფორმები ლაბილური ორაზროვნების სემანტიკას მოკლებულია და გასტაბილურებული. მასთან, პირველადსა თუ მეორეულ კაუზატივებში ტრანსფორმაცია ყოველთვის მარჯვნივ მიმართება, ვინაიდან ზმნური ფუძის გავრცობა მარცხნივ ან ოდენ გრამატიკული კლასის ნიშნით ზდება, ანდა ნულოვანი მორფემით, ე. ი. ზმნა გარდაუვალი იქნება თუ გარდამავალი, ორსავე შემთხვევაში მიმართულია ნაკლებვალენტურიდან მეტვალენტურიანსაკენ. გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატივის საილუსტრაციო მაგალითები: საკ. დიდ. ნეხ-ხო „მოდის“ – ნეხ-ერ-ხო „მოჰყავს“ – ნეხ-ერ-ერ-ხო „მოაყვანინებს“; ბ-ეხუ-ხ „კვდება“ – ბ-ეხუ-ერ-ხო „კვლავს“ – ბ-ეხუ-ერ-ერ-ხო „აკვლევინებს“; ქეც-ხო „წევს“ – ქეც-ერ-ხო „აწვენს“ – ქეც-ერ-ერ-ხო „აწვენინებს“...; გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატივი: ცახ-ხო „წერს“ – ცახ-ერ-ხო „აწერინებს“ – ცახ-ერ-ერ-ხო „აწერინებინებს“; ბ-აწ-ხო „ჭამს“ – ბ-აწ-ერ-ხო „აჭმევს“ – ბ-აწ-ერ-ერ-ხო „აჭმევინებინებს“; ქურ-ხო „ისვრის“ – ქურ-ერ-ხო „ასროლინებს“ – ქურ-ერ-ერ-ხო „ასროლინებინებს“ და მრ. სხვ.

ზემომოხმობილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ გარდაუვალ ზმნათაგან გარდამავალი ზმნებისა და გარდამავალ ზმნათაგან მეორეული კაუზატივის ფორმათა წარმოებას ერთი საერთო მორფოლოგიური საფუძველი აქვს, რასაც საკვებით კანონზომიერად გ. მაჭავარიანი ერთ მორფოლოგიურ კატეგორიაში აქცევს (მაჭავარიანი 1988, 63). ამ უცილო ჭეშმარიტებაზე მეტყველებს თუნდაც სადერივაციო ნიშანთა მასალობრივი იდენტურობაც – ზმნური მოტივაციისათვის ორსავე შემთხვევაში ერთი ფორმანტია გამოყენებული. ამიტომ ანდიურ-დილოურ ენებში, ბევრ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობილი, კაუზატივის მარკერთა გაორმაგება გამჭვირვალედ მოჩანს (შდრ. ქართ. წევ-ს → ა-წვ-ენ-ს → ა-წვ-ენ-ინ-ებ-ს...).

კაუზატივის ფორმანტთა რედუქციაციის საილუსტრაციო მასალას საკ. დილოურის ახლომონათესავე ენებიც უხვად გვაწვდიან. კერძოდ, ჰინუხურ ენაში, არსებული ლიტერატურის მიხედვით, კაუზატივის ფორმანტები, რომლებიც ახდენენ როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნის ფუძეთა მოტივაციას, დაერთვიან შესაბამისი ზმნის მარტივ ან რთულ ფუძეს. ხმოვნით დასრულებულ ფუძეებთან მეზობელი მარცვლის მახვილის გავლენით კაუზატივის ხმოვნითი ელემენტი რედუცირდება: -ერ > -რ (იმნაიშვილი 1956, 455).

ზემოდასახელებული ინტერპრეტაციისაგან განსხვავებული თვალსაზრისიც

გვხვდება, რომლის მიხედვით კაუზატივის ფორმანტად ცხადდება **-რი** (> **-რ**) (ლომთაძე 1963, 141; 1984, 90; ბურჭულაძე 1998, 106).

ჩვენი მოსაზრებით, ჰინუხურ ენაში კაუზატივის ფორმანტად მიჩნეულ ოდენობათა (**-რი-**, **-კი-**) ბოლოკიდურად თავჩენილი ხმოვნითი ელემენტი ამ აფიქსისეული არ ჩანს. **-რი-** მარტოოდენ ნამყო ძირითადში გვხვდება, მაგ., **ბ-აწ-რი-შ** „შეაჭმევინა რაღაცა“ (შდრ. აწმყ.-კონკრ. **ბ-აწ-ერ-ჰო** „აჭმევს რაღაცას“). გარდა ამისა, მეორეული კაუზატივები ფორმანტთა რედუქციისას უჩვენებენ არა **-რი-** ფორმანტს, არამედ **-ერ-**ს, მაგალითად: **ბ-ეყი-შ**, „იცნო“, „გაივო“ – **ბ-ეყი-რ-ი-შ** „გააგებინა“ – **ბ-ეყი-რ-ერ-ი-შ** (< ***ბ-ეყი-ერ-ერ-ი-შ**) „გააგებინებინა“, **კოლ'ე-ს** „გადახტა“ – **კოლ'ე-რ-ი-შ** „გადაახტუნა“ – **კოლ'ე-რ-ერ-ი-შ** (<***კოლ'ე-ერ-ერ-ი-შ**) „გადაახტუნებინა“ და მრ. სხვ.

ანალოგიური მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ ხმოვნითი ელემენტი ი არქაული აორისტის (იმნაიშვილი 1963, 181-182) სუფიქსისეულია.⁵ რაც შეეხება მეორეული კაუზატივის წარმოებას, ჰინუხური საკ. დიდლოურის წარმოებას მისდევს, მაგ.: **ბ-უჰ-ერ-ერ-ჰო** „აკვლევინებს“, **ბელ'ე-რ-ერ-ჰო** „ახენევინებინებს“, **ბ-აწ-ერ-ერ-ჰო** „აჭმევინებინებს“ და მისთ.

საგულისხმოა, რომ ხვარშიულ ენაში კაუზატივის წარმოების პრინციპი ცოტა განსხვავებულია. უმთავრესი სუფიქსი, რომელიც კაუზატივს აწარმოებს და, სათანადოდ, უახლოესი ან ირიბი ობიექტების მატებით არის შეპირობებული, **-ეხ** > **-ხ** (საკ. ხვარშ.), **-ხ** (ინხ.) სუფიქსია (იმნაიშვილი 1963, 170), მაგ.: **ბ-აჯ-ა** „დაწოლა“ – **ბ-აჯ-ეხ-ა** „დაწვენა“, **ლეზ-ა** „აღება“ – **ლეზ-ეხ-ა** „აღებინება“, **შუკ-ა** „ცემა“ – **შუკ-ხ-ა** „ცემინება“ და ა. შ.

ზემომოყვანილი ფორმანტები უმთავრესად გარდაუვალ ზმნებს დაერთვის და გარდამავალ ზმნად აქცევს, ე. ი. ფუძის გააქტიურებას იწვევს. ამასთანავე, ზმნურ ძირ-ფუძეთა მარკირება, რომლებშიც ოდენ სუბიექტი იგულისხმება (და ეს კლას-კატეგორიის შემცველ ზმნებში მკაფიოდ მუდავნდება), უახლოესი ობიექტის წარმოჩენით ჩანს შეპირობებული, მაგალითად: ნიტ-ა „ჩაქრობა“ (სინათლე ქრება) – **ნიტ-ხ-ა** „ჩაქრობა“ (ქარი აქრობს სინათლეს). ამ შემთხვევაში მორფოლოგიურ სტრუქტურას, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსაზღვრავს სინტაქსური ფაქტორი.

ყურადღებას იქცევს ის, რომ მეორეული კაუზატივების წარმოებისას ენაში ვაწყდებით ბაზისურ ზმნებს, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც თეორიულად მოსალოდნელი, ზემოხსენებული **-ეხ** (> **-ხ**) ფორმანტის გაორმაგებით და აქტიურ ზმნათა (resp. დიათეზის) **-ეკ** (საკ. ხვარშ.), **-იკ** > **-გ-კ**, **-ო-კჷ** (ინხ.) მარკერებით, ან **-ხ** და **-ეკ** (საკ. ხვარშ.), **-იკ** (ინხ.) ფორმანტებით, მაგ.: **ის-ა** „თქმა“ – **ის-ხ-ა** „შეკითხვა“ – **ის-ხ-ოხ-კ-ა** „შეკითხვინება“, **ლ'იყ'-ა** „გათავება“ (თავდება) – **ლ'იყ'-ო-ხ-ა** „გათავება“

⁵ თუ, რა თქმა უნდა, მეტათეზისით არ არის მიღებული: **-იშ** (< **-ში** < **-სი**).

(ათავებს) – ლ'ივ'ო-ხ-კ-ა „გათავებინება“, ლ-უჟ-ა „გაკეთება“ – ლ-უ-ხ-კ-ა (<*ლ-უჟ-ხ-ეკ-ა) „გაკეთებინება“, ქჟე -ა „ძებნა“ – ქჟე-ხ-კ-ა (<*ქჟე-ხ-ეკ-ა) „ძებნინება“, ხე -ა „ხეხვა“ – ხე-ხ-კ-ა (<*ხე-ხ-ეკ-ა) „ხეხვინება“, ჯტა -ა „წერა“ – ჯტა-ხ-კ-ა (<*ჯტა-ხ-ეკ-ა) „ძებნინება“ და მრ. მისთ.

განსაკუთრებულად საინტერესოა ისეთი ფორმები, რომლებშიც, ამ ორი მააქტიურებელი სუფიქსის გარდა, ფუძის მარკირება ხდება პირველი რედუქციური ფორმანტით (-ხ + Vხ) + -კ აქტივის ნიშნით, მაგ.: შუკ-ა „ცემა“ – შუკ-ხ-ა „ცემინება“ – შუკ-ხ-ოხ-კ-ა „ცემინებინება“, ლ-აწ-ა „ჭამა რალაცისა“ – ლ-აწ-ხ-ა „შეჭმევა რალაცისა“ – ლ-აწ-ხ-ახ-კ-ა „შეჭმევინება“...

ზემოილუსტრირებული სამმაგფორმანტიანი კაუზატივები თეორიულად მოსალოდნელია და ენაში სპორადულადაც იჩენს თავს, თუმცა მათი გამოყენების არეალი მეტად შეზღუდულია. ეს ქართულის მიხედვითაც ასეა – „ამენებინებინებს“ სალიტერატურო ქართულისთვის უჩვეულო ფორმები სავსებით ბუნებრივია დიალექტებისათვის (უთურგაიძე 1995, 14).

სვარშიული კაუზატივის ფორმა **შუკხოხკა** („ცემინებინება“) ნიშნავს, რომ მოქმედების უშუალოდ ჩამდენი პირი (ეგზეკუტორი) არ ჩანს, ინიციატორი ერგატივში დგას, ირიბი ობიექტი ერთ-ერთ ადგილობით ბრუნვაში – ესივში, ხოლო უახლოესი ობიექტი – ნომინატივში, მაგ.: *ობუ-ტი (S^{init} ერგ.) უჟა-ჯა (O^{ind} ესივი) შუკ-ხ-ოხ-ეკ-შე ისე-ისო ჰამალე (O^d ნომ.) „მამა („მამამ“) ვაჟიშვილს („ვაჟიშვილზე, -თან“) აცემინებინებს თავის მეგობარს („მეგობარი“)*.

ამგვარ შემთხვევებში ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც ორინიციატორიან კაუზატივებში, მხოლოდ ზმნის სემანტიკით ნაგულისხმები მეორე ინიციატორი ფარულად არსებობს.

ავილოთ ასეთი წინადადება: *დე (S^{init} ერგ.) ეს ეშითთე სორ-ჯო (O^{ex} ლოკ.) ატ (O^d ნომ.) ლ-აწ-ხ-ახ-კ-ა „მე ძმას („ძმა“) ვუბრძანებ ცხენისთვის („ცხენზე“) ხორბლის („ხორბალი“) შეჭმევინებას“.*

მართალია, ამ შემთხვევაში პირველი ეგზეკუტორი (ეს „ძმა“) ლოკატივში არ დგას, ვინაიდან ზმნით არის გაშუამავლებული, თუმცა მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი (სორ-ჯო „ცხენზე“) ესივის ფორმით გამოიხატება.

კაუზატივის ფორმანტთა გაორმაგება ხელშესახებია ბეჟიტურ ენაშიც. ამ ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში პირველად კაუზატივებს სათანადო ზმნის ფუძეზე -ლ || -ლლ სუფიქსის დართვით ვიღებთ (ხალილოვი 1980, 25; 1995, 407): *ჯოჟ-ალ „კითხვა“ – ჯო -ლ-ალ „კითხვინება“, ხულ'-ალ „სმა“ – ხულ'ო-ლლ-ალ „სმევა“* და მისთ.

სათანადო ბეჟ. ენის მასალის უკმარობის გამო, მეორეული კაუზატივის ფორმებზე ფართო მსჯელობის საშუალება არ გვაქვს, თუმცა მათი ენაში არსებობა სავსებით რეალურია.

რაც შეეხება ჰუნზიბურ დიალექტს, მისთვის მეორეული კაუზატივები ნიშანდობლივია, მაგალითად: ლ'ულ'უ-კ-ა „გალვიძება“ – ლ'ულ'უ-კ-ეკ-ა „გალვიძებინება“, რიმ-კ-ა „გატენა“ – რიმ-კ-ეკ-ა „გატენინება“, უტ-კ-ა „დაძინება“ – უტ-კ-ეკ-ა „დაძინებინება“...

მეტად საინტერესო ფორმაა მოყვანილი (ამას ავტორიც აღნიშნავს) ი. ისაკოვის მიერ (ისაკოვი 1986, 13) ჰუნზიბურ დიალექტში, რომელშიც ამ კაუზატიური ფორმის საწარმოებელი სუფიქსის გასამმაგებაც კი ხდება, მაგ., კარლ'-ეკ-ეკ-ა „დატრიალებინება“ – კარლ'-ეკ-ეკ-ეკ-ა „დატრიალებინებინება“. ამ ფორმას შესაბამისი განმარტებაც თან სდევს: „ა იძულებს ბ-ს მიაღწიოს ვ-ს ზემოქმედებას გ-ზე, ე. ი. სუბიექტი ა მოქმედებს გ ობიექტზე, მაგრამ არა პირდაპირ, უშუალოდ, არამედ ბ და ვ შუამავალთა მეშვეობით, რომლებიც ა სუბიექტის მოქმედებას გადასცემენ ესტაფეტასავით. ბ და ვ შუამავლები (sic! – ნ. ა.), რომლებიც ა სუბიექტის მოქმედების რეალიზაციას ახდენენ, ტექსტში (ფრაზაში) ჩვეულებრივ არ ჩანან“ (ისაკოვი, 1986, 13).⁶

სპეციალურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ ასეთ განმარტებას გვთავაზობენ, რომ ტრანზიტული ზმნები კაუზატივის ან გარდამავლობის ფორმანტით იწარმოება (ბოკარევი 1959, 45-46, 100, 128, 163; იმნაიშვილი 1963, 168; ლომთაძე 1963, 141; მადიევა 1965, 113; აბდულაევი 1981, 20-21; ბურჭულაძე 1998, 98-99...). დიდურ ენებში კაუზატიური ფორმები, გარდამავლობა-გარდაუვალობის თვალსაზრისით, ფაქტობრივ ყოველთვის გარდამავალია და, სათანადოდ, სტაბილური. ამ შემთხვევაში ხდება კაუზატივის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის, ფორმანტებით, გარდამავლობის, როგორც სინტაქსური კატეგორიის, რეალიზაცია. კაუზაცია, როგორც ზმნურ ძირ-ფუძეთა გააქტიურების ერთ-ერთი საშუალება, უმთავრესად ნიშანდობლივია არააქტიური ზმნებისათვის. აქტიური სემანტიკის ზმნებში გარეგანი იძულების მომენტის გარეშეც შეიძლება განხორციელდეს ესა თუ ის მოქმედება. სახელდობრ, პირველად აქტივთა სემანტიკა იძულებით პროცესს გამოირიცხავს, ვინაიდან ამ შემთხვევაში, როგორც ამას სპეციალისტებიც აღნიშნავენ (უთურგაიძე 1995, 123), ზმნის მარტოოდენ სუბიექტ-ინიციატორის ქმედებაზეა ყურადღება გამახვილებული: შამილ^ა ცახსი ქლათ (საკ. დიდ.) „შამილმა დაწერა წერილი“. ამ წინადადების ზმნიდან ჩანს, რომ მოქმედების აღმძვრელიც (ინიციატორი) და განმცდელიც თავად სუბიექტია (შამილი). თუ ამას შევედარებთ შემდეგ წინადადებას: ნეს^ა ოიჩირსი შამილ „მან გააჩერა შამილი“, დავინახეთ, რომ ამ შემთხვევაში მოქმედების უშუალო განმცდელი თავად შამილია (O^d), რადგან არ ჩანს მოქმედების შესრულების თავისებურება, მისი ძირითადი არსი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ პირველადი კაუზატივი და პირველადი აქტივი

⁶ შდრ., ჩვენ მიერ ხვარშიული ენის მასალაზე დამოწმებული, ორმაგ კაუზატივთა შემცველი, წინადადება, რომელშიც ანალოგიური სურათი შეიმჩნევა.

ერთმანეთისაგან სემანტიკურად გარკვეულწილად განსხვავდებიან, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, ზმნის ძირის სემანტიკიდან გამომდინარე, ეს ყოველთვის ან ასე არ არის, ან მისი მიკვლევა გაძნელებულია რიგი მიზეზის გამო.

პირველად აქტივთა მიმართ ადრეც დასმულა მნიშვნელოვანი კითხვა (მაჭავარიანი 1980, 43): ყოველგვარი გარდამავალი ზმნა ლოგიკურად კაუზაციის შემცველი ხომ არ არის?

დღესდღეობით ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ჭირს, თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთი ზმნა პირველად აქტივად არის მიჩნეული, მაგრამ მისი ანალიზი საპირისპიროს გვიმტკიცებს. საკ. დიდოურში დასტურდება პირველადი გარდამავალი ზმნა ტეტრ-ა „კითხვა“, „სწავლა“. ეს ზმნა, როგორც ჩანს, თავდაპირველად გარდაუვალი (ტეტ-ა)⁷ უნდა ყოფილიყო. აქ -რ (< -ერ) კაუზაციის გაქვევებული ფორმანტი ჩანს, რომელიც ამ კატეგორიის მოქმედ ნიშნთა ანალოგიურად იქცევა – უღვლილების პარადიგმაში ხმოვანს აღიდგენს, რომელიც ინფინიტივში ბოლოკიდური ხმოვნის მახვილის შემოქმედებით რედუცირებულია: ტეტ-რ-ა < *ტეტ-ერ-ა (შდრ. აწმყ. კონკრ. ტეტ-ერ-ხო „ასწავლის“) (ზვიადაური 1990, 222).

ასეთი უნიკალური მაგალითები უფრო სარწმუნოს განდიდა ცნობილ ვარაუდს, რომ მოქმედებითი გვარის ზმნები, შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში მაინც კაუზატიურ ფორმას გულისხმობდეს ამოსავლად (ჩიქობავა 1950, 061).

მიუხედავად ამისა, საკვლევ ენათა აქტივებს მხოლოდ კაუზაციის ფორმანტი არ აწარმოებს. ამისთვის გამოიყენება ნეიტრალური სემანტიკის ზმნური ფუძის მათემატიკური სხვა აფიქსებიც, რომელთა დართვა უახლოეს ობიექტს აჩენს და ზმნას გარდამავლად აქცევს.

უნდა აღინიშნოს, რომ კაუზაციის წარმოების პარადიგმა ორხაზოვნებას გულისხმობს – განსხვავებულს კაუზაციის საწარმოებელი ფუძის მიხედვით – გარდაუვალი ზმნაა ამოსავალი თუ გარდამავალი.

საკვლევ ენებში გარდამავალ ზმნათა წარმოების სპეციფიკა გარდაუვალ ზმნათა კაუზაციის წარმოების ანალოგიურია, თუმცა მათ შორის, ეგზეკუტორის მატებისდა კვალად, შინაარსობრივი შეუსაბამობა წარმოიქმნება, რასაც ზმნური ფუძის სემანტიკა იწვევს.

გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა პირველად და მეორეულ კაუზატივთა სტრუქტურულ-სემანტიკური ურთიერთმიმართების გრადაციას ვუჩვენებთ საკ. დიდოური ენის მონაცემებზე დაყრდნობით. სხვა ენები ამ მხრივ მისგან დიდად არ განირჩევიან.

გარდამავალი ზმნის კაუზატივისაც, როგორც უკვე ვნახეთ, -ერ სუფიქსი აყალიბებს, რომლის გაორმაგებითაც ვიღებთ მეორეულ კაუზატივს, მაგ.: ტეტერ-ხო „კითხულობს“ – ტეტერ-ერ-ხო „აკითხვინებს“ – ტეტერ-ერ-ერ-ხო „აკითხვინებინებს“; ბ-აწ-ხო „ჭამს რაღაცას“ – ბ-აწ-ერ-ხო „აჭმევს რაღაცას“ –

⁷ საგულისხმოა, რომ ე. ლომთაძეც ჰინუხურში -რ-ს კაუზაციის ნიშნად ცალკე გამოყოფს (ლომთაძე 1984, 95).

ბ-აწ-ერ-ერ-ხო „აჭმევინებინებს რაღაცას“; ცახ-ხო „წერს“ – ცახ-ერ-ხო „აწერინებს“ – ცახ-ერ-ერ-ხო „აწერინებინებს“; ხეც-ხო „უშვებს“ – ხეც-ერ-ხო „აშვებინებს“ – ხეც-ერ-ერ-ხო „აშვებინებინებს“ და ა. შ.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ზმნის პირველადი კაუზატივის (resp. შუალობითი გზის) ფორმაზე -ერ ფორმანტის დართვით იწარმოება მეორეული კაუზატივი. ამგვარი ფორმები სპორადულად გვხვდება და, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ხელოვნურობის ელფერი გადაჰკრავს.

მაშასადამე, გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა კაუზატიური დერივაციის ორხაზოვნება, რაც ბაზისურ ზმნურ ფუძეთა სემანტიკით არის შეპირობებული, ფორმულის სახით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. გარდაუვალი ზმნის ფუძე + ფორმანტი -ერ = პირველად კაუზატივი + -ერ = მეორეული კაუზატივი;

2. გარდამავალი ზმნის ფუძე + ფორმანტი -ერ = პირველადი კაუზატივი + ერ = მეორეული კაუზატივი.

როგორც ზემომოყვანილი ფორმულებიდანაც ნათლად ჩანს, გარდამავალი ზმნის როგორც პირველადი კაუზატივი, ისე მეორეული კაუზატივი, ვალენტობის მხრივ, ერთი საფეხურით წინ უსწრებს გარდაუვალი ზმნის კაუზატივს. ეს მას ბოლო საფეხურზე გამოხატვის პლანში გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის, ვინაიდან ორინიციატორიანი კაუზატივები, გასაგები მიზეზის გამო, ხმარების არეალს ვერ იფართოებენ.

ირკვევა, რომ გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის მეორეული კაუზატივების წარმოების ჯაჭვი გაშუამავლებული მოქმედების გამომხატველი რგოლების რაოდენობით განსხვავდება. არსებობს შესაძლებლობა, გაშუამავლებული რგოლები, რომელთა მეოხებითაც მოქმედების ესთაფეტა გადაიცემა, ფორმანტთა გამრავლებით კიდევაც გაიზარდოს, მაგრამ შინაარსობრივი მიმართება ფორმასთან ზრდის გარკვეულ საფეხურზე შეუსაბამო აღმოჩნდება და საანალიზო ფორმებს ხელოვნურობის სახეს მისცემს.

ე. ბოკარევი ინფინიტივის -და ნიშნიან ზმნათა კაუზატივის შესახებ წერს: „და თემატურსუფიქსიანი ზმნები რ სუფიქსის დართვისას ინფინიტივში ამ და-ს კარგავენ: იქვადა „ნახვა“ – იქვარა „ჩვენება“ (ბოკაროვი 1959, 204).

მართალია, ე. ბოკარევის ამგვარი ანალიზი მართებული ჩანს, თუმცა მის ერთადერთ მაგალითში შეუმჩნეველი რჩება ფუძისეული ა ხმოვნის სიგრძე, რომელიც გამოწვეულია ფუძისავე ბოლოკიდური ნახევარხმოვნის დაკარგვით მისსავე საკომპენსაციოდ, მაგ.: ქიდ., შაიტლ. ბ-ეზუნ-რ-ა < შოფიხ. ბ-ეზუნ-რ-ა „დაკვლევენება“.

ზემონაჩვენები ტიპის ზმნების კაუზატივი, ინფინიტივის -ა ნიშნის მქონე ზმნების ანალოგიურად, -ერ ფორმანტით იწარმოება. დიდოური ენის საჰადურ დიალექტში ნათლად არის წარმოჩენილი ის არქაული ვითარება, რომელიც ისტორიულად ამ ფორმებისათვის იყო დამახასიათებელი.


იტერატიული (resp. მრავალგზისი) სემანტიკის შემცველი ზმნები საკუთრივ დიდოურში კაუზატივს აღწერილად, ქუჩირა ზმნის საშუალებით,

აწარმოებენ. ამ წარმოების მოდელი ასეთია: ბაზისურ ზმნას ჩამოსცილდება ინფინიტივის -და ნიშანი და მას ენკლიტიკურად მიერთვის ზემოხსენებული მეშველი ზმნა. ძირითად ზმნასთან დამხმარე ზმნის (ქუჩირა) შეხორცების ტენდენცია საკმაოდ ძლიერია, ამიტომ ა. აბდულაევის ანალოგიით (აბდულაევი 1981, 21), ჩვენც ასეთ აღწერით ფორმებს ერთად ვწერთ (ზვიადაური 1990, 224), მაგ.: *კეშონაქუჩირა „თამაშებინება“*, *რეშნაქუჩირა „დადენინება“* და მისთ. ცალკე ქუჩირა მნიშვნელობით აქტივი ჩანს და ნიშნავს: „დაღვრა“, „დასმა“, „დაკარგვა“...

თავად ზმნური ფორმა (ქუჩი-რ-ა) კაუზატიური წარმომავლობისა უნდა იყოს, შდრ. *ქუჩ-ა „დაღვრა“* („იღვრება“).

უნდა ითქვას, რომ მრავალგზისი სემანტიკის გამომხატველ ზმნებს კაუზატივი ორგანულადაც ეწარმოებათ, მაგ.: *კეშანადა „თამაში ხშირად“* > *კეშანა -რ-ა „თამაშებინება ხშირად“*, *ქოსანადა „თიბვა ხშირად“* > *ქოსანა -რ-ა „თიბვინება ხშირად“* და ა. შ.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ისიც, რომ იტერატიული სემანტიკის ზმნებს (გარდამავალსაც და გარდაუვალსაც) საოპოზიციო წყვილები მოეპოვებათ და მათ, ერთი მხრივ, გარდამავალი, მეორე მხრივ კი, გარდაუვალი კონსტრუქცია აქვთ:



კაუზატივის აღწერითი ფორმები არც ბეჟიტური ენისთვის არის უცხო (ხალილოვი 1980, 27). ბეჟიტურ ენაში ბაზისურ ზმნათა ფორმებზე *გულ-ალ „დადება“*, *„დადგმა“* დამხმარე ზმნის ენკლიტიკურად მიერთვით იწარმოება, მაგ.: *ოლდაგოლ-ალ „მუშავებინება“* (შდრ. *ოლდ-ალ „მუშაობა“*), *უჭდაგოლ-ალ „გაჭრეეინება“* (შდრ. *უჭდ-ალ „ჭრა ხოლომე“*) და სხვ. მისთ.

კაუზატიური ზმნა, თუ დეკაუზატივირებული (resp. კონვერსიული) არ არის, ყოველთვის გარდამავალია და ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. ანალოგიურ ვითარებას ვპოვებთ დიდოურ ენებშიც: კაუზატივიან სინტაქსურ კონსტრუქციებში RS (ინიციატორი) დაისმის ერგატივში, O^{ind} (ეგზეკუტორი) დგას ერთ-ერთ თანდებულის ბრუნვაში – ესივის ერთ-ერთ სერიაში, ხოლო O^d , რომლის კლასიც აისახება ზმნაში – სახელობით ბრუნვაში. ბუნებრივია, უცნაურობას ქმნის ირიბი ობიექტის (ეგზეკუტორის) გადმოცემა ლოკატიური ბრუნვის ფორმით, კერძოდ, -ჲ (< -ჲო) (= „ზე“, -თან“) თანდებულის ბრუნვით. მასთან, გასათვალისწინებელია ეგზეკუტორთა ფუნქციური დატვირთვის საკითხიც. ორინიციატორიან (ოთხვალენტიან) კაუზატიურ კონსტრუქციაში პირველი O^{ind} იქნება, RS მსგავსად, ინიციატორი (O^{init}),

ხოლო მეორე O^{ind} – ეგზეკუტორი (O^{ex}), რაც თავისთავად სვამს ამ ირიბი ობიექტების ფუნქციური სხვადასხვაობის საკითხს. საილუსტრაციო მაგალითები საკ. დიდ. ენიდან: *მლა-რასან-წ (RS^{init1})* *ცალ'ოს ხალყიმო-წ (O^{init2}) წიკე ბეტ^ე (O^d) ბოწ-წო (O^{ex}) რ-აწ-რ-ერ-წო (იმნაიშვილი 1963, 260)* „*მოლა ნასრედინმა სოფლის ხალხს მთელი ცხვარი მგელს შეაჭმევინებინა*“; დი (*RS^{init1}*) *დწზ უჟი-წ (O^{init2}) ქალათ (O^d) ელომ ჟეკუ-წ (O^{ex}) ცახ-ერ-ერ-სი* „*მე ჩემს ვაჟიშვილს წერილი მცოდნე კაცს დავაწერინებინე*“.

ამ მაგალითებით მკაფიოდ მჟღავნდება ფუნქციური განსხვავება ირიბ ობიექტებს შორის. პირველ წინადადებაში პირველი ეგზეკუტორი (ხალხი) პირდაპირ მოქმედებს (ნებისთ თუ უნებლიედ) მეორე ეგზეკუტორზე (მგელზე), რომელიც, თავის მხრივ, მოქმედების უშუალოდ შემსრულებელია და, ამდენად, მეტი აქტივობით ხასიათდება. დაახლოებით მსგავსი ვითარებაა მეორე წინადადებაშიც. ბუნებრივია, ორზე მეტ ეგზეკუტორიანი წინადადებები ენაში რეალურ საფუძველს მოკლებულია.

ისმის კითხვა: კაუზატივიან კონსტრუქციაში რა ფუნქცია მოეპოვება ირიბი ობიექტის თანდებულის ბრუნვას?

ცნობილია, რომ ესივის -წო (> -წ) ფორმანტიან სერიას, რომლითაც ირიბი ობიექტი რეალიზდება, გონიერ სულიერ არსებებთან უმეტესწილად თანაობას (-,თან“) გამოხატავს, უსულო საგნებსა და არაგონიერ სულიერ არსებებთან კი – ზედაობას (-,ზე“) (იმნაიშვილი 1963, 152). ჰინუხურ ენაშიც ვერტიკალურ სიბრტყეზე მდებარეობის ფუნქცია დაჩრდილული ჩანს გონიერ სულიერ არსებებთან (ვაქილოვი 1990, 153).

დიდოურ ენაში ვაწყდებით ისეთ მაგალითებსაც, რომლებშიც ჩვეულებრივი გარდამავალი ზმნა ქმნის ლოკატიურ კონსტრუქციას: დი (*RS*) *ქურხო აღ-წო (O^{ind}) თუფი (O^d)* „*მე ვესვრი (,ვისვრი“) ფრინველს (,ფრინველზე“) თოფს (,თოფი)“*. გვხვდება ისეთი წინადადებები, რომლებშიც -წო თანდებულისანი წევრი ადგილის გარემოებად გამოიყენება: *იხის მუს-წ (RS) ღუნო-წ მო (O^d)* „*ჩამოკიდა მუსამ ხეს (,ხეზე) ქონი*“; *დწ-წ (RS) ღიზის ჟა ჟეკუ (O^d)* „*მე ავიყვანე ის კაცი*“.

ანალოგიური ლოკატიური კონსტრუქცია მოეპოვება პოტენციალისის სემანტიკისა და ვნებითი გვარის გარდაუვალ ზმნებს (იმნაიშვილი 1963, 261-263): *ჟა ჟეკუ-წ (RS) რ-აწელ'-ხო რელ' (O^d)* „*იმ კაცს (,კაცთან) არ ეჭმევა ხორცი*“; *მი ილ'ენი ჰარდუჰან-წო (RS) რისნლ'ჭი ჟე აზბარ (O^d)* (იმნაიშვილი 1963, 262) „*შენნაირი მათხოვრისაგან არ აიღება (= იყიდება) ის სასახლე*“...

ყურადღებას იქცევს ჩვენთვის საინტერესო ლოკატიურ ბრუნვაში წარმოდგენილი ირიბი ობიექტის პოლიფუნქციური ბუნება. ხანდახან მას გონებრივ სულიერ არსებებთან თითქოსდა ინსტრუმენტალისის გაგებაც მოეპოვება, მაგ.: *ნესი-წ (RS) ცახელ'-ხო ტექ (O^d)* „*მისგან (მით) იწერება*

წერილი“; დები ბარუ (O^d) -ეხუ-ს დ⁵-ჯ (RS) „შენი ცოლი შემომაკვდა მე (მოკვდა ჩემით, ჩემგან)“ და მისთ.

ტიპოლოგიურად ანალოგიურ ფაქტს ადასტურებენ ისეთ დაშორებულ ენაში, როგორიც სინჰალურია (აფხაიძე, მაჭავარიანი 1988, 12).

II. დიაქრონიული ანალიზი

კაუზატივის კატეგორია, როგორც ცნობილია, წარმოქმნილია ზმნური ფუძისა და ფორმანტა კანონზომიერი კომბინაციით, რაც ქმნის მწყობრ სისტემას. ზმნის ამოსავალ ძირ-ფუძეთა საკითხი საკმარისად შესწავლილი არ არის, თუმცა გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მაინც იძლევა. ზმნის მარტივი ფუძე, რომელიც საფუძვლად ედება კაუზატიურ ფორმათა წარმოებას, არის ხმოვანფუძიანიც (I ტიპი) და თანხმოვანფუძიანიც (II ტიპი). კაუზატივის წარმოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფუძის გვარობას, ვინაიდან ფორმანტისეული და ფუძისეული ხმოვნების შეხვედრისას ხდება ხმოვანთა რედუქცია (ლომთაძე 1984, 91).

ჩვენი დაკვირვებით, ხმოვანფუძიან ზმნათა აწმყო კონკრეტულის ნიშნისეული ხმოვანი ფუძისეული ხმოვნის მახვილის გავლენით იკარგვის, მაგ.: საკ. დიდ. ბ-იკი-ხ „მიდის“ – ბ-იკი-რ-ხო (< *ბ-იკი-ერ-ხო) „მიჰყავს“, ბ-ეყი-ხ „იცის“ – ბ-ეყი-რ-ხო (< *ბ-ეყი-ერ-ხო) „აცნობს, აცნობებს“; ჰინ. Ø-უჰე-ს „მოკვდა“ – Ø-უჰე-რ-ი-შ (< *Ø-უჰე-ერ-ი-შ) „მოკლა“, ბ-ეყი-შ „გაიგო“ – ბ-ეყი-რ-ი-შ (< *ბ-ეყი-ერ-ი-შ) „გააგებინა“ და მრ. სხვ.

ბოლოთანხმოვნიან ზმნებში კაუზატივის ფორმანტისეული ხმოვანი შემონახულია: საკ. დიდ. ბ-აწ-ხო „ჭამს“ – ბ-აწ-ერ-ხო „აჭმევს“, ცახ-ხო „ხატავს“ – ცახ-ერ-ხო „ახატვინებს“ და მისთ.

რაც შეეხება კაუზატივის საწარმოებელ აფიქსთა წარმომავლობას, მათი წარმატებული რეკონსტრუქცია საკვლევ ენათა შესწავლის ამ დონეზე ვერ ხერხდება. მიჩნეულია, რომ ხშირად ისინი გენეზისურად უკავშირდებიან სხვადასხვა მოქმედების („კეთება“, „დადგმა“, „დასმა“ და მისთ.) გამომხატველ ზმნურ ფუძეებს, რომლებიც ენკლიტიკის წესით არიან შეხორცებული სათანადო ზმნურ ძირებს (ხალილოვი 1980, 27; მაჰომედბეკოვა 1978, 238).

კაუზატივის ფორმანტთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკ. დიდ., ჰინ. -ერ, ხვარშ. Ø, ბეჟ.-Vლ. კაუზატივის ეს უმთავრესი აფიქსი, რომელიც ხვარშიულში სხვა ფორმანტის ჩანაცვლებით დაკარგულა, საერთო-დიდოურ ქრონოლოგიურ დონეზე დაიყვანება, -Vხ კი ინოვაციად მიიჩნევა (ალექსეევი 1988, 167; ბურჭულაძე 1998, 115). ხვარშიულში საკ. დიდ. -ერ ფორმანტის თანხმოვნითი ელემენტის შესატყვისად უნდა ვიგულოვოთ -Vლ. მაშასადამე, საანალიზო მორფემის თანხმოვანი იქნება შემდეგი შესატყვისობის წევრი: საკ. დიდ. რ : ჰინ. რ : ხვარშ. ლ : ბეჟ. ლ. ამ შესატყვისობის

ფორმულაში საერთო ამოსავალს **ლ** წარმოადგენს⁸ (არლოტელი 1999, 86). **ლ** > **რ** პროცესის სისწორეს ერთგვარად მხარს უჭერენ ანდიური ენებიც, რომლებშიც კაუზატივის ფორმანტად უმეტესწილად **-ალ** || **-ოლ** დასტურდება (მაჰომედბეგოვა 1978, 242).

-ლ (> **-რ**) სონორის შემცველი მორფემის ეტიმოლოგია ბოლომდე ნათელი არ არის, თუმცა გამოთქმულია ვარაუდი მისი შესაძლო კავშირისა საკ. დილოურის **ერ-ა** („დადება“) (შდრ. ბეჟ. გულ-ალ "id.") ზმნურ ძირთან (ზვიადაური 1990, 224). გ. ბურჭულაძე (ბურჭულაძე 1998, 116) ტ. გუდავას ფაქტობრივ მცდარ დაკავშირებაზე (დიდ. ქურა, ხვარშ. ქულა, ჰინ. გორა, ბეჟ. გულალ, ჰუნზ. გულა „დადება“, იხ. გუდავა 1979, 106-107) დამყარებით ასკენის, რომ **ლ** < **ლ'**. სინამდვილეში საკ. დიდ. ქურ-ა („ტყორცნა“ და არა „დადება“) ზმნას დანარჩენ დილოურ ენებში შეესატყვისება: ჰინ. ქურ-ა: ხვარშ. ქულ-ა: ბეჟ. ტი-ქელ-ალ ("id.") (არლოტელი 1999, 84). ცნობილია, რომ **ქ** დილოურ ენებში იდენტურ შესატყვისობას იძლევა (გუდავა 1979, 70). იდენტურ შესატყვისობას გვიჩვენებს⁹ **გ** ფონემაც, რომელშიც სხვა დილოურ ენათა უცვლელი შესატყვისი **გ** საკ. დილოურში უკვალოდ იკარგვის, მაგ.: საკ. დიდ. ცო (< *ცოგ < *ნოგ), შდრ. ხვარშ. ოგ (< ნოგ), ჰინ. ოგ, ბეჟ. ოგ (საკ. ბეჟ.); შდრ. საკ. დიდ. ერუ-ა < *გერუ-ა: ჰინ. გორ-ა: ხვარშ. გილ-ა (საკ. ხვარშ.), გულ-ა (ინხ.): ბეჟ. გულ-ალ (საკ. ბეჟ.), გულ-ა (ჰუნზ.) „დადება“, „დადგმა“ (შდრ. ბურჭულაძე 1986, 433-434).

გარდა ზემოგანალიზებული ფორმანტისა, დილოურ ენათა ზმნის ფუძის აქტივიზაციას ახდენს **კ**-ს შემცველი მორფემა, რომელიც ყველა საკვლევ ენაში იდენტურ შესატყვისობას გვიჩვენებს. იგი იშვიათად (ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში, ხვარშიულ ენაში) კაუზატივის ფორმანტადაც გვევლინება, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია. შესაძლოა, მას, საკ. დილოურის დღევანდელი ვითარების ანალოგიურად (იგი მართლოდენ აქტივთა საწარმოებლად გამოიყენება), ამოსავალში გარდამავალი ზმნის წარმოება ეკისრებოდა მოქმედებითი გვარის სემანტიკით, ხოლო მოგვიანებით, მისი ფუნქციიდან გამომდინარე, კაუზატივის წარმოების ფუნქციაც შეითავსა. **კ** თანხმონის თანხმლები ხმონითი ელემენტის საკითხი, ამ ენათა შორის ხმონათა შესატყვისობის გათვალისწინებით, დამატებით ძიებას საჭიროებს.

შემოკლებათა განმარტება

- ანდ. — ანდიური ენა
- ახვ. — ახვასური ენა
- ბეჟ. — ბეჟიტური ენა
- ბოთლ. — ბოთლიხური ენა

⁸ რეკონსტრუირებული **ლ**-ს თანხმლები ხმონის საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს.

⁹ თუ არ გავითვალისწინებთ ზოგიერთ დარღვევას, რაც პოზიციურად აიხსნება.

ერგ. – ერგატივი
 ინხ. – სვარშიული ენის ინხოყვარული დიალექტი
 კარ. – კარატაული ენა
 ლოკ. – ლოკატივი
 ნომ. – ნომინატივი
 საკ. ბეჟ. – საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი
 საკ. დიდ. – საკუთრივ დიდლოური ენა
 საკ. სვარ. – სვარშიული ენის საკუთრივ სვარშიული დიალექტი
 ტინდ. – ტინდიური ენა
 ლოდ. – ლოდობერიული ენა
 ჭამ. – ჭამალური ენა
 სვარშ. – სვარშიული ენა
 ხუნძ. – ხუნძური ენა
 ჰინ. – ჰინუხური ენა
 ჰუნხ. – ბეჟიტურ-ჰუნხიბური ენის ჰუნხიბური დიალექტი

ლიტერატურა

- აბდულაევი 1981** – Абдуллаев А. К. Словообразование в цезском языке, Автореферат канд. дис. Махачкала, 27 с.
- არდოტელი 1998** – ნ. არდოტელი, კაუზატივი დიდლოურ ენებში. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, IX. მოხსენებათა თეზისები. თბ., 9-10.
- არდოტელი 1999** – ნ. არდოტელი, რ სონორის შესატყვისობანი დიდლოურ ენებში. – საენათმეცნიერო ძიებანი, VIII. თბ., 82-87.
- აფხაიძე, მაჭავარიანი 1998** – ფ. აფხაიძე, მ. მაჭავარიანი, მორფოლოგიური და ანალიტიკური კაუზატივი სინჰალურში, კრ. გზა ენისაკენ, გამ-ბა „ქართული ენა“, თბ., 165-183.
- ბოკარევი 1959** – Бокарев Е. А. Цезские (дидойские) языки Дагестана, Изд-во АН СССР, М., 290 с.
- ბოკარევი, მაღიევა 1967** – Бокарев Е. А., Мадиева Г. И., Бежитинский язык, Языки народов СССР IV, Иберийско-кавказские языки, "Наука", М., 455-471.
- ბოკარევი 1967** – Бокарев Е. А., Гунзибский язык, Языки народов СССР IV, Иберийско-кавказские языки, "Наука", М., 472-487.
- ბურჭულაძე 1986** – გ. ბურჭულაძე, „დადების“ აღმნიშვნელი ზმნის თაობაზე კაუზურ-ჰუნხიბურ ენაში. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 123, №2. თბ., 433-436.
- ბურჭულაძე 1998** – გ. ბურჭულაძე, მორფოლოგიური კაუზატივი დიდლოურ ენებში. – კრ. გზა ენისაკენ. გამ-ბა „ქართული ენა“, თბ., 84-123.
- გეურჯოვა 1972** – ე. გეურჯოვა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე, №2. თბ.
- გუდავა 1979** – Гудава Т. Е. Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков. Тб., "Мецниереба", 223 с.

- ვაქილოვი 1990* – Вакилов Х. С., Выражение пространственных отношений местными падежами гинухского языка, Выражение пространственных отношений в языках Дагестана, Махачкала, 151-157.
- ზვიადაური 1990* – ნ. ზვიადაური, კაუზატივი და კაუზატიური მიმღებები დილოურ ენაში, იკე, ტ. XXIX, თბ., 219-226.
- თაყაიშვილი 1974* – არ. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV. თბ., გვ. 5-36.
- იმნაიშვილი 1963* – Имнайшвили Д. С. Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Изд-во АН ГССР, Тб., 322 с.
- იმნაიშვილი 1956* – Имнайшвили Д. С. К спряжению глагола в дидойском языке. – იკე, VIII. თბ., 413-457.
- ისაყოვი 1986* – Исаков И. А. Глагольное словообразование в гунзибском языке. – Вопросы словообразования дагестанских языков. Махачкала, с. 12-17.
- ლომთათიძე 1945* – ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, №1. თბ., გვ. 89-95.
- ლომთაძე 1963* – Ломтадзе Э. А. Гинухский диалект дидойского языка. Тб., Изд-во АН ГССР, 219 с.
- ლომთაძე 1984* – ე. ლომთაძე, სიტყვათმხვილი დილოურ ენებში. თბ., „მეცნიერება“, 252 გვ.
- მადიევა 1965* – Мадиева Г. И., Грамматический очерк бежтинского языка, Махачкала, 207 с.
- მაჭავარიანი 1988* – გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII. თბ., 62-107.
- მაჭავარიანი 1980* – მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, XXII. თბ., გვ. 39-66.
- მაპომეღბეკოვა 1978* – Магомедбекова З. М., Каузатив в аварско-андийских языках, იკე, XX. თბ., 235-3248.
- როგავა, კერაშევა 1966* – Рогава Г. В., Керашева З. И., Грамматика адыгейского языка. Краснодарское книжн. Изд-во, Краснодар-Майкоп.
- უთურგაიძე 1995* – თ. უთურგაიძე, კაუზაციის კატეგორია ქართულ ენაში, იკე, XXXIII, თბ., 106-131.
- უსლარი 1889* – Услар П. К. Этнография Кавказа, Языкознание, III, Аварский язык, Тифлис.
- შანიძე 1980* – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III. თსუ გამ-ბა, თბ.
- შარაფუტდინოვა, ლევინა 1961* – Шарафутдинова Р., Левина Р., Хваршинский язык, Вопросы изучения ибер.-кавк. Языков, Изд-во АН СССР, М., 89-122.
- ჩიქობავა 1950* – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., გვ. 018-090.
- ჩიქობავა 1965* – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, „განათლება“, თბ.

- ჩიქობავა, ცერცვაძე 1962* – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ზუნძური ენა, თსუ გამ-ბა, თბ.,
- ზალოლოვი 1980* – Халилов М. Ш., Глагольное словообразование в бежтинском языке. – Глагол в языках Дагестана, Махачкала, с. 23-29.
- ზალოლოვი 1995* – Халилов М. Ш., Бежтинско-русский словарь, Махачкала.

Nodar Ardoteli

The Category of Causative in the Avar-Andi-Dido Languages

Summary

1. In the Avar-Andi-Dido languages not only analytical (Avar), but also synthetic (And., God., Cham., Tind., Kvarsh., Hin.) causative forms are attested.

In some Languages under research (Akhv., Kar., Botl., Did. prop...) along with the synthetical causative forms the analytical Causative varieties are identifiable.

2. According to Avar-Andi-Dido languages, the suffixes of Causative are represented so: **-ol, -ol'**, **-on, -on-l'**, **-ot, -on-t** (And.); **-a** (Akhv., Botl.); **-a, -al** (Kar.); **-al** (Ghod.); **-al, -an** (Cham., Hagv., Tind.); **-er** (Did. prop., Hin.); **-l // ll** (Bezh.-Hunz.).

The distribution of suffixes **-al, -an** is conditioned by conjugation type of a verb. As for the analytical forms of Causative, they are formed from amalgamation of basic and auxiliary verbs, e. g.: Avar. **qwaze "to write" + habize "to do" → qwazabize (< qwazehabize) "to made to write..."**

3. In the Dido languages a consonant element of forming suffix of Causative r (Did. prop., Hin.): l (Bezh.) shows the natural correspondence. The Khvarsh Language is of peculiar character, in which quite different affix: **-kh < -e-kh** occurs.

An attempt of elucidation of genesis of ergative formants is represented in the article.

4. The Causative is a means of activization of verbs, therefore a problem of interrelation of causative and transitiveness is very urgent at present. Stabilization of labile verbs is represented clearly in Avar where stabilizing of ergative construction takes place by means of causation.

**ინფორმაციული ზმნების სემანტიკა ქართულში
(ზოგი ინფორმაციული ზმნების სათანადო ზმნებთან მიმართებით)**

ქართული ზმნის ინვერსიის არსი ცნობილია ზოგადად და მის კერძო გამოვლინებებში. საფუძვლიანად არის შესწავლილი როგორც გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმები, ისე საერთოდ გარდაუვალი ინვერსიული ზმნები¹ ზოგადად რომ ვთქვათ, ეს უკანასკნელნი არიან ობიექტური წყობის, დატიური კონსტრუქციის (1-პირიანი ან 2-პირიანი) ზმნები ყველა სერიაში.

ესაა ფორმალური მხარე. რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, ინვერსიულ ზმნათა წრეს, ჩვეულებრივ, შემოფარგლავენ გრძნობა-აღქმის ზმნებით (ე. წ. *Verba sentiendi*), როგორცაა, მაგ.: *მიყვარს, მომწონს, მშაა, მცევა* და ა.შ.

აქ შევჩერდებით ქართულ ინვერსიულ ზმნათა საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე ინდოევროპულ ენებთან მიმართებით. ამ შემთხვევაში განვიხილავთ რუსული და ინგლისური ენების სათანადო ზმნებს.

უნდა ითქვას, რომ რუსულისათვის, რომელიც ასევე სინთეზური ენაა, არამცთუ უცხოა ამ სემანტიკური ჯგუფის ზმნების დატიური კონსტრუქცია, არამედ საკმაოდ ხშირიც, ხოლო, თუ სისტემატურობის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, თვალში საცემია მიცემითი დასმულ სახელებთან შეხამებული; 1) ზედსართავის მოკლე ფორმები ან 2) ე. წ. უკუქცევითი ზმნური ფორმები (-сь /-ся აუსლაუტით).

I ჯგუფში გამოიყოფა ადიექტივა რამდენიმე ქვეჯგუფი: ა) „საჭიროების“ აღმნიშვნელი (*Мне /тебе /ему надо, нужно, надобно...*); ბ) „ტემპერატურული“ სემანტიკის გამოხატველი (*Мне /тебе /ему тепло, жарко, холодно...*); გ) მორალურ-ეთიკური, „რიდი-კრძალვის“ აღმნიშვნელი და ემოციური აღქმის (*Мне /тебе /ему стыдно, совестно; страшно, тяжело, легко; душно, противно, жалко*);

II ჯგუფშიც გამოიყოფა ქვეჯგუფები: ა) შეხედულების, აზრის გამოხატველი (*Мне /тебе /ему кажется, казалось; сдается*); ბ) სურვილ-მოწონების და უნებლობის აღმნიშვნელი (*Мне /тебе /ему хочется, хотелось; нравится, нравилось; спится, спалось*)...

ისეთ ანალიზური ტიპის ენაში, როგორცაა ინგლისური, ეს სემანტიკური ჯგუფი ასევე სისტემატურად ვერ ქმნის დატიურ კონსტრუქციას. *It seems to me* – (მე მეჩვენება, ასე მგონია) ტიპის კონსტრუქცია ინგლისურში იშვიათად გვხვდება (მდრ. გერმანულში *mir gefällt* – *мне нравится* – (მე) მომწონს), შეიძლება მხოლოდ სულ რამდენიმე ამ სახის მაგალითის დასახელება.

¹ დაწვრილებით მათ შესახებ იხ. ნაშრომის ბოლოს დართული ლიტერატურა.

მოყვანილი მასალა გვიჩვენებს ქართული ინვერსიული ზმნების ანალოგს და მათთან აერთიანებს, გარდა სემანტიკისა, ფორმალური ნიშანიც – დატიური კონსტრუქცია.

მაგრამ ქართული ინვერსიული ზმნების ადეკვატებად ინგლისურში გვევლინება წინდებულიანი კონსტრუქციებიც. მაგალითად, ბოლო ზანებში გამოცემულ დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში (ლონდონი, 2006) რიგი ქართული ინვერსიული ზმნებისა ინგლისურად შემდეგნაირად გადმოიცემა, უფრო ზუსტად, ზმნა შეიძლება გადმოიცეს:

ა) ორგანული ფორმით:

ემართება (მას) – something happens to sb. (him)

ეჩვენება – something seems to sb. (him)

ბ) შეხამებით: to be ‘ყოფნა’ ზმნა + ზედსართავი:

ეშინია – sb. is afraid of sb.(him).

ემორება – (it) is far for sb. (him)

ეძნელება – sth. is difficult for sb. (him)

გ) ვნებითი გვარის აღწერითი ფორმით. ამასთანავე, ზმნასთან შეწყობილი განუსაზღვრელი somebody – (ვინმე) ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელით ჩანაცვლებისას ირთავს წინდებულს (to, for, of, by) და, ცხადია, დგება ობიექტურ ბრუნვაში, ზოგჯერ კი ნაცვალსახელის გენტიური კონსტრუქცია იხმარება:

ეჭვება – is doubted by sb. (him/her)

ეძლევა – sth. is offered to sb. (him)

დ) გამოიყენება პარალელური საშუალებები. მაგ.:

ეკარგება – is lost to sb. (him/her) // sb’s sb dies

ეკისრება – sth. is entrusted to sb // sth is made sb’s responsibility.

შესაძლებელია, ინგლისურმა (ისევე როგორც რუსულმა და სხვა ინდოევროპულმა ენებმა) სხვა სპეციფიკური საშუალებებიც გამოიყენოს ქართული ინვერსიული ზმნების ამა თუ იმ სემანტიკური ნიუანსის გადმოსაცემად, მაგრამ ეს დეტალები ვითარებას არსებითად არ ცვლის და ამაზე დეტალურად აქ აღარ შევჩერდებით.

უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც სემანტიკური ველების თვალსაზრისით არსებითად განასხვავებს ქართულ და, ზოგადად, ქართველურ ენებს ინდოევროპული ენებისაგან.

აღნიშნულ განსხვავებას ქმნის ის ფაქტი, რომ ინვერსიული ზმნების წრე ქართულ და მის მონათესავე ზანურ-სვანურ ენებში, გარდა „გრძნობა-აღქმა წრის“ ზმნებისა, მოიცავს აგრეთვე „ყოლა-ქონის“ აღმნიშვნელ ზმნებსაც. ეს სემანტიკური ნიშანი საერთოდ განასხვავებს ქართულს ჩვენთვის ნაცნობ – ძველ (ლათინური, ძვ. ბერძნული) თუ ახალ ინდოევროპულ ენათაგან, რომლებშიც სუბიექტი მუდამ სახელობითშია, ე. ი. ნომინატიური კონსტრუქციისაა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ მაგალითები გერმანიკული, რომანული თუ სლავური ქვეოჯახების ენათა მონაცემები: have, haben, avere, иметь. ყოველ

მათგანი სუბიექტს (ანუ მფლობელის, მქონეს, მყოლის აღმნიშვნელს) სახელობითში შეიხამებს: I have, he/she has, we/ you / they have... Ich habe, wir haben... Я имею, ты имеешь, он/она имеет... (შდრ.: მე მაქვს... მას აქვს, მათ აქვთ), თუმცა რუსულს აქვს სხვა საშუალებაც – ზმნის გამოტოვებით (ელიფსისი), რომლის საკომპენსაციოდ სუბიექტი ირჩევს წინდებულის გენტივს: у него/нее, у меня (*ЕСТЬ) кто-то /что-то... საინტერესოა, რომ გამოტოვებულია არა „ქონა-ყოლის“ ზმნა (ИМЕТЬ), არამედ „ყოფნის“ აღმნიშვნელი ზმნა (БЫТЬ), რომელიც აღდგება მყოფადსა და ნამყოში. ამის კლასიკური მაგალითია თუნდაც ცნობილი რუსული შაირი: У ПОПА БЫЛА СОБАКА. არ არის გამოყენებული საკუთრივ ქონა-ყოლის ზმნა – ალბათ იმიტომ, რომ სათანადო სემანტიკის სათანადო, უკუქცევითი ფორმა ИМЕЕТСЯ ჯერ არ არსებობდა: საერთოდ, უკუქცევითი ზმნები რუსულში უფრო გვიანდელი, ზმნური პარადიგმების მომდევნო ეტაპის წარმონაქმნია.

ამ სემანტიკური წრის ზმნები ქართულში (და არა მარტო ქართულში (შდრ. აგრ. ძველ ქართულში – *მივის*), არამედ სხვა ქართველურ ენებშიც – ზანურსა (მეგრ. *მილუ, მიცუნს*) და სვანურში (*მულუა, მაყა; მირი, ჯირი, ზორი*) სხვა მხრივაც სპეციფიკურია: ისინი იმითაც განსხვავდებიან ინდოევროპული (და, შესაძლოა, არა მარტო ინდოევროპული) ენების სათანადო სემანტიკის მქონე ზმნებისაგან, რომ ობიექტს განასხვავებენ სულიერობა-უსულობის მიხედვით: ოპოზიციური წყვილი *ჰყავს – აქვს* უცნოა ამ ევროპული ენებისათვის. მეტიც: ამავე ზმნებთან შესაძებელი ნებისმიერი ზმნისწინი ამ ზმნებს ახალ მნიშვნელობას სძენს და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ამ ნებისმიერი ზმნისწინის დერივაციულ ფუნქციაზე. პრევერბიან *აქვს, ჰყავს* ზმნებს გაუჩნდა მობილობის, კერძოდ, „ტარების“, ვინმეს მიერ ვისიმე ან რისამე გადაადგილების სემანტიკა, რომელმაც მეტი *აქტიურობა* შემატა ზმნებს (ტერმინ *აქტიურობას* ვიყენებთ არა მხოლოდ წმინდა სემანტიკური მობილობის, არამედ გრამატიკული გვარის აქცენტირებით) და რომელსაც მეტი სიცხადე შეაქვს სუბიექტ-ობიექტს შორის მანამდე არსებულ დაბინდულ ურთიერთობაში (იგულისხმე ტერმინები: *RS /MO* an *RO /MS*). საგულისხმოა, რომ მიღებული „ტარების“ ზმნები მხოლოდ აწმყოს წრის, ე.ი. უსრული ასპექტის ან სტატიკურობისათვის შესაფერის ფორმებში ინარჩუნებს „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ფუნქციებს იმავე სინტაქსური კონსტრუქციით, მყოფადისა და II-III სერიათა ფორმებში კი, ე.ი. სრული ასპექტისათვის შესაფერის ფორმებში – მათ სუბლექტური წარმოების აქტიურ ზმნათა ფუნქციები ენაცვლება: -*ტანა*, -*ღება* ფუნქციები სათანადო ზმნისწინებთან შეხამებაში (*წაიღებს, წაიღო, წაუღია; მოიტანს, მოიტანა, მოუტანია*).

ევროპულ ენებში და მათ შორის რუსულშიც აღნიშნული სემანტიკის გადმოსაცემად იხმარება სპეციალური ფუნქციები, რომელთაც ნაირგვარი მიმართულების საჩვენებლად სათანადო პრევერბები ერთვის. ამასთან: ა) რუსულში სულიერთა და უსულოთა გამიჯვნით, ბ) სხვა ენებში – მათ გაუმიჯნავად,

სუბლექტურად (მაგ., რუს.: веду – приведу, уведу; вожу – привожу, увожу; შდრ. ინგლ.: take, bring).

ქართულმა ენამ, როგორც ერთ-ერთმა უძველესმა ენამ ოდენ „გრძნობა-აღქმის“ ზმნებში კი არ გვიჩვენეს სუბიექტის დატიური კონსტრუქცია, რაც შედარებით ადვილად ასახსნელი მოვლენაა, არამედ „ქონა-ყოლის“ ზმნებშიც (*მას* აქვს /ჰყავს, *მათ* აქვთ/ ჰყავთ), რომლებიც ზოგ ინდოევროპულ ენაში გარდამავალ ზმნათა სინტაქსურ მექანიზმს გვიჩვენებს – სუბიექტის ნომინატივითა და ობიექტის აკუზატივით (Она имеет обоих родителей; он имеет отдельную квартиру).

რით შეიძლება აიხსნას „ქონა-ყოლის“ ზმნების დატიური კონსტრუქცია? ჩვენი აზრით, ეს კონსტრუქცია შეიქმნა ენის ლექსიკური მარაგის პირველადი მოცემულობის დროს, ე.ი., როცა სიტყვიერად უნდა აღნიშნულიყო უძველესი ლექსიკა, როგორცაა, ერთი მხრივ, სხეულის ნაწილები, ხოლო, მეორე მხრივ – მშობლების აღმნიშვნელი სიტყვები. და გასაგებია, რომ სხეულის ნაწილთა მქონებლობა და მშობლების ყოლა მზამზარეულ პოსესიურობას ნიშნავს (აკი თვით ტერმინიც – დატიური, ანუ მიცემითი – ასახავს ერთ-ერთი უზშირესი ზმნის – მიცემის სემანტიკას) სუბიექტზე არ არის დამოკიდებული სხეულის ნაწილთა ქონა, ისევე როგორც მასზე არ არის დამოკიდებული მშობლების ყოლა. ამდენად, ამ ზმნების სუბიექტი ფაქტობრივ უმოქმედობის სტატიკურ მდგომარეობაშია. მას დაბადებიდანვე უკვე მოცემული (ღვთივ ბოძებული) აქვს სხვადასხვა გრძნობის ორგანოები და სხეულის ნაწილები, ისევე როგორც, დაიბადება თუ არა, უკვე ჰყავს მშობლები (და მშობელთა მშობლები, და-ძმანი, ანუ დეიდა-მამიდები და ბიძები), რომელთა არსებობაც სრულებითაც არ იქნება შვილის (და შვილიშვილის) დამსახურება. ასეთად უნდა წარმოვიდგინოთ ამ ზმნების პირველადი, თუ შეიძლება ასე ითქვას, “პირველყოფილი” სემანტიკა და ფუნქცია. „პირველადს“ ვუწოდებთ იმიტომ, რომ შემდგომ მათ, *მან* რიგის ზმნებმა, გაიჩინეს აქტიური ფორმები *ვინის* რიგისა – ისევე როგორც თითქმის ყველა ინვერსიულმა ზმნამ გაიჩინა სათანადო ფუძის შემცველი, *ვინის* რიგის გარდამავალი ფორმები: *ვიქონიე(ბ)*, *ვიყოლიე(ბ)* თავისი ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციებით (ნომინატიური კონსტრუქცია I სერიისა).

მსგავსი პარალელური ფორმები გვაქვს ინვერსიული ზმნების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში. ამ დროს აქ თავს იჩენს სტატიკურ ინვერსიულ ზმნათა აქტიური და, შესაბამისად, დინამიკური ფორმები სასუბიექტო პრეფიქსით. მაგ.:

- მიყვარს – (შე)ვიყვარე(ბ)
- მძულს – (შე)ვიძულე(ბ)
- მომწონს – (მო)ვიწონე(ბ)
- მეშინია – (შე)ვშინდები
- მინდა – (მო)ვინდომე(ბ)
- მსურს – (მო)ვისურვე(ბ)
- მწაღია – (მო)ვიწაღინე(ბ)

მძინავს – (და)ვიძინებ(ბ)
 მღვიძავს – (გა)ვიღვიძებ(ბ)
 შეშიძლია – შევ(ი)ძლებ, შევ(ი)ძელ(ი)
 მეცინება – ვიციანი
 მეღიმება – ვიღიმი
 მეტირება – ვტირი
 მახველებს – ვახველებ
 მაკანკალებს – ვაკანკალებ
 მაცანცანებს – ვცანცანებ
 მედარდება – ვდარდობ
 მენაღვლება – ვნაღვლობ²

და მრავალი სხვა.³

ყველა ინვერსიული და შესაბამისი აქტიური ფორმის ჩამოთვლა შორს წავვიყვანს და აღარცაა საჭირო. იმასლა აღენიშნავთ, რომ ამ მხრივ ცარიელი უჯრა თითქმის არა გვაქვს, მაშინ როცა, მაგ., რუსული, რომელსაც სხვა ინდო-ევროპულ ენებთან შედარებით გაცილებით მეტი აქვს დატიურკონსტრუქციანი ფორმები, ასეთი პარალელური ფორმების დიდ ნაკლებობას განიცდის. მიზეზი კი მარტივია: მას არა აქვს იმდენი და ისეთი კატეგორიები, რამდენი და როგორიც მოეპოვება ქართულს, კერძოდ, ვერსია და კაუზატივი (რაზედაც მიუთითებს კიდეც დ. მელიქიშვილი თავისი საეტაპო მონოგრაფიის შესავალშივე).

ამიტომ ხდება, რომ ოპოზიციას *მძინავს* და *ვიძინებ* რუსული ასე გამოხატავს: (Я) СПЛЮ (засыпаю, заснул) და: (Я) ИДУ/ЛОЖУСЬ СПАТЬ, ე.ი. მთელი ფრაზა ხდება საჭირო, როდესაც, მაგ., ვეკითხებით: რომელ საათზე იძინებ?

ამ კონტექსტში სემანტიკურ მახასიათებლებად *მანიანი* და *ვინიანი* რიგებისა იქნებ უფრო შესაფერისია გამოვიყენოთ ტერმინები: ინსტინქტური ან უნებლიე და გაცნობიერებული ან ნებულობითი. ეს უკანასკნელი ალტერნატიული მსახლვრელები ადრე აღნიშნული აქტიური პირის (ი. მელიქიშვილი ამ პირს (და I სერიის ნომინატიურ კონსტრუქციასაც) „აქტიურს“ უწოდებს, ხოლო რ. ასათიანი – „თავისუფალი ნებით“ მოქმედ პირს), *ვინ* ჯგუფის წარმომადგენლის, ანუ ადამიანის მახასიათებლებია.

დასასრულ, კიდეც ერთი პარამეტრი ამ რიგების დაპირისპირებისა. ესაა ქართული უარყოფითი ნაწილაკების დისტრიბუცია ამ ორ რიგს შორის. ვეძ

² აქვე დავძენთ, რომ ამგვარ წყვილებში ყოველთვის არ არის იდენტური სემანტიკის წყვილის ცალკე. მაგ., *მანიანი მენაღვლება*, *მეჯავრება* და *ვინიანი ვნაღვლობ*, *ვჯავრობ* ზმნები, მიუხედავად მათი საერთო ფუძეებისა, სემანტიკურად საკმაოდ განსხვავებულია.

³ სხვათა შორის, ნ. ლოლაძის ნაშრომში, რომელიც ეხება იმ სახის პარალელურ ფორმებს, რომლებიც შეიცავს *-ობ* თემისნიშნის ზმნებს (მათ შორის ნასახელარ ზმნებს, მაგ., *დარდობს*, *ნაღვლობს*...), აღნიშნულია, რომ ზოგი *მანიანი* ზმნა ვერ აწარმოებს *ვინიან* ფორმებს და საამისოდ დასახელებულია *მეშინია* და *მრცხვენია* (გვ. 186), მაგრამ რეალურად ორივეს მოეპოვება *ვინიანი* პარადიგმები: (*შე*)*ვშინდება* და (*შე*)*ვრცხვენბი*.

მხოლოდ და მხოლოდ ვინიანი რიგის ზმნებს დაერთვის, ხოლო არ, რომელიც შედარებით ნეიტრალურია – მანიანს (ნუ – მხოლოდ აკრძალვით ბრძანებითს). ვედ ნაწილაკის გამოსახატავად ინდოევროპული ენები იყენებენ პოტენციის აღმნიშვნელი ზმნების (მაგ., რუს. *может*, ინგლ. *can*) ნეგატიურ შეხამებებს (შდრ.: ვერ წერს და: *не может писать, can not / can't write*).

მაშასადამე, ნეგატიური არ და ვერ ნაწილაკების დისტრიბუცია ქართულში გვეკვლინება აღნიშნული ორი რიგის (ვინიანისა და მანიანის) სინტაგმურ, ე. ი. სემანტიკურ-სინტაქსურ პარამეტრად.

ლიტერატურა

ასათიანი რ., აფექტურ ზმნათა კონცეპტუალური სტრუქტურა: ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბ. 2005, 11-18.

ლოლაძე ნ., გრძობა-აღქმის ზმნები ქართულში, იკე, XXXV, თბ. 2005.

მელიქიშვილი დ., ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით, არნ. ჩიქობავა – 100, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ. 1998.

მელიქიშვილი დ., „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი (ინვერსია ქართულ ზმნაში), ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №4, 1978.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001.

მელიქიშვილი ი., პირდაპირი სემანტიკური მარკირება როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიის განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა, ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბ. 2005, 139-153.

ონიანი ა., ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

სუხიშვილი მ., სტატიკური ზმნები ქართულში, თბ. 1976.

შანიძე ა., გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუკალ ზმნასთან ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961; თხზულებანი, II, 1981.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1973.

ჩიქობავა არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში თბ., 1928; 1968.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბ. 1950.

ჯორბენაძე ბ., ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში, იკეწ, VIII, თბ. 1981.

ლონდონი, 2006 – ქ. დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ტტ. I-III, თბ. 1953-1967.

A`Concise Georgian-English Dictionary, vol. I-II (Editor-in-Chief D. Rayfield), Garnett Press, London 2006.

On the Specific Inversive Verbs in Georgian
(Compared to Some Indo-European Languages)

Summary

The article discusses Georgian inversive verbs belonging to the semantic fields of 'having' and 'feelings' (so-called "verba sentiendi"). The construction, that is responsible for such verbs (and not only for the forms of the 3rd Series of transitive verbs), means objective verbal markers for semantic subject in dative case (i.e. agent in monopersonal verbs), and subjective markers for semantic object in nominative (i.e. patient in two-personal verbs). These verbs are analysed in comparison to some Indo-European languages, such as Russian and English.

The comparative analysis shows difference between Georgian and Indo-European languages in two parameters. The first parameter is the existence of binary system of Georgian inversive verbs with prefix **m-** (e.g. მაქვს, მიყვარს...), and, in parallel, transitives with prefix **v-** (ვიქონიებ, ვიყვარებ...) in the forms of the first person whereas the number of such pairs in Russian is rather limited, and, moreover, in English, due to the different grammatical structure of verbs in these languages.

The second parameter is compatibility of the abovementioned parallel verbal forms with negative particles, such as არ and ვერ: the first one (არ) has more broad and neutral nuance, hence, it can combine with either of these verbal types, whereas the second one (ვერ), having potential nuance, combines only with transitives with prefix **v-** (e.g.: არ მიყვარს, არ ვიყვარებ 'I don't love him/her', ვერ ვიყვარებ 'I can't love him/her', არ(ა) მაქვს 'I have not it', ვერ ვიქონიებ 'I can't have it, however: *ვერ მიყვარს, *ვერ მაქვს).

There is only a single negative particle in analysed Indo-European languages and, therefore, they cannot express different nuances while being combined with verbs of different structures.

ორმაგი ბრუნვა თანამედროვე ქართულში

კატეგორიის განმარტებიდან გამომდინარე, ერთსა და იმავე სიტყვაფორმაში ერთი და იმავე კატეგორიის გრამემები ურთიერთგამომრიცხავია (მელჩუკი 1997, 247). ერთი შეხედვით, ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ქართულში ე. წ. ორმაგი ბრუნების შემთხვევები. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის მაჩვენებლიანი ანუ, შესაბამისად, {-ის}, {-ით} ან {-ად} მორფემიანი ფორმები შემდეგ ხელახლა იბრუნვის. ასეთ შემთხვევებში ჩნდება კითხვა, გამოსატყვევ ალნიშნული მორფემები დერივატემებს თუ გრამემებს.

მოცემული წერილის მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად ავლენენ ზემოთ ჩამოთვლილი აფიქსები დერივაციის ტენდენციას.

როგორც ცნობილია, {-ით} და {-ად} მორფემები ერთვიან არსებით სახელს ან სახელზმნას და გარდაქმნიან მას ზედსართავ სახელად, მაგალითად: გული – გულ-ად-ი, შემთხვევა – შემთხვევ-ით-ი. შესაძლებელია ორივე მორფემა ერთდროულად დაერთოს ფუძეს, მაშინ {-ით} მოთავსდება {-ად} მორფემის მარცხნივ: გული-ით – გულ-ით-ად-ი, ძირ-ი – ძირ-ით-ად-ი (ჩვენთვის ცნობილია ამ ტიპის მხოლოდ ეს ორი ფორმა). ა. შანიძის აზრით, {-ით} და {-ად} მორფემები დერივაციულია: „რომ „გულადი“ და „შემთხვევითი“ წარმოქმნილი სახელებია (ე. ი. დერივაციულად მიღებული ფორმებია), ამას ადასტურებს მათი ლექსიკური მნიშვნელობის დაშორება მათ-მათი ძირეულის ლექსიკური მნიშვნელობისაგან [...] „შემთხვევა“ საწყისია, არსებითად ქცეული (случай), „შემთხვევითი“ კი – ზედსართავი (случайный)“ (შანიძე 1980, 110). თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სახელის ბრუნებას შესაბამისი სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმით:

სახ. გული-ი	შემთხვევა-ი	გულ-ად-ი	შემთხვევ-ით-ი	გულ-ით-ად-ი
მოთ. გულ-მა	შემთხვევა-მ	გულ-ად-მა	შემთხვევ-ით-მა	გულ-ით-ად-მა
მიც. გულ-ს	შემთხვევა-ს	გულ-ად-ს	შემთხვევ-ით-ს	გულ-ით-ად-ს
ნათ. გულ-ის	შემთხვევ-ის	გულ-ად-ის	შემთხვევ-ით-ის	გულ-ით-ად-ის
მოქ. გულ-ით	შემთხვევ-ით	გულ-ად-ით	შემთხვევ-ით-ით	გულ-ით-ად-ით
ვით. გულ-ად	შემთხვევ-ად	გულ-ად-ად	შემთხვევ-ით-ად	გულ-ით-ად-ად
წოდ. გულ-ო	შემთხვევა-ვ	გულ-ად-ო	შემთხვევ-ით-ო	გულ-ით-ად-ო

გასაანალიზებლად უფრო რთულია {-ის} მორფემიანი ფორმები. აქ განსახილველია ორი შემთხვევა: 1. {-ის} სუფიქსიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა და 2. საზღვრულდაკარგული

მსაზღვრელი. ეს შემთხვევები შეიძლება აღვნიშნოთ, შესაბამისად, {-ის₂}-ითა და {-ის₃}-ით.

პრეპოზიციის დროს მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ფორმდება, ხოლო საზღვრული იბრუნვის. საზღვრული მოითხოვს მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ საზღვრული მართავს მსაზღვრელს. პოსტპოზიციური წყობის დროს მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნითაც არის გაფორმებული და ამავე დროს იბრუნვის, თანაც საზღვრულს უთანხმდება ბრუნვაში. ასეთ წყობას მართულ-შეთანხმებული ეწოდება. წარმოვადგინოთ მართულ-შეთანხმებული პოსტპოზიციური სახელების პარადიგმა შესაბამის პრეპოზიციურ წყობასთან შეპირისპირებით:

სახ. მეზობლ-ის სახლ-ი	სახლ-ი მეზობლ-ისა
მოთ. მეზობლ-ის სახლ-მა	სახლ-მა მეზობლ-ისა-მ(ა)
მიც. მეზობლ-ის სახლ-ს	სახლ-სა მეზობლ-ისა-ს(ა)
ნათ. მეზობლ-ის სახლ-ის	—
მოქ. მეზობლ-ის სახლ-ით	—
ვით. მეზობლ-ის სახლ-ად	სახლ-ად მეზობლ-ისა-დ
წოდ. მეზობლ-ის სახლ-ო	სახლ-ო მეზობლ-ისა-ვ

თ. უთურგაიძე ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ {-ის} მორფემა დერივაციულია. როგორც ჩანს, მისი აზრით, მსაზღვრელსა საზღვრულს შორის არ არსებობს მართვა, არსებობს მხოლოდ შეთანხმება. იგი იხილავს სინტაგმას წიგნი-ი ძ-ისა კაც-ისა-ისა-ი და აღნიშნავს, რომ /-ისა/ მორფემა დერივაციულია და „კაცისადმი განკუთვნებაზე“ მიუთითებს... „რადგან კაცისადმსა მსაზღვრელია, იგი შეიძლება შეუთანხმდეს მხოლოდ საზღვრულს, მაგრამ შეთანხმებამდე „კაც“ მნიშვნელობიდან უნდა წარმოიქმნას მეორადი ატრიბუტივი, ამიტომ კაც- ფუძის მომდევნო -ისა ადიექტივაციას უნდა დაეუკავშიროთ უთუოდ [...] ძისა ფორმის -ისა წარმოქმნის ელემენტია და მასთან შეთანხმება გამორიცხულია, მაშასადამე, -სა სუფიქსიც დერივატია... ძისა კაცისა ასეთ შემთხვევებში ერთ ცნებას წარმოქმნის კუთვნილების თვალსაზრისით (წიგნი ხომ ერთს ეკუთვნის და არა ორს – ძესა და კაცს) და სწორედ მისი ადიექტივაცია ხდება -ისა დერივანტი“ (უთურგაიძე 1986, 27). თუმცა „ნათესაობითის ფუნქცია საზოგადოდ ერთი სახელის მეორესთან დამოკიდებულებაში ვლინდება. იგი განსაზღვრავს სხვა სახელს [...] ნათესაობითი ძირითადად კუთვნილებას აღნიშნავს“ (მარტიროსოვი 1956, 388).

ვ. თოფურია პოსტპოზიციური წყობის დროს მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებას ასე ხსნის: „პოსტპოზიციურად მდგომი მსაზღვრელის ბრუნვაში შეთანხმება საზღვრულთან აუცილებელია იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ ე. წ. ღია კონსტრუქციას და არაა გამორიცხული მსაზღვრელის დაკავშირების შესაძლებლობა ფრაზაში სხვა მომდევნო

სიტყვასთან; შდრ. წიგნი ძმისა ამხანაგისთვის მიუცია – წიგნი ძმის ამხანაგისთვის მიუცია“ (თოფურია 1956, 360).

მეორე შემთხვევა ანუ საზღვრულდაკარგული მსაზღვრელის შემთხვევა ფაქტობრივად არის პრეპოზიციული წყობის რედუქცია. ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელს საზღვრული დაუკარგავს, მისი ფლექსიური ნიშნები მსაზღვრელს დაერთვის. ამას ა. შანიძე განმარტოებულ მსაზღვრელს უწოდებს (შანიძე 1980, 94) მაგ., „სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს“ (შანიძე 1980, 94). ესეც სწორედ ორმაგი ბრუნების ტიპური შემთხვევაა. მეტი თვალსაჩინოებისთვის აქაც წარმოვადგენთ ბრუნვათა პარადიგმას შესაბამის, არარედუცირებულ, პრეპოზიციურ წყობასთან შეპირისპირებით:

სახ. <i>სოფელ-ის ამბავ-ი</i>	<i>სოფელ-ისა</i>
მოთ. <i>სოფელ-ის ამბავ-მა</i>	<i>სოფელ-ისა-მ</i>
მიც. <i>სოფელ-ის ამბავ-ს</i>	<i>სოფელ-ისა-ს</i>
ნათ. <i>სოფელ-ის ამბ-ის</i>	–
მოქ. <i>სოფელ-ის ამბ-ით</i>	–
ვით. <i>სოფელ-ის ამბ-ად</i>	<i>სოფელ-ისა-დ</i>
წოდ. <i>სოფელ-ის ამბავ-ო</i>	<i>სოფელ-ისა-ვ</i>

როგორც მოყვანილი პარადიგმებიდან ჩანს, პირველი და მეორე შემთხვევა ფაქტობრივად ერთნაირია გამოხატულების თვალსაზრისით.

{-ის} მორფემის დერივაციულობის შესახებ ა. შანიძე წერს: „ასეთი დასკვნა გენიტიურ სახელთა წარმოებისა, ბუნებისა და მაწარმოებელ ელემენტთა კვალიფიკაციის შესახებ სწორი იქნებოდა მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით. რაც შეეხება ლექსიკურ შინაარსს, საქმის ვითარება სხვაგვარია: ამ თვალსაზრისით სიტყვაში ცვლილება არ მომხდარა. ამიტომ აღნიშნული ფორმები წარმოქმნის ფორმებად ვერ ჩაითვლება“ (შანიძე 1980, 112).

აქვე შეიძლება განვიხილოთ ზმნიზედის მაწარმოებელი, ბრუნვის {-ით} და {-ად} მაჩვენებლების ჰომოფონური მორფემები, რომლებიც შეიძლება აღვნიშნოთ, შესაბამისად, {-ითვ}-ითა და {-ადვ}-ით. ზმნიზედასა და ზმნას შორის არსებული მირთვის დამოკიდებულება იმაზე მიუთითებს, რომ {-ითვ} და {-ადვ} დერივაციული მორფემებია, რადგან ზმნასა და ზმნიზედას შორის არსებული მირთვის სინტაქსური კავშირი მორფოლოგიურად აისახება ზმნიზედაში. მაგ., *წყალნი, მთით დაქანებულნი; ბარად შრიალებს ჭადარი* (კვაჭაძე 1996, 32); *სარეცხი გასაშრობად გაფინა; შემს დასაპობად გაამზადა; მეგობრის ლაპარაკს ყურადღებით უსმენდა; მასთან ზაფხულობით ჩადიოდა.*

ბრუნვის ნიშნები უნდა განვასხვაოთ მათი ჰომოფონური აფიქსებისაგან, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ {-ის₂}-ით, {-ის₃}-ით, {-ით₂}-ით, {-ით₃}-ით, {-ად₂}-ითა და {-ად₃}-ით, და აღვნიშნოთ, შესაბამისად, {-ის₁}-ით, {-ით₁}-ითა და {-ად₁}-ით. ზედსართავისა და ზმნიზედის მაწარმოებელი აფიქსებისა და

ბრუნვის ნიშნების განსხვავებული აღნიშვნა იმით არის განპირობებული, რომ (ი. ნაიდას მორფემული ანალიზის პირველი პრინციპის თანახმად) ისინი არ გამოირჩევიან საერთო სემანტიკური განსხვავებულობით და, ამდენად, სხვადასხვა მორფემებს განეკუთვნებიან (ნაიდა 1948, 419).

თეორიულ გრამატიკებში აღწერილია რამდენიმე ხერხი, რომლებიც გამოიყენება ფლექსიისა და დერივაციის ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. კერძოდ, ლ. ბლუმფილდმა შეიმუშავა რთული ფორმის მარტივით ჩანაცვლების ხერხი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ რთული ფორმის ჩანაცვლება შესაძლებელია მარტივი ფორმით ისე, რომ არ ირღვევა წინადადების სტრუქტურა, ანუ რთული ფორმა იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც მარტივი ფორმა, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული რთული ფორმა მიღებულია მასში შემავალი მარტივი ფორმისგან დერივაციით. თუ ვერ ხერხდება ასეთი ჩანაცვლება მარტივი ფორმით, მაშინ მოცემული რთული ფორმა მიღებულია ფლექსიით.

ი. მელჩუკს გრამემისა და დერივატემის (ე. ი. დერივაციული მნიშვნელობის) განსასხვავებლად შემოაქვს შვიდი დიფერენციალური ნიშანი, ესენია:

1. აბსტრაქტული / კონკრეტული სემანტიკა;
2. ფართო / ვიწრო თანახმარება სხვა მნიშვნელობებთან;
3. სტანდარტული / არასტანდარტული გამოხატულება;
4. სინტაქსურ წესებში მონაწილეობა / არამონაწილეობა;
5. ლექსიკურ მნიშვნელობასთან შერწყმა / არშერწყმა;
6. ძირისგან მაჩვენებლის სიშორე / სიახლოვე;
7. ამოსავალი ფუძის მეტყველების ნაწილის არაცვლა / ცვლა.

ზემოჩამოთვლილი დიფერენციალური ნიშნების დადებითი მნიშვნელობები უპირატესად გრამემის მახასიათებელია (მელჩუკი 1997, 278).

უფრო დეტალურად განვიხილოთ თითოეული ნიშანი.

1. დერივატემა უფრო კონკრეტულია, ვიდრე იმავე ენის ნებისმიერი გრამემა. თუმცა ენაში აბსტრაქტული დერივატემების არსებობა გამორიცხული არ არის.

2. გრამემებთან შედარებით დერივატემებს აქვთ სხვა მნიშვნელობებთან კომბინირების შეზღუდული უნარი, რაც გამომდინარეობს მათი კონკრეტულობიდან.

3. დერივატემებისთვის დამახასიათებელია გამოხატულების არასტანდარტული საშუალებები, რაც გრამემებისთვის, როგორც წესი, არ არის დამახასიათებელი.

4. დერივატემები არ ამყარებენ სინტაქსურ კავშირებს – არ მონაწილეობენ მართვასა და შეთანხმებაში, განსხვავებით გრამემებისგან, რომელთათვისაც დამახასიათებელია სინტაქსური კავშირები.

5. გრამემისგან განსხვავებით, დერივატემა შეერწყმის ლექსიკურ მნიშვნელობას. მაგალითად, ინგლისურ ენაში არსებობს პროფესიისა და

ხელობის გამომხატველი -er დერივაციული სუფიქსი: *baker* „მცხობელი“, *packer* „შემფუთავი“, *painter* „მხატვარი“, *hunter* „მონადირე“. ამ სუფიქსით გამოხატული მნიშვნელობა ერწყმის ლექსიკურს, რადგან იმავე მნიშვნელობის გამოხატვა ლექსიკური საშუალებითაც არის შესაძლებელი: *chef* „შეფ-მზარეული“, *smith* „მჭედელი“, *mechanic* „მექანიკოსი“, *surgeon* „ქირურგი“ (მელჩუკი 1997, 280).

6. ჩვეულებრივ, დერივატემის გამომხატველი მორფი უფრო ახლოსაა ძირთან, ვიდრე გრამემის გამომხატველი.

7. დერივატემა ამოსავალ ფუძეს ხშირად მეტყველების ნაწილს უცვლის, რაც, როგორც წესი, გრამემას არ ახასიათებს (მელჩუკი 1997, 278).

ი. მელჩუკი აღნიშნავს, რომ თითოეული გრამემა ან დერივატემა ამ ნიშნების მეტ-ნაკლები სიხშირით შეიძლება ხასიათდებოდეს, თანაც თითოეულ ნიშანს ყოველთვის აქვს გამონაკლისი.

ვცადოთ გამოვიყენოთ ზემოთ განხილული ორი ხერხი ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობებისათვის.

ლ. ბლუმფილდის კრიტერიუმის მიხედვით, {-ისკ}, {-ითკ} და {-ადკ} დერივაციული მორფებია, რადგან რთული ფორმის მარტივი ფორმით ჩანაცვლებისას არ ირღვევა წინადადების გრამატიკული სტრუქტურა. მაგალითად, თუ წინადადებაში *სოფლის ამბავი ქალაქში ჩამოიტანა, ქალაქისა სოფელში წაიღო*, რთულ ფორმას *ქალაქისა*, სადაც გვაქვს {-ისკ} მორფემა, ჩავანაცვლებთ მარტივი ენობრივი ფორმით *სხვა*, წინადადების გრამატიკული სტრუქტურა არ დაირღვევა: *სოფლის ამბავი ქალაქში ჩამოიტანა, სხვა სოფელში წაიღო*. იმავე შედეგს მივიღებთ {-ითკ} და {-ადკ} მორფემების შემცველი რთული ენობრივი ფორმების მარტივი ფორმებით ჩანაცვლების შემთხვევაშიც. მაგალითად, *შემთხვევითი შეხვედრა და გულადი საქციელი* გამონათქვამებში *შემთხვევითი* და *გულადი* რომ ჩავანაცვლოთ იმავე *სხვა* მარტივი ფორმით, არ დაირღვევა მოცემული შესიტყვებების სტრუქტურა. რაც შეეხება {-ისკ} მორფემის შემცველ რთულ ფორმებს, მათი ჩანაცვლება მარტივი ენობრივი ფორმით ვერ ხერხდება წინადადების სტრუქტურის დაურღვევლად.

ახლა ვნახოთ, თუ რა შედეგს მივიღებთ ი. მელჩუკის მიერ შემოთავაზებული ხერხის გამოყენებისას. შევაპირისპიროთ {-ისკ}, {-ითკ}, {-ითკ}, {-ადკ} და {-ადკ} სუფიქსებით გამოხატული მნიშვნელობები მათი ჰომოფონური ბრუნვის ნიშნებით, ე. ი. {-ისკ}-ით, {-ისკ}-ით, {-ითკ}-ითა და {-ადკ}-ით გამოხატულ გრამემებთან.

1. {-ისკ}, {-ისკ}, {-ითკ} და {-ადკ}, როგორც გრამემათა მაჩვენებლები, დახასიათდება ამ ნიშნის დადებითი მნიშვნელობით, ხოლო {-ისკ}, {-ითკ}, {-ითკ}, {-ადკ} და {-ადკ} – უარყოფითი მნიშვნელობით.

2. ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოხატულია განხილული მორფემებით, ხასიათდება სხვა მნიშვნელობებთან ფართო კომბინირების უნარით, ამიტომ მოცემული ნიშანი მათთვის არაღირებელია.

3. ეს ნიშანიც არადირებულია იმავე მიზეზით, რომელიც დავასახელებთ მეორე ნიშნით აღნიშნული მორფემების დახასიათებისას.

4. სინტაქსურ წესებში მონაწილეობს {-ის₁}, {-ის₂}, {-ით₁} და {-ად₁}, ხოლო {-ის₃}, {-ით₂}, {-ით₃}, {-ად₂} და {-ად₃} არ მონაწილეობს.

5. {-ით₃}-ისა და {-ად₃}-ის გარდა, ზემოჩამოთვლთაგან არც ერთი აფიქსით გამოხატული მნიშვნელობა არ ერწყმის ლექსიკურ მნიშვნელობას.

6. ბრუნვის ნიშნები თავსდება ძირიდან უფრო შორს, ვიდრე {-ის₃}, {-ით₂} და {-ად₂}.

7. {-ის₁}, {-ის₂}, {-ის₃}, {-ით₁} და {-ად₁} არ ცვლიან ფუძის მეტყველების ნაწილს, {-ით₂}, {-ით₃}, {-ად₂}-ისა და {-ად₃}-ისაგან განსხვავებით (სწორედ ამ ნიშნის საფუძველზე ასკვნის ა. შანიძე, რომ {-ით₂} და {-ად₂} მორფემები დერივაციულია).

წარმოვადგინოთ მიღებული შედეგები ცხრილის სახით:

	{-ის ₁ }	{-ის ₂ }	{-ის ₃ }	{-ით ₁ }	{-ით ₂ }	{-ით ₃ }	{-ად ₁ }	{-ად ₂ }	{-ად ₃ }
აბსტრაქტული სემანტიკა	+	+	-	+	-	-	+	-	-
ფართო თანახმარება სხვა მნიშვნელობებთან	+	+	+	+	+	+	+	+	+
სტანდარტული გამოხატულება	+	+	+	+	+	+	+	+	+
სინტაქსურ წესებში მონაწილეობა	+	+	-	+	-	-	+	-	-
ლექსიკურ მნიშვნელობასთან არშერწყმა	+	+	+	+	-	-	+	-	-
ძირისგან მაჩვენებლის სიმორე	+	-	-	+	-	-	+	-	-
ამოსავალი ფუძის მეტყველების ნაწილის არაცვლა	+	+	+	+	-	-	+	-	-

ცხრილი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ {-ით₂} და {-ად₂} დერივაციული მორფემებია (რაც შეესაბამება ა. შანიძის მოსაზრებას). უფრო რთულია {-ის₃} მორფემის საკითხი, რადგან აქ დიფერენციალური ნიშნები თითქმის თანაბრად არის განაწილებული და, როგორც ჩანს, ეს არის შუალედური შემთხვევა დერივაციასა და ფლექსიას შორის. რაც შეეხება {-ის₂}-ს, იგი იმავე ფუნქციით იხმარება, რომლითაც {-ის₁}, ოღონდ {-ის₂}-ის შემცველი რთული

ენობრივი ფორმები არა მხოლოდ მართავს, არამედ იმავდროულად უთანხმდება კიდევ თავის საზღვრულს. ვინაიდან შეთანხმებაში და მართვაში მონაწილე ბრუნვები, ი. მელჩუკის მიხედვით, განეკუთვნება სხვადასხვა კატეგორიების გრამემებს (მელჩუკი 2006, 107), შეიძლება დავასკვნათ, რომ წმინდა სახის ორმაგი ბრუნება, ანუ ისეთი შემთხვევა, როდესაც რთულ ენობრივ ფორმაში ერთი და იმავე კატეგორიის ორი სხვადასხვა გრამემა ავლენს თავის მჩვენებლებს, თანამედროვე ქართულში ფაქტობრივად არ დასტურდება.

ლიტერატურა

თოფურია 1956 – ვ. თოფურია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი 1956.

კვაჭაძე 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი 1996.

კობალაძე 2003 – მ. კობალაძე, ბრუნვათა ნიშნების სადერივაციო დანიშნულებისათვის (1. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დერივატად), საქნათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბილისი 2003.

მარტიროსოვი 1956 – ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი 1956.

უთურგაიძე 1986 – თ. უთურგაიძე, სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი 1986.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1980.

ბლუმფილდი 1968 – Блумфилд Л., Язык, Москва 1968.

მელჩუკი 1997 – Мельчук И. А., Курс общей морфологии, Т.1, Москва - Вена 1997.

მელჩუკი 2006 – Mel'čuk I., Aspects of the Theory of Morphology, Berlin - New York 2006.

ნაიდა 1948 – Nida E., The Identification of Morphemes, Language, 1948, vol. 24 (4).

Double Declension in Modern Georgian

Summary

In modern Georgian two instances of the so-called double declension are identifiable: when in a form the suffix $\{-it\}$ or $\{-ad\}$ is recorded, and when the suffix $\{-is\}$ is found in it. The semantics of the adjective-forming suffixes $\{-it\}$ and $\{-ad\}$ differ from the semantics of the respective homophonic case markers, they denote derivative meanings, whereas the case markers express flexional ones. The situation is even more difficult when in the noun there is a morphological unit which is represented in the form of the sequence of phonemes $/-is/$. This sequence may be assigned to three homophonic morphemes, i.e. to differentiate: $\{-is_1\}$ – the case marker denoting the syntactic relationship of governance, $\{-is_2\}$ – the case marker denoting the syntactic relationship of agreement, and $\{-is_3\}$ – the suffix which is used when the determined is lost and its flexional markers are added to the stem of the determiner with the suffix $\{-is_3\}$. $\{-is_3\}$ may be regarded as a noun-forming suffix.

To confirm the flexional and derivational nature of the meanings under discussion two different methods described in theoretical grammars are used in the article, as a result of which the conclusion is drawn that pure double declension, i.e. the existence of the markers of two different grammemes of one and the same category in a complex linguistic form is not attested actually in modern Georgian.

**-ვით თანდებული სალიტერატურო ქართულსა
და დიალექტულს**

თანამედროვე ქართულ ენაში **-ვით** თანდებული სახელს დაერთვის მიცემითსა და სახელობით ბრუნვაში (თქსე ნორმები, I 1970); ქართული ენის დიალექტებში ნათესაობითს ბრუნვაშიც, რაც უფრო ძველ ვითარებაზე მიუთითებს. დიალექტთა ერთი ნაწილი უპირატესობას აძლევს მიცემითსა და სახელობითს ბრუნვებს, მეორე კი მიცემითსა და ნათესაობითს. ეს არ ნიშნავს, რომ სამივე ბრუნვის ფორმასთან **-ვით** არ იხმარება ერთ რომელიმე დიალექტში. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ქართულში, საშუალისაგან განსხვავებით, **-ვით** თანდებულს ერთი ფუნქცია – მსგავსებაზე მითითება – აკისრია, მისი დამკვიდრება ერთ რომელიმე ბრუნვასთან არ განხორციელებულა.

სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **-ვით** თანდებულის დართვამ მორფოსინტაქსური ცვლილების შედეგად დაამკვიდრა სახელობითი ბრუნვის გაგება, რაც არ არის ბუნებრივი რიგი მიზეზის გამო. გამოითქვა აზრი, რომ **-ვით** თანდებულის წინ წარმოჩენილი **-ი-** ხმოვანი ნათესაობითი ბრუნვის ალომორფია (ფუტკარაძე 1987; კიკნაძე 1999). მორფონოლოგიურ გარდაქმნათა კანონზომიერების ჩვენებით ვცადეთ ჩვენი თვალსაზრისი დაგვესაბუთებინა თანხმობიან სახელთა მაგალითზე: კაც-ის-ა-ვით > კაც-ის-ვით > კაც-ი-ვით (კიკნაძე 2006), რასაც მხარს უმაგრებს კილოებში გამოვლენილი ხმოვანფუძიან სახელთა ნიშნები: დედ-ი-ვით, მამ-ი-ვით. ზემოთქმულიდან გამომდინარე სინტაქსური წყვილის **ამ კაცივით** შემადგენელი ნაწილები ვერც ერთად და ვერც ცალ-ცალკე ვერ იქნება ვერც მიცემითი (მსაზღვრელი ნაცვალ-სახელისათვის) და ვერც სახელობითი (კაც-ი-ვით); **ეს** ნაცვალსახელის **ამ** მონაცვლე ფუძე, რომელიც სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში მსაზღვრელად გამოყენებისას უცვლელი რჩება, ნათესაობითს გულისხმობს, რაც მარტივი შენაცვლების წესით ირკვევა: **ამ კაცივით** = **სოფ-ლის** კაცივით (< კაც-ის-ა-ვით), მიცემითში იქნებოდა **ამ კაცსავით** – ბრუნვაში შეთანხმება მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის (შდრ. თქსე ნორმები, I 1970), ხოლო ა. შანიძის მიხედვით მართული მსაზღვრელი.

თანამედროვე ქართულ ენაში ხმოვანფუძიანი სახელები **-ვით** თანდებულს მიცემითს ბრუნვაში დაერთავენ. საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოდ ვთვლით მთარაჭული დიალექტის (რივნისთაულისა და გლოლურის) ჩვენებას.

შ. დიდიგურის აზრით, „**ვით** ბოლოხმოვნიან სახელთან არ ჩანს წინამავალი მორფემის თანხმონითი ელემენტი“ (დიდიგური 1954, 192 და შმდ.) და თანდებული უშუალოდ მოსდევს სახელის ფუძეს: ბუზუკელავით, გუნდავით, ოტკავით, მზევით, ხევით და მისთ. იგულისხმება მიცემითის **-ს(ა)** ელემენტის კარგვა, რადგან ფუძე უცვლელია, კვეცა არ ხდება. ამ ვარაუდს მხარს

უმაგრებს თუშურ კილოში დადასტურებული **სუროსვით**: „ეგ შენი დედა ბენავი, სუროსვით ექანებოდა“ (უთურგაიძე 1960, 155); სავრცობი **ა** ელემენტის გარეშე **-ს** მიცემითისა ადვილად შეიძლება დაიკარგოს. ეს ერთადერთი ნიმუში საყურადღებოა იმითაც, რომ დადასტურებს ჩვენს ვარაუდს მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვების **-ს-ა** ელემენტთა თანმიმდევრული დაკარგვის შესაძლებლობას **-ვით** თანდებულის წინ.

ზემომოყვანილი ნიმუშები შეიძლება ჩავთვალოთ ხმოვანფუძიანი სახელებისათვის მიცემით ბრუნვაში **-ვით** თანდებულის წინ გარდაქმნის ბოლო საფეხურად: გუნდა-ს-ა-ვით > გუნდა-ს-ვით > გუნდა-ვით... მთარაჭულს ეხმანება მოხეურიც: „სიკვილის დღემდე მაგარო, **სპილოვი** გაუტეხარო“ (ქავთარაძე 1985, 41).

საინტერესო სურათია ჯავახურში: ბრუნვის ნიშნისეული **-ს-ა** ელემენტი დაკარგულია ფორმებში: **მამლივით** და **მამივით** (ბერიძე 1988, 89). ფუძეებში განხორციელებული რედუქცია (კუმშვა და კვეცა) მიუთითებს ნათესაობითს ბრუნვაზე. თანდებულის წინ პროცესი თანმიმდევრულად განხორციელდებოდა: მამალ-ის > მამლის, მამა-ის > მამის. შემდეგ **-ვით** თანდებულის წინ დაიკარგებოდა **-ს-ა** ელემენტი. **-ი** ხმოვანი განსხვავებულ ფუძეებთან ნათესაობითის ალომორფია: მამლ-ი-ვით, მამ-ი-ვით.

საყურადღებოა, რომ **ჯავახურში** **-ვით** თანდებულმა **ნათესაობითი** ბრუნვა ირჩია, არ განასხვავა სახელები ფუძეთა მიხედვით. ამგვარი წარმოება იგულისხმება **დედ-ი-ვით** და მისთანა ფორმათათვის.

ჩვენი დაკვირვებით, ამგვარ შემთხვევაში **-ვით** თანდებულს მიეცა შესაძლებლობა დართვოდა **ხმოვანფუძიანთა** ნათესაობითს იმის გამო, რომ ფუძის კვეცის შედეგად დარჩენილი ნაწილი თანხმოვანზე ბოლოვდება. გარდაქმნის შემდგომ მამლ-ი-ვით და მამ-ი-ვით ერთნაირად გაჟღერდება, ე.ი. დიალექტმა **ერთნაირი ყალიბი** აირჩია **თანხმოვანფუძიანი** და **კვეცადი** ხმოვანფუძიანი სახელებისათვის.

განსხვავებულად წარიმართა პროცესი **მთარაჭულში**. **-ვით** თანდებულმა ხმოვანფუძიან სახელთათვის **მიცემითზე** შეაჩერა არჩევანი სალიტერატურო ქართულის მსგავსად, თუმცა **-ს-ა** ელემენტის გარეშე. **-ვით** უშუალოდ მიერთო ფუძისეულ **ა, ე** ხმოვნებს; მათ გვერდით უდგას **ო** ხმოვანიც: სპილო-ვი (შდრ. სურო-სვით). არ გამოვრიცხავთ ასეთ შესაძლებლობას **უ** ხმოვნის მომდევნოდ: ყრუ-ვით, რუ-ვით...

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, ქართულ ენაში **-ვით** თანდებული შეიძლება მოსდევდეს ნებისმიერ ფუძისეულ ხმოვანს. მხოლოდ **ა** და **ი** ხმოვნებს აქვთ გრამატიკული ფუნქცია: **ა-** სავრცობია, ემფატიკური ხმოვანი, **ი-** ნათესაობითის ალომორფი.

ზევით საუბარი იყო სახელის ფორმაში **-ვით** თანდებულის დართვისას განხორციელებულ ცვლილებაზე, მაგრამ ქართული ენის დიალექტებში თანდებული თვითონაც განიცდის ცვლილებას მორფოფონეტიკური დაწოლის

გამო. ცვლილება შეიძლება იყოს სხვა (ამჯერად -ებრ) თანდებულთან ფუნქციური იდენტობის შედეგად.

მკვლევართა მიერ ქართული ენის დიალექტებში შენიშნულია -ვით თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობა. მათზე ფართო მსჯელობა არ არის ჩვენი მიზანი.

ქვევით წარმოვადგენთ ვარიაციებს ფუძის განმარტების მიხედვით.

-ვით – საერთოქართულია

-ით – შენიშნულია მესხურსა და ჯავახურში.

-ვი – მესხურ, ჯავახურ, მოხეურ, ინგილოურ კილოებში.

-ვინ – აჭარულში.

-ვით და -ებრ თანდებულთა კონტამინაციის შედეგია:

-ვეთ – აჭარულ, გურულ, ზემო და ქვემო იმერულ კილოებში.

-ვე/-ვენ – აჭარულში.

-ვეფ – აჭარულსა, გულსა და ზემო და ქვემო იმერულში.

-ეფ – ქართლურსა და კახურში, აჭარულში, ზემო იმერულში.

-ეფ გაიაზრება -ებრ თანდებულად (-ებრ > -ებ > -ეფ), რადგან არ ახლავს ვ თანხმოვანი. ვ ფონეტიკურ ნიადაგზე შეიძლება დაიკარგოს ან გაჩნდეს ემფატიკური ა-ს მომდევნოდ (შდრ. კილოებში: -ით (< -ვით) და -ეფ (-ვეფ).

კონტამინირებულ ფორმათა განმსაზღვრელ ნიშნად ჩვენ მივიჩნევთ თანდებულის ფუძეში გამოვლენილ ე ხმოვანს (შდრ. -ვით და -ვეთ).

-ებრ თანდებული სალიტერატურო ქართულ ენასა და დიალექტებში ცოცხალია. იხმარება -ვით თანდებულის პარალელურად, მაგრამ აშკარაა -ვით თანდებულის უპირატესობა მოხმარების თვალსაზრისით.

თანამედროვე სალიტერატურო ენა -ებრ თანდებულს ძირითადად სტილისტიკური დანიშნულებით მიმართავს, დიალექტების უმეტესობა კი კონტამინირებულ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას.

კონტამინირებული ფორმების წარმოქმნას ხელი შეუწყო -ვით და -ებრ თანდებულთა ლექსიკური მნიშვნელობისა და გრამატიკული ფუნქციის დამთხვევამ, რის შედეგად დიალექტებში კონტამინირებულმა ფორმებმა თავი იჩინა მიცემით ბრუნვაშიც: ქვასაეფ, კაცსაეფ, ჩემსაეფ, შენსაეფ... ასეთი რამ უცხოა -ებრ თანდებულისათვის (-ებრ ნათესაობითის თანდებულია). ვერ ვიტყვით, რომ -ებრ თანდებულმა გაიფართოვა მოქმედების არე. აქ -ვით თანდებულის სინტაქსური თვისება გამოვლინდა. შემთხვევითი არ არის -ებრ თანდებულის გაქრობა ქვემოიმერულში (კუბლაშვილი 1985).

შეიძლება დავასკვნათ: კონტამინირებული ფორმები -ვით თანდებულის ვარიანტებია დიალექტებში.

ლექსიკური იდენტურობით გამოწვეული ჭიდილი -ვით და -ებრ თანდებულთა შორის ქართულ ენაში პირველის უპირატესობით მიმდინარეობს.

ლიტერატურა

- ბერიძე 1972* – გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ. 1988.
- თქვე ნორმები, I 1970* – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ. 1970.
- კიკნაძე 1998* – ი. კიკნაძე, -ვით თანდებულის შესახებ სახელობითთან XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ახალციხის ფილიალის დაარსების 10 წლისთავს, ახალციხე 1999.
- კიკნაძე 2006* – ი. კიკნაძე, -ვით თანდებულის ხმარებისათვის საკუთარ სახელებში. IV რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ქართველურ ონომასტიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ონომასტიკის ს/კ ლაბორატორია, მუშაობის პროგრამა, თბ. 2006 (წაკითხულია მოხსენება).
- კიკნაძე 2006* – ი. კიკნაძე, თანხმობანფუძიან სახელთა -ვით თანდებულიანი სახელობითის გამო. XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ეძღვნება პროფ. გიორგი როგავას დაბადების 100 წლისთავს. თეზისები, თბ. 2006. სტატია გამოქვეყნდა კრებულში: ენათმეცნიერების საკითხები I-II, თბ. 2006. კრებული ეძღვნება ზურაბ ჯაფარიძის დაბადების 75-ე წლისთავს.
- კიკნაძე 2007* – ი. კიკნაძე, -ვით თანდებულთან სახელთა მართლწერის საკითხები. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ისტორია და თანამედროვეობა, I, თბ. 2007.
- კუბლაშვილი 1985* – კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ. 1985.
- უთურგაიძე 1960* – თ. უთურგაიძე, თუმური კილო, თბ. 1960.
- ფუტკარაძე, 1987* – Путкарადзе Т. А., Формообразование имён в юго-западных диалектах грузинского языка. Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата филологических наук. Тб. 1987.
- ქავთარაძე, 1985* – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ. 1985.
- ძიძიგური, 1954* – შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ. 1954.

Postposition -ვით in Literary Georgian and Dialects

Summary

-ვით (-vit) as a postposition appeared in the language at a later stage. In the subsystems of the Georgian language (dialects, vertical sections of the literary language) it is linked with the Genitive, Dative and Nominative cases.

The Nominative historically is reduced to the Genitive: კაც-ი-ვით < კაც-ის-ა-ვით cf. ამ კაც-ი-ვით; მამალ-ი-ვით, cf. dialectal მამლ-ი-ვით < მამლ-ის-ა-ვით and მამ-ი-ვით < მამ-ის-ა-ვით. To these forms are added nouns with the vowel ი (აკაკი-ვით) and nouns borrowed from foreign languages (ტრამვაი-ვით), which is the result of the re-interpretation of the suffix.

In the literary language derivation of two types are common: forms of the Nominative with the postposition -ვით: კაც-ი-ვით, აკაკი-0-ვით and of the Dative: ძმა-სა-ვით, ხე-ს-ა-ვით, წყარო-ს-ა-ვით, რუ-ს-ა-ვით (cf. dialectal ძმა-0-ვით, ხე-0-ვით, სპილო-0-ვით...).

In dialects due to the semantic identity of postpositions -ვით (-vit) and -ებრ (-ebr) the variants obtained by means contamination (-ვეთ, -ვეფ, -ვენ) share the cases similar to postposition -ვით. The forms of the Dative (ქვასა-ვეფ, etc.) point to the syntactic power of postposition -ვით (-ებრ is a postposition of the Genitive). -ებრ is on the verge of disappearance (cf. in Lower Imeretian dialect), in the literary language it has the stylistic function.

მიცემითი ბრუნვა მოჭფონოლოგიური ასაქტიით

ქართული ენის სახელთა ბრუნების სისტემა მრავალგზის გამხდარა სპეციალისტთა კვლევის ობიექტი. ნ. მარის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ი. იმნაიშვილის, ჰ. ფოგტის, ჰ. არონსონის და სხვათა მიერ გაანალიზებულია როგორც ცალკეული ბრუნვები, ისე მთლიანად ბრუნვათა სისტემა. ქართულში თითოეული ბრუნვა თავისი ფორმითა და ფუნქციით ხასიათდება და იმთავითვე შეიცავს გარკვეული მოდიფიკაციების შესაძლებლობას, კერძოდ, ბრუნვის ფორმანტები განსხვავებულადაა წარმოდგენილი სახელთა ფუძეების მიხედვით და ორსავე რიცხვში ბრუნებისას სხვაობას გვიჩვენებენ თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.

ნაშრომში განხილულია მიცემითი ბრუნვა და მასთან დაკავშირებული მორფონოლოგიური ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვს სახელის ფუძეზე ფლექსიური ელემენტების დართვისას. აღნიშნული ცვლილებების საშუალებით ხდება ქართული ენისათვის არაბუნებრივი კომპლექსების სუპერაცია.

ნაშრომში ასევე მოცემულია მიცემითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები და მათი განაწილების წესები თითოეული ქვესისტემისათვის როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჯრილში. სალიტერატურო ქართულის ვითარება შედარებულია დიალექტებისა და ქართველური ენების მასალასთან. გამოკვეთილია ამ შეპირისპირებისას გამოვლენილი ზოგადი კანონზომიერებები, მსგავსებები და განსხვავებები.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი {-სა} ძველ ქართულში წარმოდგენილია /-სა/ და /-ს/ ალომორფებით. /-სა/ გვაქვს თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან. მაგ.; თევზ-სა, მოძღუარ-სა, ყრმა-სა, წყარო-სა და სხვ. გეოგრაფიულ სახელებთან რეალიზებულია /-ს/-ც და /-სა/ ალომორფიც, იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციით იხმარება სახელი კონკრეტულ წინადადებაში. მაგ.: /-ს/ გვაქვს მაშინ, როცა გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს ადგილის გარემოებას: ყოველნი ძმანი ჩუენნი და მშობელნი ჩუენნი შეაწუხნა ჰურიასტანს და სამარიას და პალესტინეს მარტომან (PO 109, 15), იყვნეს ვინმე ბერთას (ხანძთ. 128, 13), და სხვ. (ჩვენი აზრით, აღნიშნულ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი დერივანტია და არა ფლექსიური ელემენტი). /-სა/ ალომორფი გვაქვს, როცა გეოგრაფიული სახელი აქტანტია (პირდაპირი ან ირიბი დამატება). მაგ.: გამოჩნდა იორდანესა (სას. პოეზ. 226, 41), თავადი განვიდოდა შორის სამარიასა და გალილეასა (ლ. 17.11) და სხვ. (იმნაიშვილი 1957, 399-400)

მიცემით ბრუნვაში საკუთარ სახელთა ემფატიკურხმოვნაანი ფორმების არსებობაზე (/სა/) ქართულ ენაში მიუთითა ივ. იმნაიშვილმა: „რაკი ძველსავე

ქართულში დაიწყო ადამიანთა სახელების (სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ფორმათა) საზოგადო სახელებთან გათანაბრება, ეს პროცესი ემფატიკურხმოვნთან ბრუნვებსაც შეეხო, პირველ რიგში მიცემითს და ადამიანთა სახელებს აქაც გაუჩნდათ ემფატიკური -ა“. მაგალითები ძველი ძეგლებიდან: ექმნა *დავითსა* (უდაბნ. 61 Vთ), *იოსებსა* მითხოველ მარიამ ქალწული (იპოლ. 27, 171), არა ჰმსახურო *აპოლონსა* (კიმ. 141, 1) (იქვე, 373-375).

ზ. სარჯველაძის გამოკვლევით /-სა/ ალომორფიანი ფორმები ანთროპონიმებთან პირველად IX საუკუნეში „სინურ მრავალთავში“ იჩენს თავს და შემდეგ თანდათან მრავლდება. მაგ.: ალუთქუა *აბრაჰამსა* (სინ. მრავალთ. 13, 38) აღმოუბრწყინვე *იაკობსა* (ჭილ-ეტრ. იადგ.; 79r, 10), *დავითსა* ევნო (სვან. მრავალთ.; 119, 46) და სხვ. (სარჯველაძე 1975, 128).

თანამედროვე ქართულში მიცემითი ბრუნვა წარმოდგენილია სამი ალომორფით: /-ს/~-/-სა/~-/-Ø/. ქვესისტემების მიხედვით გვაქვს სრული დამთხვევაც და განსხვავებული ვითარებაც. ამ ალომორფებს აქვთ საკუთარი პოზიციებიც, სადაც სხვა ვარიანტს ვერ შევხვდებით და გვხვდება გადამკვეთი პოზიციებიც, სადაც შესაძლებელია მათი მონაცვლეობა. მაგ.: სალიტერატურო ქართულში თავისთავად სახელებთან გვაქვს /-ს/ ვარიანტი: *კაც-ს* დაუძანა, *კაც-ს* აუშენებია და სხვ., მაგრამ -ც(ა) ნაწილაკის წინ მხოლოდ /-სა/ ვარიანტი გვხვდება: *კაც-სა-ც* გააგებინა, *ბავშვ-სა-ც* განუმარტა და სხვ. /-სა/ ვარიანტი გვაქვს ასევე და და თუ კავშირების წინ: *დედასა* და *მამას*, *ძმასა* თუ *დას*, -ვით თანდებული წინ: კლდესავით, ქალსავით და სხვ.

სალიტერატურო ენაში მიცემითი ბრუნვის /-ს/ და /-სა/ ალომორფთა განაწილების მხრივ საინტერესო კანონზომიერება იკვეთება. /-ს/ თავისუფლად ენაცვლება /-სა/-ს როგორც პაუზის, ისე არაპაუზის წინ: *კაცს* ჰკითხა/*კაცსა* ჰკითხა, ჰკითხა *კაცსა*/ ჰკითხა *კაცს*, მაგრამ /-სა/-სა და /-ს/-ს შორის ვერ იქნება თავისუფალი მონაცვლეობა ზმნისწინითა და ა, ი, უ და ე ხმოვნებით (კაუზაციის, გვარისა და ქცევის) დაწყებული ფუძის მქონე ზმნის წინ მდგომი სახელის ფორმებში, მაგ.: დალუპულ *შვილს* მისტირის (არ შეიძლება – დალუპულ *შვილსა* მისტირის), *ძმას* აწერინებს (არ შეიძლება – *ძმასა* აწერინებს), *პასუხს* ეტყვის (არ შეიძლება – *პასუხსა* ეტყვის), მსგავსი ვითარებაა უარყოფით არა ნაცვალსახელთანაც. მაგ., არ ჰკითხავს (შდრ., არა იტყვის, სადაც -ა დიერემა).

მიცემითი ბრუნვის /-Ø/ ალომორფი სალიტერატურო ქართულში ყოველთვისაა რეალიზებული პრეპოზიციურ ატრიბუტულ მსაზღვრელთან. მაგ.: *კარგ-Ø* მეგობარ-ს, *პატარა-Ø* გოგონა-ს, და სხვ., აღნიშულ შემთხვევაში შებრუნებული წყობის დროს დაუმეხებელია Ø. ანუ ეს სხვაობა პრეპოზიციასა და პოსტპოზიციას შორის გამოხატულების პლანისა და არა შინაარსის პლანისა, რადგან Ø ქართულში განპირობებულია პოზიციურად და იმ ბრუნვის ფუნქციას ასრულებს, რომელშიც დგას საზღვრული.

ალომორფთა რეალიზაციასთან დაკავშირებული მკაცრი დისტრიბუციული განსხვავება ზოგ შემთხვევაში და ზოგში კი გადამკვეთი პოზიცია გამოწვეულია ენაში დაშრევებული სხვადასხვა დროის ნორმათა თანაარსებობით.

დიალექტებში მიცემითი ბრუნვა წარმოდგენილია შემდეგი ალომორფებით: -ს/-ჰ/-მ(//-მს, -მჰ, -მჰს)-მ/-ც. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ვარიანტთა არსებობა ერთი და იმავე ფონეტიკური ტენდენციის შედეგია. ესაა ნაპრალოვანი -ს თანხმონის დასუსტება და სრული დაკარგვა. ძირითადად დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, რომლებიც ცვლილების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან.

/-ს/-ს დასუსტების ტენდენცია დასტურდება ხმოვანფუძიან სახელებთან. მაგ.: ძმას→ძმაჰ, ხელმწიფეს→ხელმწიფეჰ (მესხურში).

/-ს/→-ჰ→მ(//-მს(//-მჰ(//-მჰს ქართლურში, ძირითადად ქვემო ქართლურში გვხვდება. მაგ.: დედას→დედაჰ→დედამ(//დედამს(// დედამჰ(// დედამჰს და სხვ.

ხმოვანფუძიან სახელებთან ქართლურსა და კახურში გვხვდება -ს→-მ. მაგ.: იმას→იმამ, დედას→დედამ, ძმას→ძმამ და სხვ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებით ძველი ქართულისაგან, სადაც /-მ/ {-ი}-ს დასუსტების შედეგადაა მიღებული და წინამავალ ხმოვანთან ერთად დიფთონგის შექმნის ტენდენციით არის განპირობებული (რაც არსებითად სწორედ ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის მორფოლოგიურ სტუქტურაზე დაწოლის შედეგია), კახურში სულ სხვა ვითარებაა და მ {-ს}-ს ბგერინაცვალაია. ასე რომ, პოზიციები კი ემთხვევა, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებულები არიან. მაგ.:

ძველი ქართული	კახური
V-# ძმა	პენსიამ ვილეფ
V-C წყაროდსა, წყაროდთა	დედამთან გავგ ზანე

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებთან შესაძლოა სულ დაიკარგოს (რედუცირდეს). მაგალითად, ნაცვალსახელებთან: იმა უთხარი რაცხა (აჭარული), მგა დავჭრი (ზემოიმერული), იმა მოყვებიან (რაჭული). ანალოგიური ვითარება შეინიშნება ქვემოქართლურშიც, მაგრცობი ხმოვანის წინა პოზიციაში: სახლა (სახლსა) ვგვიდი (ჯორბენაძე, 1998, 550-551).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული შემთხვევები ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე განხორციელებული მოვლენებია და რეალიზება იმ შესაძლებლობებისა, რომელიც ენის მორფოლოგიური სისტემითაა შეპირობებული, მაგრამ იმავდროულად ამ მოვლენებს აქვთ თავისი აკრძალვებიც, კერძოდ, როცა რომელიმე დიალექტში გვაქვს -ი→-მ (ძმა-ი→ძმა-მ) არ დაიშვება პარალელურად -ს→-მ და პირიქით. მაგ.:

მესხური	კახური
სახ. დედა-მ	დედა-(ი)
ძიც. დედა-ს (//-ჰ)	დედა-მ

ცხადია, რომ თუკი ერთსა და იმავე სისტემაში განხორციელდებოდა -ი→-
ო და -ს→-ო გადასვლები, მაშინ მოხდებოდა სახელობითი და მიცემითი
ბრუნვის ფორმათა აღრევა. დიალექტები კი სწორედ იმით განსხვავდებიან
ერთმანეთისაგან, რომ ამ ვარიანტებიდან ერთ-ერთს ამკვიდრებენ აღნიშნული
აღრევის თავიდან ასაცილებლად.

რაც შეეხება თანხმომავანფუძიან სახელებს, ისინი მიცემით ბრუნვაში /-Ø/
ალომორფითაა რეალიზებული ყველა იმ დიალექტში, სადაც ხმოვანფუძიან
სახელებთან დაჩნდება ს→ჰ//ო, ასევე შეინიშნება მთის დიალექტებშიც. მაგ.:
კაც-Ø უთხრა (**კახური**) ქალ-Ø უხმო (**ქართლური**). აღნიშნულ მაგალითებში
„ცს“ და „ღს“ არაკანონიკური, ენისათვის არაბუნებრივი კომპლექსებია და
სუპერაციის შედეგად იკარგება ბრუნვის ნიშანი.

ასევე არაკანონიკური კომპლექსის სუპერაციას მიმართავს **იმერული
დიალექტის ვანური თქმა**, სადაც მიცემით ბრუნვაში თანხმომავანფუძიან
საზოგადო სახელებთან ი ნიშანი წარმოჩნდება. მაგ.: ყიდულობს *სახლის*, ჭამს
კიტრის და სხვ. აქ სუპერაცია ხდება სახელობით ბრუნვის -ი სუფიქსის
ფუძესთან შეხორცების ხარჯზე ძლიერი პოზიციის შექმნით. აღნიშნული
მაგალითები დასტურდება იმერული დიალექტის სხვა თქმებშიც. მსგავსი
ფორმები ქართულში გამოავლინა ქეთევან ძოწენიძემ უხუთის მეტყველების
მიხედვით: კაცი-ს (კაცს), ბოფში-ს (ბავშვს), ქალი-ს (ქალს) და სხვ.

ანალოგიური შემთხვევები დაჩნდება **ჭანურშიც**, სადაც სახელთა
მხოლოდობით რიცხვში აღარ არსებობს თანხმომავანთ დაბოლოებული ფუძე იმის
გამო, რომ ფუძისეულ ბოლო თანხმომავანთა მომდევნოდ ფონემატურად
შეუთავსებელი იყო მოთხრობითის /-ქ/ და მიცემითის /-ს/ ნიშნები. ამის გამო
თანხმომავანთ დაბოლოებულმა ფუძეებმა მიხორცეს სახელობითის -ი სუფიქსი
და დაუკარგეს რა ბრუნვის გამოხატვის უნარი, აქციეს ფუძის შემადგენელ
ნაწილად. მაგალი-თად: კოჩი-ქ (კაცმა), კოჩი-ს (კაცს).

აღნიშნულ ფუძეებს მრავლობით რიცხვში -ევ სუფიქსი უნდა დართვოდა
(კოჩ-ევ). მაგრამ ფონემატური შეუთავსებლობა /ფ/ თანხმომავანთა /-ქ/
სუფიქსთან მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში მრავლობითობის -ევ
სუფიქსს უხორცებს სახელობითის /-ე/ ნიშანს და ვიღებთ -ევე-ს, რომელიც
აწარმოებს მრავლობით რიცხვს. მაგ.: (კოჩ-ევე-Ø, კოჩ-ევე-ქ, კოჩ-ევე-ს...)

თუ სახელი წარმოშობითვე ხმოვანფუძიანია (კუჩხე, ბუცხა, კატუ), მაშინ
მორფოლოგიური მოდელის რეალიზაცია ხდება ფონეტიკურ ცვლილებათა
გარეშე (კუჩხე-ქ, კუჩხე-ს და სხვ.) ამ შემთხვევაში მორფოლოგიური
ცვლილებები ხდება მრავლობით რიცხვში. ფონემატურად მიუღებელია:

1. ხმოვანთა კომპლექსები (ფუძისეული ხმოვანი + ევ სუფიქსის ე
ხმოვანი), ამიტომ მეორე ე (სუფიქსისა) იკარგება.

2. ევ სუფიქსში ფ-ს მომდევნოდ -ქ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი. ამ
შემთხვევაში ხდება სახელობითის -ე სუფიქსის მიხორცება მრავლობითობის
ნიშანთან (ფუნქციის დაკარგვით). შედეგად მივიღეთ მრავლობითობის {-ევ}

სუფიქსის ახალი ვარიანტი /-ფე/. მაგ.: ბუცხა-ფე-Ø, ბუცხა-ფე-ქ, ბუცხა-ფე-ს და სხვ.

აღნიშნული მორფონოლოგიური ცვლილებები ხდება **მეგრულშიც**, სადაც მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში ბრუნვის ნიშანთა მომდევნოდ, აუსლაუტში არაბუნებრივ თანხმოვანკომპლექსთა დასაძლევად ჩნდება ი, უ და გ ხმოვნები, რომლებიც იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ფუძესთან შეხორცებული ფუნქციადაკარგული სახელობითის -ი (კოჩი-ქ, კოჩი-ს...).

ი. ყიფშიძის აზრით, ჭანურისაგან განსხვავებით მეგრულში, სონორით დაბოლოებული ფუძეები არ საჭიროებენ სახელობითი ბრუნვის /ი/ ხმოვნის მიხორცებას. მაგ.: ოსურქე (ცოლმა), ქომონცე (ქმარს), ნგერქე (მგელმა), ღობერსე (ღობეს) (ყიფშიძე 1914, 22).

მ. ციკლიამ ამავე კილოებში დაადასტურა /უ/-თი დაბოლოებული ფორმები მოთხრობითსა და მიცემითში: ოსურქე (ცოლმა), ღუმსუ (ღომს) და სხვ. (ციკლია 1954). აღნიშნული ფორმები ადასტურებენ, რომ სონორით დაბოლოებული ფუძეები ბრუნვის ნიშნებთან ისევე საჭიროებენ ძლიერ პოზიციას მოთხრობითსა და მიცემითში, როგორც ჩქამიერი თანხმოვნებით დაბოლოებული ფუძეები. /გ/-სა და /უ/-ს ვხვდებით მრავლობით რიცხვშიც: კოჩეფქე, კოჩეფქუ. შესაძლოა მათ ადგილზე -ი იყოს: ოსურქი, ჭკიდქი და სხვ. ი. ყიფშიძის მიერ მოყვანილი ფორმები ჭკიდქი და ჭკიდქი სენაკურში მორფონოლოგიური ცვლილების თვალსაზრისით ტოლფასი ფორმებია. მაგ.: -დქ კომპლექსის სუპერაცია პირველ შემთხვევაში ხდება სახელობითის -ი სუფიქსის მიხორცებითა და ძლიერი პოზიციის შექმნით, მეორე შემთხვევაში კი აუსლაუტში განვითარებული ი ხმოვნით. ამ ბოლო /ი/-ს საშუალებით მარცვალთგამყარი გაივლის /დ/-სა და /ქ/-ს შორის (ჭკიდ-ქი).

ზემოთ აღნიშნული გ, შეიძლება დაჩნდეს სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის. მაგ.: ბალ-გ-ს (**სამურზაყანოული**) და სხვ. ორსავე შემთხვევაში, იქნება ეს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის თუ ბრუნვის ნიშნის შემდეგ, ი, უ და გ ანაპტიქსური ხმოვნების საშუალებით ხდება არაბუნებრივი თანხმოვანკომპლექსების სუპერაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ენისათვის.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ზოგ დიალექტში სუპერაციის შედეგად შეიძლება დაიკარგოს ფუძის თანხმოვანი. მაგ.: **რაჭულში** (სოჭის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში) დასტურდება ფორმები: სახლს>სახს, ძაღლს>ძაღს (მიქიაშვილი 1982), ამ მაგალითებში -ხს, -ღს კომპლექსების სახით ფონემატური შეუთავსებლობა მაინც რჩება, მაგრამ /ლ/-ს დაკარგვა მიცემით ბრუნვაში უთუოდ ფონემატური მოთხოვნით ხორციელდება (შდრ. სახლი, ძაღლი, სადაც /ლ/ არ იკარგება, რადგან ხმოვანი მოსდევს და კახური: ძაღლ-Ø, სახლ-Ø (ძაღლს, სახლს), სადაც სუპერაცია ბრუნვის ნიშნის დაკარგვით ხდება). მსგავსი ვითარება შეინიშნება **მეგრულშიც**, სადაც სუპერაცია რიგ შემთხვევებში ფუძის თანხმოვნის დაკარგვითაც ხდება. ტ. გულაფა და თ. გამყრელიძე აღნიშნავენ, რომ როცა თანხმოვანფუძიან სახელებს დაერთვის თანხმოვნიანი სუფიქსი -ქ ან -ს, წარმოიქმნება ხან კანონიკური და ხანაც

არაკანონიკური მიმდევრობები. არაკანონიკურის შემთხვევაში ხდება ფონეტიკური ცვლილებები. მაგ.: კოჩ-ს→კო-ს (კაცს), დუდ-ს→დუ-ს (თავს), ღორონ-ს → ღორონ-ს (ღმერთს),(იკარგება ფუძის თანხმოვანი), ხოლო ლ-ზე დაბოლოებული ფუძეები ბრუნვის პარადიგმაში ქმნიან მიმდევრობებს ლ-ქ (მოთხრობითში) და ლ-ს (მიცემითში), რომლებიც ასევე გარდაიქმნებიან კანონიურ რ-ქ და რ-ს მიმდევრობებად. მაგ.: თოლი (თვალი), თოლ-ქ→თორ-ქ (მოთხრ.); თოლ-ს→თორ-ს (მიც.) (გუდავა, გამყრელიძე 1981, 212).

სენაკურში ხშირად იკარგება მრავლობითი რიცხვის მორფემისეული თანხმოვანიც. მაგ.: ჩიტ-ეფ-ი (ჩიტები) →ჩიტ-ენ-ს//ჩიტ-ე-ს და მისთ.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს ეხმიანება **სვანურ** პოეზიაში დადასტურებული ჯანი-დ, ჯანი-ს ტიპის მოთხრობითისა და მიცემითი ბრუნვის ფორმები. სპეციალისტები აქაც /ი/-ს მიიჩნევენ სახელობითის მიხორცებულ ნიშნად, რომელსაც, რა თქმა უნდა, ძველი ფუნქცია აღარა აქვს, იგი ფუძის შემადგენელი ნაწილია (კონსტიტუენტია) მხოლოდ. როგორც ვხედავთ, **სვანურშიც** სრული იზომორფიზმი გვაქვს **ქართულ-ზანურთან**.

ზემოთ განხილული მორფონოლოგიური ცვლილებების სახით საქმე გვაქვს იმ პროცესთან, რომელიც საერთოა ქართველური ენებისათვის და განპირობებულია მათი მორფოლოგიური და ფონემატური სტრუქტურის დიდი მსგავსებით.

/ი/-ს შეხორცება ფუძესთან დასტურდება ანთროპონიმებშიც, რაც კანონზომიერი მორფონოლოგიური პროცესია და სამწერლობო ენასა (ლიტერატურულ ქვესისტემას) და დიალექტებთან ერთად წარმოდგენილია სხვა ქართველურ ენებშიც; მაშასადამე, ფატმანის, გურამის, ეთერის და სხვ. სახელები -ი ხმოვნის ფუძეზე მიხორცებით თავიდან იცილებენ ფონემატურ უხერხულობას, რომელიც იქმნება მიცემით ბრუნვაში ფუძისეული თანხმოვნისა და ბრუნვის ნიშნის -ს სუფიქსის ერთად შეყრით ანთროპონიმთა აბსოლტურ ბოლოში (აუსლაუტში).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიცემით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებთან /-ს/ და /- Ø/ ალომორფების განაწილება სპეციალურ ფონეტიკურ წესს მისდევს მთის დიალექტებში (**ხევსურული, თუშური, ფშაური**). გარჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ სინტაქსურად რა ფუნქციით არის გამოყენებული სახელი. აღნიშნული ფუნქციური (სემანტიკური) სხვაობა გავლენას ახდენს ფონემების მორფოფონემატურ ცვლილებათა ხასიათზე. იმ შემთხვევაში, როცა მიცემითში დასმული სახელი აქტანტია (S, O^d, O^{ind}), მაშინ /-ს/ შენარჩუნებულია. მაგ.: დასქსოვენ **ტოლებ-ს (ხევსურული)**, **კოდ-ს სანთელ-ს** დააკრავს (**თუშური**) და სხვ., მაშინ კი, როცა გამოიხატება რომელიმე გარემოება /-ს/ იკარგება და გვაქვს /- Ø/. მაგ.: თიანეთს მიდის→*თიანეთ*,... ამ ზამთარს ადრე ჩამოვა→ამ *ზამთარ*... (**ფშაური**); ასე ვსწვებოდით *ზამთარ* (ზამთარს/ზამთარში), *ზაფხულ* (ზაფხულს/ზაფხულში) კი ლეიბები გვქონდა (**რაჭული დიალექტის რიენისთაური კილოკავი**), წინ-წინ თქვენ

გადაზრუნვებით *ბაზტიონ* გალავანზედა (მდრ.: განა მახყარე ლაშქარი, *ბაზტიონს* დაეც ღამითა) (**ხვესურული**) (შანიძე 1931).

ძველი ქართულის ვითარებაზე საუბრისას განვიხილეთ მსგავსი მაგალითები, სადაც /-სა/ ალომორფი გვაქვს, როცა სახელი აქტანტია, ხოლო /-ს/, როცა გარემოებაა: ჰურიასტანს, სამარიას, პალესტინას და სხვ. აღვნიშნეთ, რომ ამ მაგალითებში /-ს/ წარმოქმნის ელემენტია, დერივანტია და არა ფლექსიური ელემენტი: იმის გამო, რომ -ს ელემენტს წინადადებაში სხვა სიტყვებთან გრამატიკული კავშირის განხორციელება აღარ ეკისრება, იგი გარემოების ფორმის შემადგენელად იქცევა და მისი ლექსიკური მნიშვნელობის შექმნაში დებულობს მონაწილეობას და, მაშასადამე, წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა (უთურგაიძე 1986, 92).

თანხმოვანფუძიან სახელებთან **გურულში** ლ სონანტის მომდევნოდ -ს→-ც: სულს→სულც, სადილს→სადილც, ადვილს→ადვილც და სხვ.

გურულის მსგავსად მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს→-ც **მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში** თანხმოვანფუძიან სახელებთან. მაგ.: გურ-ც (გულს), თოლ-ც (თვალს), ჩხომ-ც (თევზს) და სხვ. გურულსა და მეგრულს შორის ამ მსგავსებით ერთი და იმავე ტენდენციის ურთიერთ-დამოუკიდებლად გამოვლენის ფაქტთან უნდა გვექონდეს საქმე და უშუალო გავლენა უნდა გამოირიცხოს, რადგან გურულთან ტერიტორიულად ახლო მყოფი სენაკური კილოკავისათვის -ს→-ც დამახასიათებელი არ არის. თანაც, გურულისაგან განსხვავებით მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში პროცესი უფრო შორს წასულია: -ც დაჩნდება ყველა თანხმოვანთან, გურულში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ, გვაქვს -ლ სონორის მომდევნოდ (ამ პოზიციაში მეგრულში ზოგჯერ ფუძისეული -ლ→-რ: ჩილი(ცოლი)→ჩირ-ს(ცოლს)).

მიცემით ბრუნვაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ ემფატიკური -ა ხმოვნის სტატუსისა და გამოყენების საკითხს სამწერლობო ენასა და დიალექტებში, რამდენადაც ა-ს, როგორც ენობრივი სისტემის ელემენტს ქრონოლოგიურად განსხვავებულ პერიოდებში განსხვავებული ფუნქციები ჰქონდა. ძველ ქართულში იგი იძენს მორფოფონემატურ ფუნქციას და ხელს უწყობს ბრუნვის ნიშანთა რეალიზაციას ფონემატურად არაბუნებრივ პოზიციებში. განსაკუთრებით ეს ითქმის მიცემითი ბრუნვის ფორმებზე, როცა ბრუნვის ნიშანზე თანდებულებისა და ნაწილაკების დართვისას აუსლაუტში ენისათვის არაბუნებრივ თანხმოვანთკომპლექსების დაძლევა ხდება ამ ა-ს საშუალებით (ქმნის ძლიერ პოზიციას).

-ც, -ცა... ნაწილაკთა დართვისას სიტყვა-ფორმა აუცილებლად განივრცობა. მაგ.: სახლსაც, კაცსაცა და სხვ. „კაცსაცა“ ფორმაში ხმოვნებს შორის იქმნება ქართულისათვის ფონემატურად არაბუნებრივი კომპლექსი -ცსც, რომელიც ისე ვერ გაიყოფა, რომ წინა ხმოვნის იმპლოზიასა და მომდევნო ხმოვნის ექსპლოზიაში ერთდროულად შეიქმნას ენისათვის ბუნებრივი კომპლექსები (კაც-სცა, კაცს-ცა... ეს კომპლექსები არაბუნებრივია ენისათვის). აღნიშნული

წინააღმდეგობის დაძლევის (სუპერაციის) საშუალებას გვაძლევს სწორედ ბრუნვის ნიშნის მიხორცებული /ა/ ვარიანტი: კაც-სა-ცა, კაც-სა-ც, კაც-სა...

-ვე, -ლა და სხვა ნაწილაკებთან თანამედროვე ქართულში დასტურდება სახელის როგორც გავრცობილი, ისე გაუვრცობელი ფორმები. მაგ.: კაცსვე //კაცსავე, კაცსლა//კაცსალა (არნ. ჩიქობავა, ქველ-ი), თუმცა საგულის-ხმოა, რომ ძველ ქართულში იგი უმეტესად ემფატიკური ა-თია წარმოდგენილი. მაგ.: ადგილსა-ვე...(მ. 26, 52), ყოველსა-ვე... (მრ. 7, 37), იესუსა-ლა... (ი. 19, 33). კაცსა-ლა... (მ. 25, 44ჩ) და სხვ. (იმნაიშვილი 1957, 358-360). როგორც ვხედავთ, ძველი ქართულისათვის ბუნებრივი ფორმებია: ადგილსა-ვე, იესუსა-ლა და მისთ.

ახალ ქართულში ა-ს შემონახული აქვს მორფონოლოგიური ფუნქცია. ამასთან, იგი იძენს ახალ თვისებას, ტექსტში დიერემის დანიშნულებას. ამიტომ, გარკვეულ შემთხვევებში დღეს -ა, როგორც დიერემა ფონემატურად არ არის შეპირობებული. მაგ.: თანხმოვანფუძიანი თანდებულების მომდევნოდ – ძმასთან, გოგოსავით და სხვ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სახელის ფორმებში მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიზეზებისა და მიმართულების დასადგენად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ფონემათა სინტაგმატური თვისებები: ყოველი ჩქამიერი თანხმოვანი მის წინ მდგომი თანხმოვნებისაგან გარკვეულ პოზიციებში (#-V და V-#) უნდა განსხვავდებოდეს კლასით, მეტი იყოს მასზე ნაპარალოვნობით და იყოს ჰომოგენური.

ამ ნიშნების მიხედვით თანამედროვე ქართულში ს ბუნებრივ კომპლექსებს შექმნის /ფ/-სა და /ქ/-ს მომდევნოდ და /ვ/-ს (სადაც შემონახულია). დანარჩენ შემთხვევებში იქმნება არაბუნებრივი კომპლექსები. მაგ.: კაცს, საბაბს, თავს, ხატს, მხეცს, ვერძს და სხვ. (უთურგაიძე 1986, 108)

იქიდან გამომდინარე, რომ ქართული ენა გაურბის აბსოლტურ ბოლოში (აუსლაუტში) თანხმოვანთა თავმოყრას, მაშინ, როცა მიცემითი ბრუნვის ნიშნის დართვისას მორფემათა ზღვარზე ჩნდება არაბუნებრივი თანხმოვანთ-მიმდევრობები, ენა სხვადასხვა საშუალებას მიმართავს მათი სუპერაციისათვის, ანუ, თუ მორფოლოგიური მოდელი ვერ ახერხებს თავის დაცვას, როგორც ხშირად ხდება სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, შექმნილი მდგომარეობიდან არსებობს რამდენიმე გამოსავალი (სუპერაციის გზა):

1. იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი:
კაც-Ø დაუძახა, *ქალ-Ø*უნმო (**ქართლური, კახური**)
თანდებულების დართვისას: სახლ-თან, ხე-ზე...
2. იკარგება ფუძის თანხმოვანი:
სახლ-ს→სახ-ს, ძალ-ს→ძალ-ს (**რაჭული**)
ღუდ-ს→ღუ-ს, ღორონთ-ს→ღორონ-ს (**მეგრული**)
3. იქმნება ძლიერი პოზიცია:
ქალი-ს დაუძახე, *კიბრი-ს* ჭამს (**იმერული**)

კოჩი-ს (ჭანური), ჯანი-ს (სვანური)

ჩვენი აზრით, ამ მაგალითებში ი-ს დაკარგული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშნის ფუნქცია და შეხორცებულია ფუძესთან (ქართულ დიალექტებში ჭანურისებრი ვითარებაა).

ძლიერი პოზიცია იქმნება აგრეთვე ბრუნვის ფორმაზე თანდებულისა და ნაწილაკების დართვისას ემფატიკური ა-ს საშუალებით: კაც-სა-ც, ბუ-სა-ვით.

მიცემით ბრუნვასთან დაკავშირებული მორფოლოგიური ცვლილებების განხილვის შედეგად ცხადი ხდება, რომ ის, რაც არაბუნებრივია სალიტერატურო ქართული ენისათვის, არაბუნებრივია დაილექტებისთვისაც. საერთოა წინააღმდეგობა მორფოლოგიურსა და ფონოლოგიურ დონეებს შორის. განსხვავებულია ამ წინააღმდეგობის დაძლევის (სუპერაციის) გზები.

ლიტერატურა

გივინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ი. გივინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ. 1961.

გუდავა, გამყრელიძე 1981 – ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთ-კომპლექსები მეგრულში, თსუ კრებული „აკაკი შანიძეს“, თბ. 1981.

იმნაიშვილი 1957 – ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ. 1957.

მიქიაშვილი 1982 – ო. მიქიაშვილი, ქართული ენის დიალექტთა შერევა და ინტერფერენციის საკითხები (სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების მიხედვით), თბ. 1982.

სარჯველაძე 1975 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1975.

უთურგაიძე 1976 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ. 1976.

უთურგაიძე 1986 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ. 1986.

შანიძე 1931 – ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ. 1931.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ. 1936.

ციკოლია 1954 – მ. ციკოლია, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა; დ. გულაის სახ. აფხაზეთის ენის, ლიტ. და ისტ. ინსტ. შრომები, ტ. XXV, სოხუმი 1954.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ. 1989.

ჯორბენაძე 1998 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ. 1998.

ყიფშიძე 1914 – Кипшидзе И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка. СПб., 1914.

The Dative Case According to Morphological Aspect

Summary

The paper discusses the Dative case and some morphological changes which take place, when adding inflectional elements to the root of a noun. These changes cause a superation of unnatural phonemic complexes in Georgian language.

The research also deals with allomorphs of the Dative case and the rules of their distribution in each subsystem from both synchronical and diachronical points of view. Standard Georgian has been compared to dialects and other Kartvelian languages. Some regularities, similarities and differences have been noticed after the comparison.

Investigation of the morphological changes related to the Dative case has shown that what is not natural for Standard Georgian, is not natural for dialects either. The contradiction between the morphological and phonological levels is the same in these systems. The ways of overcoming (superation) of these contradictions are different.

**სვანური ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული
ინტერფერენციული მოვლენები**

სვანური ზმნა, ისევე, როგორც ზოგადად ქართველური, პოლიპერსონალურია: მასში აისახება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირები. „ქართველური ზმნის მექანიზმი საერთოდ რთულია, მაგრამ სვანურისა — განსაკუთრებით“ (თოფურია 2002, 175). ამ სირთულის ერთ-ერთი საფუძველი ენაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის არსებობაა, რაც გულისხმობს მრავლობითი რიცხვის I პირში I (ან I და III) პირთან ერთად II პირის გათვალისწინებას ან მის გამორიცხვას. „ინკლუზივი მაშინ არის, როცა ჩვენ შეიცავს „მე და „შენ“ || „თქვენ“-ს; ექსკლუზივის „ჩვენ“ კი გულისხმობს I და III პირს: „მე“ და „ის“ || „ისინი“ (თოფურია 1967, 1; შანიძე 1973, 169).

ინკლუზივ-ექსკლუზივის მქონე ენათა დიდ ნაწილში შესაბამისი სემანტიკა აფიქსებით არ გამოიხატება, სვანურში კი ინკლუზივ-ექსკლუზივი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც აისახება არა მარტო ზმნაში, არამედ კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის I პირის ფორმაშიც.

ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა თანამედროვე სვანურ დიალექტებში განსხვავებულია: ქვემოსვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში აქვს ადგილი, ზემოსვანურ დიალექტებში კი — როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში (თოფურია 2002, 176-177; ონიანი 1998, 147).

სუბიექტის ინკლუზივის გამოსახატავად სვანურ ზმნაში გამოიყენება **ლ-** (**ლგ-**, **ლუ-**) — **-დ** აფიქსები: **ლ-აშხი-დ** „ვწავთ მე || ჩვენ + შენ || თქვენ“, **ლგ-დგე-დ** „ვაქრობთ მე || ჩვენ + შენ || თქვენ“, **ლუ-ხჷრე-დ** „ვანგრევთ მე || ჩვენ + შენ || თქვენ“, სადაც **ლ-** პირველი და მეორე პირის მაჩვენებელია, **-დ** კი მრავლობითისა.

სუბიექტის ექსკლუზივი მხოლობითი რიცხვის ფორმისაგან ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან მხოლოდ მრავლობითობის **-დ** სუფიქსით განსხვავდება, I პირის სუფიქსი **ხჷ-** კი საერთოა ორივე რიცხვისათვის: **ხჷ-აშხი-დ** „ვწავთ მე || ჩვენ + ის || ისინი“, **ხჷ-ამარე-დ** „გამზადებთ მე || ჩვენ + ის || ისინი“, **ხჷ-ამნე-დ** „ვაჭმევთ მე || ჩვენ + ის || ისინი“. თანხმონით დაწყებული ფუძეების წინ კი I პირის ნიშნად **-ჷ-** გვაქვს ინფიქსის სახით და ექსკლუზივი ამ შემთხვევაშიც **-დ** სუფიქსით განსხვავდება მხოლობითისაგან: **ღური-დ** (< **ღჷგრი-დ**) „წავალთ“ Se, **ღჷიგე-დ** „ვაქრობთ“ Se, **კჷიშე-დ** „ვტყობთ“ Se.

ობიექტური პირის ინკლუზივის (Oi) ნიშანია **გჷ-** — ხმოვნების წინ, **გჷ-(აგჷ-გ)** — თანხმოვნების წინ: **გჷ-აშხი** „გვწავს მე || ჩვენ + შენ || თქვენ“, **გჷ-ამარე** „გვამზადებს მე || ჩვენ + შენ || თქვენ“, **გჷ-ტხე** „გვაბრუნებს მე || ჩვენ + შენ || თქვენ“, ექსკლუზივისა (Oe) — **ნ-**: **ნ-აშხი** „გვწავს მე || ჩვენ + მას || მათ“, **ნ-ამარე** „გვამზადებს მე || ჩვენ + მას || მათ“, **ნ-ტხე** „გვაბრუნებს მე || ჩვენ + მას || მათ“. ორივე პრეფიქსი კარგადაა შემონახული ზემოსვანურში, ქვემოსვანურში კი მხოლოდ **გჷ-** არის დაცული (თოფურია 1967, 15), მაგრამ, რადგანაც ინკლუზივი და ექსკლუზივი სუბიექტური აფიქსებით აქაც წარმოდგენილია და ეს მოვლენა უცხო არ არის, მკვლევართა (აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, გერჰარდ დეეტერსი,

კარპეზ დონდუა, თამაზ გამყრელიძე, ალექსანდრე ონიანი, ზურაბ სარჯველაძე, თეიმურაზ მეტრეველი) აზრით, ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციას ისტორიულად ლაშხურსა და ლენტეხურში ისევე უნდა ჰქონოდა ადგილი, როგორც ზემოსვანურში.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვს არნოლდ ჩიქობავას. ის არ ეთანხმება ენათმეცნიერთა იმ ნაწილს, რომლებიც „სწორედ სვანურზე დაყრდნობით იძლეოდნენ ძველი ქართულის ფორმის თავისებურ განმარტებას: **გუ- || მ-** პრეფიქსთა გამოყენება ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოვლენაა“. მისი აზრით, „სვანურში **გუ-**ს ამ ფუნქციით აღჭურვა უნდა დაწყებულიყო დიალექტთა თუ ენათა შერევის შედეგად, როცა ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა **გუ- || ნ-** პრეფიქსები; მათი სიმბიოზის პროცესში **გუ- || ნ-** ფუნქციათა გამიჯვნა მივიღეთ, სადაც **გუ-**კილოს ხვედრი წონა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე **ნ-**სი (**ნ-** ფენის მატარებელი კი ზემოსვანეთის თემებში არიან წარმოდგენილი); ძველ ქართულში **გუ-** პრეფიქსი არც მრავლობითის ნიშანი იყო (გან-გუ-ახლ-**ნ-**ა) და არც მისი ინკლუზიურობის მაჩვენებელი“ (ჩიქობავა 1946, 120).

ვარლამ თოფურია ქვემოსვანურში ობიექტური ინკლუზივისა და ექსკლუზივის გაქრობაში ქართულს „სდებს ბრალს“. მკვლევარი ვარაუდობს, რომ „უკანასკნელის გავლენით შეგნება ინკლუზივ-ექსკლუზივისა „შესუსტდა“ და ამას შედეგად **ნ-**ს დაკარგვა მოჰყვა. ობიექტურებთან დაკავშირებით ეს იმიტომ მოხდა, რომ ქვემოსვანურს **გუ-**ს სახით საერთო ფორმანტი მოეპოვებოდა მის გამვლენელ ქართულთან“. გამოთქმული მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად ვარლამ თოფურია უმეტესად იშველიებს, რომელშიც, ლაშხურის გავლენით, **გუ-**სა და **ნ-**ს ხმარების წესი საკმაოდ არეულია და ამას ინკლუზივ-ექსკლუზივის შორის არსებული სხვაობის წაშლისა და **ნ-**ს დაკარგვის დასაბამად მიიჩნევს (თოფურია 1967, 25). თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ მაგალითებს უმეტესად ტექსტებიდან:

ლიცჷწალ-ლითალ აგჷჩჷდ, დემ ხჷითალდ „ჩხუბი-გაყრა (გაყოფა) მოგვიხდა, ვერ ვიყოფით“ (შდრ. **აგჷჩჷდ** „მოგვიხდა, მოგვივიდა“ **Oi, ხჷითალდ** „ვიყრებით, ვიყოფით“ **Si**).

— **სერ მჷ ჩაკუნ?** „კიდევ (მეტი) რა გინდათ?“

— **ნჷა გჷაკუჩ:** **მარჷ ნლას ჩაგჷთინე** „ჩვენ გვინდა (**Oi**), ვინმე ეს გაგვიყოს (**Oi**)“... (სვ. პროზ. ტექსტები I, 1939, 68).

ბაბა, ნიშგჷე მგრდი, ნჷა ჩაშგჷემდ, ლთხჷართე ოგჷფუშდი! „მამა, ჩვენო გამაზრდელი, ჩვენ გთხოვთ სანადიროდ გაგვიშვა (**Oi**)!“

მჷა ჩეკჷეს, ეჯა გჷჷყრ! „რაც გინდოდეს, ის დაგვმართე (გვიქენი)!“ (იქვე გვ. 60). უმეტესად კილოკავში დადასტურებული მაგალითები არნოლდ ჩიქობავას ძველი ქართულის **გადმოგვითარგმნე ჩუენ** რიგისად მიაჩნია და ფიქრობს, რომ საქმე გვაქვს **გუ-** პრეფიქსის ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებასთან და არა მის აღრევასთან. „სადაც **გუ- || ნ-** პრეფიქსიან ფორმათა გამიჯვნა არ ხერხდება, იქ სწორედ ძველი ვითარებაა დაცულიო“ — აღნიშნავს იგი (ჩიქობავა 1946, 120).

მსგავსი შეხედულება აქვს აღნიშნულ საკითხზე დამანა მელიქიშვილს. იგი ვარაუდობს, რომ სვანურის სუბიექტურ უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება საერთოქართველურიდან გამოყოფის შემდეგ მოხდა, ხოლო ქართულში სუბიექტურ უღვლილებაში ეს დაპირისპირება არ განვითარებულა და ობიექტურშიც თანდათან მოიშალა, რასაც ხელი შეუწყო ექსკლუზივის ფორმის ობიექტური პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმასთან სრულმა დამთხვევამ (მელიქიშვილი 1980, 187).

მისი აზრით, ექსკლუზივის კატეგორიის ნიშნით გაფორმება ობიექტურ უღვლილებაში მეორეული მოვლენაა. სუბიექტურ უღვლილებაში კი დაცულია

ამოსავალი ვითარება: ექსკლუზივის ნიშანი არა აქვს, მაგრამ სვანურში იგი ფორმით მაინც განსხვავდება მხოლობითის ფორმისაგან მრავლობითი რიცხვის სუფიქსით: S_1 — **ხუწი** „ვწავ“; S_1 — **ლწი** „ვწავთ“, S_2 — **ხუწი** „ვწავთ“.

გუ- პრეფიქსი, ისტორიულად ინკლუზივის ნიშანი, $O_2 + O_1$ პრეფიქსთან კომბინაციითაა შედგენილი (თოფურია 67, 26): **გმ > გუ**; ექსკლუზივის ნიშანი ისტორიულად არ ჰქონია, რადგანაც განსაკუთრებულ აფიქსს მხოლოდ მეორე პირის არსებობა საჭიროებდა. ობიექტურ უღვლილებაში მხოლობითის ფორმისაგან განსხვავების საჭიროებამ გზა გაუხსნა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას: **ნა მაყა > ნა ნაყა** — „ჩვენ (მე || ჩვენ + შენ || თქვენ) გყავს“ და, ამგვარად, სვანურში ობიექტურ უღვლილებაში ექსკლუზივის ნიშნად საბოლოოდ გაფორმდა **ნ-** პრეფიქსი — აღნიშნავს დამანა მელიქიშვილი. სუბიექტურ უღვლილებაში კი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევა შედარებით გვიანდელ მოვლენად მიაჩნია, ამიტომაც მის გამოხატვის წესს არ დასდებია საფუძვლად ორი პირის ნიშნის კომბინაცია (მელიქიშვილი 1977, 164-165).

ამ მოსაზრების სისწორის შემთხვევაში იხსნება წინააღმდეგობა, რომლის შესახებაც საუბრობს ვარლამ თოფურია სვანური ზმნის პირთა ფორმანტების გენეზისთან დაკავშირებით; თუ დავუშვებთ, რომ **ხუ-** პრეფიქსში S_2 **ხ-** და S_1 **უ-** მონაწილეობენ, მაშინ **ლ-** (<*ნ-) სთან (S_3 : **ლ-გგ** „დგას“, **ლ-ჰჰ** „იყო“, **ლ-ალემ** „შეჭამა“, **ლ-ალიშ** „შესვა“) მოსალოდნელი იქნებოდა S_1 **უ-**, რომელიც, შესაძლოა, დაიკარგა, მაგრამ შედგენილობით **ხუ-** თითქოს S_2 **ხ-+S₁ უ-**ს წარმოადგენს, ნამდვილად კი S_1 და S_3 შეიცავს, ხოლო **ლ-** უნდა იყოს S_3+S_1 (**ლ-+უ->ლ-**), მაგრამ სინამდვილეში **I + II** პირებს გულისხმობს — აღნიშნავს იგი (თოფურია 1967, 29).

დამანა მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა „სუბიექტურ უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის ჩამოყალიბებისას სვანურში S_1 -ს პრეფიქსი უკვე **ხუ-**ს სახით იყო წარმოდგენილი და ამიტომ ინკლუზივის გამოხატვას საფუძვლად ვერ დაედებოდა S_1+S_2 ნიშანთა კომბინაცია, რადგანაც ეს ფორმები აბსოლუტურად დაემთხვეოდა ერთმანეთს (**ხუ- ათური-დ<*ნ-ხუ-ათური-დ — ხუ- ათური-დ**). ინკლუზივის ფუნქციით კი შეიძლება დატვირთულიყო ფუნქციადაკარგული პრეფიქსი **ლ-**, რომელიც, როგორც პირის ნიშანი, დღეს გადმონაშთის სახით დაცულია ხუთ ზმნაში“ (მელიქიშვილი 1980, 186).

როგორც უკვე ითქვა, მეცნიერთა დიდი ნაწილი არ ეთანხმება მოსაზრებას საანალიზო კატეგორიის მეორეულობის შესახებ და თვლის, რომ გარკვეულ საფეხურამდე ყველა ქართველური ენისთვის იყო დამახასიათებელი აღნიშნული ოპოზიცია, რომლის ნაშთებმა ძველ სალიტერატურო ქართულამდე მოაღწია.

ძველი ქართული და სვანური ენების მასალების ანალიზის საფუძველზე კარპეზ დონდუა მიიჩნევს, რომ **ინკლუზივ-ექსკლუზივი უძველესი კატეგორიაა სვანურში**; მათი მორფოლოგიური განსხვავებულობის კვალი აშკარაა ძველ ქართულშიც. "С течением времени, при ослаблении функции этой грамматической категории, последовавшем в связи с рождением новых форм восприятия действительности, префикс **გუ-** (**gu-**) начинает все больше и больше вытеснять свою эксклюзивную разновидность и, наконец, становится единственным объектным префиксом мн. числа в современном грузинском с его говорами, равно в нижнесванских диалектах, испытывающих вообще сильное влияние грузинского языка" — აღნიშნავს იგი (Дондуа 1967, 292). მკვლევრის აზრით **გუ-** პრეფიქსის **მ-**სთან შედარებით დაწინაურებას ძველ ქართულში შესაძლოა ხელი შეუწყო მხოლობითისა და მრავლობითის ფორმათა დიფერენციაციის სურვილმა: "Сравнительно большая последовательность в употреблении объектного префикса

მ- (მ-) в древнегрузинских текстах — одно из косвенных доказательств существования грамматической категории инклюзива и эксклюзива в древнегрузинском языке" (Дондуа 1967, 295); თუმცა, მოგვიანებით, ის გასაზიარებლად მიიჩნევს არნოლდ ჩიქობავას დებულებას, რომ **გუ**აქუს || **მა**ქუს ფორმათა სხვაობას ინკლუზიური გაგება საფუძვლად ძველ ქართულში არ უდევს და იქვე ფრთხილად შენიშნავს: პირველადია ეს კატეგორია სვანურში თუ მეორადი — ეს სხვა საკითხიაო (დონდუა 1967, 105).

ალექსანდრე ონიანი აღნიშნავს, რომ, მართალია, ძველ ქართულში **გუ** და **მ** პრეფიქსთა აღრიხდელი ფუნქცია მოშლილია, მაგრამ ზმნის უღლების სისტემაში ისინი კვლავ ტრადიციულად იხმარებიან და არქაული ვითარება აქვთ დაცული. სვანურში კი ამ მხრივ „უაღრესად შორეულ არქაიზმთან გვაქვს საქმე, ისეთ არქაიზმთან, რომელიც საერთო-ქართველურ ფუძე ენაში იღებს სათავეს და წარმოადგენს მის გაგრძელებას“ (ონიანი, 1965 231; 1998, 150). იგი არ ეთანხმება დამანა მელიქიშვილის მოსაზრებას, რომ „ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი — არა“ (მელიქიშვილი, 1977 162) და აყენებს საკითხს ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმაში პრეფიქსების (სვან. **ხუ-** და **მ-**, ქართ. **მ-**) ექსკლუზივის გამომხატველად მიჩნევის კანონზომიერების შესახებ, რომელთაც ასეთი ფუნქცია არა აქვთ მხოლოდითი რიცხვის ფორმაში. ალექსანდრე ონიანის აზრით, „ასეთი გაგება სრულიად კანონზომიერია, რადგანაც აღნიშნული პრეფიქსები ექსკლუზივს გამომხატავენ მხოლოდ ისეთ ფორმებში, რომელთაც მოეპოვებათ საპირისპირო ფორმები საპირისპირო (ინკლუზიური) მნიშვნელობით. ასეთია პირველი პირის მრავლობითი რიცხვი, სადაც **ხუ-** და **მ-** პრეფიქსებით წარმოქმნილ ექსკლუზივს უპირისპირდება **ლ-** და **გუ-** პრეფიქსებით წარმოქმნილი ინკლუზივის ფორმა. იგივე პრეფიქსები არ გამომხატავენ ექსკლუზივს ისეთ ფორმებში, რომელთაც არ მოეპოვებათ საპირისპირო (ინკლუზიური) მნიშვნელობის მქონე საპირისპირო ფორმები (I პირის მხ. რიცხვის ფორმა)“ (ონიანი, 1978, 242).

ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხს განიხილავს თეიმურაზ მეტრეველი ძველი ქართულის მონაცემებზე დაყრდნობით. დიდძალი ენობრივი მასალის (ჯრუჭ-პარზლისა და აღიშის ოთხთავები) ანალიზის შედეგად მკვლევარი ქრონოლოგიურად ადასტურებს: ა) **მ** პრეფიქსიან ფორმებს მხოლოდ ექსკლუზიური გაგებით; ბ) **გუ** პრეფიქსიან ფორმებს, რომელთაც აქვთ როგორც ინკლუზიური სემანტიკა, ისე ექსკლუზიურიც (ქართული ენის განვითარების ის სტადია, როცა გათანაბრების პროცესი უკვე საკმაოდ შორსაა წასული და სხვაობა **მ** და **გუ** პრეფიქსიან ფორმებს შორის ნაშთის სახითაა შემორჩენილი). ის აღნიშნავს, რომ გათანაბრება, უპირველეს ყოვლისა, **გუ** პრეფიქსიან ფორმებს შეეხება. თეიმურაზ მეტრეველის აზრით, ძველი ქართული ენის ძეგლებში აშკარად ჩანს ნაშთის სახით შემორჩენილი ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალი, თუმცა თავად კატეგორია ამ პერიოდის ცოცხალი სამეტყველო ენისთვის უცხოა; იგი ძველ ქართულში გაცილებით ადრე უნდა მოშლილიყო და ამიტომაც, რომ **მ**ანიანი ფორმების ხმარება ძველ ქართულში ერთგვარ არქაულ ელფერს ატარებს (მეტრეველი 1980, 187-190).

ზურაბ სარჯველაძე ძველი ქართული ენის მონაცემებთან მიმართებაში განიხილავს ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას და თვლის, რომ „სვანურისა და ძველი ქართულის მონაცემები საერთო-ქართველური ფუძე-ენის სისტემაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დაშვებისათვის საკმაო საფუძველს გვაძლევს, თუმცა ძველი ქართული ასახავს იმ ვითარებას, როცა **გუ-** და **მ-** პრეფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას კი არ აღნიშნავენ, არამედ ისინი მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშნის ალომორფებია. **მ-** ამ ფუნქციით თანდათან მოიშალა **გუ-** პრეფიქსის გაბატონების შედეგად“ (სარჯველაძე 1984, 407-408).

როგორც ვხედავთ ინკლუზივ-ექსკლუზივი ერთ-ერთი რთული კატეგორიაა, რომლის მიერ განვლილი გზის ინტერპრეტაცია არაერთგვაროვანია ქართველოლოგიაში. საანალიზო ოპოზიცია ქართველურ ენათაგან დღემდე მხოლოდ სვანურმა შემოინახა, თუმცა არა ყველა დიალექტმა. ვარლამ თოფურის დაკვირვებით, ბალსზემო სვანეთის ერთ-ერთი სოფლის — უშგულის მოსახლეობის მეტყველებაშიც ის შესუსტებულა.

ინკლუზივ-ექსკლუზივი ზემოსვანურ დიალექტთა კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც აისახება: **გუშგუე** (ბზ.), **გუიშგე** (ბქ.) „ჩვენი“ **Oi**, **ნიშგუე** (ბზ.), **ნიშგე** (ბქ.) „ჩვენი“ **Oe**. ვარლამ თოფურის აზრით, **შგუ**-ს ეკვივალენტია ქართული **ჩგ-** (**ჩუ-**); **გუი-** (იგივე **გუ-**), **ნი-** და **მ-** (**მიშგუ** „ჩემი“) ელემენტები და ზმნაში გამოყენებული **მ-**, **გუ-**, **ნ-** ერთი და იგივენი არიან (თოფურია, 1967, 27). ქვემოსვანურ დიალექტებში ნაცვალსახელთა ექსკლუზივის ფორმები არ არსებობს და, ამდენად, ინკლუზივი **გუშგუე**, **გუშგუე** ზოგადი მნიშვნელობით („ჩვენი“) გამოიყენება (ონიანი, 1998, 93).

უშგულურ კილოკავში არც ნაცვალსახელში აღმოჩნდა აღნიშნული კატეგორია მყარი. ზოგჯერ ერთსა და იმავე კონტექსტში ზმნა ექსკლუზიურია, მაგრამ სწორედ კუთვნილებითი ნაცვალსახელი არ იცავს წესს და ინკლუზიური ფორმით გვევლინება:

ნა ნუღუე (Oe) უოქურე ზარფაშა. გუშგუე (Oi) უოქურე ზარფაშა ნაზოზ ცარიელ ლი (სვ. პროზ. ტექსტები, I 1939, 68) „ჩვენ გვაქვს ოქროს ზარდახშა. ჩვენი ოქროს ზარდახშა სალამოს ცარიელია“.

გუიშგე (Oi) მახუში, ისგუა ლაღაშგაღდ მად მეკდე ხუიშდ (Se) „ჩვენო უხუცესო, შენთან სადავოდ (შენს შესაცილებლად, წასართმევად) არ ვართ მოსული!“ (იქვე, გვ. 60).

ინკლუზივ-ექსკლუზივთან დაკავშირებით უშგულურში დადასტურებული მოვლენა არ ეხება ზემოსვანურის სხვა კილოკავეებს, სადაც ცოცხალ მეტყველებაში ეს ფორმები დღემდე საკმაოდ მკაცრად არის გამოჩნული; გასაოცარია, მაგრამ ფაქტია! უშგულური მეტყველება ყველაზე მეტი არქაულობით გამოირჩევა ზემოსვანურში, მაგრამ, რაკილა, მთელ სვანურში ძველ ფორმათა გვერდით არაერთი ინოვაციაა შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, ამიტომ, სრულიად ბუნებრივია ვარლამ თოფურის დასკვნა უშგულურ კილოკავზე ლამსური დიალექტის გავლენის შესახებ, რაც ყველაზე მეტად ქვემოსვანურთან ქართული ენის ძლიერი ინტერფერენციის შედეგია.

საგანგებოდ უნდა შევხვით ვარლამ თოფურის მიერ იფარსა და ეცერში შენიშნულ რამდენიმე შემთხვევას:

ბზ. შუიდებდუ ლოგუშგელა — „მშვიდობითამც მოგვსვლიხარ (= მოგვიხვალ)“ (შენ + ჩვენ Oi);

ბქ. სიოდ გუირი შუიდებდ — „შენამც გყავხარ (მე + მას || მათ) მშვიდობით!“

ეს ფორმები დღესაც ცოცხალია და ჩვენც არაერთხელ გვსმენია უფროსი თაობის ჩუბხეველ წარმომადგენელთაგან (ას ერთი წლის მოხუცმა ასე დამლოცა: **ისგუ თხუიოდ გუირი ჰედუირდ ობაშ ხანს** — „შენი თავიმც გვიყოფოს (გყავს Oi) ჯანმრთელად დიდხანს!“).

ამ შემთხვევებს არამც და არამც არ მივიჩნევთ უშგულურის ანალოგიად, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს იდიომატურ გამოთქმებთან; ასეთ გამოთქმებში არქაიზმია მოსალოდნელი.

როგორც ჩანს, ამას ვერ ვიტყვით კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა თანამედროვე მეტყველებაზე. გასული საუკუნის 70-იან წლებში მაქსიმე ქალდანი აღნიშნავდა, რომ „კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა დღევანდელი მეტყველება

სვანური ენის ერთ-ერთ ახალ, მეტად რთულ და საინტერესო დიალექტად ჩამოყალიბების პროცესშია. ამ თავისებური, სწრაფად განვითარებადი პროცესის საფუძველია სვანური ენის ორი დიალექტის — ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის — ფონეტიკურ-გრამატიკულ მოვლენათა აღრევა ამ ხეობის სვანთა მეტყველებაში“ (ქალდანი 1970, 83).

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისთან აქ კილოთა ინტერფერენცია მოსალოდნელი არ იყო, რადგან ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა წარმომადგენლების მემკვიდრეები სახლობენ, რომლებმაც ინკლუზივ-ექსკლუზივი დღემდე ცოცხლად შემოგვინახეს. ჩვენ სხვა კუთხით დავინტერესდით — ხომ არ შესუსტდა ეს ფენომენი საუკუნენახევრის წინ შემო სვანეთიდან გადასახლებულ, ენგურის ხეობიდან მეტნაკლებად იზოლირებულად მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში, რომელიც დღემდე თითქმის შეუსწავლელია და რომლის კვლევაც ამჟამად მიმდინარეობს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის პროექტით „კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველება და მისი მიმართება ზემოხეობის დიალექტებთან“ (ხელმძღვანელი პროფ. იზა ჩანტლაძე).

საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ „რთული დიალექტოლოგიური სურათის გამარტივების პროცესი“ (ქალდანი 1970, 83) ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისაც უახლოვდება, სისუსტე გარკვეულწილად მართლაც „შეპპარვია“ ამ უნიკალურ ფორმებს.

თეიმურაზ მეტრეველი ძველი ქართული ენის ძეგლებიდან მასალის ილუსტრირებისას შენიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში მ- და გუ- პრეფიქსიანი ფორმები ბუნდოვანია ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე და ჭირს ინკლუზივ-ექსკლუზივის დიფერენცირება:

„ჭრქუა მას დედაკაცმან მან: ...ოდეს მოვიდეს იგი, მ ი თ ხ რ ა ს ჩუენ ყოველი...“

„და ჰრქუეს მას: ა რ ა გ უ ნ ე ბ ა ვ ს მეუფება მავისი ჩუენ ზედა“ (მეტრეველი 1980, 180).

ვინაიდან ჩვენი გამოკვლევა ცოცხალ მეტყველებას ემყარება, ამიტომ შედარებით ადვილია ცალსახად აღქმადი მაგალითების მოყვანა კოდორის ხეობაში მცხოვრები სვანებისგან ჩაწერილი მასალებიდან (თუმცა იქ მუშაობაა საკმაოდ რთული ცნობილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო):

გუ-ინგრინადა Oi „მიყავდით“: მიშგუ მუ ფიშგრამინ გუინგრინადა სკიმართე „მამაჩემს ხშირად დავყავდით მუჟვე წყლებზე“ — უამბობს რესპოდენტი ტექსტის ჩამწერს (II პირს) თავისი ბავშვობის შესახებ, ამიტომ უნდა გამოეყენებინა ექსკლუზიური ფორმა **ნ-ინგრინადა**.

გუ-ინადა Oi „ვიცოდით“: ეჯუმ მამ გუინადა ეჩქა მარხუნლ „იმდენი არ ვიცოდით მამინ მარხვები“ — ტექსტის მიხედვით უცოდინრობის მიზეზში თავის ოჯახს და საკუთარ მცირე ასაკს გულისხმობს.

გუ-ინა Oi „ვიცი“: ნამ ეჯუი გუინა, ერე ჩუ ლგბგრე ლი მასარდ ჩუხიქა ი ეშთეასკა კირს ლგმშინინს „ჩვენ ისე ვიცი, რომ ჩათხრილია მეტად ღრმად და იმაში თურმე კირს წვავენ (ნაწვავან)“ — უხსნის რესპოდენტი ტექსტის ჩამწერს კომპების შენების სპეციფიკას.

გუ-ადა Oi „გვქონდა“: ხოხურანლ ჩინს ხოჩა ლარდა გუადადა „ბავშვები ყველანი ვმხიარულობდით (პატარებს ყველას კარგი სამყოფი გვქონდა)“ — აქაც რესპოდენტი ექსკლუზივის (**ნ-ადადა** „გვქონდა მე + მას || მათ“) ნაცვლად იყენებს ინკლუზიურ ფორმას; რადგან თავად 73 წლის ქალბატონია და შვილთაშვილი

ჰყავს, ამიტომაც, ცხადია, რომ მისი და საუბრის ადრესატის ბავშვობა ერთმანეთს ღრმში ვერ დაემთხვეოდა.

ე-გუ-საღ Oi „დაგვრჩა“: ეჩქანლო ოჩაღდ ი საკმაოდ ხოშა თანხა ეგუჰსაღ „მერე წავედით და საკმაოდ დიდი თანხა დაგვრჩა“.

ამ წინადადებაში **ო-ჩაღდ** ექსკლუზიური ფორმა ცხადყოფს, რომ მთქმელი **ე-ნ-საღ (Oe)**ს გულისხმობს. ეს ერთადერთი შემთხვევა როდია, როცა ერთ კონტექსტში სუბიექტური წყობის ზმნა იცავს კატეგორიას, ობიექტური წყობისა კი — ვერა; მსგავსი ანონალია ყოველთვის სუბიექტური ინკლუზივის რყევაშია გამონახატული, სწორედ **Oi (გუ-)** იკავებს **Si-ს (ნ-)** ადგილს:

ვითომ ჩუ-გუ-ითრონ იშალადედ, ეჭვი ხოჩა ურთიერთობაწლშ ხუარდად „ვითომ მუდამ ვიცნობდით (ერთმანეთს), ისეთი კარგი ურთიერთობა გვქონდა (ურთიერთობებით ვიყავით); შდრ. **გუ-ითრონ** „ვიცნობდით“ **Oi**, **ხუ-არდად** „ვიყავით“ **Se**; უნდა იყოს **ნ-ითრონ Oe**.

ემჩუნ ჩუ ხუგდად, ე ლესელიძეს, ი აჯალ მგფხაწლ გადა-გუ-არჩინა, **მელეცია ერ ლაწუ, ეჩნემ ა-გუ-სყე გაცილება** „იქ ვიდექით, ე, ლესელიძეში, და ისევ აფხაზმა გადაგვარჩინა, მილიციელი რომ იყო, იმან გაგვაცილა (გაგვიკეთა გაცილება)“;

შდრ. **ხუ-გდად** „ვიდექით“ **Se**, **ა-გუ-სყე** „გაგვიკეთა“ **Oi**. უნდა იყოს **ა-ნ-სყე Oe**.

უმგულურისგან განსხვავებით, კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში ნაცვალსახელი უფრო მყარი ჩანს. ისეთ წინადადებებშიც კი, სადაც ზმნაში ინკლუზივ-ექსკლუზივი დარღვეულია, ნაცვალსახელი ყოველთვის სათანადო ფორმითაა:

ლტოლუილარ ამხაჟ ხუაჟ არიხ ათხე, ტიშს, ნიშგუჟე სოფელს, აშირ გუაჟა „ლტოლვილები აქეთ ბევრი არიან ახლა, ტიშში (ტიშს), ჩვენს სოფელში, ასი გვყავს“;

შდრ. **ნ-იშგუჟე** „ჩვენი“ **Oe**, **გუ-აჟა** „გვყავს“ **Oi**.

ეჯი ლადედ ლუარსაბ ანჯად ნ-იშგუჟე ი ნა გუ-აქჟე... „იმ დღეს ლუარსაბი მოვიდა ჩვენთან და ჩვენ გვითხრა...“

შდრ. **ნ-იშგუჟე** „ჩვენთან“ **Oe**, **გუ-აქჟე** „გვითხრა“ **Oi**.

ლო-გუ-წუენ Oi „გვაჩვენე“: სანუარ ანღრდახ ი — პასპორტ როქ ლოგწუენუ, სი როქ მუშუნან ხიმა... “საგები მოდიოდნენ და — პასპორტი გვაჩვენეო, შენ სვანი თუ ხარო...”

როგორც ვხედავთ, საგების მიმართვის ადრესატი მეორე პირია — ამ შემთხვევაში — მთქმელი, ზმნა (**ლოგწუენუ** “გვაჩვენეო”) კი ინკლუზიური ფორმა...

გუ-ატულდახ Oi „გვეუბნებოდნენ“: მიშგუ ხოშწლგჟ ალას მწადგჟ ამჟი გუ-ატულდახ, ერე ნაღგჟ გმგაღ ღუაშარ ლიშდ, ერე კოჯარისგა ეთაჟრლდ... “ჩემი წინაპრები ამას სულ ასე გვეუბნებოდნენ-მეთქი, რომ ჩვენ ჯიხვები კარგი კი არა ვართ, რომ კლდეებში დავბადებულყავით...”

მთქმელი ადრესატს უყვება საკუთარი (**მიშგუ** “ჩემი”) წინაპრის, მათი დანაბარების შესახებ, ცხადია, მეორე პირი აქაც, თავისთავად, ვერ იქნება მოაზრებული.

გუ-იხა Oi „ვიცი“: ნაჟ ეჭვი გუიხა, ერე ჩუ ლგბგრჯე ლი მასარდ ჩუხიქა ი ეშთედსგა კირს ლგმშიდინს “ჩვენ ისე ვიცით, რომ ჩათხრილი ყოფილა ძალიან ღრმად და იმაში კირს წვაღდნენ” — ეს არის პასუხი შეკითხვაზე, როგორ აშენებდნენ სვანები ძველად სახლებს. რესპოდენტმა ზმნის ფორმაში (**გუიხა**) II პირიც (ვინც კითხვა დაუსვა) ჩარიცხა. უნდა ეთქვა **იხა Oe**.

გულუა O_i “გვაქვს”: ბოფშარი მასკორას, ეჩქა ერ არის, ნაჲ ქორს ერ ხუშარიდ ი ამჟი მდგომარეობა გულუა ამეჩუ “ბავშვებიც მაფიქრებს, იქით რომ არიან, ჩვენ რომ სახლში ვართ და ასეთი მდგომარეობა გვაქვს აქ” — მთქმელი საუბრობს საკუთარი ოჯახის მდგომარეობაზე, ამიტომ, ბუნებრივია, II პირი (ვისაც ესაუბრება) არ უგულისხმია; სწორი ფორმა იქნებოდა **ნულუა Oe**.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით არც ერთხელ არ დადასტურდა **ლ-** (Si)/ **ხუ-** (Se) პრეფიქსთა ჩანაცვლების შემთხვევა. შესაძლოა, არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც სუბიექტური წყობის ინკლუზივ-ექსკლუზიურ ფორმებს შესატყვისი ნაცვალსახელები არ მოეპოვება (შდრ. ობიექტური წყობის **გუიშგუეჲ**, რომელიც **გუ-** პრეფიქსს მიემართება, ხოლო **ნიშგუეჲ** — **ნ-** პრეფიქსს). **ხუიშგუეჲ** ან **ლიშგუეჲ** სვანურში არც დღეს არსებობს და ვერც ამ ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე აღვადგენთ. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულშიც მხოლოდ ობიექტური წყობის ზმნებში გვაქვს შემონახული ეს კატეგორია.

ამრიგად, ენგურის ხეობაში მცხოვრები სვანების მეტყველებისაგან განსხვავებით, სადაც ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მკაცრად გამიჯნულია როგორც ზმნაში, ისე ნაცვალსახელში, კოდორელ სვანთა მეტყველებაში საანალიზო კატეგორია შესუსტებული ჩანს. საილუსტრაციო მასალის მიხედვით, ჯერჯერობით ეს ეხება მხოლოდ ზმნას (ნაცვალსახელებში მსგავსი რამ არ დაგვიდასტურებია) და მხოლოდ სუბიექტური წყობის ინკლუზივს; ანომალიის შემთხვევაში სწორედ ობიექტის ინკლუზიური ფორმის **გუ-** პრეფიქსი იკავებს სუბიექტის ინკლუზიური ფორმის **ნ-** პრეფიქსის ადგილს, პირიქით კი — არასოდეს (მსგავსი ვითარებაა ძველ ქართულშიც).

კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების „აღრევა“ ინოვაციის იერს ატარებს და ფორმათა უნიფიკაციის პროცესის დასაბამს წააგავს, პროცესის ხელშემწყობი ფაქტორი კი, შესაძლოა, ქართულთან ანალოგია იყოს (შდრ. **გვ-** O₁ ქართულ და **გუ-** O_i სვანურ პრეფიქსთა მატერიალური მსგავსება) იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხეობის სვან მოსახლეობას, ბოლო დროის მოვლენებამდე, შეიძლება ითქვას, ყოველდღიური და საქმიანი ურთიერთობა სწორედ აფხაზეთის ქართულენოვან მოსახლეობასთან ჰქონდა.

მაშასადამე, კოდორელთა მეტყველებაში ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ის პროცესი, რაც ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო.

ლიტერატურა

დონდუა 1967 — კ. დონდუა, სვანურისა და ძველი ქართულის პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსთა რაობა მრავლობითში, რჩეული ნაშრომები, I, თბ. 1967.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები, I, თბ. 1967.

მელიქიშვილი 1977 — დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, მაცნე, N4, თბ. 1977.

მელიქიშვილი 1980 — დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, მაცნე N 4, თბ. 1980.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბ. 2002.

მეტრეველი 1980 — თ. მეტრეველი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბ. 1980.

ონიანი 1965 — ალ. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, N1, 1965.

ონიანი 1978 – ლ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ. 1978.

ონიანი 1998 – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984.

სვ. პროზ. ტექსტები, I 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, თბილისი, 1939.

ქალდანი 1970 – მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, XVII, 1970.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1973.

ჩიქობავა 1946 – არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, I, თბ. 1946.

Дондуа 1967 – Дондуа К., Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском, რჩეული ნაშრომები, I, თბ. 1967.

Ketevan Margiani-Subari

Interferential Phenomena Linked with Personal Markers of Svan Verbs

Summary

In many languages having the inclusive-exclusive category the respective semantics is not expressed by affixes, whereas in Svan the inclusive-exclusive is a morphological category.

Unlike the speech of the Svans living in the Inguri valley, where inclusive and exclusive forms are to the present day strictly demarcated in the verb as well as the pronoun, in the speech of the Kodorian Svans the analyzed category seems weakened. According to the illustrational material, this concerns only the verb and only the inclusive of the subjective form. In anomalous cases, **gw-** prefix of the inclusive form of the object is found in place of **n-** prefix, but vice versa never happens (the situation is similar in Old Georgian as well).

The “confusion” of inclusive and exclusive forms in the speech of the Svans living in the Kodori valley seems to be an innovation and resembles the process of the unification of forms. A factor favouring this process may be the analogy to Georgian.

It may be said that the process, having begun in Old Georgian, occurs now in the speech of the Kodorian Svans right before our eyes.

ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და
კვალიფიკაციის პრინციპებისათვის

I. პირის ნიშანთა გამოხატვის სისტემა ქართულში

ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში და, კერძოდ, ენათმეცნიერებაში, საგნის ან მოვლენის დეფინიციისას დაცული უნდა იყოს ცნების დაყოფის ლოგიკური წესები, კლასიფიკაციის პრინციპის ერთიანობა, იმანენტიზმის პრინციპი, გამოიყენებული უნდა იყოს დიაქრონიული (ისტორიული) და სინქრონიული ასპექტები.

კლასიფიკაციის ამ, თავისთავად ცხადი, პრინციპების გაუთვალისწინებლობა და დარღვევა ენობრივი ფორმებისა თუ მოვლენების კვალიფიკაციისა და დეფინიციის გაურკვეველობას, ხშირ შემთხვევაში – მცდარობას, დეზინფორმაციას იწვევს.

ამ მხრივ ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და მწკრივებად დაყოფის აკაკი შანიძისეული პრინციპი იდეალური მაგალითია იმისა, როდესაც კლასიფიკაციის ისტორიული, მორფოლოგიური და სინტაქსური პრინციპების დაცვა ერთსა და იმავე შედეგს (კლასიფიკაციას) იძლევა.

მაგრამ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში რთული მდგომარეობაა ქართული ზმნის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების კვალიფიკაციის სფეროში, როგორცაა ზმნის პირის გამოხატვის სისტემა და ამასთან დაკავშირებული „ინვერსიის“ საკითხი; გვარისა და ქცევის კატეგორიების დეფინიციის საკითხი და ამასთან დაკავშირებით ქართული ზმნის უღლებადი ფორმების ლოგიკურად გაუმართავი კლასიფიკაციის პრობლემა.

არნ. ჩიქობავამ აჩვენა, როგორ უნდა ყალიბდებოდეს სინტაქსური /გრამატიკული ცნებები (ეს არის პრინციპულ-მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის ანალიზსაც ეძღვნება მისი „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928, 1968), თუ რა შეუსაბამობანი მოსდევს იმანენტიზმის პრინციპის დარღვევას (უგულუბელყოფას) გრამატიკაში.

ქართულ ზმნაში ინვერსიის მოვლენისადმი დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით მიდგომის აღრევამ, ისტორიული მოვლენის სინქრონიული თვალსაზრისით კვალიფიკაციამ, ამავე დროს, ლოგიკური ცნება-ტერმინებით (სუბიექტი-ობიექტი) ოპერირებამ შედეგად მოგვცა თანამედროვე ქართული ზმნის პირის ნიშანთა ცხრილში ამ ნიშნების რეალური ფუნქციის არაადეკვატური ასახვა; ქართული ზმნის უღლებების ტიპებად დაყოფისას იმანენტიზმის პრინციპის უგულუბელყოფამ, გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმების დარღვევამ და კლასიფიკაციის პრინციპად ევროპული ენების მსგავსად გვარის კატეგორიის მიღებამ (რაც არა მხოლოდ ქართული ზმნის

შემთხვევაშია საფუძველს მოკლებული) ქართული ზმნის უღლების უაღრესად ლოგიკური სისტემის დეფორმირებული სურათი მოგვცა, რამაც გამოავლინა შეუსაბამობა გვარისა და „ქცევის“ (ვერსიის) „გრამატიკული“ კატეგორიების სემანტიკურ დეფინიციასა და ფორმალურ კლასიფიკაციას შორის და, შესაბამისად, ზმნის ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციების არაადეკვატური განსაზღვრა გამოიწვია.

წინამდებარე სტატიაში მოცემულია დიათეზის გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კატეგორიის (რომელიც საფუძველად დაუდეთ ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფას (მელიქიშვილი 2001).) ფარგლებში გვარის, ქცევისა და პირის ნიშნთა კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა.

* * *

როგორც ცნობილია, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში (ისევე, როგორც ევროპულში) ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას საფუძველად გვარის კატეგორია აღებული, მაშინ როდესაც თვით გვარის გრამატიკული კატეგორიის საკითხი როგორც ზოგად ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, ისე კერძო გრამატიკებში საკმაოდ ბუნდოვანი და მოუგვარებელია. ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას ჩვენ ვეყრდნობით გრამატიკულ (მორფოსინტაქსურ) კრიტერიუმებს, კერძოდ: მორფოლოგიურ სტრუქტურას (აგებულებას) და სინტაქსურ კონსტრუქციას.

ქართული ზმნის აწმყოს თემა (ფუძე) ძირითადად ორ სტრუქტურას ეყრდნობა:

I. თემა+Ø (R+Ø, R[ე/ი]+Ø, R[Ø/ა]-th+Ø, R[Ø/ე]-th+Ø, R-th+Ø): ჟღერ+Ø – წერ+Ø; თვლემ+Ø – ჟღვლემ+Ø; ტირ-ი+Ø – თლ-ი+Ø, ჭრ-ი+Ø; გორ-ავ+Ø – ხატ-ავ+Ø, კლ-ავ+Ø; კანკალებ+Ø – აკანკალებ+Ø, აკეთებ+Ø; ცხოვრობ+Ø – აცხოვრებ+Ø, ათბობ+Ø; აბ-ამ+Ø.

II. თემა+ი (R+ი, R-th+ი): ხატ+ი(ხარ) – იხატებ+ი, თბებ+ი, თეთრ-დ-ებ+ი).

I. პირველი სტრუქტურის ზმნებს როგორც წესი, შეესაბამება ცვალებადი კონსტრუქცია (ბრუნვაცავალებადი სუბიექტი: სახელობითი – მოთხრობითი – მიცემითი) და ამ ნიშნით ისინი ერთ დიათეზაში ერთიანდებიან, რომელიც ორ ქვეჯგუფად იყოფა. ამ ქვეჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონაა.

1) პირველი ქვეჯგუფის ზმნების სუბიექტი მოქმედია, მაგრამ მას არა აქვს სამოქმედო პირდაპირი ობიექტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისინი პირდაპირ ობიექტს თავის თავში შეიცავენ, მათი სუბიექტი თვითმოქმედია – ავტოაქტიურია. აკაკი შანიძე მათ საშუალო გვარის მედიოაქტივთა ქვეჯგუფში ათავსებს. მაგრამ გვარის კატეგორიის განსაზღვრებიდან გამომდინარე, საშუალო გვარის გამოყოფის საფუძველი არ არსებობს. არნ. ჩიქობავა მათ უგვარო

სტატიკურ ზმნებად მიიჩნევა. მაგრამ, რაც შეეხება სტატიკურობას, ამ თვალსაზრისით მათ გარდამავალი საფეხური უჭირავთ აბსოლუტური სტატიკიდან, უძრაობის მდგომარეობიდან, მოქმედების პროცესამდე: ისინი ფიზიკური ან სულიერი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ (*კანკალებს, კივის, ტირის, წუხს...*), რაც გრაფიკულად შეიძლება წრეწირით გამოხატოს (განსხვავებით აბსოლუტური სტატიკისაგან, რომელიც შეიძლება გრაფიკულად წერტილით გამოვხატოთ): წრე იწყება იმ წერტილიდან, რომელშიც სრულდება. ამ ზმნათა მოქმედებაც იწყება და სრულდება ერთსა და იმავე წერტილში, ანუ უბრუნდება თვითმოქმედ პირს (სუბიექტს). მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ზმნებს რეფლექსიური, უკუქცევითი შინაარსი აქვთ, მათი მოქმედების ობიექტი იგივე სუბიექტია, მათი სუბიექტის მოქმედება შიგნითაა მიმართული, ცენტრისკენულია. შესაბამისად, მათ სათანადო მარკერიც, ი- პრეფიქსი დაერთვის, რომელიც ერთპირიან კონსტრუქციაში რეფლექსივის ნიშნად მიგვაჩნია და არა „ნასესხებად“ აქტივის „სათავისო“ ქცევისაგან (ამ ფუნქციას ფრანგულ ენაში უკუქცევითი ნაცვალსახელები ასრულებენ, რუსულში – უკუქცევითი ნაცვალსახელის „გაკვეთის“ გზით მიღებული სუფიქსი (сѣнѣ>сѣ). იგივე ი- პრეფიქსი სასუბიექტო ორიენტაციის გამომხატველია პირდარდაპირობიექტიან (ორპირიან) კონსტრუქციაში. როგორც ვთქვით, ავტოაქტივებს პირდაპირი ობიექტი არა აქვთ, მაგრამ შეიძლება გაუჩნდეს იგი: „სწავლობს გიგლა ტიტინა..“ – მაგრამ: „გიგლა სწავლობს გაკვეთილს“; „გიგლა კარგად ხატავს, კარგად წერს“, მაგრამ: „გიგლა ხატავს პორტრეტს, წერს ლექსს“. ასეთი სრული კონსტრუქციის ფორმა მეორე ქვეჯგუფში გადავა.

2) განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, მეორე ქვეჯგუფის ზმნები პირდაპირგარდამავალია, ისინი მოქმედების პროცესს გამოხატავენ, მათი სუბიექტი აქტიურია, მაგრამ, განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, მათ სამოქმედო პირდაპირი ობიექტი აქვთ; კონსტრუქცია ამათაც ცვალებადი აქვთ – სუბიექტის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, პირდაპირი ობიექტისა – მიცემითი და სახელობითი, ირიბისა – მიცემითი.

ამგვარად, **I ჯგუფი**, რომელსაც თემა და კონსტრუქცია აერთიანებს, **I დიათეზას** ქმნის, რომელიც შეიცავს არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან პირველი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავს და, ამდენად, სტატიკურობის შინაარსს შეიცავს, II კი მოქმედების პროცესს გამოხატავს და, ამდენად, დინამიკური შინაარსისაა; I ქვეჯგუფი ძირეულია, ამოსავალია II ქვეჯგუფისათვის როგორც სტრუქტურის, ასევე კონსტრუქციის თვალსაზრისით (*კანკალებს ის >ა-კანკალებს ის მას, ცხოვრობს ის >ა-ცხოვრობს ის მას*).

ამ ჯგუფს შეიძლება ერგატიული კონსტრუქციის დიათეზა ეწოდოს (სუბიექტის სპეციფიკური ბრუნვის მიხედვით).

გვარის მიხედვით I დიათეზის I ქვეჯგუფის ერთპირიანი (ერთვალენტიანი) ზმნები რეფლექსივებია, ავტოაქტივებია, გარდაუვლებია (*კანკალებს ის,*

წუხს ის, იძინებს ის, იძახის ის). ორპირიანები კი ირიბგარდამავალნი (*შეხედა მან მას*). მეორე ქვეჯგუფის ზმნები – აქტივებია. გარდამავლობის მიხედვით ესენი პირდაპირგარდამავალი ზმნებია.

II ჯგუფი, რომელსაც, ასევე, სტრუქტურა და კონსტრუქცია აერთიანებს, ქმნის **II დიათეზას**, რომელიც შეიცავს ასევე, არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან I ქვეჯგუფი სტატიკურია და II კი დინამიკური; I ქვეჯგუფი აქაც II-ის საფუძველია როგორც სტრუქტურულად, ასევე კონსტრუქციულად (*გდ-ი-ზარ/ > ე-გდ-ებ-ი*). ამ სტრუქტურის ზმნებს არ ახლავს პირდაპირი ობიექტი, მათი კონსტრუქცია სტაბილურია: სუბიექტი სამსავე სერიაში სახელობითშია, ირიბი ობიექტი – მიცემითში.

ამ ჯგუფის ორპირიან ზმნებს შეიძლება ირიბგარდამავალი ზმნები ვუწოდოთ. ეს ჯგუფი ნომინატიური კონსტრუქციის დიათეზაა. გვარის თვალსაზრისით ამ დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნები ნეიტრალურნია, II ქვეჯგუფის ზმნები კი სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით შეიძლება ავტოაქტივებიც იყვნენ და ირიბგარდამავალი აქტივებიც, რადგანაც, თუ ამოვალთ ვნებითი გვარის უნივერსალური სემანტიკური განსაზღვრებიდან, რომლის მიხედვითაც ვნებითი გვარისაა ზმნა, რომლის სუბიექტიც თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ განიცდის მოქმედებას, **R-ი, R-ებ-ი** სტრუქტურა არ არის აუცილებლობით დაკავშირებული ვნებით გვართან: 500-მდე **ე-** და **ა-** პრეფიქსიანი ზმნა (*ელაპარაკება, ერზუება, ეჯიბრება, აცხრება, ახტება...*) აქტიურსუბიექტიანია, 100-მდე **ი-** პრეფიქსიანი ე. წ. „დეპონენსი“ ავტო-აქტივია (რეფლექსივია) ასევე, **ი-/ე-** პრეფიქსიანი კონვერსიული ავტოაქტიური და აქტიურსუბიექტიანი ზმნებია (*იმალება ბავშვი, ემალება ბავშვი დედას*); „თბება“ ტიპისა და **-დ** სუფიქსიანი ნასახელარი დინამიკური ზმნები შინაარსით ავტოაქტივებია. ვნებითის შინაარსი კი ძირითადად **ებ-ი** სტრუქტურის უსულო სუბიექტიან ზმნებთანაა დაკავშირებული [მელიქიშვილი, 2001, 61-70; პარადიგ-მები: №№ 10 (44), 11(45), 12(46), 14(48), 15(49), 16(50)].

III ჯგუფი, რომელსაც დატიური კონსტრუქცია აერთიანებს, ნარევი სტრუქტურისაა და ქმნის **III დიათეზას**, რომელსაც შეიძლება დატიური კონსტრუქციის დიათეზა ვუწოდოთ, რადგანაც ამ ზმნების სუბიექტი სტაბილურად მიცემით ბრუნვაში დგას.

ამ დიათეზაშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: I ქვეჯგუფის ზმნები უძველესი სტრუქტურისა და კონსტრუქციის ძირეული ზმნებია. შინაარსით ისინი სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სტატიკური ზმნებია, რომელთა სუბიექტი სულიერი მდგომარეობის განმცდელი, ანუ სუსტი ნებელობის მქონე პირია (*უყვარს მას, სძულს მას, უჭირს მას /ის/*).

ამ ზმნათა სწორედ ეს უძველესი, დატიური კონსტრუქცია აღმოჩნდა ამოსავალი ნიშნად ქართული ენის პოლიპერსონალურ ზმნაში არსებული პოტენციის (შესაძლებლობის) განხორციელებისათვის: კერძოდ, დინამიკური ზმნების –

როგორც I დიათეზის კაუზატიური სტრუქტურის ზმნათა, ასევე II დიათეზის სტრუქტურის ზმნათა ინვერსიის შედეგად მიღებულ იქნა არამატერიალური, სულიერი მოქმედების განმცდელი სუსტი ნებელობის სუბიექტის მქონე ზმნების ახალი ქვეჯგუფი: *(აკანკალებს შიში, სიცივე მას – აკანკალებს შიშ/ისავან/, სიცივე/ისავან/ მას, ახველებს ის (მას) – ეხველება მას, ანატრებს ის მას მას – ენატრება მას ის...)*¹

სწორედ სუბიექტის აქტიური და პასიური ნებელობის მიხედვით უპირის-პირდება ერთმანეთს იდენტური სტრუქტურის, მაგრამ სხვადასხვა კონსტრუქციის ფორმები: *ამცხიკვებს ის > ამცხიკვებს მას, აცემინებს ის > აცემინებს მას, ახველებს ის > ახველებს მას...* და აქედან შემდეგ, I დიათეზის ზმნათა ანალოგიით ვრცელდება II დიათეზის სტრუქტურის ზმნებშიც: ემთქნარება მას, ეცემინება მას, ემცხიკვება მას, ეხველება მას და ა. შ. და ასე, იქმნება მთელი სისტემა, რომელიც გენერაციის დიდი უნარით ხასიათდება [მელიქიშვილი 2001, 344-346, III დიათეზა, პარადიგმები №7(59)-№14(66)].

სიტყვას აღარ გაგაგრძელებთ I დიათეზის ზმნათა III სერიის ფორმების ინვერსიის თაობაზე (მელიქიშვილი 2001, 19-31), რამაც „უნახაობისა“ და „უნებლობის“ სემანტიკა შესძინა ამ ფორმებს სწორედ იმის გამო, რომ მიწერია/მიგდია ტიპის სტატიკურ ზმნათა გადინამიკურების (>დამიწერია-/დამიგდია) შედეგად ამ ფორმებში სუბიექტის გაგება შეიძინა მიცემითში დასმულმა პირმა და შესაბამისად, სუბიექტის მარკერის ფუნქცია დაეკისრა მ-ს რიგის პრეფიქსს, რომელიც ისტორიულად უძველესი ფორმაციის „აფექტურ“ – („მიყვარს“ ტიპის) ზმნებში სულიერი მოქმედების განმცდელი სუბიექტის მარკერია.

ამგვარად, უნებლობის სემანტიკის გამოხატვა III სერიაშიც და, საზოგადოდ, ქართული ზმნის უღლების სისტემაში დაკავშირებულია მ-ს რიგის პრეფიქსთან, ანუ მიცემითში დასმული პირის (რომელიც ფუნქციით სუბიექტია) მარკერთან (*ვ-იხსენებ – მ-ახსენდება, ვ-იგვიანებ – მ-ავვიანდება, ვ-იციანი – მ-ეციანება, ვ-ილიმი – მ-ელიმება, ვ-იღვიძებ – მ-ეღვიძება, ვ-ტირი – მ-ეტირება, ვ-ინდომებ – მ-ინდება/მ-ენდომება, ვ-ნანობ – მ-ენანება, ვ-ნატრობ – მ-ენატრება, ვ-იფხან – მ-ეფხანება, ვ-იქავებ – მ-ექავება...*).

როდესაც ზმნური ფორმების მორფოლოგიური აღწერა ხდება (განსაკუთრებით ენათა მანქანური, კომპიუტერული დამუშავებისას) ცხადია, არ არის მიზანშეწონილი ლოგიკური ცნება-ტერმინების გამოყენება: ეს არის პრინციპული მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის დასაბუთებასაც მიეძღვნა არნ. ჩიქობავას ფუნდამენტური ნაშრომი სინტაქსში – „მარტივი წინადადების პრობლემა

¹ ვფიქრობთ, ახსნა არ სჭირდება იმას, თუ როგორ ჩაიძირა ცნობიერებაში კაუზატიური ფორმის „მაიძულებელი“ პირი, ანუ „ინიციატორი“ და როგორ ამოტივტივდა და სუბიექტად გაცნობიერდა პირი, რომელსაც რეალურად „მოსდიოდა“ კანკალი, ანუ რეალურად კანკალებდა სხვისი ზემოქმედებით.

ქართულში“ (1928; 1968),² ისიც ცხადია, რომ პირის ნიშნისა და ბრუნვის ნიშნის ურთიერთდამოკიდებულება ქართული ენის ისტორიის მანძილზე არ შეცვლილა, ანუ ფორმალური სისტემა უცვლელია (ვინის რიგის ნიშნები კვლავ ნომინატივთან და ერგატივთანაა დაკავშირებული, ხოლო მ-ს რიგისა – დატივთან და ნომინატივთან, თუ ეს უკანასკნელი მოთხრობითთან – ერგატივთანაა კომბინაციაში და, მასმასადამე პირდაპირი ობიექტის ფუნქციას გამოხატავს), მაგრამ ქართული მარტივი წინადადების ევოლუციის პროცესში დაირღვა პირდაპირი შესაბამისობა სემანტიკასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის, შეიცვალა პირის ნიშანთა ფუნქციური მიმართება ანუ I დიათეზის ორივე ქვეჯგუფის III სერიისა და III დიათეზის II ქვეჯგუფის ფორმებში მოხდა პირის ნიშანთა ფუნქციების ინვერსია (მელიქიშვილი 2001), რაც უეჭველია, უნდა იქნეს ასახული თანამედროვე ქართული ენის პირის ნიშანთა ფუნქციურ ცხრილში.

დიათეზების მიხედვით სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა სისტემა თანამედროვე ქართულში შემდეგნაირად გამოიყურება:

– სუბიექტური პირის ნიშნები ვ-ს რიგისაა I დიათეზის I და II სერიის ფორმებში და II დიათეზის სამსავე სერიაში.

– სუბიექტს მ-ს რიგის ნიშნები გამოხატავს I დიათეზის III სერიაში და III დიათეზის სამსავე სერიაში.

შესაბამისად:

– ობიექტური პირის ნიშნები ვ-ს რიგისაა I დიათეზის III სერიაში და III დიათეზის სამსავე სერიაში, ხოლო მ-ს რიგისაა I დიათეზის I და II სერიის ფორმებში და II დიათეზის სამსავე სერიაში.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

² როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ ქართული ზმნის ლოგიკური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურს, არნ. ჩიქობავამ შემოიტანა სინტაქსური ცნება-ტერმინები: „კოორდინაცია“ და „კოორდინატები“, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად აღიწეროს ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი. ფორმალური ანალიზის დროს და კომპიუტერული დამუშავებისას დღეს უფრო მოსახერხებლად თვლიან „ნეიტრალური“ ტერმინის – „აქტანტის“ გამოყენებას (იხ. ქ. დათუკიშვილი, პირის ნიშანთა სისტემა ქართულში, კრებ. „ზურაბ ჭუმბურიძეს“, თბ. 1997, გვ. 63). ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტერმინის საჭიროების მიხედვით გამოყენება (დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001, გვ. 19), თუმცა, ეს ტერმინიც შეიძლება ლოგიკური თვალსაზრისით დეზინფორმაციული იყოს (მისი აქტიური შინაარსის გამო) და ვობს გამოვიყენოთ არნოლდ ჩიქობავას მიერ შემოთავაზებული სინტაქსური ტერმინები (დიდი კოორდინატი, მცირე კოორდინატი), რომლებიც ქართული ზმნის სინტაქსურ მექანიზმს ადეკვატურად გამოხატავს.

პირის ფუნქციები ნიშნები რომელობის მიხედვით	I დიათეზა (S-nom.-erg.) I-II სერიებში II დიათეზა (S-nom.-nom.) I-II-III სერიებში		I დიათეზა (S-dat.) III სერიაში III დიათეზა (S-dat.) I-II-III სერიებში		
	მხოლოდობითი	მრავლობითი	მხოლოდობითი	მრავლობითი	
სუბიექტი	1.	ვ-	-თ	მ-	გვ-
	2.	Ø-, ხ-	-თ	გ-	-თ
	3.	-ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნ, -ნენ, -ეს	Ø-, ჰ-, ს-	-თ
ობიექტი	1.	მ-	გვ-	ვ-	-თ
	2.	გ-	-თ	Ø-	-თ
	3.	ირიბი ობიექტი Ø-, ჰ-, ს-,	- Ø, -თ		
		პირდაპირი ობიექტი Ø-, ჰ-, ს-,	-Ø	-ს, -ა	-Ø

ლიტერატურა

დათუკიშვილი 1997 – ქ. დათუკიშვილი, პირის ნიშანთა სისტემა ქართულში, კრებ. „ზურაბ ჭუმბურიძეს“, თბ. 1997.

მელიქიშვილი 2001 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001.

ჩიქობავა 1928; 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1928; 1968.

Damana Melikishvili

**Towards the Principles of Classification and Qualification
of the Conjugable Forms of the Georgian Verbs**

Summary

In any empirical science, particularly in linguistics, in defining a subject or phenomenon the logical rules of division of a concept, the unity of the principle of classification and the principle of immanentism should be observed, and the diachronic (historical) and synchronic aspects should be demarcated.

Overlooking and violation of these self-evident principles lead to the uncertainty of the classification and definition of linguistic forms or phenomena – frequently to error and disinformation.

In this respect, Akaki Shanidze's principle of division of the conjugable forms of the Georgian verb into series and screeves is an example of the observation of the historical, morphological and syntactic principles of classification which yield the same result (classification). However, the situation is complex in Georgian grammatical literature in the sphere of qualification of such important categories as the system of expressing the person of the verb and the related problem of "inversion", the problem of defining the categories of voice and version, and in this connection, the problem of a logically valid classification of the conjugable forms of the Georgian Verb.

Arnold Chikobava showed what inconsistencies result from the violation of the principle of immanentism in Grammar, how syntactic/grammatical concepts should be formed (this is a methodological question, which is analysed in his "Problem of the Simple Sentence in Georgian" 1928, 1968).

The mix-up in the diachronic and synchronic aspects, qualification of a historical phenomenon from the synchronic point of view, operation at the same time with logical concept-terms (subject-object) in the approach to the phenomenon of inversion in the Georgian verb resulted in a non-adequate reflection of the real function of personal markers in the personal marker system of the modern Georgian verb; the wrong determination of classes-species relationship led to an inconsistency of definition and real situation in the sphere of the classification-qualification of the "grammatical" categories of voice and "version": voice and "version" are defined from the semantic point of view and verbal models (vowel prefixes, suffixes), which belong to other formal-class concepts, are considered to be characteristic traits of these "grammatical categories".

Argumentation is a logically valid principle of classification of the conjugable forms of Georgian verbs according to the morphological structure and syntactic construction (D. Melikishvili, "The Conjugation System of the Georgian Verb", Tbilisi, 2001).

This approach removes the contradictions existing in Georgian grammatical literature in connection with the system of expression of the categories person, voice and "version" in Georgian.

ირინე გველესიანი

ცნება „სამკვიდრო“-ს აღნიშვნელი ლექსიკური ერთეულები
ძართულ, ოსურულსა და ამერიკულ სამართალში

თანამედროვე სამართალში მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტად „სამკვიდრო“ ("наследство"; "estate") არის აღიარებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად:

„1. სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტიდან.

2. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება“.

აქვე განვმარტავთ ტერმინს „ქონება“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად:

„ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შემენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“.

როგორც მოცემული მუხლიდან ირკვევა, ქართული სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღიარებს როგორც ნივთებს, ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც. „რომის სამართლიდან მოკიდებული, პირველი სხეულებრივი ნივთების (res corporales) სახელწოდებითაა ცნობილი, მეორე კი – უსხეულო ნივთების (incorporales) სახელით. ყველა შემთხვევაში, როგორც უნდა იყოს ნივთი, ქონებად იგი იქცევა იმ უფლება-მოვალეობათა წყალობით, რომლებიც ამ ნივთთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ ქონება უფლება-მოვალეობათა ერთობლიობაცაა“.

მაშასადამე, ქონების ყველაზე გავრცელებული სახე არის „ნივთი“.

ნივთი შეიძლება იყოს უძრავი და მოძრავი. „უძრავი ნივთი“ არის ისეთი ქონება, რომელიც არ შეიძლება გადაადგილდეს არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად: „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“.

უძრავისაგან უნდა განვასხვავოთ „მოძრავი ნივთები“. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ უძრავი ნივთების განმარტებას იძლევა (მუხლი 149) და ამ დუმილით გვამცნობს, რომ მოძრავად უნდა ჩაითვალოს

ყველა ის ნივთი, რომლებიც არ ითვლება უძრავად. მაშასადამე, მოძრავი ნივთი ისეთი საგანია, რომლის გადაადგილება შეიძლება არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე.

ნივთის ცნების განხილვის შემდეგ განვმარტავთ „**არამატერიალური ქონებრივი სიკეთის**“ ცნებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად: „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს „**უსხეულო ნივთი**“ ეწოდება. „**უსხეულო ნივთები**“ „**სხეულებრივი ნივთების**“ მსგავსად სამართლებრივ ფასეულობად იქცევა იმის წყალობით, რომ მათ უკან გარკვეული პირის უფლებებია გამოკვეთილი. სხეულებრივი ნივთის უკან არსებული უფლებები, სწორედ, რომ ამ ნივთზე არსებული უფლებებია და ამ აზრით, ფასეულობას წარმოადგენს საგნის თვით სხეული, იგივე ნივთი. სხვანაირად დგას საკითხი „უსხეულო ნივთების“ შემთხვევაში. ამ დროს თვით უფლება და მოთხოვნაა ნივთი, ხოლო ის მატერიალიზებული საგანი, რაშიაც ისინია გამოხატული, არ წარმოადგენს მათს სხეულს. მიუხედავად ამისა, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევეა შესაძლებელი, როგორც „სხეულებრივი ნივთებისა“.

განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი თანამედროვე ქართული სამართლის მიხედვით, არის **სამკვიდრო**. იგი შედგება **სამკვიდრო აქტივისა** და **პასივისაგან**. **აქტივის** წარმოადგენს მამკვიდრებლის **ქონებრივი უფლებები** – **უფლებები ნივთებსა (მატერიალური სიკეთეები)** და **არამატერიალურ სიკეთეებზე**. **მატერიალური სიკეთე** შეიძლება იყოს **უძრავი** ან **მოძრავი**. რაც შეეხება **სამკვიდრო პასივს**, მასში შედის მამკვიდრებლის **ქონებრივი მოვალეობები**. **ქონებრივ მოვალეობებში** იგულისხმება მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის ვალებისათვის.

დაბოლოს, ქართულ სამართალში გვხვდება ტერმინი „**უმკვიდრო ქონება**“, რომელიც აღნიშნავს მემკვიდრის გარეშე დარჩენილ სამკვიდროს. 1343-ე მუხლის თანახმად: „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის ხაზინაზე“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, რუსეთის კანონმდებლობაც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტად ასახელებს **სამკვიდროს (наследство):** „სამკვიდრო (სამკვიდრო მასა, სამკვიდრო ქონება) **[наследство (наследственная масса, наследственное имущество)]** – ეს არის მამკვიდრებლის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც კი არ წყდება მის გარდაცვალებასთან ერთად, არამედ, როგორც ერთი მთლიანი გადაეცემა მემკვიდრეებს მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე“.

რუსეთის მემკვიდრეობის სამართალი ქართული კანონმდებლობის მსგავსად სცნობს **სამკვიდრო აქტივს (актив)** და **სამკვიდრო პასივს (пассив)**: „ქონებრივი ურთიერთობები თითქმის ყოველთვის შედგება აქტიური და პასიური ელემენტებისაგან, რადგან ნაღდ ქონებასა და ქონებაზე არსებულ უფლებებთან ერთად თითოეულ მამკვიდრებელს შეიძლება ჰქონდეს მოვალეობები, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვალეები. მამკვიდრებლის ვალეებს ეწოდება სამკვიდრო მასის პასივი“.

მაშასადამე, აქ საუბარია უნივერსალურ უფლებამონაცვლეობაზე, რომლის დროსაც მემკვიდრე იღებს არა მარტო მამკვიდრებლის ქონებას, არამედ მისი ვალეების გადახდის ვალდებულებასაც. ქონება შეიძლება იყოს **მოძრავი (движимое)** ან **უძრავი (недвижимое)**. ამასთანავე, რუსეთის კანონმდებლობის გაცნობისას ყურადღებას იპყრობს „**საოჯახო მოხმარების საგნების**“ (**предметы обычной домашней обстановки и обихода**) მემკვიდრეობით გადაცემის განსაკუთრებული რეჟიმი. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 533-ე მუხლის თანახმად:

„საოჯახო მოხმარების საგნები გადაეცემათ იმ კანონისმიერ მემკვიდრეებს (მიუხედავად მათი რიგისა და სამკვიდრო წილისა), რომლებიც ცხოვრობდნენ მამკვიდრებელთან ერთად არანაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ, მიუხედავად საოჯახო მოხმარების საგნებზე დაწესებული მემკვიდრეობის უფლებისა, რუსეთის კანონმდებლობა არ გვამცნობს აღნიშნული საგნების ზუსტ ჩამონათვალს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ „ანტიკვარული ნივთები, აგრეთვე ნივთები, რომლებსაც აქვთ მხატვრული, ისტორიული ან სხვა ღირებულება, არ განიხილება, როგორც საოჯახო მოხმარების საგნები, მიუხედავად მათი მიზნობრივი დანიშნულებისა“.

რუსეთის კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1481-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად, აქვს უპირატესი მემკვიდრეობის უფლება. თუმცა რუსეთის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ეს უფლება ვრცელდება არა მარტო **საოჯახო მოხმარების საგნებზე**, არამედ **საცხოვრებელ სახლზე, ბინაზე ან სხვა საცხოვრებელ სადგომზე**. ამასთანავე, ცნობილია, პრაქტიკაში არსებული საოჯახო მოხმარების საგნების სიაც (ავეჯი, ჭურჭელი, ქვეშაგები, ტელევიზორი და სხვა).

დაბოლოს, რუსეთის სამართალში გვხვდება ტერმინი "**выморочное имущество**" (**უმკვიდრო ქონება**), რომელიც მემკვიდრის გარეშე დარჩენილ ქონებას აღნიშნავს.

საქართველოსა და რუსეთის სამოქალაქო კოდექსების მსგავსად, მონტანას კანონმდებლობაც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტად ასახელებს სამკვიდროს (**estate**). თუმცა, აშშ-ს სამართალში განსხვავებული ტერმინებით აღინიშნება ანდერძითა და უანდერძოდ გარდაცვლილი პირის სამკვიდრო. თუ მამკვიდრებელი ანდერძის დაუტოვებლად გარდაიცვალა, მაშინ მის სამკვიდროს ეწოდება "**intestate estate**", ხოლო თუ მან ანდერძი დატოვა, მაშინ – "**testate estate**".

სამკვიდროს იმ ნაწილს, რომელიც „გაწმენდილია“ ვალებისა და საანდერძო დანაკისრებისაგან, ეწოდება "residue".

ამასთანავე, **estate** შეიცავს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ ელემენტებს. სამკვიდრო აქტივები (**assets**) შედგება მატერიალური ქონებისა (**tangible property**) და არამატერიალური ქონებისაგან (**intangible property**).

Tangible property წარმოდგენილია უძრავი (**real or immovable property**) და მოძრავი (**personal or movable property**) ქონებით.

მონტანას კოდექსის 70-1-106-ე მუხლის თანახმად, ტერმინით "**real property**" აღინიშნება:

„(1) მიწა (**land**); (2) ის, რაც მიწაზე არის მიმაგრებული, სახლის ჩათვლით (**that which is affixed to land, including a manufactured home**); (3) ის, რაც მიწის თანმხლებია ან მიეკუთვნება მიწას (**that which is incidental or appurtenant to land**); (4) ის, რაც უძრავია კანონის მიხედვით (**that which is immovable by law**)“.

უძრავი ქონებისაგან უნდა განვასხვავოთ მოძრავი ქონება. მონტანას კოდექსის 1-1-205-ე მუხლის თანახმად, ტერმინი "**personal property**" გულისხმობს:

„ფულს (**money**), საქონელს (**goods**), ბარგს (**chattels**), მოქმედებაში მყოფ საგნებსა (**things in action**) და ვალის დამადასტურებელ საბუთებს“. ამასთანავე, „ნებისმიერი სახის ქონება, რომელიც არ არის უძრავი, არის მოძრავი“ (მონტანას კოდექსის 70-1-108-ე მუხლი).

დაქორწინებული პიროვნების გარდაცვალების შემთხვევაში, მის სამკვიდროში შედის ე. წ. "**community property**" (**საერთო ქონება**). ამ ქონების ნახევარი რჩება მამკვიდრებლის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, ხოლო მეორე ნახევარი კი: „...არის გარდაცვლილის ქონება და ექვემდებარება ანდერძით გადაცემას მამკვიდრებლის მიერ ან განაწილებას "**Uniform Probate Code**"-ის მიხედვით“ (მუხლი 72-9-102).

ანალოგიური კანონი გვხვდება ქართულსა და რუსულ სამართალშიც. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 1339-ე მუხლის თანახმად:

„ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის“.

თანასაკუთრება ანუ **საერთო საკუთრება** მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებას წარმოადგენს. თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში მეუღლეთა საერთო ქონების ნახევარი ცოცხლად დარჩენილი მეუღლის წილს შეადგენს, ხოლო მეორე ნახევარი კი ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. ცხადია, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებთან ერთად აქვს მემკვიდრეობის უფლება საერთო საკუთრების მეორე ნახევარზეც.

მონტანას კოდექსის მიხედვით, სამკვიდრო პასივს შეადგენს მამკვიდრებლის ქონებრივი მოვალეობები ანუ ვალები (**claims**). ვალების გადახდა ხდება

ქონების განმკარგველის მიერ სამკვიდროს მართვის პერიოდში. თუ ქონების განკარგვის დროს ყველა კრედიტორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ: „(1) სამკვიდრო აქტივების განაწილების შემდეგ, სასამართლოში შეიძლება აღიძრას საქმე გადაუხდელ ვალებთან დაკავშირებით ერთი ან ერთზე მეტი მემკვიდრის წინააღმდეგ...

(2) რაც შეეხებათ მემკვიდრებს, თითოეულმა უნდა გადაიხადოს თანხა ვალების დასაკმაყოფილებლად ისე, თითქოს, ვალი გადახდილ იქნა სამკვიდროს მართვის პროცესში“.

დაბოლოს, მონტანას კანონმდებლობაში გვხვდება ცნება „უმკვიდრო ქონება“, რომელიც აღინიშნება ტერმინით "escheated property". მონტანას კოდექსის 72-14-102-ე მუხლის თანახმად:

„როდესაც უფლება საკუთრებაზე – უძრავზე, მოძრავზე ან შერეულზე, წყდება რაიმე მიზეზის გამო, მემკვიდრეებისა თუ უახლოესი ნათესავების არარსებობის ჩათვლით, მაშინ ეს უფლება გადაეცემა მონტანას შტატს შესაკუთრის გარდაცვალებისთანავე...“. მაშასადამე, მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში „უმკვიდრო ქონება“ რჩება სახელმწიფოს.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ცნება „სამკვიდრო“ თითქმის იდენტურად არის წარმოდგენილი საქართველოსა და რუსეთის კანონმდებლობებში. ეს დიდი მსგავსება აიხსნება იმ ფაქტით, რომ ორივე ქვეყნის კანონმდებლობას საფუძვლად უდევს ყოფილი საბჭოთა კავშირის (სოციალისტური) სამართალი. შესაბამისად, „სამკვიდროს“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების შესწავლისას ძირითადი სხვაობა ვლინდება ერთის მხრივ, ინგლისური და ქართული და მეორეს მხრივ, ინგლისური და რუსული ტერმინების შედარების დროს. ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოსა და რუსეთის კანონმდებლობებში არ არსებობს ცნება "residue". ამასთანავე, არსად გვხვდება ცნებების "intestate estate"-ისა და "testate estate"-ის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული ცნებების ქართული ლექსიკური ერთეულებით სახელდება. შესაბამისად, შეიქმნება ახალი ქართული ტერმინოლოგიური ერთეულები.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტერმინებია: „**კანონისმიერი სამკვიდრო**“ (intestate estate) და „**ანდერძისმიერი სამკვიდრო**“ (testate estate) (ვხელმძღვანელობთ რა იმ ფაქტით, რომ "intestate estate" კანონით გადაეცემათ მემკვიდრეებს, ხოლო "testate estate" ანდერძით გადადის მემკვიდრეების მფლობელობაში).

ლიტერატურა

- კობახიძე 2001** – კობახიძე ა., „სამოქალაქო სამართალი“, ზოგადი ნაწილი, გავით „საქართველოს მაცნე“-ს სტამბა, თბილისი 2001.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „ბონა კაუზა“, თბილისი 2002.
 - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, „სამართალი“, თბილისი 1999.

- Montana Code Annotated, Montana 2003
(об. <http://data.opi.state.mt.us/BILLS/2003/mtatoc/72.htm>).
- Гражданское Законодательство РФ, Том 1 ИНФРА-М, Москва 1997.

Irine Gvelesiani

Lexical Units Denoting the Concept "Estate" in Georgian, Russian and American Laws

Summary

The paper deals with "estate" as an object of the law of succession in Georgian, Russian and American laws. There are two main categories of "estate": "assets" and "claims". The term "assets" denotes: "tangible property" and "intangible property". "Tangible property" consists of: "real or immovable property" and "personal or movable property".

The study of the concept "estate" has shown that it is presented almost similarly in "The Georgian Civil Code" and "The Civil Code of the Russian Federation". This great similarity is explained by the fact that the legislation of both countries is based on the law of the former Soviet Union. At the same time, the comparative analysis has revealed the differences between Georgian, Russian and English terms. For example, there are no terms corresponding to "residue", "testate estate" and "intestate estate" in Georgian and Russian laws.

ლექსიკური სინონიმია ქართული ენის ფრაზოლოგიკაში

ცნობილია, რომ ენას ხშირად მოეპოვება ორი (ან რამდენიმე) სიტყვა ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად; ამდენად, სინონიმები ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებია, რომლებშიც აისახება საგანთა თუ მოვლენათა ინდივიდუალობა, კონკრეტული ხასიათი.

სინონიმია ენობრივ ერთეულთა სემანტიკური მიმართების ტიპია, ენობრივი სისტემის თითქმის ყველა იერარქიულ დონეზე იჩენს თავს და გარკვეულ მიკროსისტემას ქმნის, თუმცა მიჩნეულია, რომ სინონიმია უმთავრესად ლექსიკური მასალის საფუძველზეა წარმოდგენილი და სინონიმთა რეალურობა ენაში ლექსიკოგრაფიული პრაქტიკით არის დადასტურებული.

ლექსიკური სინონიმები აღიარებულია ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებისა და მისი მრავალფეროვნების წყაროდ. ე. ბანუნაშვილის აზრით, „მათი სწორი გამოყენება მეტყველებას უდიდეს გამომხატველობით ძალას ანიჭებს და შესაძლებლობას ქმნის ზუსტად და ნათლად გამოვხატოთ აზრისა და გრძნობის უმცირესი ნიუანსები“ (ბანუნაშვილი 1959).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ სინონიმისთან დაკავშირებული საკითხების კვლევა ძალზე აქტუალურია როგორც ლინგვისტური, ასევე პრაგმატული თვალსაზრისით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ი. აპრესიანის, რ. ბუდაგოვის, ს. ბერეჟანის, ა. ეგენიევას, ვ. ზვეგინცევის, დ. შმელიოვის, გ. პოლევსკაიას, ჯ. სილაგაძის, ალ. ნეიმანის და სხვათა შრომები.

სადღეისოდ ქართულ ენათმეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ქართული ლექსიკური სინონიმის შესწავლის ისტორია დიდი ლექსიკოგრაფის – სულხან-საბა ორბელიანის მემკვიდრეობიდან იღებს სათავეს (სილაგაძე 1981). ყურადსაღებია, რომ სულხან-საბას ნააზრევი საინტერესო მასალას იძლევა სინონიმთა შესწავლის თვალსაზრისით. ასევე აღსანიშნავია სინონიმისთან დაკავშირებულ საკითხთა კვლევა ნ. ჩუბინაშვილის, პ. კვიციანიძის, ს. ხუნდაძის, შ. ძიძიგურის, ბ. ფოჩხუას, ალ. ლლონტის, ზ. ჭუმბურიძის, ე. ბანუნაშვილის, რ. ლამბაშიძის, ბ. ჯორბენაძის, შ. აფრიდონიძის, მ. აბალაქის და სხვათა შრომებში.

გასაზიარებელია მოსაზრება, რომ სინონიმის მეცნიერული შესწავლა მისი ისტორიული შესწავლა (ს. ულმანი), ამიტომ მეტი შემეცნებითი ღირებულება აქვს სინონიმთა იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ლინგვისტურ ფაქტორებთან ერთად მათს ისტორიას ითვალისწინებს, ანუ სინონიმთა სხვადასხვა ჯგუფს გამოყოფს მათი წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, ენობრივ კოლექტივთან მიმართების გათვალისწინებით.

ამ თვალსაზრისის მიხედვით სინონიმის მხოლოდ ლექსიკური პარადიგმატიკის ფაქტად ვერ მივიჩნევთ. სინონიმისა და პოლისემიის შეხვედრა ენის ლექსიკური სტრუქტურის აუცილებელ ნიშან-თვისებად ვერ ჩაითვლება. ჩანს,

სინონიმის ლინგვისტური შესწავლისათვის საჭიროა შიდალექსიკურ მიმართებათა წრიდან გასვლა და ენობრივი კოლექტივის ყოფის, შედგენილობისა და ისტორიის გათვალისწინება (ფონხუა 1974, 33-35; ფონხუა 1965, 130). სინონიმთა წარმოქმნის საკითხი სხვადასხვა თვალსაზრისით აქვს განხილული ი. აპრესიანს, ვ. ზვეგინცევს, ლ. ბულახოვსკის, ვ. ვინოგრადოვს, ალ. ნეიმანს, ბ. ფონხუას, შ. ძიდიგურს, ჯ. სილაგაძეს და სხვ.

ამრიგად, სინონიმის წარმოქმნა დაკავშირებულია როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან: შესაბამისი ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან (სხვადასხვა ეთნოსის შერწყმა ერთ ენობრივ კოლექტივად, კონტაქტები სხვა ხალხებთან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები...); სინონიმთა შეიძლება გააჩინოს დიალექტური ან სხვადასხვაენობრივი სიტყვების თავმოყრამ, სემანტიკურმა ცვალებადობამ, სიტყვათა სესხებამ, სიტყვაწარმოებამ, ტაბუისტურმა მოტივებმა, სიტყვის ტაბუსთან ევფემიურმა ჩანაცვლებამ, ფრაზეოლოგიზმების ჩანაცვლებამ და ა. შ. ამდენად, ლექსიკისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის გარკვევისათვის, სინონიმის შესწავლას საინტერესო მასალის მოცემა შეუძლია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ *საერთოენობრივი ლექსიკური ფონდის სინონიმებით გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი რესურსია ლექსიკური დიალექტიზმები, დიალექტური ლექსიკური სინონიმები. ამ მხრივ საინტერესოა ლექსიკური სინონიმის დადგენა ნებისმიერ დიალექტში, მათ შორის ფშაურშიც, რადგან ბარისა და მთის კილოებთან მომიჯნავე ეს დიალექტი უზეად შეიცავს პარალელურ ლექსიკურ ფორმებს, რაც რეგიონული მონაცემებით დასტურდება.*

კვლევის ამოცანების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ *სადღე-ისოდ ლექსიკური სინონიმთა ფშაურში ძირითადად რეგიონულ დაყოფას დაქვემდებარებული და დაუქვემდებარებელი სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტების არსებობით განისაზღვრება.* სწორედ ამ ნიშნით მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია. მათგან აღსანიშნავია:

ა) მონაცვლე სინონიმური ლექსიკური ვარიანტები, რომელთა ლოკალიზაცია ხერხდება რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით, გავრცელების განმსაზღვრელი ტერიტორიის – გავრცელების დიალექტური არეალის (იზოგლოსათა) დადგენით. მაგალითად: *დონყაზი // ორყაბაზი // ჯინჯიბაკი. დონყაზი* არაგვის ხეობის ფშაურში ორტოტა სალობი მარგილია, შიგ ლატნებს უდებენ. *დონყაზს* ივრის ხეობის ფშაურები *ორყაბაზს* უწოდებენ. დიდ დონყაზს *ჯინჯიბაკი* ჰქვია. „შაკონვილ შეშასაც *ჯინჯიბაკს* ეძახიან“ (ს. ოშარა).

შდრ. ასევე: *აბრაყვი* (არაგვის ხ.) // *გირკალი, კირკალი* (ივრის ხ.) – ხისგან (ჯონხისგან) გაკეთებული რკალი, ხის რგოლი; თოკზე მიბმული ხის მარყუჟი; გირკალი უფრო დიდია;

ასახლებული, შასახლებული (არაგვის ხ.) // *ხატის სულდგმული, შესულდგმულებული* (ივრის ხ.) – „ხატისათვის შეთქმული ჭედილა ან კურეტი“;

აქერცნა (ივრის ხ.) // *აქერაჭნება, ატკრეცვა* (არაგვის ხ.) – სახის აქერცვლა;

ალერებული (ივრის ხ.) // *ბურახი* (არაგვის ხ.) – ხშირი, ძალზე მაღალი ალერებული მსხვილღეროიანი ბალახი;

ამბაზი (წინა ფშ.) // *მონდავნი* (უკანა ფშ.) – ხვნაში შეამხანაგებულნი;

აჩი, ჩამოჩი (ივრის ხ.) // *ცუცი, ცუცი; ცივოშენი, ცივოშენი!* (არაგვის ხ.) – თხის ან ცხვრის მოსახმობი;

ბაძუნობა (ივრის ხ.) // *ბუჯბუჯი, ცუხცუხი* (არაგვის ხ.) – ფუსფუსი;

ბუდიანი, ფამფარა, ფამფარამატყლიანი (არაგვის ხ.) // *თუშური* (ივრის ხ.) – გრძელი, ხშირმატყლიანი ცხვრის ეპითელია;

ბილჩები (არაგვის ხ.) // *სამკრეულები* (ივრის ხ.) – ტვირთის საზიდი სამხრეები; მხრის თავებზე მოსადები გამონასკვული თოკი;

ბურკვა (არაგვის ხ.) // *კომიჭა, კუმშა* (ივრის ხ.) – თოვლის გუნდა;

გაკაფვა (არაგვის ხ.) // *გასხვება* (ივრის ხ.) – მოჭრილი პატარა ხისთვის ტოტების გაცლა;

გაკენკილი, მოკენკილი (ივრის ხ.) // *ყოილის მოჭვრეთილი* (არაგვის ხ.) – ნაყვავილარი პირისახე;

გაბთირება, გაირიქება (არაგვის ხ.) // *გაიფშიკება, ჩაიწვება, გაიფშენიტება* (ივრის ხ.) – თივის ზედმეტად გამოშრობა;

გარზანა (არაგვის ხ.) // *გუგლუმა* (ივრის ხ.) – პურეული პროდუქტი, ნაწარმი;

გაფხოზვა, გაბერტყვა (არაგვის ხ.) // *გაწმენდა* (ივრის ხ.) – ზვინად აგებული თივის გაწმენდა, ჩამობერტყვა;

გაში (ივრის ხ., წინა ფშ.) // *სასხამი* (უკანა ფშ.) – ფარცხის შემადგენელი ნაწილი;

გარეკვა (ივრის ხ.) // *გალაღვა* (არაგვის ხ.) – პირუტყვის საბალახოდ გაღვნა;

გაჩვეული (არაგვის ხ.) // *გაელისაკებული* (ივრის ხ.) – შეჩვეული ცხვარი ან ცხვრის ფარა;

გოლვა (ივრის ხ.) // *ხმელობა* (არაგვის ხ.) – გვალვიანი ამინდი, გვალვიანი დრო, ხანი;

გრილი (ივრის ხ.) // *სანილო* (არაგვის ხ.) – ჩრდილი ადგილი;

გუთნის მკარში გასაგდები ჩხირი, ჭინჭილაქი (უკანა ფშ.) // *ნაგირველა* (წინა ფშ.) – სამსჭვალი;

გუთნისდედა (ივრის ხ.) // *საკენელა* (არაგვის ხ.) – ჩიტი;

გუგულთკაბა, გუგულის კაბა (არაგვის ხ.) // *ტყის კიტრა* (ს. საკობიანო) – ბალახოვანი მცენარე;

გუგულის ბულულა (არაგვის ხ.) // *ფურისულა* (ივრის ხ.) – ბალახოვანი მცენარე;

დაკვერილი, ძუძუდაძრული (არაგვის ხ.) // *მოწეული* (ივრის ხ.) – მოსაგებად მიმდგარი ცხვარი;

დაფარვა (არაგვის ხ.) // *დაფარცხვა* (ივრის ხ.) – ნათესის დაფარვა მიწით;

დედიან მიწა, ალღუმი (ივრის ხ.) // *ტუმი* (არაგვის ხ.) – კარგი სახნავ-სათესი მიწა;

ღონყაზი (არაგვის ხ.) // *ორყაბაზი* (ივრის ხ.) – ორტოტა სალობი მარგილია, შიგ ლატნებს უდებენ;

თეომოკრული (არაგვის ხ.) // *თევგაკრული* (ივრის ხ.) – ცხვრის გამ-ლით სვლა მწკრივში;

თხლეტი (ივრის ხ.) // *კრინკეტი, ლეკურეტი* (არაგვის ხ.) – პურეული პროდუქტი (იხ. პურეული პროდუქტების ლექსიკა);

იესო ქრისტეს კაბა (არაგვის ხ.) // *ჭარისძირა* (არაგვის ხ.) – ბალახოვანი მცენარე;

იცხომღებს (ივრის ხ.) // *ღამურვილდება* (არაგვის ხ.) – დიდი სიცხის დროს ცხვრების შექუჩება, ერთად შეკვრა და თავების ფეხებში ჩამალვა;

კაპისმკერდა, ოქროყვიალაი (უკანა ფშ.) // *კლდის ვაციწვერა* (ს. შახვე-ტილა) – ბალახოვანი მცენარე;

კირძაი, მკელიავი (უკანა ფშ.) // *იკელივი* (ქვ. ქელი) – ბალახოვანი მცე-ნარე;

ფიჩხის კონა (არაგვის ხ.) // *ჯარჯი* (ივრის ხ.) – მთიდან ჩამოთრისას თივის ქვეშ დადებული ფიჩხის კონა;

კორა (არაგვის ხ.) // *ქორაკი* (ივრის ხ.) – უღლის ნაწილი;

კრუხი (ივრის ხ.) // *კრუტი* (არაგვის ხ.) – წიწილების დედა-კრუხი;

ლახჭიმა, ლემცოფა (ივრის ხ.) // *ლემხურაი* (უკანა ფშ.) – ბალახოვანი მცენარე;

ლემხურაი, ჯამია (არაგვის ხ.) // *ლემცოფაი* (ივრის ხ.) – ბალახოვანი მცენარე;

ლურწამი (უძილაურთა) // *ოქროს ბალახი, ბალახის კიბო* (ს. აკადი) // *ხვეულაი* (ს. კომი) – ბალახოვანი მცენარე;

ლურჯი ფეტვი (არაგვის ხ.) // *მამალფეტვი, ურო თავთავიანი* (ივრის ხ.) – ერთლეროიანი უტოტო თავთავიანი ფეტვი;

მაენე (წინა ფშ.) // *ფუშენიერი* (უკანა ფშ.) – მოუნელებელი საკვები ფაშვში;

მემძროხე (არაგვის ხ.) // *მენახირე* (ივრის ხ.) – ძროხების მომვლელი;

მჩნევიარი, მოკანებული (წინა ფშ.) // *მოჩნეულა* (უკანა ფშ.) – მოგების დრომოტანებული მსხვილფეხა, ფური;

მაჭლეური (არაგვის ხ.) // *ნამჭლეური* (ივრის ხ.) – მუჭაში მოქცეული ძნის კონა;

მეკბოე, მეკბოვე (არაგვის ხ.) // *მეხბორე, მეკბორე* (ივრის ხ.) – ხბო-ების მწყემსი;

მისრინებული (ივრის ხ.) // *სანატეხრედ გახდილი* (არაგვის ხ.) – უმწეო ავადმყოფი, დაძაბუნებული;

მამულნი, მოგვარეები (არაგვის ხ.) // *ბიძაშვილები* (ივრის ხ.) – ახლო ნათესავები;

მოკანებული (წინა ფშ.) // *მოჩნეული* (უკანა ფშ.) – მოსაგებად მიმდგარი მსხვილფეხა;

მწვერთიფელა (არაგვის ხ.) // *დედუოლაი* (ივრის ხ.) – ბალახოვანი მცენარე;

მკარ-გვერდი (არაგვის ხ.) // *მეოთხედი* (ივრის ხ.) – დაკლული საქონლის ან ცხვრის ხორცის ერთი მეოთხედი ნაწილი;

ნამუცემელი (არაგვის ხ.) // *ნამუკრავი* (ივრის ხ.) – დარში გათიბული და დარშივე ახვეტილი კარგი მწვანე თივა;

ნასათარი, სასათრე (არაგვის ხ.) // *ნათრევი*, (ივრის ხ.) – მთიდან ჭალაში თივის ძნის ჩამოსათრევი გზა;

ნასხეპი (არაგვის ხ.) // *ნახევარი* (ივრის ხ.) – ხერხემლის გასწვრივ ჩაჭრილი ნახევარი პირუტყვის ხორცისა;

ნაფურუშეკლაი (არაგვის ხ.) // *ნაფხეკი, ანაფხეკა* (ივრის ხ.) – ცომის აფხეკილი ნარჩენი;

ნაყვერალი (არაგვის ხ.) // *სანადო* (ივრის ხ.) – სახატო მამული;

ნაყოჩარი, ერთხელ შასული (არაგვის ხ.) // *ნაყოჩვარი, ძველი ყოჩი, ძველები* (ივრის ხ.) – მეორე წელს გადამცდარი ყოჩი;

ნაწყობი (არაგვის ხ.) // *კელი* (უძილაურთა) – მომკილი ყანის წყობა;

ნაჭოფი (არაგვის ხ.) // *ნაბაგარი* (ივრის ხ.) – ბაგაში დარჩენილი საჭმლის ნარჩენი;

ნაკერი, ნახჩევი (არაგვის ხ.) // *ქლახი* (ივრის ხ.) – შემის დიდი ნაჭერი;

ნოყლა (არაგვის ხ.) // *ახალი* (ივრის ხ.) – ნორჩი ბალახი;

პკა (ივრის ხ.) // *სკა* (უკანა ფშ.) – ტვინზე გადაკრული აპკი („კუჭ-ფაშხეც აქვ სკა“);

საბელი(ვ) (არაგვის ხ.) // *შუბისტარი* (ივრის ხ.) – ღროის საზომი ერთეული;

სათივის კარი (წინა ფშ.) // *კირხლის კარი* (უკანა ფშ.) – სათივე ადგილში, ეზოში შესასვლელი;

სამაქნენი, სამანქნენი (არაგვის ხ.) // *ფარცხი(2)* (ივრის ხ.) – წისქვილის შემადგენელი ნაწილი;

სარქე, ბაკანა (არაგვის ხ.) // *ქერო* (ივრის ხ.) – ადგილი, სადაც რქები ამოდის;

სასტვენელა, სასკივარა (არაგვის ხ.) // *წივილა* (ივრის ხ.) – ბალახოვანი მცენარე;

სასუტავი, სასუტელა (ს. უძილაურთა) // *ყვითელბულულა, თაფლისბულულა, ფუტკრისნეტარა* (ს. შუაფხო) – ბალახოვანი მცენარე;

სვილა ბალახი (არაგვის ხ.) // *ქობა ბალახი* (ივრის ხ.) – წმინდა, მაღალი ბალახი;

უპატრონო სათივე, ირაო, სანადელო, სანადელოდ დამრჩალი, საონავრო (არაგვის ხ.) // *ნაოზრალი* (ივრის ხ.) – მიტოვებული სათივე;

ურო (არაგვის ხ.) // *კაი ბალახი* (ივრის ხ.) – ნოციერი, მალალი და მსხვილი ბალახი;

ფამფარა ფეტვი (არაგვის ხ.) // *ფარჩხა ფეტვი* (ივრის ხ.) – მრავალტოტიანი ფეტვი;

ფეკის მოცქრომა (არაგვის ხ.) // *ფეხის მოსხლტომა* (ივრის ხ.) – ფეხის დაცურება;

ქუჩალა (არაგვის ხ.) // *მწვანე თივა* (ივრის ხ.).

ქუჩიანი (არაგვის ხ.) // *ხშირბალახიანი* (ივრის ხ.) – საძოვარი, სადაც ქუჩი იზრდება;

ლაულაუი (უკანა ფშ.) // *თაფლანა, თაფლაყვაილა* (წინა ფშ.) – ბალახოვანი მცენარე;

ყამირისბულულა (კოშარა) // *ჩაის ყოილი* (უძილაურთა) // *სარცხა* (საკობიანო) – ბალახოვანი მცენარე;

ყაყვრა (არაგვის ხ.) // *ყინტვა, ყინწვა* (ივრის ხ.) – წამოწევა, წამაგვრა;

ყინტერისყივა (ივრის ხ.) // *ხიფხვლისყივა* (არაგვის ხ.) – აღერებული ხიფხოლა, იგივე ყინტორა;

ყინტრაობა (არაგვის ხ.) // *ფუნდრუკაობა, დაბზიკელაგება* (ივრის ხ.) – მკბენარი მწერის მიერ საქონლის შეწუხება და დაფრთხობა;

ჩაბინაგება (არაგვის ხ.) // *ბინაზე მიდგომა* (ივრის ხ.) – ცხვარ-მეცხვარის მისვლა ბინაში, შირაქში;

ჩალახე, ჩალაქე (არაგვის ხ.) // *საჩალახე* (ივრის ხ.) – აკვანში ჩასაფენი;

ჩასული (არაგვის ხ.) // *გამხმარი* (ივრის ხ.) – ბალახი, რომლის გათიბვაც ვერ მოასწრეს;

ჩაწიებული (არაგვის ხ.) // *ჩანავლებული* (ივრის ხ.) – გაქრობის პირას მისული, მინავლებული ცეცხლი;

ცხვარი, ჩლიქმბული (არაგვის ხ.) // *წვრილფეკა რქოსანი* (ივრის ხ.) – წვრილფეხა პირუტყვი;

ხადურა (არაგვის ხ.) // *ხანდოურა* (ივრის ხ.) – ჩალის ნაგებობა;

ხიფხოლა (არაგვის ხ.) // *ყინტორა* (ივრის ხ.) – ბალახი, წნილის სახით იყენებენ საკვებად;

ჯაგლაგი (უკანა ფშ.) // *ლაჯლაჯა* (წინა ფშ.) – ცხენი, რომელმაც კარგი იორლა არ იცის, ვერ დარბის, მითახთახებს;

ჯალაფნი(2) (არაგვის ხ.) // *ძმათ განაყრები* (ივრის ხ.) – ოჯახის განაყრები;

ჯინი (არაგვის ხ.) // *გელმა* (ივრის ხ.) – ნაგვის (ნაკელის) საზიდი;

კავლი (არაგვის ხ.) // *ზეინი* (ივრის ხ.) – „უკვენა ფშავში ოთხ-ხუთ თივაისაგან *კავლის* აგება იციან“ (ს. შუაფხო) – დიდი ზეინი;

ჰაე, ჰაე, ჩამოჩი, გამოჩი, ამოჩი (ივრის ხ.) // *გამუქსა, ამუქსა* (არაგვის ხ.) – ცხვარს მიაძახებენ გაწყრომისას და სხვ.

ბ) თავისუფლად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტები, რომლებიც არ ექვემდებარებიან რეგიონულ დაყოფას და მათი ლოკალიზაცია არ ხერხდება მოცემულ ტერიტორიაზე სახელდების პარალელური ფორმების ერთდროულად დადასტურების გამო:

არჯეკალი, არჯაკალი // *მთის ვარდი* – ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარე;

ადვილის დედა // *ხვთიშობელი* – სოფლის სალოცავი;

ადრეულა – ნ. იანვრის კბო;

ავარდნა – ნ. კეთილობა;

აზაქარი // *მძიმე* // *ჟანტი* – ნელი და მოუქნელი ხარი;

ალალი ძროხა // *ტუტუფონა* – რძის მთლიანად მომცემა;

აპატინა, აპატიტენა // *ახალი* – პირუტყვის ნელლი ტყავი;

ასახელებული // *შასახელებული* // *ხატისად შეთქმული* – ხატისთვის შესაწირი საქონელი;

ატნიხული // *ათლუხვილი* – ერთმანეთში არეული ცხვარ-ძროხა;

ანიჩხლება // *აჯინჯღლება* – ნაკვერჩხლის შეჩხრეკა;

ახური // *ჯინდახვერი* // *ხინდახვერი* // *ლასტის ბაგა* – წნელით მოწნული ბაგა ცხენისათვის;

ბაგბავი // *ცხრუება* – *კანკალი*;

ბაკანა – ნ. სარქე;

ბამბლვა // *ბობლვა* – ცოცვა;

ბანდიანი // *ღღლარბი* – ძარღვიანი და ცუდი ხარისხის ხორცი;

ბეტერი – ნ. ბუანდე;

ბეჩავი // *ლუბი* – გამხდარი ცხენი ან საქონელი;

ბინები // *ბაკები* – პირუტყვის სადგომი; სამთო საცნაურებში ორტოტა სალობი მარგილებით (დონყაზებით) ან მანებით (მარგილებით) შემოღობილი ადგილი, სადაც მიწის განოყიერების მიზნით შიგ რამდენიმე ხნით პირუტყვს აყენებენ;

ბიჭა, ბიჭა ბატკანი // *ნაპარება, ნაპარევ ბატკანი* // *ადრეული* – დოღზე ადრე დაბადებული ბატკანი;

ბლექა // *უწყლო* ყაურმის ჭამა – უზომო სმა;

ბოკო // *რქადოჯა* – მოკლე და მსხვილრქებიანი ხარი;

ბუანდე // *ბეტერი* // *უცოდარი* – გაუგებარი და არაფრის მცოდნე;

გაბეჩაული // *მელუბე* // *ლუბი* // *ჯანდავი* – ავადმყოფი და გამხდარი საქონელი;

გადაწყვეტილი // *მოღებული* – მომაკვდავი;

გათქვირებული – ნ. თითქვნილა;

გამლაძი // *თავაძი* // *მჭამელი* – კარგი, თამაძი, ბევრის მჭამელი საქონელი;

გამოქნვა // გაწურთენა – საქონლის დაჩვევა უღელში შესაბამელად ხვინ-სათვის;

გამოკამლული // დალასტული – მშვიერი, უმუცლო საქონელი;

განაზებული // კანტი მჭამელი – ცოტა მჭამელი საქონელი;

გაორყებული // გაურყნებული // გამერყებული – მოხეტიალე, მოუსვენარი, გათამამებული, მოურიდებელი საქონელი, და არა: მსუქანი (შდრ.: ხორნაული 2000, 55);

გარიალება // გაჩეკვა – ცხვრის გარეკვა ხმაურითა და შემახილებით;

გახეხილი // გაძვალტყაული // ჩარჩეული // ჩონჩხატი – ძალიან გამხდარი;

გულერძი // ჩინჩვარი – თხილის დაგრეხილი წნელი, რომელსაც ახმობენ და შემდეგ ცეცხლს იმით ანთებენ.

დაგრიალეული // კბოიანი – მაკე ძროხა;

დათქარუნობს // დათქრიალებს // დათახთახებს – ჩქარა დადის;

დამყაული // წაკანჭებული – დამყავებული;

დაძრახული // გაუკლოვებული // კმასახელგატეხილი – ცუდი ყოფაქცევის ქალია;

დაჭედვა // დანალვა – ნალის მიკვრა;

დაჯირა // შებალახა – ბალახოვანი მცენარე;

დოლის გამოსვლა // ფარის დავება – დოლის დამთავრება;

დოლისთავი // ნათავარი – დოლში პირველად გაჩენილი ბატკანი;

დღეზე მდგობი – ნ. ტყავანასხლეტი;

ზურწა // წებოიანა – ბალახოვანი მცენარე;

თავამი – ნ. გამლამი;

თავისთვინა // წაწარაქი // ჩახვრეშილ კაცი // ქვახარშიაი – ძუნწი;

თავისუკვენა // საჯსარი – ადგილი კისერზე, სადაც თავს აჭრიან პირუტყვს;

თავკომბალა ბალახი // თავბურთა – ბალახოვანი მცენარე;

თამაშობა – ნ. ქეჩობა;

თითქენილა // გათქვირებული // ლეშში ჩავარდნილი // ჩაგვარიანებული

// გაკეთებული // გალაღებული – გასუქებული, მსუქანი საქონელი;

იანვრის კბო // ადრეულა – ადრე მოგებული ხბო;

კანტი მჭამელი – ნ. განაზებული;

კაწოწი – ნ. შაუძლო;

კეთილობა // ახურება // ავარდნა – მსხვილფეხა პირუტყვის მაკინტლობა;

კირძაი // მკვლიავი – ბალახოვანი მცენარე;

კომიჭა // კუმშა – თოვლის გუნდა, იგივე ბურკვა (არაგვის ხეობის ფშავი);

კობი // საბანდი – ქალამნის ამოსასხმელი წვრილი თასმა;

კორაკანა // ქობულა – თხილის წნელით შემოწნული მცირე ზომის ორ-
მო, შიგ ბატკანის მოძულე დედაცხვრის მოსათავსებლად ასხლეტილ ბატკანთან
ერთად;

კოტი → *კუტი* // *ძბული* – ისეთი ძროხაა, სულ დაწოლას რომ ლამობს
და მოწველის საშუალებას არ აძლევს პატრონს (მდრ. ხევს.: კოტვა – ტოკვა);

კუდაფშუკული // *კუდაჭერილი* – კუდაშვერილი, კუდაბზეკილი;

ლაპო // *ლოპრი* // *თავწყალი* – პირველი, რაც ახლადდაბადებულ ბატ-
კანს მოჰყვება;

ლობი // *მელუბე* – ნ. გაბეჩაული;

მალალი // *შიშიბელა* – მფრთხალი, მშიშარა;

მგზავრად სვლა // *დაამებული სვლა* – მძლარი ცხვრის სვლა, ბალახს
რომ არ ეტანება;

მენამუშლე // *მლეველი* – მოსავლის გამანადგურებელი საქონელი (*ნამუ-
შელი* // *ნამუშალი* – მოთიბული ადგილი, სადაც თივები დგას);

მირქევა // *მინაბრება* // *მიქადლება* – მიყრდნობა;

მოზიდარი // *ფიცნი* – მუშაობაში სწრაფი, მარდი ხარი;

მოგებულის ადგილი // *ყორული*, *ხამი ყორული* – ადრევე შემონახული,
შემოფარგული და ამგვარად დაცული სასაძოვრე;

მონაშენი – ნ. საყოლი;

მონდავი // *კელნაცვლობა* // *ნაცვლის მუშანი* – შეამხანაგება მუშაობის
დროს;

მოსადილება // *მონაყრება* // *მოდილაურება* – დილით, მოწველამდე ცოტა
ხნით საქონლის გაშვება საბალახოდ, საძოვრად;

მოღებული – ნ. გადაწყვეტილი;

მოფოცხვა // *მოწყდობა* – უცბად გაქცევა;

მტკივანი, *პირქეთი* // *ძირდიდა* – ძირმაგარა;

მფთხვარი // *ქსუვი* – ისეთი საქონელი, რომელიც მალე ფრთხვება;

მძიმე – ნ. აზაქარი;

მწერელთშვილი // *მწერელთ ტყვე* // *დაჯამლული* // *უხერხო* –
საწყალი, მოუხერხებელი ადამიანი;

ნაბინავარი // *ნაბაკარი* – ბინებში // ბაკებში საქონლის ღამისთევით
ნასუქი მამული;

ნაგელარი // *ჩაქცეული* – შინაური პირუტყვის ან ნადირის მიერ გათე-
ლილი ბალახი;

ნათავარი – ნ. დოლისთავი;

ნარგენი // *ნაწილარი* – შეხვედრილი მამული ან სათიბე;

ნეთხი, *ნერთხი* // *ნეცხი* // *ციდა* – ის ძვლებია, რაზედაც რქებია;

ნელა ბატკანი // *ქორფა ბატკანი* // *ნაბოლოვარი ბატკანი* – დოლის დამ-
თავრების შემდეგ, აპრილ-მაისში გაჩენილი ბატკანი;

პატარა მანჭა // *პატარა სამატი* – გუთნის ნაწილი;

პირიპირ მეწველი // ჯელგამყოლი – დიდხანს მეწველი, ხბოს მოგებადღე რომ იწველის, სენის ჩამოდენამდღე;
ჟანტი – ნ. აზაქარი, მძიმე;
რქადოჯა – ნ. ბოკო;
რჩოლა // ჩხვერა – პირუტყვის რქენა;
რძემალულა // უღვამი – ისეთი ფურია, რომელსაც რძე აქვს, მაგრამ არ იძლევა;
საგვერდული – ნ. ფარი;
საკომი // ერდო – გომურის თავზე ამოჭრილი თივის ჩასაყრელი;
სამათარავე // მუკლის საქსარი // უკანა ფეკის საქსარი – ადგილი მუხლში, სადაც პირუტყვის ფეხი იღუნება;
სამატიანი // პირზითი საძოვრები – ის საძოვარი ადგილები, სადაც ლალა-ყუათიანი ბალახია და საქონელიც სუქდება;
სარქე // ბაკანა – ადგილი პირუტყვის თავზე, სადაც რქები ამოდის;
სასაქონე // ძროხის გასადევარი – მსხვილფეხის საძოვარი ადგილი;
საულლე ნაჩვრეტი // საჭინჭილაქე – გუთნის ნაწილი, სამსჭვალე;
საფერქე // საბარგე – საპალნე პირუტყვი: ცხენი, ჯორი და ვირი;
საქონლის ნალახი // საქონლის გაჭიჭყნილი – საქონლის მიერ გათე-ლილი;
საყოლი // მონაშენი – კარგი და ჯანსაღი საქონელი;
საძუე // საკუდური – ძუის ქვეშ ამოსადები ღვედი; საკუდური მატარე-ბელ ცხენს არ უნდა, მხოლოდ ჯორ-ვირსა და საპალნეს უკეთებენ;
საშერეე // შოლტკავი – გუთან-ულლის ნაწილი, ღვედი;
სომხის ბულულა // წითელი ბულულა – ბალახოვანი მცენარე;
ტყაგანასხლეტი // დღეზე მდგომი – მოგების პირას მდგარი ძროხა;
უღვამი – ნ. რძემალულა;
ულუმალაი // ქვემძრომელა – ქვემქვეშა, მლიქვნელი;
უცოდარი – ნ. ბეტერი;
უწყლო ყაურმის ჭამა – ნ. ბლექა;
ფარი // საგვერდული – ცხენის გვერდის დასაცავი ტყავის ოთხი მოზ-რდილი ნაჭერი, რომელიც აქვს უნაგირს;
ფიცხი – ნ. მოზიდარი;
ქეჩობა // თამაშობა – ბატკნის კუნტრუში;
ქვანარშია – ნ. თავისთვინა;
ქოლა – ნ. ხაწირი;
ქსუეი // ფხიტი – კაცს რომ გაურბის, ისეთი ცხვარი;
ღვედი – ნ. ჯამბარა;
ღვთი(ს)შობელი – ნ. ადგილის დედა;
ლოლო // ჭეკარა – მცენარე;
ყაირი // ნალ-ლუსმარი (← ნალ-ლურსმანი) – ცხენის დასაჭედი ლურ-სმანი;

შათხირაის ჯოყარი – ნ. საქოლი;
შაუძლო // კაწოწი –სუსტი საქონელი;
ჩაქცეული – ნ. ნაგელარი;
ჩაღანდრი // წუწითელა – ბალახოვანი მცენარე;
ჩახვერეშილ კაცი – ნ. თავისთვინა;
ჩინჩხვარი – ნ. გულერძი.
ჩირდილის ბალახი // ჩიხი – ზომამზე მეტად აღერებული მდარე ხარისხის ბალახი;
ჩიჩრაკი // წიტა – ფალარათი;
ჩობალი // მუცლის ფარი – საქონლის ფაშვზე გადაკრული ქონი;
ჩხვერა – ნ. რჩოლა;
ცვერცალა // ჭეკო – ბალახოვანი მცენარე;
ცხრუება – ნ. ბაგბაგი;
ძუძუფონა – ნ. ალალი ძროხა;
წაწარაქი – ნ. თავისთვინა;
წილდაყრილი // წილის საქონელი – გაყრის დროს ძმების მიერ გაყოფილი საქონელი;
ჭიღვინი // ჭყივილი – ცხენის ხმამალა ხმიანობა;
ხაქოლი // შათხირაის ბალახი // შათხირაის ჯოყარი – უხეში ბალახოვანი მცენარე;
ხაწირი // ქოლა – უბრალოდ ახვეტილ-აქუნებული თივა;
ველგამყოლი – ნ. პირიპირ მეწველი;
ჯამბარა // ღვედი – გუთან-ულლის ნაწილი;

ლიტერატურა

ბაბუნაშვილი 1959 – ე. ბაბუნაშვილი, სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თსუ შრომები, ტ. 71, თბ. 1959 წ.
სილაგაძე 1981 – ჯ. სილაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმების საკითხები, თბ. 1981 წ.
ფოჩხუა 1965 – ბ. ფოჩხუა, პოლისემიის საკითხისათვის, იკე, ტ. XII, თბ. 1965, გვ. 130.
ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ. 1974, გვ. 404.
ხორნაული 2000 – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ. 2000 წ.

Lexical Synonymy in the Pshavian Dialect of the Georgian Language

Summary

Synonymy is a type of semantic relation of linguistic units, it occurs at almost all hierarchical levels of the linguistic system and forms a certain microsystem.

The viewpoint should be shared that the scientific study of synonymy is its historical study (S. Ulman), therefore, the classification of synonyms has a greater cognitive value which, along with other linguistic factors, takes into account their history, i.e. singles out different groups of synonyms according to the character of their origin, bearing in mind the relation with the linguistic collective.

At present lexical synonymy in Pshavian is mainly defined by the existence of synonymously alternating lexical variants subordinated and not subordinated to regional division. Their classification has been made on the basis of this feature. The present study analyses:

- a) alternating synonymous lexical variants, the localization of which is possible taking into account regional evidence (Pshavi of the Aragvi and Iori valley);
- b) freely alternating lexical variants, which are not subordinated to regional division and their localization fails due to simultaneous parallel forms on the same territory.

მარინე ივანიშვილი

„დანაბის კუჭი“, „ბზა“, „ბზობა“ ქართულში მნიშვნელობები

ბზობის, ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაულის, შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. იესოს მოსახლეობა ზემოთ შეეგება. ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი – პალმის ტოტებს უფენდა, თან „ოსანას“ შესძახებდნენ:

„ხვალისაგან ერი იგი მრავალი რომელ მოსრულ იყო დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესუ მოვალს იერუსალიმს, მოიღეს რტოები დანაკის კუდათაგან და განვიდეს მიგებებად მისა და ღალადებდეს და იტყოდეს: მსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათა და მეუფე ისრაელისა!“ (ი. 12,12; 12,13).

პასექის წინა კვირას იერუსალიმში უფლის შებრძანებით დაიწყო გოლგოთაზე აღსრულებულ საიდუმლოებათა საიდუმლო, რაც კაცობრიობას ძემართის ჯვარცმითა და ბრწყინვალე აღდგომით ემცნო.

ბზობის რიტუალი სიმბოლურად იმეორებს სახარების მოთხრობის ზოგიერთ დეტალს; მღვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მოტანილ ტოტებს აკურთხებენ, გალობენ „ოსანას“ და სხვ. ბევრ ქვეყანაში პალმის მაგივრობას ბზა ეწევა, რუსეთში – ტირიფი.

ქართულ ოთხთავში, ქართული ენის ისტორიის უძველეს და უმნიშვნელოვანეს წერილობით ძეგლში, „წმინდად არის დაცული ჩვენი ენის ძალიან შორეული სახე, ულტრარაქაული ლექსიკა, ზედმიწევნით მოქნილი, დახვეწილი და ექსპრესიული ძალის მფლობელი გრამატიკული ფორმები, შესახარბებელი სინტაქსი“ (იმნაიშვილი 1979, 1986). ამდენად, ქართული თუ ქართველური ენების მკვლევართათვის ქართული ოთხთავი წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს.

ქართველურ ენებში ხეებისა და მცენარეთა სახელების კვლევისას ყურადღება მიიქცია ოთხთავში დადასტურებულმა მცენარეთა სახელების კორპუსმა არა მარტო ეტიმოლოგიების დადგენისა და სიტყვათწარმოების შესწავლის, არამედ ბიბლიის ტექსტების ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული საკითხებისა და ზოგადად, კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

წმიდა წერილის ძველი თარგმანები ეკლესიისათვის სხვადასხვა ენაზე გამოთქმული ჭეშმარიტი ღვთის სიტყვა იყო. მაგრამ იმისათვის, რომ წმიდა წერილი თარგმანშიც ღვთის სიტყვად დარჩენილიყო, მას რამდენიმე პირობა

უნდა დაეკმაყოფილებინა. ამ პირობებს თარგმანს თავიდანვე უყენებდნენ, ხოლო თარგმანის შემდეგ ამოწმებდნენ, თუ რამდენად მოხდა მათი ხორცშესხმა.

ადეკვატურობა და სიზუსტე როგორც ძველი ალექსის, ისე ახალი ალექსის თარგმანების მიმართ წაყენებული უპირველესი პირობა იყო ყოველთვის: წმიდა წერილი ღვთის სიტყვაა და ყველა ენაზე „მასვე და ერთსა უნდა ჰმეტყველებდეს“. ბიბლიის მთარგმნელებს არც არაფერი უნდა დაემატებინათ, არც არაფერი დაეკლოთ, არამედ თავდაპირველი სახე და ფორმა უნდა დაეცვათ. თარგმანის სიზუსტე სწორ ღვთისმეტყველებაში მდგომარეობს, რაც არაერთარ შემთხვევაში არ გამორიცხავს ფორმალურ სიზუსტეს წმიდა წერილის ტექსტის გადმოტანისას: სტილის, იდიომის, სინტაქსის, ლექსიკის მაქსიმალურად და სხვადასხვა თვალსაზრისით ადეკვატურ გადმოცემას. ა. ხარანაული წმიდა წერილის თარგმანებისადმი მიძღვნილ უაღრესად საინტერესო გამოკვლევაში აღნიშნავს: ძველი მთარგმნელები ადაპტორები კი არ იყვნენ, რათა მკითხველისთვის კითხვა გაეადვილებინათ, არამედ მათ ზუსტად უნდა გადმოეცათ ორიგინალი – მისი სემანტიკა და გამოხატვის სტილიც. მათთვის თარგმნისას ერთადერთი კრიტერიუმი შინაგანი სარწმუნოების გრძნობა იყო და თარგმნიდნენ ისე, როგორც მათ „სული წმიდა მოსცემდა“ (ხარანაული 2003, 17-21). ამიტომაც არის ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების ენა ღრმა, უბრალო და მშვენიერი.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ისმის *რამდენიმე ძირითადი კითხვა*: როგორ ხდება მცენარეთა სახელების გადმოცემა ქართული ოთხთავის ტექსტებში: სესხებით, თარგმნით, მსგავსი სემანტიკის მქონე ეკვივალენტით ჩანაცვლების საფუძველზე? *არის თუ არა* ოთხთავში დადასტურებულ მცენარეთა სახელებს შორის ქართველური ძირები? ნასესხებ ლექსიკასთან ერთად იზმარება თუ არა საკუთრივ ქართული (ქართველური) სინონიმური ფორმები? ნასესხები მასალა სახარების ტექსტის მეშვეობით შემოვიდა ქართულ ენობრივ სისტემაში თუ მანამდეც არსებობდა? რა კულტურული, რელიგიური მოტივები უკავშირდება ამა თუ იმ მცენარის სახელს მოცემულ კონტექსტში? როგორია ქართულ და ნასესხებ ძირთა მიმართება (მაგალითად, იმის მიხედვით, იზრდება თუ არა ეს მცენარე საქართველოში)? რამდენად ადეკვატურია ლექსიკური ეკვივალენტები და რით აიხსნება ცთომილებები? და ა. შ.

შევეცდებით პასუხი გავცეთ აღნიშნულ კითხვებს, ამჯერად, „დანაკის კუდის“, „ბზისა“ და „ბზობის“ აღმნიშვნელ სახელთა მაგალითზე¹.

¹ კვლევისას ვეყრდნობით ქართული ოთხთავის შემდეგ ტექსტებს: ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, „მეცნიერება“, თბ. 1984; ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ა. შანიძემ, თბ. 1945; აღიშის ოთხთავი 897 წლისა, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ. 2003; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ. 1979; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, „მერანი“, თბ. 1991; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბ. 1973;

1. „დანაკის კული“ (ფინიკი) (ი. 12, 13) *Phoenix doctylifera* L. (ქართული ფუძეებით შედგენილი სახელი): ქართული დანაკის კული [danakis kudi]; ბერძნული φοινίκ 'ο, 'η [fojniks]; ლათინური palma (f.); ებრაული רמח [tāmār]; სომხური Յ ըՍՅ ծ»ՎԸ [armaweni]; არაბული نخ [nal]; სპარსული نخ [naxl]; თურქული hurma; ინგლისური Palm tree; გერმანული Palme (f.); ფრანგული palmier (f.); რუსული пальма.

სახარებისა და ძველი ქართული ენის სხვა ტექსტების მიხედვით, დანაკის-კულ-ი, დანაის-კულ-ი „ფინიკი“: მოიღეს რტო დანაკის კულთაგან, ი. 12, 13. ტექსტებში: „მოიღეს რტო დანაკის-კულთაგან და განვიდეს მიგებებად მისა“ DE, – „აღიღეს რტოები ფინიკისა და განვიდეს წინამიგებებად მისა“ C, DE, ი. 12, 13; „დამკვიდრებულ იყო იგი დანაკის-კულსა მას ქუეშე“ M, – „ჯდა ქუეშე ფინიკსა“ G, მსჯ. 4, 5; „დაუგო ბერსა ცერც დამბალი და მხალი უმბარი და დანაკის-კული, რომელ არს ფინიკი“ მ. ცხ. 211r; „იხილა იგი ბერძან მოსილად დანაის-კულისა ფურცლითა“ მ. ცხ. 235v.

„სიდიდე შენი ემსგავსა ფინიკსა“ M, ქება 7, 7; „უც ფინიკსა გული ერთი“ მ. ცხ. 409r; „მოიღეთ... ფურცელი ფინიკისა“ I, ნეემ. 8, 15; „იცნობენ ფინიკთა შორის მამალსა და დედალსა“ ბ. კეს.-ექუს. დღ. 72, 32.

ფინიკიანი-ი ფინიკებიანი ადგილი: „შემოუგდე წყალი სარწყავი ფინიკიანსა“ მ. ცხ. 76 რ. (აბულაძე, 1973).

ქართულ ოთხთავის ტექსტებში დადასტურებულია აგრეთვე ფანაკ-ი ფინიკი: „აღიღეს რტოები ფანაკისა“ C, ი. 12, 13.

ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თსუ, თბ. 1986; აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ძველი ქართული წერილობითი წყაროების სალექსიკონო ფონდს. სახარების ბერძნული, ლათინური, ებრაული, არაბული, სპარსული, სომხური, ინგლისური, გერმანული ფრანგული და რუსული თარგმანების შემდეგ გამოცემებს: *Novum Testamentum, Graece et Latine, Utrumque textum cum apparata critico imprimendum curavit Eberhard Nestle, United Bible Societis, London 1963/1969, printed in Germany; New Testament and Psalms with special helps – Новый Завет и Псалтирь с методологическими указаниями, Published by Slavic Gospel Association, Inc. Wheaton, Illinois U. S. A.; Die Bibel oder die ganze Heilige Schrift des Alten und Neuen Testaments, Nach der übersetzung Martin Luthers, Evangelische Haupt – Bibelgesellschaft zu Berlin und Altenburg, Revidierte Textfassung von 1964 Altes Testament 1956 Neues Testament; Le Nouveau Testament, Traduit d'après le texte original par Louis Segond, docteur en théologie, version revue, SGM International 3 Eccleston Street Londres SW1W 9LZ, Societe Biblique de Genève ; The New Testament in Hebrew and English, Univ. Press, Cambridge, 1966; The Bible in Arabic, The Bible Societies in the Near East, 1966, Printed in Beirut, Lebanon (TP); The Holy Bible in Persian, Reproduced by Photography from the Edition of 1904; ² ხ»i ³ ը³ Վ i ³ »³ éY Ø»ñál ՄՀéáòÈÇ òñÇèi áèÇ, i ³ Ò³ ը³³ à³ i , 1905.*

დანაკის-კულოვან-ი ფინიკნარი: „საზღვარ არს ზღუად და მზის-აღმოსავალად კერძო დანაკის-კულოვნისა“ O, ეზეკ. 47, 18.

სულხან-საბასთან: „დანაკისკული“ (ხე) (15,27 გამოსლ.) ფინიკი ZA. (ხე) ფინიკი BCDE.

ფინიკი (ხე) ბერძულია, ქართულად დანაკისკული და ვალანოს ჰქვიან ZAB. *finiki* (ხე) ბერძულია, სურმას ჰქვიან ZAA. ფინიკი (2 ეზრა 8, 15) ტალავარი Ab. სურმა (ხე) არაბთ(ა) ენაა, ქართულად დანაკის-კული ჰქვიან ZAB. სუმლა (ხე) შავი სურმა B.

ა. მაყაშვილის ლექსიკონში დანაკის კული: ფინიკის პალმა; *финиковая пальма*; *Phoenix dactylifera*; ჭან. მისიხურმა (იხმარება ნაყოფის მიმართ); საბა დანაკის-კული; რ. ერისთ. ინდისხურმა (იხმარება ნაყოფის მიმართ). აქვე სურმა (*Diospyros*) გურ., ლეჩხ., სუმლა; იმერ. სუმრა; მეგრ. ხვიძრა, ხომა.

ქეგლ: ფინიკი (ბერძნ. *phoinix*) თბილი ქვეყნების პალმის ნაყოფი ტკბილია, უწვნო და ყუათიანი (სინონიმ. ინდის-ხურმა, ძვ. დანაკის კული). ფინიკის პალმა – თბილი ქვეყნების პალმა, ისხამს ფინიკს.

სურმა (*Diospyros*) ხეხილი აბაზონისებრთა ოჯახისა: 1. (*Diospyros lotus*) დიდი ხეა, აქვს მოგრძო ფოთლები, ისხამს წვრილ ნაყოფს, გავრცელებულია ტყეებში, უდგათ აგრეთვე ეზოებსა და ბაღ-ვენახებში. ამ ხეხილის ნაყოფი – წვრილი (ბალის ოდენა), მწიფე – ნარინჯის ფერისა (გადამწიფებული – მოლურჯო-მოშავოა). 2. ამ მცენარის ერთი კულტურული ჯიშთაგანი 7-12 მ. სიმაღლის ხეა; აქვს მომრგვალო ფოთლები, ისხამს მსხვილ ნაყოფს. ამ ხეხილის ნაყოფი, ვაშლისოდენა, მოგრძო, წვეტიანი ღია ნარინჯისფერისა, შელესებული რბილეულით, კარგად დამწიფებამდე მწკლარტე გემო აქვს.

იაპონური სურმა [*Diospyros kaki*] ისხამს ვაშლისოდენა ნარინჯისფერ ან ყვითელ ნაყოფს – ჩვენში უდგათ დასავლეთ საქართველოსა და კახეთის ზოგ რაიონში; უხვმოსავლიანია (სინონიმ. საუბრ. კარალიოკი). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი ინდისხურმა.

ენახოთ, რა ცნობებს გვაწვდის ამ მცენარესთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი: „გიულდენშტედტის განსაზღვრით სურმა (*Georg. churma*) *Diospyros Lotus*-ის ქართული სახელია. ს.-ს. ორბელიანის მიხედვით „სურმა არაბთა ენაა, ქართულად დანაკის-კული ჰქვიანო“, მაგრამ მასვე ამ უკანასკნელი სიტყვის განმარტებაში გამოსვლათას 25, 27-ის დამოწმებით სამართლიანად აქვს ნათქვამი, რომ „დანაკის-კული ფინიკი იყო“. სურმა კი, როგორც ცნობილია, ფინიკი არ არის. ზემომოყვანილი მცდარი განმარტება იმის წყალობით უნდა იყოს წარმოშობილი, რომ ხალხი ფინიკს, ანუ ძველ დანაკის კულს, ეხლაც, ინდის სურმას უწოდებს... თავისთავად კი სურმა სრულებით დანაკის კული არ არის.

სურმას ძველ საქართველოში კარგ ხილად თვლიდნენ, ამას ქართული ანდაზაც ამტკიცებს: „ვირმა რა იცის, სურმა რა ხილიაო“, მაგრამ მაინც შედარებით სხვა ხილზე უფრო მდარედ იყო მიჩნეული და ჩვეულებრივ გამხმარსა ჭამდნენ ხოლმე. მის მთავარ ღირსებად სიტკბო ითვლებოდა. გარსევან ჩოლოყაშვილსაც აქვს ეს ხილი შექებული „ხილთა ქებაში“ (23-ე ტაეპი) (ჯავახიშვილი 1986).

ბიბლიის ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ ფინიკის პალმა, ისევე როგორც კედარი, ძველ აღმოსავლეთში ყველაზე მეტად გავრცელებული ნაყოფის მომცემი ხეა. მას, როგორც ქვეყნის სიმბოლოს, ტვიფრავდნენ რომაულ და ებრაულ მონეტებზე. პალმა ნელა იზრდება, ცოცხლობს 200 წელი და აღწევს 26,7 მ. სიმაღლეს. პალმას არაბები „ოაზისის დედოფალს“ ეძახიან, მისი ლამაზი ვარჯი არაერთხელ გამხდარა პოეტური შედარებების წყარო (ქებ. VII, 8; ფსლმ. XCI, 13; 3 მეფ. VI, 32; ეზეკ. X I, 19).

პალმის ებრაული სახელწოდება "tamar" ძველი აღმოსავლეთის მცხოვრებთა ქალის საყვარელი სახელი იყო (ქებ. VII, 7 და შმდ.).

ბიბლიაში პალმა წმინდანთა სიმბოლოა. პალმის ნაყოფით იკვებებოდნენ, წურავდნენ წვეს, აყენებდნენ ღვინოს, ხდიდნენ ზეთს, რომელსაც ჭრილობების წამლად ხმარობდნენ. პალმის ფოთლებისგან წნავდნენ კალათებს, ჭილობებს, ბადებს, ფარდაგებს, გრენდნენ ძაფსა და ბაწარს, ხურავდნენ საცხოვრებლებს, იყენებდნენ სათობად, შემოსალობად და სხვ. ეგვიპტეში, არაბეთსა და ირანში, ხალხი პაპანაქება ზაფხულში თავს აფარებდა მის ჩრდილს, ასე რომ, არ არის გასაკვირი, როდესაც არაბები ლატაკად მიიჩნევდნენ ყველა იმ ქვეყანას, სადაც პალმა ვერ ხარობდა (ქებ. VII, 7; გამოსლვ. XV, 27).

აღმოსავლეთის მცხოვრებლები პალმის რტოებით რთავდნენ კარვებს, სალოცავთა კედლებს (ლევ. 23, 40; ნემ. 8, 15; 3 მეფ. 6, 29; 2 ნემშ. 3, 5; ეზეკ. 40, 16), პალმის რტოებით აცილებდნენ და ეგებებოდნენ მეფეთა ძლევაძილ სვლებს (ი. 12, 3; 1 მაკ. 13, 37, 51; 2 მაკ. 14, 4; გამოცხ. 7, 9;) ბრძოლის ველზე და უკან. ებრაელების უძველესი ჩვეულება – საზეიმო მსვლელობისას პალმის რტოების გზებზე დაფენისა, გადმოცემულია სახარებაში იესოს იერუსალიმში შესვლისას (ი. 12, 13).

დავებრუნდეთ კვლავ ივ. ჯავახიშვილს, იგი წერს: „ფინიკი დაბადების ქართულ თარგმანში იოველის 112-სა და სხვაგანაც ბერძნული φοινικ-ისა, ლათინური palma-სა და სომხური ³ ἄρῃ [armaweni]-ის შესატყვისად იხმარება. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ს.-ს. ორბელიანმაც იცოდა, რომ ფინიკი ბერძნული სიტყვა იყო და ამის მაგიერი ქართული სახელიც არსებობდა: „ქართულად დანაკის კული და ვალანოს ჰქვან“-ო.

თუ დანაკის კული, თავისი შინაარსის უცნაურობისა და შეუფერებლობისდა მიუხედავად, გარეგნულად მაინც ქართული სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენს, ვალანოს, რასაკვირველია, ქართული არ არის, გარეგნულადაც კი, იგიც ბერძნულია: ἡ βάλανος – „ბალანოს“, ძველი გამოთქმით, და „ვალანოს“ საშუალო საუკუნეებისა და ახალი გამოთქმით ბერძნულად მართლაც ფინიკსა და დანაკის კულსა ნიშნავს. საითგან აქვს ქართველ ლექსიკოგრაფს ს. ორბელიანს ეს სიტყვა დასახელებული აღნიშნული არა აქვს, მაგრამ, რაკი „ვალანოს“-ად იწერება, ძველი „ბალანოს“-ის მაგიერ, ცხადია VIII საუკუნის შემდგომ უნდა იყოს შეთვისებული მწიგნობრული გზით“ – (ჯავახიშვილი 1986, 17; 709-710).

რას უნდა ნიშნავდეს ერთი შეხედვით მართლაცდა „უცნაური და შეუფერებლობისდა მიუხედავად, გარეგნულად მაინც ქართული სიტყვა“ დანაკის კული?

უპირველესად კი – დანაკ? მიემართოთ სულხან-საბას: დანა არს უდიდესი ყოველთა ორცისა მოსათლელი, დანაკი – უმცრო მისსა და ზომიერი, ხოლო ღინწი – მცირე დანაკი კალამთ მოსაჭრელი და მისთანა, ხოლო ცილვი – დანაკი, რომელი კოტასთან მოიდრიკოს და შეიკრას, და სასხლევი-ვენაჰის(ა) გასასხლავს ცილვსა (+დანაკად ითქმის მახვილიცა ZAA) ZA. დანაკი ზომიერი დანა ZA. დანა ზომიერი B. დანა მცირე CD. განუმარტავია E. შდრ. სახარებაში: დანაკ [დანა]: არიან აქა ორ დანაკ, ლ. 22, 38.

დანაკ-ი, დანა, – დანა, მახვილი: „არიან აქა ორ დანაკ“ ლ. 22,38; „მოიხუნა იისუჲმან დანაკნი კლდისანი, რომელთა მიერ წინა – დასცუთა ძეთა“ G, ისუ ნ. 21,42; „გქმნეთ დანაკი“ ბ. კეს. – ექუს ღლ. 134,17, „დაადგა დანად, რადთამცა განკუეთა თევზი“ მ. ცხ. 356r.

შზია ანდრონიკაშვილი, „ნარკვევებში ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან“ (ანდრონიკაშვილი 231), ქართულ „დანაკს“ – „ზომიერი დანა“ (საბა), „...და მოილო ცეცხლიცა კელითა თუხითა და დანაკი და წარმოვიდეს ორნივე ზოგად“ (დაბ. 22, 6), უღარებს სომხ. danak „დანა, ჯაყვა“ < სამ. სპ. *dānak, ახ. სპ. dāna) და „დანაკ“-ს ქართულში პართული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს.

განხილული მასალა გვაგარაუდებინებს, რომ აღნიშნული მცენარის უძველესი ქართული დასახელება დანაკის კუდი, მისი ფოთლების მოგრძო და წამახვილებული ფორმისგან უნდა მომდინარეობდეს. შდრ. დანა-ვაშლი (ქეგლ), საზამთრო ვაშლის ჯიში, ნაყოფი მოგრძოა, თეთრი, მომჟავო გემო აქვს („შინამრეწვ.“). შდრ. აგრეთვე იოანე ბაგრატიონის მიერ ამ მცენარის დახასიათება: Пальма palma დანაკის კუდი, ხუზახურგის ხე. ხე ესე გაიზრდების მაღალი. ღერო აქუს ერთიანი, სწორე და თუნეირ შტოებისა, რომლისაცა წვერზედა გამოვლენ ერთისა წერტილისგან გრძელნი, ვიწრონი და წვერმწვეტნი ფოთოლნი, რომელნიცა დასცვივნიან მიხედვითა ზომისაებრ ზედმიზდისა ღეროსათა და დაუტევებენ საფუძველსა მათსა ზედმიზდილად და შემადგენელად ქერქის გუარისად (ბაგრატიონი 1986).

დანაკის კუდის სინონიმური სხვა ფუძეების ხმარება მოგვიანო პერიოდ-იდან უნდა დაწყებულიყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მ. ნედოსპასოვას შენიშვნა: არაბულში غمما زات [gummayz//gummayzat] – ფინიკი, ჰ. ლოვის აზრით, ნასესხებია არამეულიდან. ს. ფრენკელი მიუთითებს, რომ غمما [gummayz] როგორც კნინობითი ფორმა, გაჩნდა უფრო გვიან. მ. ნედოსპასოვა თვლის, რომ ამ შემთხვევაში ძირის გაორკეცება ასახსნელი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ უკვე ჯავალიკისთან كفا [fu‘ayl] ფორმა მოყვანილია როგორც სიტყვის არაარაბული წარმომავლობის ერთ-ერთი მაჩვენებელი (ნედოსპასოვა 1978, 19). ჩვენ ვფიქრობთ, რომ საინტერესო პარალელია ქართულის კნინობითის ფორმასთან მიმართებაში (-აკ კნინობითის უძველესი მაწარმოებელი დერივაციული აფიქსია ქართულში, მაგ. სახლ-აკ-ი, სენ-აკ-ი, დან-აკ-ი და სხვ. (შანიძე 1976; სარჯველაძე 1997).

როგორც ჩანს, სახარების ტექსტის მთარგმნელს არც ეს ნიუანსი გამო-ჰპარვია და მაქსიმალურად ზუსტი შესატყვისი ქართული ფორმა მოუძებნია ამ მცენარის სახელის გადმოტანისას. არც პალმა, არც ხურმა სახარების ტექსტში არ გვხვდება. საგულისხმოა, რომ მთარგმნელი ხმარობს ქართული ენის ნიადაგზე

ნაწარმოებ სახელს მცენარის სახელწოდებად. პალმა კავკასიის რეგიონისთვის არაენდემური სახეობაა და სახელდებისას, მცენარის ფოთლის ფორმას მინიჭებია გადამწყვეტი მნიშვნელობა.

2. „ბზა“, „ბზობა“

სულხან-საბა ორბელიანთან: ბზა (ხე) (+41, 19 ესაია ZAa) ZABCD.

ბზაკალი ხის მშვილდი, გინა ხის ბზის კოპიტი ZAB. ხის მშვილდი CD.

ბზობა ქრისტეს იერუსალიმს შესვლა ZAB.

ძველი ქართული ენის ტექსტებში: ბზა [buxus]: „აღმოვაცნო ქუეყანასა ურწყულსა... ბზად“ ეს. 41, 19. ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში: ბზობა – ბზობის დღესასწაული, საკითხავნი ბზობისანი [სინ. მრავალთ. 132,1]; შაბათსა ბზობასა [უდაბნ. მრავალთ. 70v].

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: ბზა [Buxus sempervirens] დაბალი ან საშუალო სიმაღლის მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი; აქვს მაგარი და მძიმე მერქანი.

ბოტანიკურ ლექსიკონში: ბზა Buxus colchica Pojark (=Buxus sempervirens L. p. p.) ქართ. უფლის ხე; აჭარ. შიმშირი; ჭან. ჩიმჩირი; მეგრ. ბზაკალი, ზაკალი; სვან. ბაია, ბზაკალ, ზაკალ.

„ბზა“ ფუძე ქართულიდან შესულია ოსურში, შეტანილია ვ. მილერის ლექსიკონში (Миллер 1927-1934; თელევი 1983).

მეგრულ ტექსტებსა და ლექსიკონებში: ბზაკალ, ზანკალი, ბზაკაი, ზაკაი (Кипшидзе 1914). ბზაკალა – ბზა; ბზაკალიში კელი – ბზის ჯოხი (ჭარაია, 1997). ბზაკალი, ზაკალი (ბზაკალ/რს) ბოტან. ბზა. ჯორი გელგს ბზაკალიში: ქს. I. გვ. 339 – ჯორა უდვას ბზისა. (ქავაია 2001). ზაკალი (ზაკალ/რს) ზაკაი ბ. მარტ. (ზაკარს) ბოტან. ბზა იხ. ბზაკალი. ზაკალონა ადგილი, სადაც ბევრი ბზა.

სვანურში: ბზა – ბზა (Нижарадзе 1910). ბადა ლეჩხ. „ბზა“ (ონიანი 1917); ბზა (-აშშ, -აშლ) ბზ., ბადა (-აშშ, -აშლ) ლშხ. – ბზობა. ბზაშ მიშლადად აშქედელის მუშეტრადლ (ბზ.) – ბზობის კვირას მოსულან სტუმრები. ლინწლისა გუბხალ უქმ: ბადა ი ურდალე უბიშ (ლშხ. 24) – დიდმარხვაში ვიცით უქმე: ბზობა და ებრაელთა პარასკევი (თოფურია, ქალდანი 2000).

ბზა, დაბალი ან საშუალო ზომის მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქია, გამორჩეული მაგარი და მძიმე მერქნით. იზრდება ტყეებში. „ფოთოლთ გამოისხამს მომცროთა, მოგურგალოდ გრძელთა, ზემოდგან ჩაჭირებულ მწუანეთა, მრთელთა, მაგართა, მოკლე ყუნწებიანთა, ჯუარის სახედ ერთიმეორის პირისპირ მდებარეთა და სქლად შემოსელთა შტოთასა. გაიზდების ევროპის სამხრეთის კერძოდ, აღმოსავლეთსა და სპარსეთსა. ხე იხმარების სხვადასხვა საქმეთა შ(ინ)ა და შეადგენს უფლის წამალს“ (ბაგრატიონი 1986).

ბზის აღმნიშვნელ ფუძეთა საილუსტრაციო მასალის ანალიზი დავიწყით საბასთან მოყვანილი სახელებით: ბზაკალი – თანამედროვე ქართულის დიალექტებში „ხის მშვილდის“ მნიშვნელობით დღესაც გვხვდება:

ბზეკალ-ი (გურ. იმერ.) ხის პატარა მშვილდი საბავშვო (ი. ჭყონდიდელი);
ბზეკალკოდალი-ი || ბზეკალკოტალი-ი (გურ., იმერ.) მშვილდისარი, ბავშვთა სათამაშო
მშვილდისარი (ა. ლლონტი).

სწორედ ეს ქართული ფუძეა მეგრულსა და სვანურში შესული მცენარე
ბზის სახელად გამარტივებული თავკიდური ლაბიალი + C კომპლექსით (#მ/ბ C -
># C-) ზანურში მოქმედი ცნობილი წესის მიხედვით. მაგრამ დასავლურ
ქართველურ ენებში დასტურდება კიდევ ერთი ფუძე ბაია, ბოტან. იგივეა, რაც ბაიე.
აია რე, ბაია რე, ბაიამ წორი თანაფა რე – აიაა, ბაიაა, ბაიას სწორი აღდგომა.
ბაია-ყეშხა – დიდმარხვის მეექვსე კვირა (ი. ყიფშიძე).

ბაიე ბოტან. ბაია (ა. მაყაშვილი) ყვითელყვავილებიანი ბალახია ერთგვარი.
ცხვარს იცავდა ყოველგვარი ავადმყოფობისაგან (მასალები, ტ. IV, ნაწ. I, გვ.
222). ბაიეს ვითმიკირანდეს ბორკიშა დო უკული სანთელიში ჭიჭე კვარკვანტელი
ბურთიჯგურას ვითმიკირანდეს და ათაშ კურნალენდეს რემატიზმას – ბაიას
იკრავდნენ წვივზე და შემდეგ სანთლის პატარა ბურთს და ასე მკურნალობდნენ
რევმატიზმს. || გადატ. ყვითელი. ბაიამ ფერი გინოძე – ყვითელი (ბაიას) ფერი
აძვეს. დუღბაია – თავყვითელა (ქაჯაია 2001).

სამეგრელოსა და სვანეთში ბაიობას ეძახიან რელიგიურ საეკლესიო
დღესასწაულს – ბზობას. ამ დროისათვის ჰყვავის ბაია და მის ყვითელი ფერის
ყვავილს მოაყრიან სახლში. აქედან დაერქვა დღესასწაულს ბაიობა მეგრულად,
თორემ ბზა სულ სხვა მცენარეა, რასაკვირველია, და ბაია სულ სხვა (ჭარაია
1997).

სულხან-საბასთან ბაია ფურცელია დანაკის-კუდისა (|| ფოთოლი დანაკის
კუდისა || ფინიკის ფოთოლი).

ძველი ქართული ტექსტების მიხედვით: ბაია, ბაია პალმა პალმულას, ფინიკი:
„განთიად დავალობ ბაიასა და ვშურები“ მ. ცხ. 116v; „დაულობ მას ბაიად და
განუშადა მას საკერავი“ მ. ცხ. 72r; „უაშა ბაიადისას სციილეს ნაყოფსა მას
ხეთას“ მ. ცხ. 296v.

ბაიონ-ი, ბაიონ-ი ფინიკოვანი ადგილი: „მოვიდა ვინმე ბერი... მცირესა მას
ბაიონსა“ მ. ცხ. 381r.

დ. ჩუბინაშვილთან – ბაია – პალმის რტო, ტირიფი, რუსული ბზა (берна).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: ბაია [Rannunculus] ბალახი
ერთგვარი; აქვს ყვითელი პრიალა ყვავილები.

ალ. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონში: [Rannunculus] ქართლ., კახ.,
მესხ., ჯავახ., ზ.-იმერ. – ცხვირისატეხელა; ქართლ., მოხევ., ხევს., თუმ., ქიზ.,
რაჭ., იმერ., აჭარ., წალიკა; მეგრ. ბაიე, ბაია.

ამრიგად, ბიბლიის ტექსტებში ქართული ბაიას შესაბამისად ბერძნულში
βαίον [baion], ხოლო ბზის შესაბამისად πύξος [pjuxos] ფუძეებია
წარმოდგენილი. ბერძნულის ეს ერთი ფუძე (πύξος აღნიშნავს – ნაძვს, ფიჭვს,
ძელქვას, ბზას, რაც ზოგადად, მარადმწვანე მცენარეების სახელებისთვის
დამახასიათებელი ტიპოლოგიურად გავრცელებული მოვლენაა.

3. ფრისკის ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (Frisk 1960) $\phi\acute{\iota}\nu\sigma\acute{\iota}\varsigma$ ‘*o*, ‘*η* m. f., განმარტებულია როგორც პალმა, ფინიკის პალმა, ფინიკი, ხოლო $\beta\acute{\alpha}\iota\varsigma$, -*υ* f. – პალმის ფოთოლი, $\beta\acute{\alpha}\iota\upsilon\eta$ f – პალმის ტოტი, Shwyzer-ის მიხედვით მოდის კოპტურიდან.

3. გ. ლიდელისა და რ. სკოტის ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონის მიხედვით (Liddell, Scott 1996), $\phi\acute{\iota}\nu\sigma\acute{\iota}\varsigma$ ‘*o*, ‘*η* , Phenician – ფინიკის პალმა [Phenix dactulifera]; $\beta\acute{\alpha}\iota\varsigma$, -*υ* $\beta\acute{\alpha}\iota\upsilon\eta$ f – პალმის ფოთოლი (მოდის კოპტურიდან).

როგორც ჩანს, ბერძნული $\beta\acute{\alpha}\iota\upsilon\eta$ -ის გავლენით, რომელიც „ფინიკის პალმის რტოს, ფოთოლს“ აღნიშნავდა, ბზობის დღესასწაულს ზანურში დაერქვა ბაია-ჟაშხა, ბაიობა, სვანურში კი – ბაა.

საქართველოსთვის პალმა ენდემურ მცენარეს არ წარმოადგენს, ამიტომ დასავლურ ქართველურ არეალში პალმის რტოები ჩანაცვლებულ იქნა ფონეტიკურად მის ბერძნულ დასახელებასთან ახლო მდგომი ბაიას ყვავილებით, აღმოსავლურ არეალში კი – ბზით (მდრ. რუსული – верба; ძვ. ქართული დანაკის-კული).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ. 1966.

ბაგრატიონი 1941 – ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოფსა საქართველოსი, თბ. 1941.

ბაგრატიონი 1986 – ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბ. 1986.

დონდუა 2001 – კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპუ, თბ. 2001.

თედევი 1975 – ო. თედევი, მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, „მეცნიერება“, თბ. 1975.

თოფურია ქალდანი, 2003 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბ. 2000.

იმნაიშვილი 1979 – ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ. 1979.

ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ. 1986.

მაყაშვილი 1961 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ. 1961.

ნელოსპასოვა 1962 – მ. ნელოსპასოვა, უცხო წარმოშობის სიტყვები ალ-ა შას პოეზიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“, 2, თბ. 1962.

ნელოსპასოვა 1978 – მ. ნელოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბ. 1978.

ონიანი 1917 – არს. ონიანი, ხეებისა და მცენარეების სვანურ სახელთა ლექსიკონი, პეტროგრადი (Сборник сванских названий деревьев и растений), Петроград 1917.

- საბა** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1928, 1949, 1993.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 2000.
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი 1-3 ტომი, „ნეკერი“, თბ. 2002.
- ღლონტი 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984.
- ჭარაია 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, სპუ, თბ. 1997.
- ჯავახიშვილი 1930** – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, ტფილისი 1930.
- ჯავახიშვილი 1937** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ. 1937.
- ხარანაული 2003** – ა. ხარანაული, წმინდა წერილის თარგმანები, „ბურჯი ეროვნებისა“, 5-6, თბ. 2003.
- Кипшидзе 1914** – Кипшидзе И., Грамматика мингрельского (Иверского) языка с хрестоматией и словарем. Материалы по яфетическому языкознанию, С.-П. 1914.
- Март 1914** – Март Н.Я., Яфетические названия деревьев и растений (plurality tantum) I-III, ИАН, Санкт-Петербург 1915.
- Нижарадзе 1910** – Нижарадзе И.И., Русско-сванский словарь, Тифлис 1910.
- Рубинчик 1970** – Рубинчик Ю.А., Персидско-русский словарь, "Советская энциклопедия", Москва 1970.
- Friedric 1970** – Friedrich P., Proto-Indo-European Trees, The University of Chicago Press. Chicago and London 1970.
- Frisk 1963** – Frisk H., Griechisches etymologisches Wörterbuch, Heidelberg 1963.
- Gamkrelidze 1999** – Gamkrelidze T. V., On Linguistic Paleontology of Culture, Time Depth in Historical Linguistics, edited by Colin Renfrew, April Mc Mahon and Larry Trask; Mc Donald Institute for Archeological Research, Papers in the prehistory of Language, 1999.
- Klimov 1998** – Klimov G., Etymological Dictionary of Kartvelian Languages, Berlin/New York 1998.
- Lew 1895** – Lewy H., Die semitischen Fremdwörter im Griechischen, Berlin 1895.
- Liddell, Scott 1966** – Liddell H. G., Scott R., Greek-English Lexicon, With a Revised Supplement, Clarendon Press, Oxford 1966.

**"Danakis Kudi" (Palm tree), "Bza" (Boxus) and "Bzoba" (Palm Sunday)
in the Kartvelian languages**

Summary

Plant names are paradoxical. On the one hand, they are basic – semantic primitives, on the other hand, because of their referents, plant names are sensitive to ecological change or the migration of the speech community into a new region.

The Georgian New Testament is the oldest and significant written monument where the ancient vocabulary, elastic and interesting grammatical forms of syntactic structures are retained. Thus, the Georgian New Testament is the valuable informational original source for the research not only of the Georgian language, but for the Kartvelian languages as well. During the study of the plant names in the Kartvelian languages the author's attention was directed towards the corpus of the plant names in the New Testament. They seem interesting from the point of view of the derivational forms as well as the history of culture. Besides, they provide a good material for the reconstruction of some Kartvelian proto-forms.

Hence, some questions have arisen:

How are the plant names presented in the texts of the Georgian New Testament (by means of translation, borrowing, derivation/composition, or by means of replacement with the similar semantic equivalents?)

Are the Proto-Kartvelian roots reflected among the plant names of the New Testament?

What cultural or religious motives are basic for the plant names in the given context?

The author answers these questions and offers etymology of the words "*Danakis Kudi*" (Palm tree), "*Bza*" (*Boxus*) and "*Bzoba*" (Palm Sunday).

ზოგი ტერმინის (ფხოვი, კოლხი, აფხაზი) ფუძის
რეკონსტრუქციისთვის ქართულში

ზმირად ლექსიკის სემანტიკური ასახვა განპირობებულია მისი საგნისადმი დამოკიდებულებით. ძირითადად ეს ეხება ნაწარმოებ ფუძეებს, თუმცა არა მარტო მათ. თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ნებისმიერი ქვეყნის ძირითად ტოპონიმებს და ჰიდრონიმებს, დავინახავთ, რომ ისინი სემანტიკურ კავშირს პოულობენ მის რელიეფთან და სივრცესთან. ამ თვალსაზრისით ძალიან ნიშანდობლივია საქართველოს რამდენიმე ტოპონიმი, რომელიც შემდგომ ეთნონიმად ჩამოყალიბდა და დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევენ მეცნიერთა შორის.

ცნობილია, რომ ენასა თუ დიალექტში, მეტყველებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ თავისებურებებთან ერთად, ზოგადი ლექსიკურ-სემანტიკური მნიშვნელობებიც აღინიშნება; ესენია, მაგალითად – მთა, ზღვა, მყინვარწვერი, ტყე, ხეობა, მდინარე და ა.შ. მათში, ჩვენი აზრით, საქართველოსთვის სემანტიკურად და მატერიალურად ყველაზე მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო მთა და წყალი. ორივე ეს ფენომენი უხვად არის ასახული მრავალ ტოპონიმსა თუ ეთნონიმში.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ქართველების წინაპართა ამსახველი ყველაზე ძველი ეთნონიმები **ფხოვი**, **კოლხი** და **აფხაზი**.

დავიწყოთ იმით, რომ ძველ ქართულში წყალს **ხი** ფორმით აღნიშნავდნენ. მართალია, თავისი პირვანდელი მნიშვნელობით იგი დღეისთვის მხოლოდ წოვა-თუშურ და ვეინახურ ენებშია შემორჩენილი, მაგრამ ძველსა და ახალ ქართულში მრავალ შედგენილ ფუძეში დასტურდება, მაგ.: **ხი-აწი** – ‘თოვლ-ჭყვაპი, თოვლი’ (ორბელიანი 1991-93, 422-2); **ტალა-ხი** – ‘ქვიშა შერეული წყლით’ (მდრ. ტალა – ‘შავი’, ხი – ‘წყალი’, ორბელიანი 1991-93, 406-2); **ჭორო-ხი** (‘მდინარისაგან ქვიშა შეყრილი’, ორბელიანი 1991-93, 406-2); **ხი-მინჯი** – ‘წყალში სახმარი სხვილი მანა’ (მინჯი, მანა – ‘ჯაჭვის რგოლი’, ორბელიანი 1991-93, 423-2); **ხი-სტი** – ‘უსმი და შეუჯერებელი’ (ორბელიანი 1991-93, 424-2), ანუ ‘ის რაც არ ისმევა’ (ბ. შ.); **ხი-წიწი** – ‘არს ნახიჭი, რაც ცხელი (ქონი) გადაადნო და გადასწურო’ (ორბელიანი 1991-93, 424); **ხი-რ-ხი-ტონი** – ‘ნიგოზი წყალთ შეჭამანდი – ნიგოზის შეჭამანდი’ (იქვე); **ხი-ტი** – ‘წვინტლი, ხოლო ცინგლი არს მონადენი, ვითარცა წყალი...’ (ორბელიანი 1991-93, 392-2); **ხე-ობა** < *ხიობა – ‘ერთწყალზედ მრავალი მოსახლე’ (იქვე); **ხი-ნჭო** – ‘ბრინჯის გასაწურავი’ (ორბელიანი 1991-93, 423-2), დღეს მას თუმფალანგს ეძახიან; **ხე-ვი** – სულხან-საბას ინტერპრეტაციით ‘ეწოდების რა წყარონ შეკრებიან და ჩაივლიან’ (ორბელიანი 1991-93, 438-2).

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მაგალითში გამოიყოფა ძირი **ხი**, რომელიც წყლის აღმნიშვნელ სემანტიკას ატარებს. იგი საქართველოს კუთხეების

ამსახველ ბევრ სხვა ტოპონიმსა და ეთნონიმშიც აღინიშნება: *ხე-ვ-ს-ურ-ეთ-ი*, *შუა-ხე-ვი*, *იმერ-ხე-ვი*, *მეს-ხი*, *კოლ-ხი*, *ფ-ხო-ვი*, *კობო-ხი* (კავკასიონის უძველესი სახელწოდება), *მოსო-ხი* და მრავალი სხვა.

ფ ხ თ ვ - ი: ისტორიული წყაროების მონაცემებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ძვ. წ. III საუკუნიდან უკვე არსებობს, ხოლო ოფიციალური ცნობები *ფხოველთა/ფხოელთა* შესახებ უკავშირდება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანას (IV ს.). ამასთან, ჩვენი ვარაუდით, ამ ეთნონიმის ფუძე სემანტიკური თვალსაზრისით იმდროინდელი საქართველოს მთელ ტერიტორიას უნდა ასახავდეს, რადგან ისტორიულ წყაროებში ფხოველთა საცხოვრებელი ადგილი სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასტურდება. მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონის მასალების თანახმად, ფხოველები სახლობენ აღმოსავლეთ მთიანეთის ‘...გარნა კახეთსა და კუხეთში, კვეტერასა და უჯარმის მიდამოებში’ (გელაშვილი 1993, 34). შესაძლოა, ეს ხალხი კონკრეტულად მაინცდამაინც ფშავლები და ხევსურები არ იყვნენ, მაგრამ წარმოადგენდნენ ფხოველების სახელით მოხსენიებულ სხვადასხვა ქართულ ტომებს.

ვფიქრობთ, რომ *ფ-ხო-ელი/ფ-ხო-ე-ელი*-ის ეთნონიმის *ფუძის* რეკონსტრუქციისათვის უნდა მოვიშველიოთ აკად. არნ. ჩიქობავას მოსაზრება ისტორიულად ქართულში კლასების არსებობის შესახებ და გამოვეყნოთ **ფ* კლასის ნიშანი, რომელიც ბ-ს გაფშვინიერებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს (**ფ-ხო... < *ბ-ხო... - ანალოგიურად* წ.-თ. **ბ-ხი > ფ-ხი* (‘ხუთი’) მაგალითისა, რომელსაც ბ-ნი არნოლდი ხშირად იშველიებს კლასებზე საუბრისას), ხოლო ფუძისეული -*ხო... დაფუკავშირით ხი-ს*, მაგრამ რა არის ეს *ხი?*..

აკად. ივ. ჯავახიშვილი ეთნონიმებში *მესხი* და *მოსხი* *ხ-V*-ფუძეს აღადგენს და *ქრღვენებს* აღმნიშვნელ ქართულ სუფიქსად მიიჩნევს. იგი წერს: – ‘ამ სახელწოდებას ბოლოში ჩვეულებრივ ქართული ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცი ‘ხი’ უზის... მუსკი, მოსხი, მეშეხი ერთსა და იმავე ქართველი ტომის – მესხების საკუთარი სახელია...’ (ჯავახიშვილი 1951, 393).

ალბათ ეს ასეც იყო, თუმცა ვვარაუდობთ, რომ ქრონოლოგიურად *ხი-ს* პირვანდელი სემანტიკა ‘წყალს’ უნდა უკავშიდებოდეს, რომელმაც გარკვეული დროის მანძილზე, კლასის ნიშნის დართვის შედეგად მიიღო დამატებითი სემანტიკური დატვირთვა და ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების წინაპარი ტომების ამსახველ ფუძედ ჩამოყალიბდა. შემდგომ კი, ენის განვითარების შედეგად, საერთოდ მოსწყდა მის ამოსავალ სემანტიკას და სუფიქსად იქცა.

ასეთი მაგალითები ლინგვისტურ პრაქტიკაში ბევრია. ერთ-ერთი მათგანია ფშავი. მისი ამოსავალი ფუძეა **ბ-შა*, რომელსაც სულხან-საბა ასე განმარტავს – ‘უკეთუ მდინარესა მახლობლად... მისგანვე მდინარისაგან გამონაწოვნი, არა უწოდთ წყაროდ, არამედ ფშად’ (ორბელიანი 1991-93, 393-2); იგივე ფუძე აღინიშნება *ფშა-ტალ-ა*-ში: – ‘გაზაფხულ წყალნი თოვლ-ნარევინი’ (ორბელიანი 1991-93, 207-2). ივ. ჯავახიშვილიც *ფშა*-ს ყინულს უკავშირებს და **შა* –

ძირს გამოყოფს. აღსანიშნავია, რომ წოვა-თუშურსა და ვეინასურშიც **შა** 'ყინულის' მნიშვნელობით დასტურდება. იმავე ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს **შა-ტილი** და წოვა-თუშური **შო-ბი** ('ფშავლები').

შესაბამისად, ***შა > *ბ-შა... > ფ-შა... > შა...**-ს განვითარების პროცესები სრულ ანალოგიას პოვებს ზემოთ აღწერილ წყლის ამსახველ ფუძესთან, შდრ.: **ბი > *ბ-ბი... > ფ-ბი > -ბი...**, ანუ, აქ აღინიშნება ლექსიკური ერთეულის დესემანტიზაცია კლასის ნიშნის დართვით და მისი სუფიქსამდე დაყვანილი სრული ნიველირება.

საინტერესოა, რომ ა. ქურქიევის მონაცემების თანახმად ხევესურებს, ფშავლებსა და მთიულ-გუდამაყრელებს ინგუშები ერთი ეთნონიმით – ფხიე-თი (>ფხოვი) იცნობენ. ეს ვითარება განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ შესაძლოა ერთ დროს **ფხოვი** ქართველთა ზოგად აღმნიშვნელ ტერმინად მოიაზრებოდა და აისახებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ მეზობელი ტომების ცნობიერებაზეც.

იმავე **ბი-ფუძეს** ალვადგენთ ეთნონიმში **კოლხი** (შდრ. **კოლხა**). ჩვენ არ ვეხებით მის პირველ ნაწილს, რადგან მისი ეტიმოლოგიური რეკონსტრუქცია ცნობილია – ხშირად იგი კობანურ კულტურას უკავშირდება; ჩვენთვის უფრო საინტერესოა ამ ლექსემის მეორე ნაწილი '-ლ-ხი'...

ისტორიული წყაროების თანახმად ცნობილია, რომ ანტიკური ავტორები **კოლხ**-სა და **კოლხიდა**-ში გულისხმობდნენ შავი ზღვის სანაპიროს საკმაოდ დიდ ტერიტორიას. მ. ინაძის მოსაზრებით, ეს ეთნონიმები, ამ ტერიტორიის ჩრდილოეთით და მთლიანად კავკასიაზე ვრცელდებოდა და მისი მოსახლეობის ზოგადი აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (ინაძე 1993, 52). ამდენად, მათი ჩამოყალიბება და გავრცელება უკვე არსებულ ეთნონიმ-ტოპონიმებთან შერწყმის ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. ვვარაუდობთ, რომ **კო...**-სა და **ფ-ბV...** > ***ბ-ბV...**-ს (ფ-ხო-ვ-ი) შერწყმის შედეგად წარმოქმნილია ტერმინი **კო-ლ-ხ-იც**, შდრ.: **კო-ბ-ბი > კო-ფ-ბი > კო-ლ-ბი**. ისმის კითხვა – გვაძლევს თუ არა ენა ისეთ მაგალითებს, როდესაც – ***ბ-ბ->ფ-ბ** კომპლექსი გადადის ***ლ-ბ-ში**?.. მათი პირვანდელ კომპლექსებად მიჩნევა ალბათ შეცდომაცაა, რადგან ორივე შემთხვევაში (**ბ** და ***ლ**) ისტორიულ კლასის ნიშნებად უნდა მოვიაზროთ (შდრ. ჩეჩ. **ბ-ოცა**, **დ-ოცა**, ***ლ-ოცა** 'მოკლე' ან **დ-ადარ** 'გაქცევა' – ***ლ-ადარ** 'თქრიალი' და სხვ. (Ошаев 1959, 199). ამის დამადასტურებელი მაგალითია **კო-ბ-ო-ბი**, სადაც მოცემულია ერთდროულად ყველა ჩვენთვის საინტერესო კომპონენტი, შდრ.: **კო...**- 'ვინმე' ეთნონი, ***ბ**-კლასის ნიშანი, **ბი** – 'წყალი'. იმავე სავარაუდო კლასის ნიშანს ვხედავთ **კო-ლ-ორ**-შიც (ხეობა).

ვფიქრობთ, რომ ამავე რიგს ეკუთვნის **კო-ბი-ვ** ('კახელის' წოვა-თუშური ვარიანტი), სადაც **ვ** მამაკაცის აღმნიშვნელი ცოცხალი კლასის ნიშანია; თვით **კო-ლ-ბი**-ს ფუძეს **კო-ბი-ვ**-ის ალოფორმად მოვიაზრებთ.

ზემოთ წარმოდგენილმა დაკვირვებამ ეთნონიმ **ა ფ ბ ა ზ**-ის ფუძის რეკონსტრუქციაც გაგვაბედინა. საქმე ისაა, რომ ამ საკითხის გარშემო მრავალი აზრთა სხვაობაა. ბევრმა ცნობილმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი კომპეტენტური

და ხშირად დასაბუთებული აზრი (ნ. მარი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ქ. ლომთათიძე, ზ. ანჩაბაძე, მ. ლორთქიფანიძე, თ. გამყრელიძე, ო. კახაძე, ე. ოსიძე, თ. გვანცელაძე...), მაგრამ **აფხაზ**-ის ქართულ წარმომავლობაში ჩვენი ოპონენტები ვერ დაარწმუნა.

ამ საკითხის შესახებ გაჩენილ ჩვენეულ დაკვირვებას მოკრძალებით შემოგთავაზებთ. იმედია იგი მკითხველისთვის მისაღები თუ არა, დამაფიქრებელი მაინც იქნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ავტორთა მოსაზრებები უკვე მრავალჯერ განხილულა და ცნობილია, ამიტომ ყურადღებას მხოლოდ აკად. ნ. მარის თვალსაზრისზე შევაჩერებთ, რომლის თანახმადაც **აფხაზ**-ი მომდინარეობს ***აფასზ**- ფუძიდან, სადაც **ზ** მრავლობითი რიცხვის სუფიქსია (Mapp 1912, 575).

აი რას წერს ამის შესახებ თ. გვანცელაძე: – „ჩვენი აზრით, ნ. მარის ამ მოსაზრებას აქვს საფუძველი. ***აფასზ**- ფუძის აღდგენისათვის რეალურ საფუძველს იძლევა ძველი ბერძნული ენის მონაცემები, სადაც დასტურდება **ზ** ელემენტის შემცველი ვარიანტი. ფუძეში **ფ** თანხმოვნის ნაცვლად **ბ** თანხმოვნის არსებობა ფონეტიკურად ძნელი ასახსნელი არ ჩანს. ყველაზე რთული ბოლოკიდური **ზ** ელემენტის რაობის საკითხია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე ბერძნულში სხვა ფუძეებიც გვქვს ისეთი, რომლებიც **ზ** ელემენტს შეიცავს (მაგ.: ტაოზ-ი, დიაოზ-ი, ქართული ტაო-ს ფონზე), მაშინ შესაძლებელი ხდება დაუშვათ, რომ ამ **ზ** ელემენტს რაღაც მორფოლოგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდა (მისი მრავლობითის სუფიქსად გამოცხადება უმართებულოა)“ (გვანცელაძე 1993).

ჩვენი აზრით, თ. გვანცელაძე სხვა მკვლევრებისგან განსხვავებით უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან: 1. იგი უშვებს **ფ/ბ**-ს მონაცვლეობას; 2. **ზ**-ელემენტს არ მიიჩნევს მრავლობითის სუფიქსად. მართალია, ავტორი ბოლოს სულ სხვა მოსაზრებას გვთავაზობს **აფხაზ**-ის წარმომავლობაზე, მაგრამ ჩვენი ვარაუდის დასაშვებად ეს ორი მინიშნებაც საკმარისია.

საქმე ისაა, რომ ეთნონიმ **აფხაზ**-ს ჩვენ მოვიაზრებთ რთული აგებულების ფუძედ. მასში გამოვყოფთ იმავე **ფზ-V...**- ელემენტს (**ფზოვი**-დან) და ვთვლით, რომ ქრონოლოგიურად იგი შეიქმნა მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიის მოსახლეობის ქართველთა წინაპრების ზოგადი სახელი ჯერ კიდევ ***ზ-ზ-V**-ელი > **ფზო-ელ-ი** იყო. ვვარაუდობთ, რომ ეს იმ დროის მონაკვეთია, როდესაც კლასის ნიშნები ჯერ კიდევ მარკირებულია, **ბ** – მრავლის ამსახველი კლასია, **ზ-V**- ფუძე კი ჯერ კიდევ კავშირშია წყლის სემანტიკასთან. ე. ი. იგი ასახავს პირობითად წყალთან, ანუ ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ გარკვეული რეგიონის კომპაქტურ მოსახლეობას.

ა-ს, როგორც აფხაზურ პრეფიქსს, ყველა ავტორი გამოყოფს და უკავშირებს ადამიანის აღმნიშვნელ აფიქსს – **უა**-ს.

უფრო რთულია **-აზ**- ელემენტის წარმომავლობის დადგენა.

IV-VIII საუკუნეების ბიზანტიური დოკუმენტური წყაროების თანახმად, კოლხეთის და იბერიის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი **ლაზიკა** (**ლაზი**).

ნ. ლომოურის აზრით, ამ სახელში მოიაზრებიან დასავლეთ საქართველოს კოლხები (ლომოური 1993, 73). გამოდის, რომ ზღვის სანაპიროზე *ბ-ზ-ოვის გარდა უკვე არსებობს ტერმინი **ლაზ-ი**.

ჩვენი ვარაუდით, ლოგიკურია, **ფ-ზ-ა...** და **ლ-აზ...** ფუძეების შერწყმის შედეგად წარმოქმნილიყო საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელი **ა-*ზ-ზ-აზ-ეთ-ი / ა-ფ-ზ-აზ-ეთ-ი**, სადაც *ლ-ს ამოვარდნა კანონზომიერია, რადგან კლასის ნიშნის ფუნქცია დაეკისრა – *ზ/ფ-ს, შდრ.: **ა-*ზ-ზ-V... + ლ-აზ < ა-*ზ-ზ + ლ-აზ < ა-პზ-აზ (ა-ფზ-V + ლ-აზ < ა-ფზ-აზ)**. ფუძეების შერწყმა უთოოდ განაპირობებულია, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვიხელმძღვანელოთ, დროის იმ მონაკვეთში **ფზოვის** 'იურისდიქციის' გავრცელების გამოსატვის აუცილებლობით. ორივე ეს ტერმინი დღესაც აქტიურად იხმარება.

თუ ჩვენ იმავე ლოგიკით ვიხელმძღვანელოთ, მაშინ გასაგებია სხვა ტერმინების რეკონსტრუქციაც – შდრ. **ტაო-ზი, დიაო-ზი, მოსო-ზი** ეთნონიმები, სადაც 'წყლის' სემანტიკაა გატარებული ადგილმდებარეობის ერთგვარი მინიშნებით.

მეორე მინიშნება, რომელიც ამ წერილის დასაწყისში ვახსენეთ, არის **ძთა**. საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან ბევრია ტოპონიმი და ეთნონიმი, რომლებიც ასახავენ მთის სემანტიკას. ვფიქრობთ, რომ წოვა-თუშურის ლინგვისტური მონაცემები გვაძლევს საშუალებას, ავხსნათ ზოგი გრამატიკული ფორმის არსებობა ქართულში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა ენაში ბრუნვათა სისტემა აგებულია ერთგვარი ძირითადი ღერძია, რის საფუძველზეც ახალი გრამატიკული ფორმები წარმოიშობა, რომლებიც ხშირად აგრძელებენ დამოუკიდებელ არსებობას. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ბევრ საერთოს პოვნებს ქართულისა და წოვა-თუშურის ბრუნება, რაც გვაძლევს გასაღებს დღემდე აუხსნელი ზოგი ტოპონიმისა და ეთნონიმის რეკონსტრუქციისა.

ავიღოთ წოვა-თუშურის **გV / გო** სუფიქსიანი ბრუნვა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინითაა აღნიშნული: მოქმედებითი (იოვ. ცისკარიშვილი), ალატივი (ა. შიფნერი), მიმართებითი (დ. იმნაიშვილი, რ. გაგუა). ყველა მკვლევარი მასში ერთმნიშვნელოვნად მიმართების სემანტიკას ხედავს. ამჟამად ეს ასეც არის და შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

1. ადმიენ-ეგ დეწე სჷქმ ლაცითა, და არა ბეც-ეგ – აქ შეიძლება ორგვარი თარგმანი: 'ადამიან-ს უნდა გააკეთებინო ეგ საქმე და არა სულელს (ბეცს)' და – 'ადამიან-მა უნდა გააკეთოს ეგ საქმე და არა სულელმა'; სემანტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით წოვა-თუშურს ქართულის მოთხრ. და მიც. ბრუნვები მიესადაგება; მეორე თარგმანის თანახმად მას სუბიექტის ფუნქციაც აკისრია, განსხვავებით წოვა-თუშურისგან, სადაც **გV**-იანი ფორმა პასივია მორფოლოგიურად, თუმცა სემანტიკურად მომქმედია, აქტიურია და სუბიექტის ფუნქციას ითავსებს.

2. ო სე წერილ მწერმ-ეგ დაჰ ითნანს – ‘ის ჩემი წერილი მარიამ-ს გავატანე’ (ან მარიამ-მა წაიღო), ამ მაგალითში *გV*-იან ფორმას ქართ. მიც., ნათ. და ერგ. მიესადაგება (მარიამ-ს გავატანე, მარიამ-ის საშუალებით გავატანე, მარიამ-მა წაიღო) – სემანტიკურად ალატივი აქაც აქტიურია და სუბიექტის ფუნქციის მატარებელია.

3. ნანე-გო ჩარ ცო დაგეერ, უიშტ დარ მალდალინ – ‘დედას ძალა აღარ ჰქონდა, ისე იყო დაღლილი’; აქ მიცემითის სემანტიკა ჭარბობს, თუმცა ქართულში მას ასეთი თარგმანიც მიესადაგება – ‘დედა ძალაგამოცლილი იყო’, ანუ, *გო-იანი* ფორმა აქტიურია და სემანტიკურად სუბიექტის ეკვივალენტია.

მსგავსი მაგალითი მრავალია, ამდენად, მხოლოდ დასკვნით დავჯერდებით: *ალატივი* სემანტიკურად სუბიექტის ფუნქციის მატარებელიც არის და არაა გამორიცხული, რომ ისტორიულად მას მორფოლოგიური დატვირთვაც ჰქონოდა. წოვა-თუშურის დღევანდელი კაუზატიური კონსტრუქციაც ამას ცხადყოფს.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ქართულის მაგალითები ნაწილობრივ ანალოგიას იჩენენ. უფრო მეტიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ოდესღაც ქართულშიც არსებობდა ისეთი ბრუნვა, რომელიც თავისი აქტიურობით უთანაბრდებოდა სუბიექტის აღმნიშვნელ ბრუნვას (თუნდაც დღევანდელ მოქმედებითს ან მიცემითს).

ვიტყვიტ ძალიან ფრთხილად, რათა მკითხველი თუ ვერ დავარწმუნეთ, საკონტენტში მანც ჩავაგდოთ...

ავილოთ სიტყვა *ჩახერ-გ-ვა*: აქ ჩვენ ფუძედ *ხერ*-ს გამოვყოფთ და ვუკავშირებთ *ვერ*-ს (წოვა-თუშურში *ვერ* ‘ქვა’). მწერალ ელისო ბილანიშვილის შემოქმედებას ვინც იცნობს, ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა ასეთი გამოთქმა – ‘შვილმკვდარი დედა *გახერებული* უყურებდა...’. ჩვენი ინტერესი ‘გახერებულის’ მიმართ მან პირად საუბარში ასე ახსნა: – ეს სიტყვა *გავერებული*-დანაა და ‘გაქვავებულს, ქვად ქცეულს ნიშნავს’... *გა-ვერ-ებ*-ის ფორმით იგი ჩაღმა-თუშურსა და ხევსურულ დიალექტებშიც იმავე მნიშვნელობით გვხვდება.

ისმის კითხვა: ‘რა არის –*გ...*(ჩა-ხერ-გ-ვა)?’. ამის პასუხი ძალზე რთულია, თუმცა ჩვენი ვარაუდით, იგი გაყინული სახით შემონახული არქაული გრამატიკული ფორმის ერთ-ერთი აფიქსი უნდა იყოს. მივყვით თანმიმდევრობას.

გ-ელემენტს ჩვენ ვპოულობთ სიტყვა *ბადრა-გ-ა*-ში. სულხან-საბა მას ასე ხსნის – ‘ბადრაგა – ჭაბუკი, მოგზაურთა წინამავალი, რათა მოგზაურთა უვნებელად გაატაროს’ (ორბელიანი 1991-93, 90-1), *ბადრ* – ფუძეა (შდრ. წ.-თ. *ბადერ* ‘ზავში’). ივ. ჯავახიშვილი ბადერ-ს ‘დაბადებას’ უკავშირებს და თუ გავიხსენებთ, რომ შვილი მხოლოდ ვაჟი ითვლებოდა, მაშინ კანონზომიერია ენაში მის *ბადრა-გ*-ად დამკვიდრება. სულხან-საბას ლექსიკონში დასტურდება სიტყვები *ბა-გ-ა/ბაბა-გ-ა* – ‘პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი’ (ორბელიანი 1991-93, 88-1) და *ბადა-გ-ი* – ‘ტკბილი, მოდუღებული, ახლად დაწურული, ჯერ ღვინოდ არ ქცეული’ (ორბელიანი 1991-93, 90-1), სადაც

ისევ ჩვენთვის ნაცნობი **გ-V** გვხვდება, რასაც მოსდევს სახ. ბრ. ნიშანი (V). მსგავსი მაგალითებია – **მსუნა-გ-ი** (ფუძე ‘სუნ’), **სადა-გ-ი** (<სა-დარ-ი, ე.ი. ‘შესადარებელი’) და სხვ...

გ- ელემენტის ამ და სხვა მსგავს ფუძეებში გამოყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და დღეს იმავე ქართულში გაქცევებული სახით თუ შესაძლებელია მისი მიძიება, მაგრამ ისტორიულად დასაშვებად მიგვაჩნია მისი დაკავშირება ერთ-ერთი გრამატიკული ბრუნვის ფორმასთან, რომელიც ბუნებით იყო აქტიური და მიმართების ან მიკუთვნების სემანტიკას ატარებდა, მსგავსად წოვა-თუშურისა (შდრ. გო-სუფიქსიანი ალატივი). არ გამოვირიცხავთ იმასაც, რომ ბრუნვის ფლექსიად ქცეული ელემენტი **გ-ი/გ-ა/გ-V** ისტორიულად თვითონაც წარმოადგენდა ლექსიკურ ერთეულს, რომელიც შემდგომ ფხოვისა და ფშავის მსგავსი პროცესების გავლენის ქვეშ მოექცა, ანუ ჯერ იყო რაღაც სიტყვა, პირობითად მთის აღმნიშვნელი, რომელმაც განვლო ტრანსფორმირების დიდი გზა, იქცა ბრუნვის ნიშნად და ბოლოს გაქცავდა.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით მთის სემანტიკის ამსახველ ლექსიკას, განსაკუთრებით ტოპონიმებს და ეთნონიმებს და შევაჯერეთ ზემოთ წარმოდგენილი მასალა, გვიჩნდება კითხვა, ხომ არ უკავშირდება ***გ-ი/გ-ა/გ-V** ერთ-ერთ მთის აღმნიშვნელ სიტყვას – ***გ ო რ ა-**ს, რომელიც ქართულში მისი არქაულობის გამო მეტად ნაწარმოებ ფუძეებში გვხვდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ვარაუდს ავსებს რუსულში ცნობილი სიტყვა **гора**, რომელიც ‘მთის’ მნიშვნელობით ქართულიდანაა ნასესხები და ეს ნასესხობა იმდენად ძველია, რომ არ თარიღდება. იგი საფუძვლად დაედო მრავალი ლექსემის წარმოქმნას ორივე ენაში, მაგ.: გორაკი, დაგორება, გორნაკი, ‘გორი’, გურული, მთა-გორი, ახალგორი და სხვ... რუსული გვაძლევს უამრავ მაგალითს, სადაც მთის სემანტიკა ჯაჭვად გასდევს ახლად წარმოქმნილ ფუძეებსაც კი, შდრ.: **горный, горн, горбушка, пригорок, горбуша, гордый...** და სხვ...

ამ მასალამ მრავალი საინტერესო კითხვები წარმოშვა – ხომ არ უკავშირდება **გორა-ს** და იმავე ***გ-ა/-გ-V** სუფიქსს ტერმინი **გეორგია** და მის არქაულ ფუძეშიც ხომ არ არის ჩადებული მთის სემანტიკა... და საერთოდ, ხომ არ არის იგი ჩვენეული, ქართული და არა სპარსული, როგორც მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში?.. სიმართლე ვითხრათ, მყარი არგუმენტაციის არქონის გამო მოვერიდეთ ამ საკითხის განხილვას, თუმცა ამისი ცდუნება იყო...

კითხვა შემდეგი – ხომ არ არის გენეტიკურ კავშირში ზემოთ აღნიშნული ფუძე საქართველოს მეფის **გორგასალ**-ის სახელთან?..

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ჩვენ **გორგასალ**-ში ‘მთის’ სემანტიკას მოვიაზრებთ, შდრ.: **გორ-*გა** (ბრ. ნიშ.) -**სალი** (ძვ. ქართ. სალი – ‘კლდე’, ორბელიანი 1991-93, 35-2) – ‘მთათა კლდე’. მეცნიერები მასაც სპარსულიდან ნასესხებად მიიჩნევენ, ხოლო თარგმანს ‘მგლის თავს’ უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ ხშირად ნასესხებ კონსტრუქციას ენაში უკვე არსებული მსგავსი ფლერალობის მქონე ფორმის სემანტიკა ენიჭება, ანუ ხდება

დესემანტიზაცია, ამდენად სპარსულში არსებული ინტერპრეტაცია ამ ენისთვის მშობლიურია და სავსებით მისაღები. ანალოგიური მაგალითები სხვა ენებშიც ბევრია. ვეინახურში, მაგალითად, სერგო ორჯონიკიძის გვარი ითარგმნება როგორც ‘შავი თავადი’ (შდრ. *ფერჟნიკინეზ*: ფერჟა-‘შავი’, კინეზ-კინაზ ‘თავადი’), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ახსნას ენაში უნდა მიეცეს დამკვიდრების საშუალება, როგორი პოპულარულიც უნდა იყოს იგი საზოგადოებაში.

ზემოთ განხილული ლინგვისტური დაკვირვება ცხადყოფს, რომ საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ეთნონიმ-ტოპონიმები ქრონოლოგიურად წარმოქმნილია სხვადასხვა დროს, თუმცა ზუსტად ასახავენ მათი საცხოვრებელი ადგილის სემანტიკას, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია წყალთან და მთასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავებულია ამ ეთნონიმების და ტოპონიმების სოციუმში გამოყენების პრიორიტეტებიც ისტორიულ ეპოქებთან მიმართებაში. შესაბამისად, მათი გრამატიკული გაფორმებაც არ არის იდენტური (დექტური ნაწილაკები, კლასის ნიშნები, სახელების დესემანტიზაცია დასული სუფიქსამდე და სხვ...)

რამდენად სწორი და მისაღებია ჩვენი დაკვირვება, მიგვინდვია მკითხველისთვის. ერთში კი ნამდვილად დარწმუნებული ვართ – ფესვების ძიება ჯერ საკუთარი ენის წიაღში უნდა ვცადოთ, რადგან ერის კულტურა და ენა, მათი კონსერვაციის უნარის წყალობით, ცდილობენ დროის მიღმა დატოვონ ისეთი მინიშნებები, რომლებიც ლოგიკურია და სწორი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

ლიტერატურა

- ბაგრატიონი 1973** – ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, 1, თბ. 1973.
- გამყრელიძე 1993** – თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან (‘აფხაზ-აბაზგ’ და ‘აბაზა-აფსუა’ ეთნონიმთა ისტორიულ-ეთნოლოგიური ურთიერთობისათვის), კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.
- გელაშვილი 1993** – გ. გელაშვილი, მ. მგალობლიშვილი, გ. პაიჭაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ევროპულ ენებში, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.
- გვანცელაძე 1993** – თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ ‘აფხაზისა’ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ. კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.
- ითონიშვილი 1993** – ვ. ითონიშვილი, ტერმინები ‘ხევი’ და ‘მოხევე’, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.

ინაძე 1993 – მ. ინაძე, ტერმინები ‘კოლხი’ და ‘კოლხიდა’ ანტიკურ წერილებში. კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.

ლომოური 1993 – ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.

მელიქიშვილი 1970 – გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. თბ. 1970.

ორბელიანი 1991-93 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1-2, თბ. 1991, 1993.

ოსიძე 1993 – ეკ. ოსიძე, აბასკ-აბასგ ეთნონიმის წარმომავლობისთვის. კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.

პაპუაშვილი 1993 – თ. პაპუაშვილი, ქართული ეთნიკური ტერმინების ‘გარდაბანელნი’-ს და ‘ფხოელნი’-ს ისტორიისათვის, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.

კახაძე 1993 – ო. კახაძე, აფხაზ/აფხაზა ფუძის თაობაზე, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ. 1993.

ჯავახიშვილი 1951 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, 1. თბ. 1951.

Map 1912 – Март Н., История термина «Абхаз», С-Пб. 1912.

Ошае 1959 – Ошаев Х., К вопросу о рудиментарных классных показателях в чеченском языке, Известия ЧИНИИИЯЛ, Гр. 1959.

Bela Shavkhelishvili

On the Reconstruction of the Stems of some Terms in the Georgian Language (Pkhovi, Kolkhi, Abkhaz)

Summary

The present article is based on seemingly insignificant facts which create a certain chain of intercomplementary elements that form harmonious logical system. The terms *Pkhovi*, *Kolkhi* and *Abkhaz* are studied, i.e. the terms that have been an etymological “apple of discord” for scholars for two centuries. Our conclusions are based on “interpretation” of the characteristics significant for the region, the characteristics that remain beyond time, such as water and mountains.

In the ethnonyms (and in toponyms, correspondingly) *Pkhovi*, *Kolkhi* and *Abkhaz*, we discover the same root *khi*, which at different times, combined with

various stems, having the significance for the given period, formed new lexemes. In this case we suppose that the newly formed lexical units, together with their basic meanings, combined the semantics of definite places and tribes living in them.

It is quite difficult to distinguish them chronologically, i.e. to say which of them is more ancient, however, we suppose that it is that very time when the system of class indicators and deictic elements were still alive in the Georgian language. The obvious case are the ethnonyms discussed here: cf. **b-kho-vi* = *p-kho-vi* (**b-kho-v..*), *ko-l-khi* (*Ko-*b-o-khi, ko-khi..*), *a-*b-kha-z* (*a-*b-kh-a+l-az* = *a-b-kh-aa-z* = *abkhaz / apkhaz*), were the stem *kh-v..* and class affixes (**b-*p-*l*) are present everywhere. And what is more, in the lexeme **abkhaz / apkhaz*, consisting of two stems - **b-khov-i* and **laz-i* (indigenous names of the Georgian tribes), there are two class elements - **b/p..* and **l..* As their functional and positional significance weakened, some of them disappeared, some of them, in their modified form, petrified.

In some Georgian names we reconstruct the suffix - *ga*, which seems to have been an indicator of the archaic case, once existing in this language, with the meaning of relativity-possessiveness and which in its activity was commensurable with the case of the subject.

All the above discussed eponyms are indigenous Georgian, as they consist of stems etymologically connected with their archaic forms. Our confidence is strengthened by the logical chain, which can be observed between the semantics of the lexemes and their morphologic construction.

ობა ჩანტლაძე

**წულ-/ ჯუმ- ძირთა ურთიერთმიმართებისათვის
ძართველურ ენაში**

თავის დროზე (1999 წ.) ჩვენ ვეხებოდით **წულ- > წუილ** და **ჭუმ > ჯუმ** ძირთა არსებობის რელატიური ქრონოლოგიის საკითხებს ქართველურ საზოგადო სახელებში, ახლა კი ყურადღებას მივაქცევთ იმავე ძირებიდან ნაწარმოებ ანთროპონიმებს.

პირველივე ტექსტში, რომელიც ჩვენ კოდორის (resp. დალის) ხეობაში ჩავიწერეთ, ლაპარაკია ცნობილ მონადირესა და სახელგანთქმულ მოჭიდავეზე ბათალბი **წულუკიძეზე**, ვისაც რვა ენა (სვანური, ქართული, აფხაზური, მეგრული, ყარაჩაული, რუსული, ბერძნული, სომხური) სცოდნია. დღეს ამ გვარის წარმომადგენლები ქვემო აჭარაში ცხოვრობენ და მოიცავენ ხუთ შტო-გვარს, რომელთაგან სამი ფილიაციური სისტემა ემყარება ნაგენეტივარ წარმოებას (**ხუხუ-შერ < ხუხუ-შა-ერ, ომანა-ე-შერ < ომანა-ი-შა-ერ, ჩაგი-შერ < ჩაგი-შა-ერ**), ხოლო ორი — მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმას (**ბათალბი-არ, ჯაშ-ილდ-არ**).

ნაცვლად წულუკიძისა, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში, განსაკუთრებით კი — იმერეთსა და აჭარაში (2272 სული), სვანეთში მოსალოდნელი იყო **წულუკიანი**; გვაქვს კიდევ — 65 ადამიანიდან 28 ცხოვრობს მესტიის რაიონში (ძირითადად, სოფელ ფარში), ხოლო დანარჩენები — ლეჩხუმში, თბილისსა და ზუგდიდში.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ **წულ-** ძირიდან ნაწარმოები არც ერთი სვანური გვარი არ გვხვდება ძველ წარწერებსა თუ ისტორიულ დოკუმენტებში, საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლებში, ე. წ. სულთა მატრიანებსა თუ გარკვეულ სიგელ-გუჯრებში. სამაგიეროდ, XIII საუკუნეში კნინობითობის **-ილ** სუფიქსის შემცველი გვარია დადასტურებული — ესაა **ჭუმ-ილ-იანი** (ინგოროყვა 1941, 129), რომელიც ქართულ, სვანურ და მეგრულ არეალში გვარებისა (**წულ-ა-ძე, წულ-უკ-ი-ძე, წულ-უკ-იანი, წულ-უკ-ია || წულ-იკ-ია, წულ-ე-ი-სკირ-ი, წულ-ა-ია**, იშვიათად **რ-წულ-ა-ია**) და ტოპონიმების (**წულ-იში**-ი „მთა ჩრდილოეთ სამეგრელოში“, **ნა-რ-წულ-უ** „ვაკე-ფერდობები არჯანიების სამოსახლოსთან“) კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

ლაშხეთში, სოფელ ჩიხარეში, ოქონ-დაბიშის ეკლესიის ერთ წარწერაში (XVII ს.), დასახელებულია თეთრუა ლაშხიშვილის ქალი, რომელიც თავის შვილთან — ქაიხოსრო წულუკიძესთან ერთად მოხსენიებულია ნიკორწმინდის ტაძრის XVII საუკუნის მხედრულ წარწერაშიც (სილოგავა 1988, 659), ხოლო ვინმე მერაბ წულუკიძეს უშგულის „დედამღვთისას“ ეკლესიისთვის (იგულისხმება ლამარია — ი. ჩ.) შეუწირავს ვერცხლის სურა (თაყაიშვილი 1937, 147). როგორც ჩანს, ორივე წულუკიძე დედით ქვემო სვანები იყვნენ.

ბესარიონ ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონსა“ და ეგნატე გაბლიანის „ძველსა და ახალ სვანეთში“, რომლებშიც საუკუნე-ნახევრის წინანდელი სვანურისა და სვანეთის მონაცემებია წარმოდგენილი, **წულუკიანი** შეკუმშული ფორმითაა (**წულ-კ-იანი**) დადასტურებული, ქართულსა და მეგრულში **-უ-** ხმოვანი რედუქციას არ განიცდის, ამიტომაც **წულ-** ძირისაგან ნაწარმოებ გვარებში ის ყველგან დაცულია.

წულ-ა-ია პირველად დადასტურებულია 1621 წელს შედგენილ „საციომლო გამოსავლის დავთარში“ (ცხადია 2000, 100), ანუ დაახლოებით იმ დროს, როცა მერაბ წულუკიძემ ლამარიას ძღვენი მიართვა, ხოლო ლევან დადიანის ვეზირის პაატა წულუკიძის გვარი გვხვდება იტალიელ მისიონერთა წერილში 1655 წელს *Zulochia* და *Zulachia* ფორმით (ჯანაშია 1959, 19).

ბუნებრივია, რომ ოფიციალური ქართული გვარები არ არის იმ ეპოქისა, როდესაც საერთო-ქართველურმა ენამ დიფერენციაციის პროცესი განიცადა და, ძირითადად, ფონემათშესატყვისობათა კანონზომიერი სისტემის საფუძველზე წარმოიშვა მონაცემსავე (ქართული, სვანური, ზანური) ენები, მაგრამ ჩვენ ვმსჯელობთ ისეთ მონაცემებზე, რომლებიც ეყრდნობიან საზოგადო სახელთავან მომდინარე კნინობითის სუფიქსების შემცველ საკუთარ სახელებს.

სპეციალური ლიტერატურის (გ. როგავა, გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე) მიხედვით, ქართული **წულ-** ძირისთვის სვანურ ენაში, ბგერათშესატყვისობის წესების დაცვით, ორი მონაცემია გათვალისწინებული **ჭუმ** „ვაჟი“ და ***ჭულ-**. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია დერივაციული ლექსემის (**ნა-ჭულ-ა-შ** „ურვადი“ < ***ნა-წულ-ის-ი**) რედუცირებული კომპონენტის სახით. არაერთი მკვლევრის აზრით, სვანური ფუძის აუსლაუტში **-შ** საერთო-ქართველური ***-ლ** ფონემის შესატყვისია.

თუ სვანურ **წჷილ** (< **წულ**) — „პატარძალი, დედოფალი“ ძირსაც გავითვალისწინებთ, მაშინ, ალბათ, გადასინჯვა დასჭირდებათ გ. კლიმოვისა და ჰ. ფენრიხის მიერ საერთო-ქართველური ფუძეების დონისთვის ნავარაუდევ არქეტაპებს (***წიუზ** — კლიმოვი, 1964, 252 და ***წიულ'** — ფენრიხი 1998, 22-23). ამავე აზრისაა რ. აბაშიაძე (აბაშია 2001, 8).

ძველი ქართულის სხვადასხვა კონტექსტში **წულ-** გამოიყენება როგორც კონკრეტული („ყრმა, ვაჟი“ — შდრ. **წულ-ებრ-ივ-ი** „მამრი“), ისე ზოგადი (**ძ-ის-წულ-ი** შვილიშვილი, **ძმ-ის-წულ-ი** — ძმისშვილი, **დ-ის-წულ-ი** — დისშვილი, **უ-ფლ-ის-წულ-ი** — აზნაურთა შვილი, **დედ-ის-დ-ის-წულ-ი** — დეიდაშვილი, **ქალ-წულ-ი** — ქალიშვილი, გაუთხოვარი ქალი, **დედა-წულ-ი** — ოჯახი, ჯალაბობა, დედა-შვილი) მნიშვნელობით. ამასთანავე, იგი შესაძლოა კნინობითის ფორმითაც შეგვხვდეს (**ძმ-ის-წულ-აკ-ი**).

სულხან-საბა ორბელიანისთვის **წულ-ი** მხოლოდ ვაჟია; ალბათ ამიტომ (და იქნებ სხვა მიზეზითაც), რომ „სიტყვის კონაში“ შემდეგი გააზრება გვხვდება: **ქალ-წულ-ი** — ვაჟი უბიწო, **ქალ-წულ-ა** — ქალი უბიწო, **ძმ-ის-წულ-ი** — ძმის ვაჟი, **დ-ის-წულ-ი** — დის ვაჟი, **სე-ფ-ე-წულ-ი** — დიდებულთ ვაჟი (თუმც **დედა-წულ-ი** საბასთვისაც „სახლის ჯალაბობას“ აღნიშნავს).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **წულ-ი** რთულ ლექსემათა მეორე კომპონენტი: **დედა-წულ-იან-ად** „ცოლშვილიანად“; **უ-ფლ-ის-წულ-ი** „მეფის შვილი, ბატონიშვილი“; **წულ-ის-წულ-ი** „შვილიშვილი“; **ქალ-წულ-ი** „გაუთხოვარი, უბიწო ქალი“; **დ-ის-წულ-ი**, **ძმ-ის-წულ-ი**, **ბიძ-ა-ძმ-ის-წულ-ი**, **მაზლ-ის-წულ-ი**, **მულ-ის-წულ-ი...** გარდა **სე-ფ-ე-წულ-ისა**, ყველა კომპოზიტში საანალიზო ძირი მხოლოდ ზოგადი („შვილი“) მნიშვნელობითაა გამოყენებული (შდრ. აგრეთვე მოხუერი **ქალ-წულ-ა** < ***ქალ-წულ-ა** „ქალაჩუნა; მექალთანე“).

ქართულ ენაში ყურადღებას იქცევს **-წვილ** ელემენტის შემცველი კომპოზიტი **ყმა-წვილ-ი**: 1. ბავშვი; 2. ახალგაზრდა (ვაჟი, ქალი); 3. ვაჟი, ჭაბუკი; ვფიქრობთ, ამ ლექსემის მეორე მნიშვნელობა უნდა იყოს ასახული სვანურ **წჷილ**ში „პატარძალი“, ორივე ერთად კი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ **ქორ-წილ**'ს (< ***ქორ-ის-წვილ-ი**? ეტიმოლოგიურად „სახლ-ის-შვილ-ი“, შდრ. ძვ. ქ. **ქალ-სახლ-ის-ი** „ქალიშვილი“) და

სვანურ **ლი-წჷილ-ე**’ს „გათხოვება“, ეტიმოლოგიურად **„გა-წულ-ებ-ა“** (გ. თოფურია), „გაშვილება?“ შდრ. ძვ. ქ. **ქალ-წულ-ებ-ა** „შეუღლებლობა“, ქორ-**-წილ-ი** — სძლის (ძის ცოლის) მოყვანა (საბა).

ძველ ქართულში **წვილ-** ძირი არ ჩანს, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ „ყმაწვილი“ და „ყმაწვილი“ ერთმანეთის სინონიმებია. რაც შეეხება ხევსურულ დიალექტს, იქ ინვერსიული რიგი გვაქვს და თანაც ამოსავალი **-უ** ხმოვნის შემცველი; ესაა **წულ-ყმა (||წულ-ი)**, რომელიც მხოლოდ „ვაჟიშვილს“ აღნიშნავს (ჭინჭარაული 2005). ისტორიულ ტაო-კლარჯეთში კი **წულ-ი** „შვილია“ — ძეც, ასულიც (ფუტკარაძე 1993, 658).

ყურადღებას იქცევს ქართული მთის დიალექტების **წილ-** ვარიანტი, რომლის ამოსავალი უნდა იყოს **წვილ-** ფორმა:

მოხეური **წილ-ობ-ა** „ჩამომავლობა“, მთიულური **წილ-იან-ობ-ა** „შვილიერება“, შდრ. ხევსურული **წულ-იან-ობ-ა** „ვაჟიშვილიანობა“.

ფშაურ-ხევსურული **წილ-ბოლო-და-ლ-ე-ულ-ი || წილ-ბედ-და-ლ-ე-ულ-ი** „უძემკვიდრედ დარჩენილი“.

მოხეური **წი-წილ-ა-მ < *წილ-წილ-ა-მ < *წვილ-წვილ-ა-მ < *წულ-წულ-ა-მ** „ემეკვიდრე“, შდრ. ლეჩხუმური **წი-წილ-ი** „ნორჩი სანერგე მცენარე“.

აქვე შეიძლება გავგახსენდეს ძველი ქართული **მო-წილ-ვ-ა**’ც „ნაყოფის მოკრეფა“, რომელიც, არნოდ ჩიქობავას თვალსაზრისით, მეგრულ-ჭანურშიც იმავე **წილ-** ძირითაა წარმოდგენილი (ჩიქობავა 1938, 395).

მეგრული ტოპონიმი **ნა-რ-წულ-უ||ნა-წილ-უ** (ვაკე-ფერდობების სახელწოდ.).

ბალსზემოური დიალექტის ლატალურ კილოკავში გვაქვს **წილ (< წჷილ < წულ)** და **აღ-წილ-ან < აღ-წჷილ-ან** „გათხოვდა“.

საგულისხმოა, რომ დღეს სვანური ენის ყველა დიალექტში „პატარძლის, დედოფლის“ აღსანიშნავად გვაქვს **წჷილ**, მოსალოდნელი უფმლაუტო **წულ** არც სახელში გვაქვს და არც ზმნაში ლაშხურში. ბესარიონ ნიჟარაძის ერთ სტატიამი („ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში“), რომელშიც აღწერილია ავტორის მოგზაურობა უშგულიდან ქუთაისამდე, ლაშხეთში, ღვეშემარის ხეობაში, დასახელებულია მთა **წულ-ი ლა-სგურ-ა** „წულის საჯდომი“, რომელიც, ბალსზემოელი მიხეილ ჩართოლანის განმარტებით, „წულის, სარძლოს დასაჯდომს“ ნიშნავს და პარალელურად უფმლაუტიანი ფორმითაც (**წჷილ-ი ლა-სგურ-ა**) იხმარება (ნიჟარაძე 1964, 22, 229). მაშასადამე, 1885 წლისთვის უშგულურ მეტყველებაში (და, რაღა თქმა უნდა, ლაშხურშიც) „პატარძლის“ აღმნიშვნელი ლექსემა უფმლაუტო იყო.

„ვაჟის“ აღსანიშნავად ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში უფმლაუტიანი **ჭჷიშ** ფორმა გამოიყენება, ლაშხურში კი შესაბამისად — **ჭჷშ**. ჩოლურულ **ჭჷშ-გეზალ**’ს სხვა კილოებში **ჭყინტ-გეზალ** ან უბრალოდ **ჭყინტ** „ბიჭი“ ცვლის (შდრ. აჭარული „ბიჭიშვილი“). მიმართვისას ლაშხეთში დღესაც განსაკუთრებული სიყვარულით წარმოთქვამენ ლექსემას **ჭჷშ-ე** „ჩემო ბატონო, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო“.

ვერ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას **ჭჷიშ** და **წვილ** ფორმათა ***ჭ-ეჷ-იშ** და ***წ-ეგ-ილ** ფუძეთაგან მომდინარეობის შესახებ (ჩუხუა 2000-2003, 326), რადგანაც ორსავე შემთხვევაში ამოსავალია უფმლაუტო (**ჭჷშ < წულ**) ძირი.

მაშასადამე, იკვთება ორი ცენტრალური ხაზი:

1. საანალიზო ძირი „შვილის“ აღსანიშნავად გვხვდება **წ** (ქართული) — **ჭ** (სვანური, მეგრული) შესატყვისობით, რომლისთვისაც ამოსავალია სისინ-შიშინა აფრიკატი ***წი**;

2. **წ** ძირი ყველა ქართველურ ენაშია წარმოდგენილი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ერთი კონკრეტული მნიშვნელობით („პატარა“ — შდრ. ლაზური **წულ-ე**) გამოიყენებოდა და მომდინარეობდა სისინა სიბილანტისაგან.

ვფიქრობთ, ორივე ფონემათშესატყვისობა უძველესია და მომდინარეობს პრექართველური ენიდან, ხოლო **წვილ-** > **წილ-** შედარებით გვიანდელი გარდაქმნებია, დელაბიალიზაციით განპირობებული ყველა ქართველურ ენაში. როგორც ჩანს, **წ-** თანხმოვნის ვარიანტი უფრო გავრცელებულია და ალბათ ამიტომ მივიღეთ სვანეთში გვარ-სახელი **წულ-კ-იან** შედარებით აღრინდელი **ჭუშ-ილ-იან-**ის ნაცვლად.

იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო სამეგრელოშიც, სადაც ქალის სახელად გამოყენებულია **წუ-ია**, რომელიც **წულ-ია**სგან უნდა მომდინარეობდეს და, ალბათ, უკავშირდება ლაზურ **წულ-უ** „პატარა“, მეგრულ **წუ-კალ-ი/ე** „პაწია ქვაბი“ და მეგრულ-ლაზურ **წი-ე** „ბიჭი“ ლექსემებს. იმავდროულად გურიასა და სამეგრელოში გვხვდება ფუძეგაორკეცებული **ჭუ-ჭულ-ია** < ***ჭულ-ჭულ-ია** ვარიანტიც და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგივე სახელი იხმარება ხევში კაცისთვისაც. ისტორიულ დოკუმენტებში უკვე **XV** საუკუნიდანაა დადასტურებული აღნიშნული ანთროპონიმი დასავლეთ საქართველოში. **ჭულ-ია** ქარელში კაცის თიკუნია, რომელიც საკუთარ სახელადაა წარმოდგენილი ხევსურეთში **ჭულ-ო** ფორმის სახით.

სამეგრელოში იმავე ძირში შესაძლოა სხვა სონორიც შეგვხვდეს; მაგალითად, ქალის სახელად გვხვდება როგორც **ჭურ-ია** (შდრ. იქვე კაცის სახელი **ჭულ-ია**), ისე **ჭურ-ა** და **ჭურ-ო** (შდრ. ტოპონიმი **ნა-ჭილ-უ** || **ნა-ჭირ-უ**).

საგულისხმოა ისიც, რომ **ჭ** თანხმოვნის შემცველი ძირიც (ისევე, როგორც **წ** თანხმოვნის შემცველი ქართული ენის მთის დიალექტებში) შეიძლება ლაზურში წარმოდგენილი იყოს დელაბიალიზებული სახით — სოფელ სარფში **ჭილ-ილ-ი** კაცის სახელია.

ვფიქრობთ, რომ **ჭილ-ა-ვა**სა და **ჭილ-ა-ია**ში აუცილებელი არაა ქართული „ჭაობის მცენარის“ ან მეგრული „წენგოს“ სახელწოდების გააზრება, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია (ცხადაია 2000, 163) მითითებული. აქაც, ისევე, როგორც **წ** თანხმოვნის შემცველ ძირებთან დანარჩენ ქართველურ ენებში, შესაძლოა ამოსავალი **წულ** > **წილ** ძირის დელაბიალიზებული **ჭილ** (< **წილ** < **წილ**) ვარიანტი წარმოვიდგინოთ.

ქართული ენის ქიზიყურსა და ინგილოურ დიალექტებში „ცელქი ბავშვის“ აღსანიშნავად **ჭულ-უკ-ი** გამოიყენება. თითქოს ერთგვარად მოულოდნელია აღმოსავლურ დიალექტებში შიშინა აფრიკატის გამოვლენა, მაგრამ აქ მხოლოდ ერთეულ ფაქტთან როდი გვაქვს საქმე! მსგავსი შემთხვევები ერთ სისტემაში უნდა გაერთიანდეს და ისე გადაწყდეს ქართულში დადასტურებულ შიშინა სიბილანტთა საკითხი უმწერლობო ქართველურ ენათა შესაბამის სისინა თანხმოვნებთან მიმართებით, მით უფრო, რომ გვხვდება მეორე უკიდურესობაც — ლაზურ-მეგრულ-სვანურშივე შეინიშნება შიშინა და სისინა ფონემათა მონაცვლეობა: **ჭანიწყარი** || **ჭენიწყარი** || **წენიწყარი** („ჭანისწყალი“), **ჭარხა** || **წარხა** („ჩარხი“), **ჭუკანი** || **წუკალი** „დიდი ქვაბი“, **ჭუბუტა** || **წუბუტა/ი** „პაწია“ — ლაზური; **ჭუმა** || **წუმა** „წვიმა“ — მეგრული; **ლიშხი** || **ლისხი** „შოლტის დარტყმა“ — სვანური (ჩანტლაძე 2004-2005, 186-192).

ლიტერატურა

- აბაშია 2001** — რ. აბაშია, ქართველური ეტიმოლოგიები, არნ. ჩიქობავას საკითხავები – XII, თბილისი 2001.
- დონდუა** — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი 2001.
- თაყაიშვილი 1937** — ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი 1937.
- თოფურია, ქალდანი** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი 2000.
- ინგოროყვა 1941** — პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბილისი 1941.
- კლიმოვი 1964** — Климов Г. А., *Этимологический словарь картвельских языков*, Москва 1964.
- ლიპარტელიანი** — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი 1994.
- ნიჟარაძე 1964** — ბ. ნიჟარაძე, ეთნოგრაფიული წერილები, II, თბილისი 1964.
- ნიჟარაძე** — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი 2007.
- სარჯველაძე** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი 2001.
- სილოგავა 1988** — ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I-II, თბილისი 1986-1988.
- ფენრიხი 1998** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი 2000.
- ფუტკარაძე 1993** — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი 1993.
- ქაჯაია** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი 2003.
- ლლონტი** — ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი 1967.
- ჩანტლაძე 2004-2005** — ი. ჩანტლაძე, პირველად და მეორეულ ფონემათმეცნიერებათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, პარიზი 2004-2005.
- ჩიქობავა 1938** — არნ. ჩიქობავა, სვანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938.
- ჩუხუა 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი 2000-2003.
- ცხადაია 2000** — პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბილისი 2000.
- ჭინჭარაული 2005** — ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი 2005.
- ჯანაშია 1959** — ს. ჯანაშია, შრომები, III, თბილისი 1959.
- Fähnrich** – Fähnrich H., *Gedanken zur kartwelischen Rekonstruktion*, Jena 1998.
- Klimov** – Klimov G., *Etimological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin/New York 1998.

**On Interrelation of Roots წულ-/ჭუშ (Tsul-/Chush)
in the Kartvelian Languages**

Summary

The paper deals with two sound correspondences in the Kartvelian languages:

Pre-Kartvelian *წ > Georgian წ, Megrelian-Laz წ, Svan წ

Pre-Kartvelian *წ₁ > Georgian წ, Megrelian-Laz ჭ, Svan ჭ

In various periods of the development of the Kartvelian languages the lexical units reflecting these sound correspondences oppose one another and hissing consonants prevail.

გვერდის ინტერპრეტაციისათვის ქართულში

გვერდის, ნეკნის, ნახევრის აღმნიშვნელ ლექსემათა სემანტიკა ენებში დიქციონარის, ორად გაკვეთის უნივერსალურ პრინციპს ეფუძნება. ორობითობის ცნების ღრმა ანალიზი მოცემული აქვს ჰუმბოლდტს: ორობითობა ადამიანში როგორც ორივე სქესის გამოყოფის პრინციპი; ადამიანისა და ცხოველის სხეულის ორმხრივი სიმეტრია – ორ თანაბარ ნახევრად გაყოფა წყვილი ნაწილებითა და გრძობის ორგანოებით; უმარტივესი გაყოფა, რომლის დროს მთელი დაიშლება მხოლოდ იმისათვის, რათა მყისვე ხელახლა შეერთდეს; ორობითობის ცნება როგორც რიცხვის ცნება ანუ წმინდა სულიერი იდეა; ორობითი რიცხვი და სიტყვათა გრამატიკული სქესი ენებში და სხვ. (ჰუმბოლდტი 1985, 398-402).

ბინარიზმი, ორობითობა ღრმა კვალს ტოვებს ინდოევროპელთა წარმოდგენებსა და სამყაროს მოდელში. ძველი ინდოევროპული საზოგადოების დუალური ორგანიზაცია, ქორწინებით-ნათესაობითი კავშირების დუალისტური ხასიათი აისახება ლექსიკასა და, შესაბამისად, რეკონსტრუირებული სტრუქტურების სემანტიკაში – იხ. ორი მმართველის ტრადიცია, ტყუპების კულტი, „მარჯვენისა“ და „მარცხენის“ სიმბოლიკა, „ნახევრის“ ინდოევროპული აღნიშვნები, ლექსიკურ ანტონიმთა წყვილები (გამყრელიძე, ივანოვი 1984 776-786).

ორიანი სიმბოლიზაციაა ნებისმიერი დაპირისპირების – შემქმნელი და ქმნილება, თეთრი და შავი, მამაკაცური და ქალური, მატერია და სული, დღე და ღამე, მიწიერი და იმქვეყნიური და ა. შ. (მაკოვსკი 1988, 131).

გვერდი ახალ ქართულში აღნიშნავს ადამიანის გულ-მკერდის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილს ილლიდან ქვემო ნეკნამდე, ან ცხოველისა – ხერხეშიდან მუცლამდე; გადატანითი მნიშვნელობით გვერდი რისამე ერთ-ერთი განაპირა მხარეა, კიდეა. *ვერდი* ეწოდება ადამიანის ან ცხოველის ნაწილს ნეკნებიდან თეძომდე (ქეგელი). იხ. აგრეთვე *მხარი* და *მხარე*.

შდრ. „*გვერდი* ჩაფი საწყავი; კაცის (კაცთ) წიბონი; მათა დამრეცი; სამყურთა (სამკუთხედთა) სახელები, *სწორგვერდი* სამივე გვერდი სწორე აქვს“ (საბა 1991-1993).

მეგრულსა და ლაზურში *გვერდი* გვხვდება „ნახევრის“ აღმნიშვნელად და ნასესხები ჩანს ქართულიდან (ქეგელი 1990, 79).

ძველ აღთქმაში *გვერდი* უკავშირდება მნიშვნელობებს: ფერცხალი, ფერდი, თეძო, ნეკნი, ძვალი, ცოლი.

„დასდვა ღმერთმან განკვირებად ადამს და დაადინა: მოილო *ვერცხალი* ერთი *გუერდისა მისისა*, და აღმოუვსო ხორცითა მის წილ. და აღუშენა უფალმან ღმერთმან *გუერდი*, რომელ მოილო ადამისაგან, *ცოლად* და მოიყვანა

იგი ადამისა. და თქვა ადამ: აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი, ამას ეწოდოს ცოლ რამეთუ ქმრისა მისისგან გამოღებლ იქმნა იგი“ (დაბ. 2, 21-23).

ძვ. ებრ. *cela'* ნეკნი; გვერდი, მხარე (გეზენიუსი); ძვ. სომხ. *koγ* ნეკნი, გვერდი, მხარე (სომხ.-რუს. 1986).

მ. მაკოვსკის მოჰყავს ინდოევროპული ენების მასალა, რომლის მიხედვით *ქალის* მნიშვნელობა უკავშირდება „გაჭრა, გაკვეთა“ სემანტიკას:

„ქალი (სიტყვასიტყვით – ადამის ნეკნისგან მოწყვეტილი) – ინგლ. *wife* ‘ცოლი’, გერმ. *Weib* ‘ქალი’ ეთანადება სიე **duǵ* ‘ორ’-ს: თავდაპირველად სიტყვა აღნიშნავდა ‘(ორად) გაპობილი’, ‘მოხლეჩილი (ადამის ნეკნიდან)’. შდრ. ძვ. ინგლ. *Ggetwaefan* ‘გაყოფა, გამოცალკეება, მოშორება, დაცილება, დარღვევა, გაწყვეტა (ქორწინების)’ (მაკოვსკი 1988, 92).

საერთო-ინდოევროპულ ფუძეში **k^oen-* ‘ქალი, ცოლი’ (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 758) ეს სემანტიკა არ ჩანს.

ჩანს, ამ წარმოდგენებს უკავშირდება გამოთქმები „*მეორე ნახევარი, მშვენიერი ნახევარი*“; შდრ. „ამისი ძვირფასი მეუღლე კნენა დარეჯანი სწორედ თავის ქმრის *მეორე გვერდი* გახლდათ“ (ი. ჭავჭავაძე).

სემანტიკური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ინდოევროპულში სხეულის ნაწილთა (ნეკნი, გვერდი) აღმნიშვნელი რიგი ფუძეები აგრეთვე „გაკვეთას, დანაწევრებას“ ან „ნახევარს, მხარეს“ უკავშირდება. ლუვიურსა და ანალოგიურ ხეთურ ტექსტებში გვხვდება სხეულის 12 ნაწილის ჩამოთვლა: ლუვ. *parta* ნაწილი (სხეულისა), ხეთ. *parš* ‘გაპობა, ნაწილებად დაყოფა, დანაწევრება’; ლათ. *pars*, ნათ. ბრ. *partis*; სემანტიკურად ახლო მდგომი ძვ. ინდ. *parsu-*, ავესტ. *parəsu-* ‘ნეკნი’, ოსური *fars* ‘გვერდი’ (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 812).

მ. ანდრონიკაშვილს ნაჩვენები აქვს ქართ. *ფერცხლის* კავშირი მოცემულ ფუძესთან: *ფერცხალი* მიღებულია ოსური ფორმიდან *færsk* ‘ნეკნი’. ამოსავალია ირან. **parsu*; სკვით. *pars* ‘გვერდი’, სპარს. *pahlu* ‘გვერდი, ფლანგი, -თან, გვერდით’; ძვ. ინდ. *parśu* ‘ნეკნი’, *parśva* ‘მხარე, გვერდი’; ძვ. სლავ. *пръси*, რუს. *перси* ‘მკერდი’. ჩანს, კავშირშია აგრეთვე ქართ. *ფირტვი*, *ფილტვი*; ამავე ძირისაა *ფერდიც* (ანდრონიკაშვილი 1996, 113).

საბას განმარტებით: *ფერცხალი* გვერდის წიბო; *ფერდი* გვერდს ქვეშეთი (ქვეითი), გვერდის დასასრული; *წიბო* ერთი გვერდის ძვალი.

ქართ. *კერძი*, *კერძო* ასევე ირანულიდან ნასესხობაა და ანალოგიური მნიშვნელობის მქონე ზმნურ ფუძეს უკავშირდება:

ძვ. ირან. *kart-*, იე **k^oert-*, ავესტ. *karət.kərəsta* ‘ჭრა’, ძვ. ინდ. *krt-*, ოსური *kærdin:karst* ‘ჭრა, კვეთა, ხევა, კუწვა’; ოსურში იგივე ფუძეა სიტყვებში ‘გაპობა, დაკვლა’ და ‘ნაჭერი, ნაკვეთი’, ‘ნახევარი, მხარე’. ამ მნიშვნელობებს ავტორი უდარებს *კუეთ-კუთ* ფუძიდან ნაწარმოები სიტყვების სემანტიკას: *ნაკვეთი*, *კუთვნილი საკუთარი*. ახ. ქართ. *კერძო* ‘საკუთარი, წილი, ხვედრი’;

კერძი "საჭმელი". კერძ->კერძ შესაძლოა გამოიწვიოს მკერდ-თან ომონიმიურმა სუპერაციამ, ან ოსურში იყო შესაბამისი ფორმა (ანდრონიკაშვილი 1996, 92).

ძვ. ქართ. კერძი ნაწილი, მხარე; კერძო 1. ზოგი, ნაწილი, ნახევარი, მხარე, ხვედრი; 2. მხარეს, -კენ, მიმართ (აბულაძე). კერძო ნახევრის მნიშვნელობით ხშირია ძველ აღთქმაში: წყრთა და კერძო...

განხილული ინდოევროპული და ქართული მასალის ურთიერთმიმართება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქართ. გუერდ-ისათვის ამოსავალი იყო აგრეთვე ზმნური ფუძე, რის სასარგებლოდ მეტყველებს აბლაუტური მონაცვლეობაც მოცემულ ფუძეში – განზოგანების სხვადასხვა საფეხურის ფორმები, დადასტურებული ძველ ქართულში.

საეთო-ქართველურისათვის აღდგენილია *გუარდ- არქეტიპი: ქართ. გუარდ-/გუერდ- გუერდი; ი-გუარდ-ივ; მ-გუარდ-ლ. მეგრ. გორდ-, გორდ-ა „ირიბი“ კანონზომიერი ფონემური შესატყვისია; გითო-გორდ-ა რენია „გამოზნე-ქილია“. ჩანს, მგუარდლ- ფუძემ შემოინახა ამ ძირის უძველესი სახე: გუარდ- <გუერდ- უმლაუტის გზით. გ. კლიძიანი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანი-სათვის აღადგენს *გუერდ-ს (ქეელ 79).

უჩვენა ხელნი და გუერდნი (ი. 20,20).

დასწვე გუერდსა შენსა ზედა მარცხენესა (ეზეკ. 4,4).

შეაკარო ესე იგურდივ კიდობნისა (G,II შჯ.ულოთა, 31,26), შთადევ ეგ გუერდით კერძო კიდობნისა (მცხეთ. ხელნაწ. 1981-1986) – გვერდით დაუდევით კიდობანს (ბიბლ.); ძვ. ებრ. cad გვერდი, მხარე (გეზენიუსი).

მიაქცია იგი მგუარდლ კერძო ბჭეთა მათ (II მეფ. 3,27), მიაქცია გუერდით კერძო ბჭეთა მათ (მცხეთ. ხელნაწ. 1981-1986) – გაიხმო იგი კარიბჭის შიგნით (ბიბლ.).

დაჯდა მგუარდლ საულისა (I მეფ. 20,25), დაჯდა გუერდით კერძო საულისსა (მცხეთ.); ძვ. ებრ. cad; micad გვერდით, -თან; ძვ. სომხ. koyac გვერდით.

მივილოდა... მგუარდლ მის მთისა (O, II მეფ. 16,13), მივილოდა... მთასა (მცხეთ.); ძვ. ებრ. cela ნეკნი; ფერდი, გვერდი.

...დაიბანაკონ მგუარდლ კარვისა (რიცხ. 3,29), დაიბანაკონ გუერდით კარვისა (მცხეთ.); ძვ. ებრ. yārēx თეძო; მხარე.

იხ. გუერდი – გვერდი; მხარე, ფერდი. გუერდით – ახლოს (აბულაძე).

გუერდ- უნდა წარმოადგენდეს მიმღეობის ფორმას მნიშვნელობით: „გაჭრილი, განაკვეთი, ნაწილი, ნახევარი, შუაზე განაყოფი“; შდრ. ფორმები: გამოკუერვა გამოთლა; გამოკუეთა მოჭრა, გამოთხრა, გამოთლა, მოწყვედა; გამოკუეთილი გამოკოდილი, გამოთლილი (აბულაძე) და კუართი, საკუთარი...

როგორც გუერდ- მგუარდლ, იგურდივ, ისე კვერვა, კვეთა, კუართი ფორმები მეტად არქაული ჩანს; გვერდ- ფუძის საინტერესო ფორმები და სემანტიკური კავშირები დასტურდება საბასთან:

გუერდი კაცის წიბონი; მოგუერდი თეძოს კრვა ფუნდრუკში; იგურდივ (იგურდივ, იგურდივი) (დანიელ. 13,18) გვლარძნილი, გინა გვერდით; გურდივ

აქათ-იქით; *მეუარდლ* (*მგეარდლ*) აქათ-იქით, მგრგვლივ, მგრგვალი. *განგურდიოს, განიგურდიოს* (ეზეკ. 14,5) გვერდი შეაქციოს, გინა განდრიკოს.

ყურადღებას იქცევს *იგურდივ, მეუარდლ* და *ირგვლივ, მრგვალ-ფორმათა* ანალოგიური წარმოება; ამასთან, მყარდება გარკვეული სემანტიკური კავშირი: *იგურდივი* იგივე მრუდეა, შდრ. მეგრ. *გორდა* ირიბი; *გურდივ, მეუარდლ* – აქეთ-იქით, ორივე მხარეს, გარშემო, ირგვლივ. ამასთან, „მრგვალი“ იგივე „მთელია, მთლიანია“ – *მრგულიად (ყოვლაად) დასაწველი* (II ნემშთა 7,1) ნიშნავს მთლიანად შესაწვავ სამსხვერპლო ცხოველს.

გურდქცული დამრეცი, დაქანებული; *ქცული* „გულარძნილი“, „დრკუ“, მობრუნებული, მრუდე (აბულაძე 1973); *გვერდი* მათა დამრეცი (საბა 1991-1993); *გვერდობი* იგივე *ფერდობი* დაქანებული ადგილი (ქეკლ);

ახალ ქართულში: *გვერდს იცვლის* გადაბრუნდება, გადატრიალდება, მეორე გვერდზე დაწვება; *გვერდულად* გვერდის შექცევით – ოდნავ მოტრიალებით, გეზად, ირიბად...

გარდა ზემოთ განხილულისა, იე-ში რეკონსტრუირდება საკუთრივ *ნახვერის* აღმნიშვნელი ფუძეები: *p(0)l- ‘ნახევარი’, ‘წყვილი’ – სლავურში აქვს აგრეთვე ‘სქესის’ (მამრობითი ან მდედრობითი) მნიშვნელობა (ძვ. სლავ. polŭ), ანუ ‘საზოგადოების ნახვერისა’, რაც, ჩანს, მოცემული სიტყვის საკმაოდ ძველ სემანტიკურ თავისებურებას ასახავს (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 779-780).

მნიშვნელობები ‘ნეკნი’, ‘გვერდი, მხარე’, ‘ნახევარი’ აქვს შემდეგ ფუძეთა ფორმებს:

*erta- რომელიც სხვდასხვა ფინურ-უგორულ ენებში აღნიშნავს ‘მხარეს, ნეკნს, გვერდს’, ირანული ნასესხობაა: ოსური ærdæგ ‘ნახევარი, მხარე’, აგრეთვე – სოლდურსა და ავესტაში, ძვ. ინდ. ardhà-h ‘ნახევარი, მხარე’ (იქვე, 922-923).

იე *se/om- ‘ერთი, ერთხელ’ – მასთან დაკავშირებული ფუძეები დიალექტებში აღნიშნავს: ძვ. ინდ. ‘თანაბარი, ერთნაირი’, ავესტ., ძვ. სპ. ‘ტოლი, იგივე’, ძვ. სლავ. ‘თვით, თვითონ’, ძვ. ინგლ. same. იგივე ძირია შესიტყვეებებში sēm-i ‘ნახევარი’ (ანუ მთელის თანაბარი ნაწილი) (იქვე, 843-843).

ინდოევროპულ, სემიტურ და ქართველურ პრაენობრივ სისტემებში, ასევე შუბერულსა და ხურიტულში არ აღდგება საერთო სიტყვა რიცხვითი სახელისათვის ‘ერთი’, რადგან საკუთრივ თვლა იწყება „ორი“-დან და ზემოთ (იქვე). ინდოევროპულში ორობითი თვლის პირდპირ გაგრძელებას წარმოადგენს „ერთის“ აღმნიშვნელი ის სიტყვები, რომლებიც ეფუძნება „ერთისა“ და „ნახვერის“ გათანაბრებას – *sem-//*som-, *od-//*ed- ძირები. სტეპანოვს აქ შემოაქვს ქართ. *ცალი* (სტეპანოვი 1989, 58-60).

ტიპოლოგიურად, სხვა ამგვარ აღნიშვნებსაც ქართულში უნდა ჰქონდეთ გარკვეული, ინდოევროპულთან საერთო სტრუქტურა. მართლაც, *გვერდი* ქართულში „მეოთხედსაც“ აღნიშნავს, რასაც, ჩანს, საფუძვლად უდევს „ნახვერისა“ და „მეოთხედის“ გათანაბრება (ანუ *მთელის, მრგვალის ნახევარი*

მოიაზრება როგორც ერთი და, თავის მხრივ, ორი გვერდის ანუ მეოთხედისაგან შედგება).

ძველ აღთქმაში გუერდი სითხის საწყაოსაც აღნიშნავს: ათი გუერდი არს ღომორ (ეზეკ. 45,14). გუერდი „კოტვილი“, ქსესტი, საწყაო (აბულაძე); ძვ. ებრ. bat (დაახლ. 40 ლ.).

საბას მიხედვით, ნახევარი შუა გაყოფილთაგან ერთია (გამოსლ. 25,10), ხოლო ნაოთხალი ოთხისგან ერთია (ლევიტ. 23,13), იგივე გვერდია: „სპარსნი ლიტრისა ნაოთხალს ჩარექსა უხმობენ... და ქართულად გვერდი გინა ნაოთხალი ეწოდება“; კოკის ნაოთხალი ასევე გვერდია (ლიტრა მყარი სხეულების, ხოლო კოკა სითხეების საწყაო). ამრიგად, გვერდი ქართულში დათვლის მატერიალურ საზომსაც წარმოადგენს და საწყაოთა სისტემაში მეოთხედის აღმნიშვნელი ტერმინია (შდრ. უნივერსალური საზომის, ხელის სახელწოდებები, წარმოდგენილი იე რიცხვით სახელებში – სტეპანოვი 1989, 58-59).

„მეოთხედის“ აღნიშვნებისათვის იხ. სპარს. čārak „მეოთხედი“ – ჩარექი, წონის ან სიგრძის საზომი (სპარს.-რუს.); ინგლ. quart „კვარტა“ და quarter „მეოთხედი“ – სითხის, ფხვიერი სხეულების, აგრეთვე მანძილის ერთეულები (ინგლ.-რუს. 1967).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოთხი ინდოევროპული ნასესხობაა ქართველურში; საერთო-ინდოევროპულში რიცხვთა პირველადი სახელები ორიდან ოთხამდეა. ვლინდება არქაული ოთხობითი თვლის გადმონაშთი, სადაც რვის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელის ორობითი ფორმა *oktō(u)- უნდა გავიგოთ, როგორც პირველადი რიცხვითი სახელის ოთხის გაორმაგების აღნიშვნა; იე *k^oetue/or- ოთხი, *k^oet-ur-to- მეოთხე, ქვ *(o)stx(o)-, (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 845, 879).

თუ დავუშვებთ ქართ. გუერდ-ისათვის (ნახევარი, მეოთხედი) ამოსავალ ზმნურ მნიშვნელობას, შემდეგ პარალელებს გვიჩვენებს ინდოევროპულთან:

მაკოვსკის თანახმად ინდოევროპულში „ოთხი“ სიმბოლოა ძალის, სიმამაცის, სულიერი სრულყოფილების, მთლიანობის (სიმრთელის), სამყაროს უნივერსალურობის. „ოთხის“ აღნიშვნასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს კომბინირებული (ე. წ. ამაღამური) ფუძეები შემდეგი მნიშვნელობებით: ცემა, მტვრევა, კვერვა; ჭრა (ტყისა); ჩხვლეტა; ნაყვა; ბედი, ხვედრი, წილი; მჭრელი, წვეტიანი; გაბურღვა, გახვრეტა, შერჭობა; წვეტი, წვერი და მისთ.

მოცემულ მნიშვნელობათა სპექტრი ანალოგიურია ქართველურში კვერვა, კვეთა ფუძეების და მათგან წარმოებული მნიშვნელობების ფართო წრისა.

ქართულში ზემოთ მოყვანილ ტერმინთა რიგში (გვერდი, ფერცხალი, ფერდი, კერძო, კერძი, ნაწილი, წილი) უნდა განვიხილოთ აგრეთვე ნახევარი და ზოგი: ნახევარი საეთო-ქართველური დონეა, მომდინარეობს ძირიდან ხევ-/ხვ-, შდრ. ნაწევარი. ზოგი ძველ ქართულში ნიშნავდა „ნახევარი, განნახევრებული, კერძო“, ნაწილი, რომელიმე, ვინმე; ზოგად ერთად, საერთოდ; ზოგადი „ზოვისაგანი“, ნაწილი, საერთოდ; ზოვის-ზოვი ნახევარი; ზოგს-შებარი

ნახევრად მოხარშული (აბულაძე); შდრ. სომხ. zuyg სწორი, ტოლი, წყვილ-
ლეული, შეერთებული, შეუღლებული (ანდრონიკაშვილი 2005).

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტ. I, თბილისი 1966.

ანდრონიკაშვილი 2005 – ერთის აღმნიშვნელი სიტყვების რიგი ქართულში, პერსპექტივა-XXI, 6, თბილისი 2005.

ბიბლ. – ბიბლია, თბილისი 1989.

გამყრელიძე, ივანოვი 1984 – Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси 1984.

მაკოვსკი 1988 – Маковский М.М., Лингвистическая комбинаторика, М. 1988.

მცხეთ. ზელნაწერი 1981-1986 – მცხეთური ზელნაწერი (ბიბლია), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი 1981-1986.

სტეპანოვი 1989 – Степанов Ю. С., Счет, имена чисел, алфавитные знаки чисел в индо-европейских языках, ВЯ, 4, 1989.

ქეელ 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1990.

ჰუმბოლდტი 1985 – Вильгельм фон Гумбольдт, О двойственном числе, Язык и философия культуры, М. 1985.

ლექსიკონები

აბულაძე 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.

გეზენიუსი 1890 – Gesenius W., Hebraisches und Aramaisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig 1890.

საბა 1991-1993 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1991-1993.

ინგლ.-რუს 1967 – Англо-русский словарь, составил В. К. Мюллер, М. 1967.

სომხ.-რუს 1986 – Худобашев А., Армяно-русский словарь, в 2-х т., М. 1986.

ქეელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვა ტომად, თბ. 1950-1964.

Mary Chikobava

For the Interpretation of Georgian *guerd-i* (side)

Summary

Georgian *guerd-i*, denoting "part of person's body; half; edge; quarter" is compared with corresponding Indo-European stems, meaning "to cut; to part; rib; side; half; quarter.."

On the basis of analogous semantic relationships in Kartvelian and IE languages verbal origin of the stem is supposed.

ტექსტის ლინგვისტიკა

ციური ახვლედიანი, მელა კინურაშვილი

სარეკლამო დისკურსის იმპლიციტური და ექსპლიციტური ასპექტები

დღევანდელ მედიატიზებულ და გლობალიზაციის გზაზე მყოფ საზოგადოებაში რეკლამა ასრულებს უდიდეს როლს მოზღვავებული რაოდენობის საქონლის კონკურენციის პირობებში.

რეკლამის ძირითადი მიზანია რეკლამის მომხმარებელთა პრაგმატულ სფეროზე ზემოქმედება ყოველგვარი საშუალებებით. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ენობრივი ხერხი, რომელთა მიზანია ადრესატის ინტერესის აქტივიზირება და სარეკლამო დისკურსისთვის სასურველი პირობების შექმნა რეციპიენტის ცნობიერებაში.

დისკურსი სამეტყველო ურთიერთობის პროცესია, სარეკლამო ტექსტი კი მისი პროდუქტი. პირველი დაკავშირებულია დინამიკასთან, მეორე – სტატიკასთან.

ძალიან ხშირად სარეკლამო შეტყობინების ავტორები ცდილობენ არა მხოლოდ აუწყონ პოტენციურ მომხმარებელს ინფორმაცია საქონლისა თუ რაიმე მომსახურების შესახებ, არამედ რთავენ მას დიალოგში უშუალო მიმართვის მეშვეობით. მაგ.: „შენ გასინჯე ჩვენი ფირმის ახალი ნიშუში?“ „შენ იცი ახალი შოკოლადის გემო?“ და ა. შ. ამ თვალთახედვით, სარეკლამო ტექსტი არის დისკურსი, ანუ მიმდინარე სამეტყველო მოქმედება, დაკავშირებული დინამიკასთან.

მიშელ ფუკოს მიხედვით, რეკლამატორები ორ დისკურსს იყენებენ – პირველ დისკურსში აწვდიან ცნობებს საქონლისა და მომსახურების შესახებ (მაგ.: თუ რა სუფთად რეცხავს ესა თუ ის ფხვნილი, რა ბრწყინვალედ მუშაობს სამზარეულოს ახალი ტექნიკა, რა განუმეორებელი სუნი აქვს ამა თუ იმ სუნამოს...), მეორე დისკურსი კი გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ რეცხავს ამ ფხვნილით, ვინ ამზადებს სადილს ამ ტექნიკით, ვინ ხმარობს ამ სუნამოს... მოკლედ, ვინ ღებულობს გადაწყვეტილებას და საერთოდ, როგორ უნდა გვეჭიროს თავი, რომ ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიოთ (Foucault 1967).

სარეკლამო დისკურსი სამი სახისაა: იმპლიციტური (შეფარული), ექსპლიციტური (აშკარა) და შერეული (ორივე ერთად). თუ განვიხილავთ მათ თანაფარდობას სარეკლამო დისკურსში, შევნიშნავთ, რომ იმპლიციტურობა გაცილებით დიდ როლს ასრულებს, ვიდრე ექსპლიციტური მომენტები.

საქმე ისაა, რომ პირდაპირ ანუ ექსპლიციტურად გამოხატული მოწოდება, მაგალითად, „იყიდე“ რეციპიენტის ანუ პოტენციური მყიდველის მიერ აღიქმება როგორც ძალად თავს მოხვეული სხვისი ნება, ამას კი რეციპიენტი უარყოფს.

თუ მოწოდება გამოიხატება იმპლიციტურად ანუ შენიღბულად, შესაბამისად, რეციპიენტი ფიქრობს, რომ ეს მისი არჩევანია, ეს კი მნიშვნელოვნად ეფექტურს ხდის სარეკლამო განცხადებას. იმპლიციტურობა არ გამოიწვევს არც კონკურენტების გაღიზიანებას და არც რეციპიენტისას. ამიტომ რეკლამის მწარმოებლები უპირატესობას ანიჭებენ იმპლიციტურ ან შერეული ხასიათის რეკლამებს.

ჩვენ მიერ განხილული ფრანგულენოვანი სარეკლამო დისკურსიც უმეტესად იმპლიციტურ ან შერეულ ხასიათის ატარებს. რეკლამის შემქმნელები გაურბიან ზედმეტ მტკიცებულებებს და იყენებენ რა იმპლიციტურობის მომენტს, მისაღებს ხდიან რეკლამას რეციპიენტისათვის და არ იწვევენ მაყურებლის შინაგან პროტესტს. მაგ.: "La chaleur des nouveautés". ეს არის რეკლამა ბუხრებზე, მაგრამ ამაზე არავითარი ექსპლიციტური მინიშნება არ არის (იმპლიციტურია). არ არის ნახსენები სიტყვა „ბუხარი“ და მისი (ბუხრის) ძირითადი დანიშნულება გადმოცემულია ირიბი ნომინაციით, ანუ სიტყვით "la chaleur" – „სითბო“, რომლის საშუალებითაც გადმოიცემა ბუხრის ძირითადი ფუნქცია; რეკლამის II ნაწილი წარმოდგენილია სიტყვით "des nouveautés" ("სიახლეების"), რაშიც ჩადებულია სარეკლამო შეტყობინების ძირითადი მიზანი, ანუ ამ საქონლის უპირატესობა (სიახლე) ამ ტიპის საქონელთა შორის; ამგვარად ეს რეკლამა შერეული ტიპისაა, სადაც ერთი ნაწილი იმპლიციტურია (chaleur), მეორე კი – ექსპლიციტურია (nouveau), სადაც მათი შეფარდება თანაბარმნიშვნელოვანია.

რეკლამა შეიძლება ეფუძნებოდეს შეპირისპირებას სამეტყველო აქტის წარმატების პირობების შექმნის მეშვეობით. ამ ფორმის საშუალებით იქმნება რეკლამა, რომელიც თავის თავში ატარებს იმპლიციტურ შედარებებს და ფლობს მძლავრ კომუნიკაციურ პირობებს ადრესატის ცნობიერებაზე ზემოქმედებისათვის. მისი რეალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა რეკლამაში შეფარულად (იმპლიციტურად) გამოხატო ბანალური და ყველასათვის კარგად ნაცნობი ჭეშმარიტება სარეკლამო ობიექტთან მიმართებაში. მაგ.: "Ce qu'on a besoin d'une voiture, on a besoin d'une Toyota" – „თუ ჭირდებათ მანქანა, ჭირდებათ ტოიოტა“. ეს რეკლამა ატარებს შეფარულ მინიშნებებს; ექსპლიციტურად გამოხატავს მანქანას, იმპლიციტურად კი განუსაზღვრელი არტიკლი (une) მიანიშნებს მის გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობაზე. არტიკლის მეშვეობით შეფარულად არის მინიშნებული, რომ Toyota-ს მარკა ჯობია სხვა ფირმის მანქანებს. ამ ტიპის რეკლამებს ორმხრივი დანიშნულება აქვთ: პოტენციურ მყიდველს თავს არ მოახვიოს თავისი პროლუქცია და იმავდროულად არ გააღიზიანოს კონკურენტი. ეს რეკლამაც შერეული ტიპისაა.

ზოგჯერ რეკლამაში წარმოდგენილი იმპლიციტური და ექსპლიციტური ინფორმაციები არათანაბარია; ასე მაგ.: "On part avec un sac sous le bras, on revient avec des valises sous les yeux" – „მომგზავრებიან ჩანთით ხელში და ბრუნდებიან ჩემოდნებით“; "Ici la mer est bleue et les nuits sont blanches" – „აქ

ზღვა ცისფერია და ღამეები თეთრია“. პირველი არის ჩემოდნების რეკლამა, მეორე – ტურისტული სააგენტოსი (აქაც შეფარული ინფორმაციაა). აქ გვაქვს მრავალსიტყვაობის ორი ტიპი: ტვირთის პარადიგმა (sac, valise) (ჩანთა, ჩემოდანი) და ფერთა პარადიგმა (bleue, blanches) (ცისფერი, თეთრი).

აღსანიშნავია, რომ ქართული სარეკლამო დისკურსი უმეტესად ატარებს ექსპლიციტურ ხასიათს, რაც, ჩვენი აზრით, აკნინებს მათი წარმატების შესაძლებლობას; თუ შევადარებთ ზემოთმოყვანილ ფრანგულ რეკლამას მოგზაურობის შესახებ ("Ici la mer est bleue et les nuits sont blanches" – „აქ ზღვა ცისფერია და ღამეები თეთრია“) ქართული სამოგზაურო სააგენტოების რეკლამას, მაგ. „N ტური“-სას, სადაც ექსპლიციტურად არის მოწოდება მოგზაურობისაკენ, აშკარაა, რომ ფრანგული რეკლამის მეტი მიმზიდველობა გამოწვეულია მისი იმპლიციტური ხასიათით, რომელსაც აძლიერებს მასში შემავალი ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავები.

ფრანგული სარეკლამო სივრცისთვის უცხო არ არის ექსპლიციტური რეკლამებიც. ექსპლიციტური რეკლამა ხშირად ატარებს ადრესატისადმი პირდაპირი მიმართვის ფორმას და გამოხატულია უმთავრესად ბრძანებითი კილოთი. მაგ: "Jeunes filles, jeunes gens, reposez-vous sur les plages du Côte d'Azur" („ახალგაზრდებო, დაისვენეთ ლაჟვარდოვანი სანაპიროს პლაჟებზე“); თუ ამ ექსპლიციტური ხასიათის რეკლამას შევადარებთ ზემოთმოყვანილ იმპლიციტური ხასიათის რეკლამას („აქ ზღვა ცისფერია და ღამეები თეთრია“), აღმოჩნდება, რომ სტილისტურად მარკირებულ რეკლამას (ამ შემთხვევაში იმპლიციტურს) მეტი მიმზიდველობა აქვს, ვიდრე სტილისტურად ნეიტრალურს (ამ შემთხვევაში ექსპლიციტურს) ანუ იმპერატიული ხასიათის შეთავაზებას.

ამგვარად, სარეკლამო დისკურსში ჩადებული საკვანძო ტექსტური აზრი გამოიხატება იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად, უმთავრესად კი – იმპლიციტურად, ვინაიდან რეკლამის ძირეული დანიშნულებაა ადრესატის დარწმუნება არა უხეშად და პირდაპირ, არამედ შეფარვით; მრავალრიცხოვან რეკლამათა ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმპლიციტურობა წარმოადგენს სარეკლამო ტექსტის უმთავრეს კატეგორიას.

ლიტერატურა

- Бове К., Арпс У.**, Современная реклама, Изд. Довгань, М. 1995.
Манипулятивные технологии в системе массовых коммуникации. – www.Slallof.ru.
Ромат Е., Реклама, - Спб., 2001 – М., с. 269-270.
Руднев Ю., Концепция дискурса как элемента литературоведческого метаязыка – Интернет. <http://zhelty-dom.narrod.ru/txt> disc. 2002, 4с.
Galliot M., Essai sur la langue de la réclame contemporaine, Toulouse, 1955.
Grunig B., Les Mots de la Publicité, Paris, Presses du CNRS, 1990.
Foucault 1967 – Foucault M., Les mots et les choses, Une archéologie des sciences humaines, Paris 1967.

Implicit and Explicit Aspects of Advertising Discourse

Summary

The main aim of the advertisement is to make a positive impact on the customer by all possible means. For this purpose, various linguistic means are used which aim at motivating the interests of the recipient. Advertising discourse can be of three types: implicit, explicit and mixed.

On the basis of a number of advertisements in French it was revealed that the main idea of such a text can be expressed either implicitly or explicitly, the former being generally preferred. The main pragmatic purpose of the advertisement is to convince the customer indirectly, implicitly. Thus being implicit is the main category characterizing advertisement.

ტიპოლოგია

ირინე მელიქიშვილი

ენათა ტიპოლოგია ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით

1. სიტყვის შემადგენელი მორფემები ორ ძირითად კლასად იყოფა: ა) ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტებად ანუ ძირებად და ბ) გრამატიკული მნიშვნელობის მქონე დერევიაციულ და ფლექსიურ მორფემებად. ძირის ცნება ევროპულ ენათმეცნიერებაში საკმაოდ გვიან გაჩნდა. ინდოევროპეისტიკაში იგი ძველ ინდოელ გრამატიკოსთა შრომების გაცნობის შემდეგ შემოვიდა, მხოლოდ ამის შემდეგ მივიდნენ ძირის, როგორც უმცირესი, ზოგადი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ბგერათა კომპლექსის გარჩევამდე ფუძისაგან, ანუ სიტყვის იმ ნაწილისაგან, რომელიც სიტყვის ფორმაქმნადობის პროცესში უცვლელი რჩება. ძირის მკაფიო ცნება ჰქონდათ სემიტურ ენათა ძველ მკვლევრებსაც – ებრაელ, სირიელ და არაბ გრამატიკოსებს. ევროპელმა სემიტოლოგებმა ძირის ცნების გამოყენება დაიწყეს XVI საუკუნიდან არაბ გრამატიკოსთა ნაშრომების გაცნობის შემდეგ. ამდენად, ძირისა და ფუძის გარჩევა საკმაოდ გვიან დამკვიდრდა ევროპულ ენათმეცნიერებაში, მისი საწყისები მოდის ინდოელ და არაბ გრამატიკოსთა შრომებიდან; დღესაც იგი ხშირად პრობლემურია და არათანმიმდევრულად ხორციელდება ლინგვისტურ ნაშრომებში.

ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით ენები რამდენიმე ტიპოლოგიური პარამეტრის საფუძველზე შეიძლება დავახასიათოთ. მსგავსად სხვა ტიპოლოგიური ნიშნებისა, ეს არ იძლევა აბსოლუტურ კვალიფიკაციას, არამედ დომინანტური ტენდენციის დადგენას ენაში. ამიტომ ვლაპარაკობთ ძირის კანონიკურ სტრუქტურებზე – ეს არის ძირითადი, სტატისტიკურად დომინანტური სტრუქტურები, თუმცა იმავე ენაში სხვა პერიფერიული სტრუქტურებიც შეიძლება არსებობდეს. წარმოვადგინოთ ეს პარამეტრები:

ა) ძირი სხვადასხვა ენაში შესაძლებელია იყოს **თავისუფალი ან ბმული მორფემა**. ენები ტიპოლოგიურად განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, თუ როგორია ძირების დომინანტური ფორმა – არის ის თავისუფალი თუ ბმული მორფემა. ჩინურისა და ვიეტნამურის ტიპის ძირეულ ანუ მაიზოლირებელ ენებში ძირები უმეტესად თავისუფალ მორფემებს წარმოადგენენ. ასევე ძირები ხშირად თავისუფალი მორფემების სახით ფუნქციონირებენ ანალიზურ ენებშიც. ასეთია, მაგალითად, ინგლისური, რომელშიც სიტყვათა დიდი წილი ერთ-მარცვლიანი ძირების სახით ფუნქციონირებს. ანალიზური ენები ამ თვალსაზრისითაც ამჟღავნებენ ძირეული ენების ტიპისაკენ მიდრეკილებას. სინთეზურ ენებში კი ძირები დომინანტურად ბმულ მორფემებს წარმოადგენენ.

ბ) ძირის სტრუქტურის მეორე ტიპოლოგიური მახასიათებელია **მარცვალთა რაოდენობა** ძირში. ენათა უმრავლესობაში ძირები დომინანტურად მონოსილაბურია. სემიტური ძირები გამონაკლისს შეადგენენ და სამთანხმონიან სტრუქტურას ქმნიან, რომელიც ხშირად სამი მარცვლით არის რეალიზებული. სემიტოლოგიაში არსებობს სამთანხმონიანი ძირების ერთმარცვლიან „უჯრედზე“ დაყვანის ჰიპოთეზა, მისი საბუთიანობა შესაძლებელია სტრუქტურული ტიპოლოგიის არგუმენტებით შემავრდეს.

გ) ძირების მესამე სტრუქტურული მახასიათებელია ძირთა დახასიათება **მარცვლის სტრუქტურის** თვალსაზრისით: არის ეს ღია CV-, ნახევრად-დახურული CVS-, თუ დახურული CVC- სტრუქტურა.

ძირები ენის ყველაზე ღრმა შრეს შეადგენენ როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. ეს შრე ენის ისტორიული განვითარების სიღრმეებთან გვაკავშირებს და ამიტომ არის, რომ თუმცა ძირის ცნება სინქრონიული ლინგვისტიკის ცნებაც არის, მისდამი ყველაზე დიდ ინტერესს დიაქრონიული ლინგვისტიკა იჩენს. ძირები არსებითად ენის ეტიმოლოგიურ დონეს განეკუთვნებიან. ენებში ახალი ძირების წარმოქმნა დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ენათა ლექსიკის გამდიდრება ძირითადად დერივაციისა და სესხების მეშვეობით ხდება. ენათმეცნიერებაში საკმაოდ დიდხანს ბატონობდა აზრი, რომ ენის განვითარებაში განირჩევა შემოქმედებითი პერიოდი, როდესაც წარმოიქმნება ძირები და პერიოდი, როდესაც ენაში მხოლოდ არსებული ელემენტების კომბინირების შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ენა არის შემოქმედება და არა ქმნილება, ცხადია, ენობრივ შემოქმედებას ენის განვითარების ყველა ეტაპზე მიიჩნევს შესაძლებლად. ოღონდ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ახალი ძირების წარმოქმნა ბგერწერითი კანონზომიერებების საფუძველზე ან ინდივიდუალური სიტყვათ-შემოქმედების, მაგალითად, აბრევიატურების წარმოქმნის გზით, საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენს ენათა განვითარების ისტორიულ ეპოქაში. ენობრივი ნიშნის ბუნებაზე მსჯელობის თვალსაზრისით საყურადღებოა ისიც, რომ ყოველი ახალი ერთეულის წარმოქმნა ბგერწერითად ან სემანტიკურად არის მოტივირებული. ჩემი შვილიშვილების მეტყველებაში იყო სიტყვა „ფლახი“; იგი აღნიშნავდა წამალს, ეკალიაბტის ფხვნილს, რომელიც პირში იგლისება, თეთრია, გაურკვეველი ნეიტრალური გემო აქვს. ეს სიტყვა ქართულ ბგერწერით მოდელთან სრული თანხმობით არის ნაწარმოები გარკვეული შეგრძნებების გამომწვევი ნივთიერების აღსანიშნად. ამგვარი ახალწარმოებები არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება ბავშვთა მეტყველებასა და დიალექტებში. ასეთ წარმოებათა მოტივირებულ ხასიათში შესაძლებელია დავინახოთ მინიშნება მეცნიერული კვლევისათვის მიუწვდომელ უძველეს პროცესთა ბუნებაზე, რომელთა შედეგადაც იქმნებოდა წინარე ენათა ძირების მარაგი.

დიაქრონიული ლინგვისტიკისათვის ძირთა არქაული მოდელების აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ეტიმოლოგიური ძიებებისათვის. რეკონსტრუ-

ირებული ფორმები უნდა ეთანხმებოდეს ძირითად სტრუქტურულ მოდელებს და ალტერნატიული რეკონსტრუქციების შესაძლებლობის შემთხვევაში კანონიკურ სტრუქტურებთან შესაბამის არქეტიპებს უნდა მიეცეს უპირატესობა.

როგორც ითქვა, ძირებისა და უძველესი ფუძეების გამიჯვნა ენებში ხშირად პრობლემურია, ამიტომ ძირის სტრუქტურებზე მსჯელობისას ხშირად არქაულ ფუძეთა სტრუქტურასაც განიხილავენ. ეს იმით არის გამართლებული, რომ არქაული ფუძეების სტრუქტურათა განმსაზღვრელი წესები ხშირად შეესაბამება ძირის აგებულების განმსაზღვრელ წესებს; ეს მაშინ ხდება, როდესაც ფონემათა კომბინირების წესები, რომლებიც ძირის სტრუქტურას განსაზღვრავდნენ, ამ ფუძეთა შექმნის ეპოქაშიც მოქმედებდნენ.

ძირის დომინანტური სტრუქტურა ენის ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიული შრეა, შესაძლებელია მარცვლის დომინანტური სტრუქტურა შეიცვალოს, მაგრამ ძირის კანონიკური ფორმა იგივე დარჩეს ეპოქათა განმავლობაში. ამას მოწმობს თანამედროვე ქართველურ ენებში ძირისა და მარცვლის დომინანტური სტრუქტურების შედარებაც. მაშინ როდესაც მარცვლის დომინანტური სტრუქტურა ქართულში, მეგრულსა და ლაზურში შეიცვალა და დღეს მათში ღია მარცვალთა რაოდენობა სჭარბობს დახურულ მარცვალთა რაოდენობას, საერთო-ქართველური ძირის დომინანტური სტრუქტურა – თანხმოვანი-ხმოვანი-თანხმოვანი (CVC-) შენარჩუნებულია ყველა თანამედროვე ქართველურ ენაში.

2. ძირი, როგორც მარცვლის სტრუქტურაზე დამყარებული სტრუქტურა

ძირის სტრუქტურის ძირითადი მახასიათებელია მისი ღიაობა თუ დახურულობა. შესაბამისად, ძირის სტრუქტურათა ძირითადი ტიპებია: CV- და CVC-. რადგანაც CV- მარცვლის უნივერსალურ სტრუქტურას წარმოადგენს (Jakobson, Halle 1957; რუსული თარგმანი: Якобсон, Халле 1962, 264; Jakobson, Fant, Halle 1955), დომინანტურად CVC- ტიპის ძირების ენებში, როგორც წესი, გვხვდება მცირე ოდენობით CV- ტიპის ძირები. არ არსებობს ენა ძირთა დომინანტური სტრუქტურით C- ან V-. რამდენადაც ლექსიკური მნიშვნელობები ენაში ძირეულ მორფემებს უკავშირდება, ძნელია წარმოვიდგინოთ ენა 20 ან თუნდაც 80 ამოსავალი ლექსიკური ერთეულით და ყველა დანარჩენი მნიშვნელობა კი მათგან წარმოქმნილად დერივაციისა თუ ლექსიკურ-გრამატიკული კონტექსტის მეშვეობით. ამასთან, საფიქრებელია, რომ *ენათა მორფოლოგიურ ერთეულებად დანაწევრებას საფუძვლად უდევს მარცვლოვანი და არა ფონემური დანაწევრება. თანხმოვანი არ წარმოადგენს ბუნებრივ თვითკმარ ფონეტიკურ ერთეულს*. ამიტომ, თუმცა CV- და CVC- კანონიკური ტიპების გვერდით შესაძლებელია V- და C- ტიპების გარკვეული რაოდენობის ძირების არსებობა ენაში, მაგრამ ისინი შედარებით რთულ სტრუქტურათა ცვეთის შედეგს უნდა წარმოადგენდნენ, ხოლო დომინანტურად V- ან C- ტიპის ძირეულ მორფემათა მქონე ენა არც თეორიულად არის სავარაუდო და, რამდენადაც თვალი მიგვიწვდება, არც არის

დადასტურებული. შესაბამისად, რამდენადაც ძირის სტრუქტურა მარცვლის სტრუქტურას ეფუძნება, ხოლო, ფონემებზე დამყარებული ძირთა სისტემა ფონემათა რაოდენობის შეზღუდულობის გამო გამოიწვევდა ომონიმიის ისეთ ხარისხს, რომელიც კომუნიკაციისათვის დაუშვებელი აღმოჩნდებოდა, არ არსებობს ენა, რომელშიც ძირის კანონიკური ფორმა იქნებოდა C- ან V-; ასევე არ არსებობს ენები, რომლებშიც ძირთა კანონიკური ფორმის ანლაუტში გვექნებოდა ხმოვანი, ანუ არ არსებობს ენა ძირის კანონიკური ფორმით VC-, რადგან ხმოვანზე დაწყებული მარცვალი მარგინალური მოვლენაა: მარცვლის ანლაუტი თანხმოვნური პოზიციაა, აუსლაუტი კი ხმოვნური (Sievers 1913; Jespersen 1932). ამდენად, შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ უნივერსალური დებულებები:

1. არ არსებობს ენა, რომელშიც ძირის კანონიკური ფორმა იქნებოდა C-, V- ან VC-;
2. ძირთა კანონიკური ფორმები შესაძლებელია იყოს მხოლოდ თანხმოვანი-ხმოვანი CV-, ან თანხმოვანი-ხმოვანი-თანხმოვანი CVS- ან CVC- (ბოლოკიდური სონორი ან ჩქამიერი თანხმოვნით).

3. ძირის, აფიქსისა და სიტყვის სტრუქტურათა ურთიერთმიმართება

რამდენადაც ძირის ფონოლოგიური სტრუქტურა მარცვლის სტრუქტურას ემყარება, ძირის სტრუქტურა თავისი ჩამოყალიბების პერიოდში მოცემული ენის მარცვლის აგების კანონზომიერებებით უნდა განისაზღვრებოდეს; როგორც არის მოცემული ენის მარცვლის აგების კანონზომიერებები, ისეთივეა მასში ძირის სტრუქტურის განმსაზღვრელი კანონზომიერებები. მარცვლის აგების პრინციპთან შესაბამისობაში უნდა იყოს სიტყვის აგების პრინციპიც მოცემულ ენაში. არსებითად ეს ერთი და იგივე პრინციპია, რომელიც მართავს როგორც მარცვლის, ისე სიტყვის სტრუქტურას. სიტყვა შესაძლებელია დაემთხვეს მარცვალს. ამასთან, სიტყვის თავკიდური მარცვლის თავკიდურია და ბოლოკიდური – მარცვლის ბოლოკიდური. ამდენად, მოცემულ ენაში არ არსებობს წინააღმდეგობა მარცვლისა და სიტყვის სტრუქტურებს შორის. არსებობს ენათა საკმაოდ დიდი რიცხვი, სადაც სიტყვები ერთმარცვლიანია. აქ ეს კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა, მაგრამ მრავალმარცვლიან სიტყვათა მქონე ენებშიც ამ ორ ერთეულს შორის სტრუქტურული ერთიანობა ცხადია. იგი თვალსაჩინოდ ვლინდება სიტყვის ანლაუტისა და აუსლაუტის აგებულებაში: მოცემული ენის მარცვლისა და სიტყვის თავკიდურისა და ბოლოკიდურის განმსაზღვრელი წესები ერთგვარია. აქ ვგულისხმობთ აგებულების ზოგად კანონზომიერებებს, ისეთს, როგორიცაა მიდრეკილება ღია თუ დახურული მარცვლისაკენ, და ამ მარცვალთა აგების ზოგად პრინციპებს.

ფართო ენობრივ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არსებობს თანხმობა ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სტრუქტურებს შორის. თუ ენაში ძირის კანონიკური ფორმაა ღია მარცვალი – CV, მაშინ აფიქსებსაც

ძირითადად ასეთივე ფორმა ექნებათ: CV-, V- ან -CV, -V და შედეგობრივი სტრუქტურა - სიტყვა ასევე ღია მარცვალთა ჯამის სახეს მიიღებს: CVCV... ხოლო თუ ენაში ძირის კანონიკური ფორმა დახურულ მარცვალს წარმოადგენს CVC-, მაშინ სუფიქსური მორფემის ფორმაც ძირითადად -VC ან -C ტიპისაა, პრეფიქსული მორფემა კი შესაძლოა იყოს CV- ან C- ტიპისა. - CV ან -V ტიპის სუფიქსები ასეთ ენაში კანონიკური აფიქსების სახეს ვერ მიიღებს. შესაბამისად, ფუძის სტრუქტურა CVC- ტიპის ძირთა მქონე ენაში კვლავ დახურულ სტრუქტურას წარმოადგენს: CVCVC. წარმოდგენილი მსჯელობა სამართლიანია ისეთი ენებისათვის, სადაც არ მომხდარა მარცვლის სტრუქტურის შეცვლა, რადგანაც შესაძლებელია მარცვლის სტრუქტურა შეიცვალოს და ძირის კანონიკური სტრუქტურა კი იგივე დარჩეს. ასეთ შემთხვევაში აფიქსების სტრუქტურამაც შეიძლება ცვლილება განიცადოს. რამდენადაც მარცვლის უნივერსალურ სტრუქტურას CV- შეადგენს (Trnka, 1936, 59; Трубейко, 1960, 278; Якобсон Р., Халпе 1957/1962, 264), მეტი გამონაკლისები არის მოსალოდნელი მეორე ტიპის ენაში: დახურული ფონემური სტრუქტურებისაკენ მიდრეკილ ენაში სავარაუდოა იყოს ღია სტრუქტურები, ღია სტრუქტურებისაკენ მიდრეკილ ენაში კი დახურულ სტრუქტურათა არსებობა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ე. ი. ძირითადი წესისაგან გადახვევა ნაკლებად არის სავარაუდო დომინანტურად ღია სტრუქტურათა ენაში, ვიდრე დომინანტურად დახურულ სტრუქტურათა ენაში.

4. ძირისა და მარცვლის სტრუქტურათა ურთიერთმიმართება ცოცხალ ენებში

ძირი, როგორც ითქვა, ენათა ღრმა შრეს განეკუთვნება. წარმოქმნის ეპოქაში იგი შესაბამისობაშია ენაში მარცვალთა დომინანტურ სტრუქტურასთან, რადგან ფონოლოგიური ერთეული, რომელსაც ის ემყარება გამონახულების პლანში, არის მარცვალი. მაგრამ მარცვალი ენებში ადვილად ცვალებად კატეგორიას განეკუთვნება. ბევრ ენაში მოქმედებს დახურული მარცვლიდან ღია მარცვლის მოდელზე გადასვლის ტენდენცია. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცალკეულ ენათა განვითარების მანძილზე შეინიშნება დახურული მარცვლების ღია მარცვლებად ქცევის ტენდენცია. ასეთ პროცესს ჰქონდა ადგილი, მაგალითად, სლავურ ენებში, ფრანგულში, სპარსულში, იაპონურში (Шеворошкин, 1969; Чекман, 1978; Martinet, 1952; Shevelov, 1969). ქართული და მეგრული ენების განვითარების ისტორიაც ავლენს დახურულიდან ღია მარცვლებზე გადასვლის გამოკვეთილ ტენდენციას (ჟღენტი 1960, 33-134).

4.1. ძირისა და მარცვლის სტრუქტურათა ურთიერთმიმართება ქართველურ ენებში

საერთო-ქართველურში ძირის კანონიკური ფორმა იყო CVC-, ხოლო სუფიქსური მორფემისა -VC (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 304-307;

მელიქიშვილი 1979, 1980). თანამედროვე ქართველურ ენებში ძირის ეს სტრუქტურა შენარჩუნებულია, მარცვლის სტრუქტურამ კი გარკვეული ცვლილებები განიცადა. შევეცდებით ვაჩვენოთ, რა ვითარებაა თანამედროვე ქართველურ ენებში მარცვლისა და ძირის სტრუქტურათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

რამდენადაც მარცვლის სტრუქტურის ცვალებადობის პროცესი სხვადასხვა ხარისხით არის განხორციელებული ქართველურ ენებში, საჭიროა მისი შედეგების ფონოსტატისტიკური შეფასება. ქვემოთ წარმოვადგენთ ღია/დახურულ მარცვალთა ტექსტობრივ მიმართებას ძველ ქართულში, ახალ ქართულში, მეგრულში (ზუგდიდურ-სამურზაყანოს დიალექტი), ლაზურში (ხოფური დიალექტი) და სვანური ენის ოთხივე კილოში: ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში. სვანური ენის ოთხივე დიალექტის შესწავლა საჭიროდ ჩავთვალეთ იმ მნიშვნელოვანი ფონეტიკური სხვაობების გამო, რომლებიც მათ შორის არსებობს. გაგანალიზეთ აგრეთვე ქართული ენის თითქმის ყველა კილო. თითოეული ენობრივი ერთეულისათვის გაანალიზებული იყო დაახლოებით 2000 მარცვლის სიგრძის ტექსტი. მიღებულ შედეგებს პროცენტული მახასიათებლების სახით წარმოვადგენთ¹.

	დახურული მარცვალი	ღია მარცვალი
1. ბალსზემოური	57.90%	42.10%
2. ბალსქვემოური	55.15	44.85
3. ლაშხური	51.56	48.44

¹ გაანალიზებული იყო შემდეგი ტექსტები: ახალი ქართულისათვის: გ. რჩეულიშვილი, მოთხრობები, თბილისი, 1965, გვ. 15-18; ვაჟა ფშაველა, ჩვენი საუნჯე, თბილისი, 1961, გვ. 340-343; 2000 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 1307 ღია და 693 დახურული მარცვალი. ძვ. ქართულისათვის: შუშანიკის წამება, თბილისი, 1999, გვ. 5-9; შატბერდის კრებული, თბილისი, 1979, გვ. 113-114; 2232 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 1542 ღია და 690 დახურული მარცვალი; მეგრულისათვის: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994, გვ. 207-210; 2000 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 1662 ღია და 388 დახურული მარცვალი. ლაზური: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, 2, თბილისი, 1993, გვ. 4-7; 2523 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 1926 ღია და 597 დახურული მარცვალი. სვანური: ბალსზემოური კილო – სვანური პროზაული ტექსტები, ა. შანიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1939 გვ. 20-23; 2000 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 842 ღია და 1158 დახურული მარცვალი. ბალსქვემოური კილო: სვანური ენის ქრესტომათია, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით, თბილისი, 1978, გვ. 201-212; 2000 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 897 ღია და 1103 დახურული მარცვალი. ლაშხური კილო: სვანური პროზაული ტექსტები, 4, ლაშხური კილო, მ. ქალდანისა და ა. ონიანის რედაქციით, თბილისი, 1979, გვ. 59-60; 2120 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 1028 ღია და 1092 დახურული მარცვალი. ლენტეხური კილო: სვანური პროზაული ტექსტები, 3, ლენტეხური კილო, ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის რედაქციით, თბილისი, 1967, გვ. 81-83; 2000 მარცვლის სიგრძის ტექსტში იყო 1138 ღია და 862 დახურული მარცვალი.

4. ლენტეხური	43.10	56.90
5. ძველი ქართული	30.90	69.10
6. ახალი ქართული	28.30	71.70
7. ლაზური	23.66	76.34
8. მეგრული	16.90	83.10

განსხვავების ამპლიტუდა ბალსზემოურიდან ლაზურამდე საკმაოდ დიდია – 41% (57.9% – 16.9%). მცირე სხვაობაა ბალსზემოურის, ბალსქვემოურისა და ლაშხურის მონაცემებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას ძველი და ახალი ქართულის შესახებ. როგორც ჩანს, ღია მარცვალზე გადასვლის ტენდენცია უკვე ძველ ქართულში არის რეალიზებული. შევისწავლეთ ქართული დიალექტების ყველა წრე და ასეთი შედეგი მივიღეთ: ყველა დიალექტში ღია მარცვლების რაოდენობა სჭარბობს დახურული მარცვლების რაოდენობას. *განსხვავებული აღმოჩნდა მხოლოდ თუშური დიალექტის ვითარება – აქ დახურული მარცვლების რაოდენობა ტექსტში სჭარბობს ღია მარცვლების რაოდენობას. ამ მხრივ თუშურ დიალექტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ დიალექტებს შორის.*

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მარცვალთა სტრუქტურა ადვილად ცვალებადი მოვლენაა ენათათვის. სხვაობა ღია/დახურული მარცვლის შეფარდების თვალსაზრისით ერთი ენის დიალექტებს შორისაც კი შეიძლება აღმოჩნდეს. ლენტეხური – სვანური ენის დიალექტებს შორის და თუშური – ქართული ენის დიალექტებს შორის განსხვავებულ ადგილს იჭერენ. საინტერესოა, რომ ქართულსა და მეგრულ-ლაზურში სინშირული მანძილი ღია და დახურულ მარცვალთა სინშირეებს შორის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სვანურის დიალექტებს შორის, სადაც დახურულ მარცვალთა სიჭარბე გვაქვს. ამრიგად, ქართველურ ენებში აშკარად მოქმედებს ღია მარცვალზე გადასვლის ტენდენცია, მაგრამ ეს პროცესი სხვადასხვა ხარისხით არის განხორციელებული მათში: ყველაზე შორს არის ის წასული მეგრულში, შემდეგ მოდის ლაზური, ახალი ქართული და ძველი ქართული და მისი მოქმედება დაწყებული ჩანს სვანურშიც – ლენტეხურში უკვე გვაქვს ღია მარცვლების მცირე უპირატესობა, ხოლო ბალსზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში სხვაობა ღია და დახურულ მარცვალთა ტექსტობრივ სინშირეებს შორის მცირეა. რამდენადაც ქართველურ ენებში მარცვლის სტრუქტურის ცვლილება განხორციელდა, ჩემთვის საინტერესო იყო, რამდენად შეეხო ეს ძირის სტრუქტურას თანამედროვე ენებში. თანამედროვე ქართულ ენაში ძირის დომინანტური სტრუქტურის გამოსავლენად შევისწავლეთ 1000 ძირის შემცველი ტექსტი.² მივიღეთ ასეთი შედეგი:

² ძირის სტრუქტურის სტატისტიკური დახასიათებისათვის გააანალიზეთ შემდეგი ტექსტი: გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი, თბილისი, 1990, გვ. 296-304. ცხადია,

CVC-	63.9%
CC(V)-	11.6
C-	8.8
VC-	6.8
CVCV-	4.8
CV-	4.2
VCV-	0.9

თუ შევაჯამებთ ღია და დახურულ სტრუქტურათა მონაცემებს, მივიღებთ ასეთ სურათს:

დახურული	90.1%
ღია	9.9%

ამგვარად, თუმცა ახალ ქართულში მარცვლის დომინანტური სტრუქტურა შეიცვალა, ძირის კანონიკური სტრუქტურა კვლავ დახურული მარცვალია. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ *ძირი ენის ფუნდამენტურ, მდგრად შრეს მიეკუთვნება, რომელიც გაცილებით უფრო ნელა იცვლება, ვიდრე მარცვლის სტრუქტურა.*

ეს საკითხი საინტერესოა იმ საკითხის კვლევის თვალსაზრისით, რომელიც ჯერ კიდევ სეპირმა დასვა: შესაძლებელია თუ არა ისეთი მდგრადი მახასიათებლების გამოვლენა, რომლებიც უაღრესად ნელა იცვლება და მონათესავე ენათა საერთო ნიშნად რჩება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ე. ი. შესაძლებელია თუ არა ტიპოლოგიურ ნიშნებს შორის განვასხვავოთ მდგრადი და ადვილად ცვალებადი მოვლენები (Сепир 1934, 161-162). ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა დიდ დროით სიღრმეებში შეღწევის პრობლემასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჯ. ნიკოლსის შრომები (Nichols 1992). ვფიქრობთ, ძირის სტრუქტურის ცვლის ტემპი იმდენად ნელია, რომ იგი ერთ-ერთ ასეთ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ და წინარე ენათა ძირის სტრუქტურათა შედარებამ შესაძლებელია დიდი სამსახური გაგვიწიოს უძველესი გენეტური მიმართებების კვლევის საკითხში. ამიტომ ენათა ძირეული სტრუქტურების კვლევის მონაცემები დიდი მნიშვნელობისაა არა მარტო ენათა და ენობრივ ტიპთა დახასიათებისათვის, არამედ ენათა და ენათა ოჯახების უძველესი მიმართებების კვლევისთვისაც.

5. ენათა ტიპოლოგიური კლასები ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით

შეიძლება გამოიყოს ძირების სამი ძირითადი ტიპი: 1) ღია მარცვალი – CV- ტიპი; 2) ნახევრად დახურული მარცვალი ანუ მარცვალი ბოლოკიდური სონორული თანხმოვნით – CVS- ტიპი და 3) დახურული მარცვალი – მარცვლები ბოლოკიდური ჩქამიერი თანხმოვნით – CVC- ტიპის ძირები. როგორც ზემოთ ითქვა, CV- სტრუქტურა მარცვლის უნივერსალური მოდელია,

გამოვრიცხეთ საკუთარი სახელები და ნასესხები სიტყვები, ისეთები, როგორცაა, მაგ. ოთახ-ი, ხასიათ-ი, ღუღაბ-ი, ნამუს-ი, ქადაგ-ი და მისთ.

იგი გვხვდება ისეთ ენებშიც, სადაც მარცვლის და ძირის დომინანტური ფორმებია CVC- ან CVS-. იერარქიული მიმართება CV-, CVS- და CVC- სტრუქტურებს შორის ამგვარად შეიძლება ჩამოვყავალიბოთ:

თუ ენაში არსებობს CVC- ტიპის ძირები, მაშინ მასში იქნება CVS- ტიპის ძირებიც და თუ ენაში არსებობს CVS- ტიპის ძირები, მაშინ მასში იქნება CV- ტიპის სტრუქტურებიც. CV- ტიპი კი თვითკმარია.

ამრიგად, არსებობს გარკვეული იერარქია და მსოფლიოს ენებში გავრცელების მხრივ ეს სტრუქტურები ასე შეიძლება დავალაგოთ:

CVC- => CVS- => CV-

ამ სამი ძირითადი სტრუქტურის საფუძველზე გამოიყოფა ენათა სამი ტიპი:

1. ენები, რომლებშიც ძირის დომინანტური სტრუქტურაა CV-;
2. ენები, რომლებშიც ძირის დომინანტური სტრუქტურებია CV- და CVS-;
3. ენები, რომლებშიც ძირის დომინანტური სტრუქტურებია CVS- და CVC-

ენათა პირველ ტიპს – ძირის დომინანტური CV-სტრუქტურით – განეკუთვნება მსოფლიოს მრავალი ენა. ასეთებია, მაგალითად, პოლინეზიური ენები. ეს ენები მორფემათა სტრუქტურის თვალსაზრისით სპეციალურად აქვს შესწავლილი ვ. კრუპას. მისი ნაშრომის მიხედვით, პოლინეზიურ მორფემათა ტიპებია: CV-, CVCV-, CVCVCV-. ამათგან ყველაზე გავრცელებულია CVCV- ტიპი. მორფემათა აგების ძირითად კანონზომიერებას წარმოადგენს დისოციაციურ შეერთებათაკენ მიდრეკილება (Круга 1971). ეს ტენდენცია გამოვლენილია სხვა ტიპის ენებშიც, მაგალითად, სემიტურში. ვ. შევოროშკინის გამოკვლევის მიხედვით, CV- ტიპის მარცვალთა მქონე ენებია, პოლინეზიურის გარდა, მელანეზიური, ინდონეზიური, ავსტრალიური, პაპუასური, დრავიდული, ნიგერო-კორდოფანური, ნილო-საჰარული, ბანტური, ტაი, იაპონური, კორეული (Шеворошкин 1969, 117-142). მ. ჰაასის გამოკვლევის მიხედვით, ამერიკულ ენების ძირი დომინანტურად CV(CV)- ტიპისაა (Haas 1972). როგორც ჩანს, CV- ტიპი არის დომინანტური მარცვლისა და მორფემისათვის დასავლურ კავკასიურ ენებშიც.

ქ. ლომთათიძის ნაშრომის მიხედვით, აფხაზურ-აბაზურში როგორც ძირთა, ისე ფორმანტთა ამოსავალი ტიპი იყო თანხმოვანი – ხმოვანი /CV-/. თანხმოვანი-ხმოვნისაგან შემდგარ ძირებს შეიძლებოდა წინ დართოდა ბაგისმიერი, დენტალური ან სხვა თანხმოვანი ელემენტი (წარმოშობით მარცვლოვანი). ნაწარმოებ ფუძეებში წარმოდგენილი იყო სუფიქსური ელემენტები, მაგალითად: -ა > -აა, -რა და სხვა (ლომთათიძე 1975; 1977, 249-250). ე. ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ აფიქსებიც აქ CV- ტიპისა იყო. ღია მარცვალს აღადგენს ძირისა და ფუძის სტრუქტურისათვის აფხაზურ-ადიღურში მ. კუმახოვიც. ეს ტიპებია CV- და CCV- (Кумахов 1978, 12). ღია მარცვალი ივარაუდება ძირის კანონიკურ ფორმად ნახურ-დაღესტნურშიც (Дьяконов, Старостин 1988). ზ. მაგომედბეკოვა მიუთითებს, რომ ახვანურ ენაში დასაშვებია მხოლოდ ღია მარცვლები (Магомедбекова 1967, 23). ა.

კიბრიკი და ს. კოძასოვი წერენ: „კავკასიურ ენათა უმრავლესობაში ღია მარცვლებთან ერთად დასაშვებია დახურულიც. გამონაკლისს ქმნის ახვასური ენა, რომელიც მხოლოდ CV ტიპის მარცვლებს უშვებს“ (Жибрик, Кодзасов 1978, 105). ამდენად, თუმცა როგორც ცოცხალ დაღესტნურ ენათათვის, ისე საერთო-დაღესტნურისათვის ეს საკითხი საკმაოდ შეუსწავლელია, არსებობს ვარაუდი, რომ ნახურ-დაღესტნური საერთო ენისათვის ძირის ამოსავალი სტრუქტურა უნდა ყოფილიყო CV- ტიპის სტრუქტურა.

ენათა მეორე ტიპს – CV- და CVS- დომინანტური სტრუქტურებით – განეკუთვნება თურქული, მონღოლური, ტუნგუსურ-მანჯურული ენები. ამ ენათა ძირის სტრუქტურის შესახებ მკვლევართა მიერ გამოთქმული აზრების ურთიერთშეჯერება (Асланов 1971, 68; Баскаков 1962, 15-16; Комарова 1975; Котвич 1962, 31; Севортян 1974, 3) საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შესაბამის წინარე სისტემებში აღდება CV- და CVS- ტიპის ძირეული მორფემები. ნ. ბასკაკოვის აზრით, ძველი წერილობითი ძეგლების CV- ტიპის ძირთა ნაწილი წარმოადგენს არასრულყოფილ ფონეტიკურ გადმოცემას ისეთი ძირებისა, რომელთა აუსლაუტშიც თურქულ ენათა და დიალექტების შედარების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ სუსტი თანხმოვნები: γ, w, j, l, r, რომლებიც ან წინამავალ ხმოვანს შეერწყნენ და წარმოქმნეს გრძელი ხმოვნები, ან მთლიანად დაიკარგნენ. ამგვარად უარყოფს იგი იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც ამოსავალში მხოლოდ CV- ტიპის ძირებს ვარაუდობენ (Баскаков 1962, 15-16).

ამავე ტიპს განეკუთვნება ჩინური ენა. აქ მორფემათა სტრუქტურა მონოსილაბურია, მორფემა შესაძლებელია ბოლოვდებოდეს ხმოვანზე (CV- ტიპი), ნაზალ თანხმოვანზე ან ნახევარხმოვანზე (CVS- ტიპი) (Спешнев 1980, 8).

სემიტური ძირის სტრუქტურის ანალიზისას ძირითადი ყურადღება ექცევა ძირის თანხმოვანთა ურთიერთმიმართებას. ღია და დახურული სტრუქტურების მიმართების თვალსაზრისით ვითარება ასეთია: სემიტურ ენებში არის როგორც ღია, ისე დახურული მარცვლები, თუმცა უპირატესობა ეძლევა ღია მარცვლებს: სემიტური ძირის კანონიკური ფორმა არის CVCVCV-. სამთანხმოვნიანი სტრუქტურა სემიტური ძირის ამოსავალ სტრუქტურას არ უნდა წარმოადგენდეს. ჯერ კიდევ ძველი არაბი ფილოლოგები მიუთითებდნენ, რომ სამთანხმოვნიანი ძირი შედგება ორთანხმოვნიანი უჯრედისაგან, რომელთანაც არის დაკავშირებული ძირის ძირითადი, ზოგადი მნიშვნელობა და ერთთანხმოვნიანი დანამატისაგან, რომელიც ძირს კონკრეტულ მნიშვნელობას აძლევს (Юшманов 1985, 42). ამდენად, სამთანხმოვნიანი სტრუქტურები ფუძეებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ძირებს. აზრთა სხვაობაა იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ორთანხმოვნიან უჯრედს სამთანხმოვნიან სტრუქტურაში. არაბი ფილოლოგები თვლიდნენ, რომ მას პირველი ადგილი უკავია სამთანხმოვნიან ძირში, ევროპელი მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ამ უჯრედს ბოლო ადგილი უჭირავს. ვ. გეზენიუსის აზრით, მას ძირში

ნებისმიერი ადგილის დაკავება შეუძლია. ასეთივე აზრისაა ნ. იუშმანოვიც. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სემიტოლოგთა უმრავლესობა იხრება ძველ არაბ ფილოლოგთა თვალსაზრისისაკენ, რომლის მიხედვითაც, ძირითად მნიშვნელობას გამოხატავს სამთანხმონიანი სტრუქტურის მხოლოდ პირველი ორი თანხმონიანი, ხოლო „დამატებული“ თანხმონიანი სუფიქსურია და არა პრეფიქსული (Майзель 1983, 98-99). ძირეულ თანხმონიანთა ურთიერთ-მიმართების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ფონოლოგიური კანონზომიერება, რომელიც გამოავლინეს სემიტოლოგებმა, არის შეერთების დისოციაციურობა წარმოების ადგილის მიხედვით. ეს მოვლენა შესწავლილია ებრაულში (Gezenius, Katzsch 1902, 72), აქადურში (Soden 1952), არაბულში (Юшманов 1985 81), ეთიოპურში (Жвания 1962, 28). სანიმუშოდ მოვიყვანო ჯ. გრინბერგის მიერ დადგენილ წესს, რომელშიც დისოციაციურობის კანონს ყველაზე ზოგადი სახე აქვს მიცემული. იგი გამოყოფს თანხმონიანთა ოთხ ძირითად ჯგუფს: 1. უკანა წარმოების თანხმონიანები: h h g h g k q ; 2. ლიკვიდები: l n r; 3. წინა წარმოების თანხმონიანები: z s š s d t d t t t ; 4. ლაბიალები: b p f m და ამბობს, რომ ზმნურ ძირში დასაშვებია სხვადასხვა ჯგუფის თანხმონიანთა კომბინაცია და დაუშვებელია ერთ ჯგუფში წარმოდგენილი თანხმონიანების კომბინაცია (Greenberg 1970, 178). სხვა ავტორებთან ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ განსხვავება თანხმონიანთა ჯგუფებად დალაგებაში, ხოლო არსებითი მომენტი – წარმოების ადგილის მიხედვით დისოციაციურობა – უცვლელი რჩება.

ენათა მეორე ტიპიდან მესამეზე გარდამავლად შეიძლება მივიჩნიოთ ტიბეტური ენა. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ თანამედროვე ტიბეტური ენა „განიცდის ევოლუციურ პროცესს თანამედროვე ჩინური ენის მიმართულებით“ (Roerich 1931, 41). ძველი ტიბეტური მარცვლის სტრუქტურა იყო CVC-, ე. ი. იგი მესამე ტიპს - დახურული მარცვლის ტიპს – განეკუთვნებოდა. თანამედროვე ტიბეტური მარცვლის სტრუქტურა შესაძლებელია იყოს ოთხი ტიპისა: 1)CVC -, 2)CV -, 3)VC -, 4)V- (კომაროვა, 1975, 209). ბოლოკიდური C -ს სახით შეიძლება გამოვლინდნენ შემდეგი ფონემები /m n r w p/. ამრიგად, ბოლოკიდური თანხმონიანები სონორებია /p/-ს გარდა.

ენათა მესამე ტიპს ძირის კანონიკური ფორმით CVC- და CVS- ენათა მცირე რიცხვი მიეკუთვნება. ასეთი ენებია საერთო-ინდოევროპული და საერთო-ქართველური. ამ ენებში C₂-დ გვხვდება ყველა ჩქამიერი თანხმონიანი და ამასთან საკმაოდ დიდი სიხშირით. ამ ენათათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ძირში თანხმონიანთა კომბინირების საკითხი. მართალია, ეს საკითხი დგას ისეთ ენათათვისაც, სადაც ძირი ღია მარცვალს წარმოადგენს და იგი ერთზე მეტმარცვლიანია (CVCV-, CVCVCV-).

ინდოევროპული ძირის სტრუქტურა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (იხ. მაგალითად: Мейе 1951, 191-199; Бенвенист 1955; Семереньи 1980; Lehman 1952; Magnusson 1967; 1979). შესწავლილია ინდოევროპული ძირის სტრუქტურა სტატისტიკურადაც, დადგენილია ძირის სხვადასხვა პოზიციებში

გამოვლენის ალბათობები (Juquois 1966). ინდოევროპული ინდოევროპული ფონემატური სისტემის რეინტერპრეტაციის შედეგად, სადაც ტრადიციული ინდოევროპული მჟღერი არაფშვინვიერები გლოტალიზებულებად არის მიჩნეული (Гамкрелидзе, Иванов 1984, 12-16). ინდოევროპეისტიკაში დადგენილი ძირის სტრუქტურის განმსაზღვრელი ძირითადი წესები ამგვარად გამოიყურება:

1. ძირის სტრუქტურაში C_1 -ად და C_2 -დ დაუშვებელია იდენტური თანხმოვნები;
2. ძირის სტრუქტურაში დაუშვებელია C_1 -ად და C_2 -დ გლოტალიზებული თანხმოვნები;
3. გლოტალიზებულები ყრუ ფშვინვიერებთან კომბინირებენ ორივე მიმართულებით;
4. არაგლოტალიზებულები C_1 -ად და C_2 -დ უნდა ხასიათდებოდნენ მჟღერობა – სიყრუის ნიშნის ერთგვარობით (Гамкрელიдзе, Иванов 1984, 18-20).

ვ. მაგნუსონის მიერ დადგენილ წესებში ერთდროულად არის გათვალისწინებული C_1 -ისა და C_2 -ს როგორც ლოკალურ რიგი, ისე ლარინგალური არტიკულაცია (Magnusson 1967; Magnusson 1979).

საერთო-ქართველური ძირის კანონიკური ფორმაა დახურული მარცვალი CVC- და CVS- სტრუქტურებით (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 304). ძირის სტრუქტურის განმსაზღვრელი წესები მოცემულია თ. გამყრელიძის და გ. მაჭავარიანის, კ. ფენრიხის და ჩვენს შრომებში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965; მაჭავარიანი 1965; ფენრიხი 1978; მელიქიშვილი 1979; 1980).

თანმიმდევრულ CVC- ტიპის ენებად, რომელთა შესწავლა დღეს დამაკმაყოფილებელ დონეზეა, უნდა მივიჩნიოთ საერთო-ინდოევროპული და საერთო-ქართველური. ეს წინარე ენები ერთ საკმაოდ ვიწრო ტიპოლოგიურ კლასს განეკუთვნებიან. საყურადღებოა, რომ ამ წინარე ენათა ძირის სტრუქტურები, ისევე როგორც ფუძის აგების წესები (გამყრელიძე, მაჭავარიანი) დიდ მსგავსებას ავლენენ ერთმანეთთან (მელიქიშვილი 1979; Меликишвили 1980).

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი 1965.

ლომთათიძე 1975 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურისა და აბაზურის ძირთა და ფორმანტების ამოსავალი ტიპი, წელიწდეული, II, 1975.

ლომთათიძე 1977 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების შედარებითი ანალიზი, I, თბილისი 1977.

მაჭავარიანი 1965 – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი 1965.

- მელიქიშვილი 1979** – ი. მელიქიშვილი, მარცვლის აგების ზოგადი პრინციპი და ხშულთა განაწილება CVC- ტიპის ძირებში საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდოევროპულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979.
- მელიქიშვილი 1980** – ი. მელიქიშვილი, სონორ ფონემათა განაწილების ზოგადი კანონზომიერება და ძირის სტრუქტურა საერთო-ქართველურში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი 1980.
- ჟვანია 1975** – ნ. ჟვანია, ძირის ფონოლოგიური სტრუქტურა გეეზში (ძველ ეთიოპურ ენაში), თბილისი 1975.
- ჟღენტი, 1960** – ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვალთა აგებულების პრობლემა, თბილისი 1960.
- ფენრიხი 1978** – ჰ. ფენრიხი, ენათა ნათესაობის კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი 1978.
- Асланов 1971** – Асланов В. И., К проблеме реконструкции корневых морфем, Советская тюркология, М. 1971.
- Баскаков, 1962** – Баскаков Н. А., Предисловие к книге В. Котвича “Исследование по алтайским языкам”, М. 1962.
- Бенвенист 1955** – Бенвенист Э., Индоевропейское именное словообразование, М. 1955.
- Гамкрелидзе, Иванов 1984** – Гамкрелидзе Т. В. Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, Тбилиси 1984.
- Дьяконов, Старостин 1988** – Дьяконов И. М., Старостин С. А., Хуррито-урартские и восточнокавказские языки, Древний восток, этнокультурные связи, М. 1988.
- Жвания 1962** – Жвания Н., Дистрибуция согласных в корневых морфемах семитских языков, Тбилиси 1962.
- Кибрик, Кодзасов 1978** – Кибрик А. Е. Кодзасов С. В., Фонетические общности кавказских языков, Структурные общности кавказских языков, 1978.
- Комарова 1975** – Комарова И. Н., Структура тибетского слога, Очерки по фонологии восточных языков, V., 1975.
- Котвич 1962** – Котвич В., Исследования по алтайским языкам, М. 1962.
- Кумахов 1978** – Кумахов М. А., К реконструкции структуры слова в западно-кавказских языках, Тезисы докладов конференции по проблемам реконструкции, М., 1978.
- Курилович 1962** – Курилович Е., Вопросы теории слога, Очерки по лингвистике, 1962.
- Лекомцева 1968** – Лекомцева М.И., Типология структур слога в славянских языках, М. 1968.
- Магомедбекова 1967** – Магомедбекова З. М., Ахвахский язык, Тбилиси 1967.
- Майзель 1983** – Майзель С. С., Пути развития корневого фонда семитских языков, Москва 1983.
- Мейе 1951** – Мейе А., Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М. 1951.
- Меликишвили 1980** – Меликишвили И. Г., Структура корня в общекартвельском и общеиндоевропейском, Вопросы языкознания, 4, 1980, с. 60-70.

- Севортян 1974** – Севортян Э. В., Этимологический словарь тюркских языков, М. 1974.
- Семереньи 1980** – Семереньи О. 1980 - Введение в сравнительное языкознание М. 1980.
- Сепир 1934** – Сепир Э., Язык, М. 1934.
- Спешнев 1980** – Спешнев Н. А., Фонетика китайского языка Л. 1980.
- Трубецкой 1960** – Трубецкой Н. С., Основы фонологии, Москва 1960.
- Шеворошкин 1969** – Шеворошкин В. В., Звуковые цепи языков мира, М. 1969.
- Чекман 1978** – Чекман В. Н., Типологические аспекты фонетических изменений в праславянских, Минск 1978.
- Юшманов 1985** – Юшманов Н. В., Грамматика арабского литературного языка, М. 1985.
- Gesenius, Katzsch 1902** – Gesenius W., Katzsch E., Hebräische Grammatik, Leipzig 1902.
- Greenberg 1970** – Greenberg J., Patterning of Root Morphemes in Semitic, Word, 6, 1970.
- Haas 1972** – Haas M., The Structure of Stems in Nootka-Nitinat, IJAL, 38, N2, 1972.
- Jakobson, Fant, Halle 1955** – Jakobson R., Fant C.G., Halle M., Preliminaries to Speech Analysis. The Distinctive Features and their Correlates, "Technical Report", N 13, June, 1955.
- Jakobson, Halle 1957** – Jakobson R., Halle M., Phonology in Relation to Phonetics, Manual of Phonetics, ed. L. Kaiser, Amsterdam, 1957. რუსული თარგმანი: Фонология и ее отношение к фонетике, Новое в лингвистике, 2, 1962.
- Jespersen 1932** – Jespersen O., Lehrbuch der Phonetik, Leipzig 1932.
- Juquois 1966** – Juquois G., La structure des racines en indo-européen d'un point de vue statistique, Linguistic Research in Belgium, Universa Wetteren, 1966.
- Koskinen 1964** – Koskinen, K., Komptabilität in den dreikonsonantigen hebräischen Wurzeln, ZDMG, Bd.114, H.1 1964.
- Krupa 1967** – Krupa V., Dissotiations of like Consonants, Asian and African Studies, 3, 1967.
- Krupa 1971** – Krupa V., The Phonotactic Structure of Morph in Polynesian Languages, Language, 47, 3, 1971.
- Lehman 1952** – Lehman W. P., Proto-Indo-European Phonology, Austin, University of Texas Press, 1952.
- Magnusson 1967** – Magnusson W. L., Complementary Distribution among the Root Patterns of Proto-Indo-European, Linguistics, 34, 1967.
- Magnusson 1979** – Magnusson W. L., Chronostructural Orientation of Root Pattern Development, Linguistics, 17, 1979.
- Martinet 1952** – Martinet A., Langues a syllable ouverts, le cas du slave commune, ZfPhon, 56,3/4, 1952.
- Nichols 1992** – Nichols J., Linguistic Diversity in Space and Time, Chicago, 1992.
- Roerich 1931** – Roerich G., Modern Tibetan Phonetics with Special Reference to the Dialect of Central Tibet, Journal of Asiatic Society of Bengal, XXVII, 2, 1931.
- Shevelov, Chew 1969** – Shevelov G. Y., Chew J.R., Open Syllable Languages and their Evolution, Common Slavic and Japanese, Word, 25, 1-3, 1969.
- Sievers 1913** – Sievers E., Grundzüge der Phonetik, Leipzig und Berlin.
- Trnka 1936** – Trnka B., General Laws of Phonemic Combinations, TCLP, VI., 1936.

Typology of Root Structures

Summary

CV-, CVS- and CVC- are the types of structures, which can function as canonical models of the root in languages of the world. Such structures as V-, C-, or VC- are not attested as canonical root structures. The hierarchy of attested canonical structures is as follows: The languages with the roots of the type CVC- will have the roots of the type CVS-, and in the languages with the roots of the type CVS-, there will have the roots of the type CV- too (CVC- => CVS- => CV-). Accordingly, three types of languages are distinguished:

1. Languages with the dominant root structure CV-;
2. Languages with the dominant root structure CV- and CVS-;
3. Languages with the dominant root structure CVS- and CVC-.

The structures of the syllable and the root have different rates of diachronic change: the dominant structure of the syllable can easily undergo a change, whereas the root structure is a highly stable characteristic of the language. The Kartvelian languages show different dominant types of syllables – in Georgian and Megrelian-Laz the dominant type of syllables is CV, and in Svan – CVC. But in all the Kartvelian languages, as in Common Kartvelian, the dominant root structure is CVC-. The distribution of the root types: CV-, CVS-, and CVC- in the languages of the world is discussed in the paper. The type CVC-, which is relatively rare, is attested in Common Kartvelian and Common Indo-European.

ბურამ კარტოზია

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისა და გაგებისათვის¹

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტმა საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა როგორც სტროფული შედგენილობის, ისე ცალკეული წაკითხვების თვალსაზრისით. მხედველობაში მაქვს არა მარტო ვარიანტების მეტისმეტი სიუხვე მრავლად შემონახულ ნუსხებში, არამედ აგრეთვე ბეჭდურ გამოცემებში არსებული დიდი სიჭრელე, რაც ამ ნუსხებში ანდა წინა გამოცემებში დადასტურებული ვარიანტული წაკითხვებიდან სხვადასხვა რედაქტორ-გამომცემლის მიერ განსხვავებული არჩევანის ან საკუთარი თუ სხვისი კონიექტურის მიღების შედეგია. არადა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისა და პოემის ტექსტის კვლევის ისტორიას ბევრი მაგალითი ახსოვს იმისა, რომ ხელნაწერების ესა თუ ის წაკითხვა ყურადღების გარეშე დაუტოვებიათ ანდა უმართებულოდ, შეუძლებლად მიუჩნევიათ და კონიექტურით ან სხვა ვარიანტული წაკითხვით შეუცვლიათ, შემდგომი შესწავლის შედეგად კი ეს დაწუნებული წაკითხვები მართებულად უღიარებიათ და მათთვის კუთვნილი ადგილი მიუჩნიათ ტექსტში.

რამდენიმე ასეთ ფაქტზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას. სტროფების სათვალავს მივუთითებ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის 1988 წლის გამოცემის მიხედვით.

1) 403-ში ბოლო ღროის გამოცემებში დამკვიდრებულია წაკითხვა:

„შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკენ მონასხპანია“.

ტაეპი ვარიანტულ წაკითხვათა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ შემთხვევაში ყველაი სიტყვის ვარიანტებზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო. გვაქვს ამ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ასეთი ფორმები: ყოველი, ყველანი, ყვალანი, ყოველნი. როგორც ვხედავთ, ძირითადად, ყველა და ყოველ- ფუძეების მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს შორის უნდა გაკეთდეს არჩევანი. ოთხივე რედაქციის ნუსხათა უმეტესობაში ეს ნაცვალსახელი ყველაი და ყველანი ფორმით გვაქვს. ამ

¹ წაკითხულია მოხსენებად ალექსანდრე ონიანის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლის 7 ივნისს.

უკანასკნელ წაკითხვას უჭერს მხარს ვახტანგის გამოცემის ვულგარული **ყვალანი-ც**.

გამოცემებში ტაეპის სარიტმო სიტყვა **მონასხპანია (მონასხრპანია)** ა-თი (პროსოდიული ხმოვნით თუ მეშველი ხმით) გართულებულ **მონასხპა (მონასხრპა)** მიძღობის მრავლობითის ფორმადაა ჩათვლილი. ამ გარემოებას უყოყმანოდ **ყველანი** ფორმის პირველადობის უეჭველობა ცხადი უნდა გაეხადა. ასეც იყო პოემის ვახტანგისეულის მომდევნო გამოცემებში, რომლებიც პირველი ნაბეჭდი გამოცემის ვულგარული **ყვალანი-ს** ნაცვლად, მ. ბროსესეული გამოცემის კვალდაკვალ, მართებულ **ყველანი-ს** ბეჭდავდნენ. პირველად ს. კაკაბაძის გამოცემებში (1913, 1927) გამოჩნდა ძირითად წაკითხვად უმართებულო **ყველაი**. ეს წაკითხვა შევიდა 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში და, მის წერეთლისეულის გარდა, ყველა მომდევნოში.

აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომისიამ გამოსაცემად მოამზადა და დღედღეზე გამომცემლობა „მწიგნობარი“ გამოსცემს „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურულ გამოცემას, რომელშიც ეს უზუსტობა გასწორდება.²

2) მეორე მაგალითი გამოცემებში ადრე მართებულად წარმოდგენილი წაკითხვის უმართებულოთი შეცვლისა. მხედველობაში მაქვს საყოველთაოდ ცნობილი ტაეპი:

„მას ტანსა კაბა ემოსა გარეთმა ვეფხის ტყავისა“ (84₁).

ასე იბეჭდება ეს ტაეპი 1966 წლიდან. მხედველობაში მაქვს პუნქტუაცია და არა ორთოგრაფიული სხვაობანი. მანამდე ტაეპის შიგნით, დიდ ცეზურასთან, მძიმე იყო დასმული. თუ ადრე **გარეთმა** კომპოზიტის ორ სიტყვად გაგებისა და უმართებულო გააზრიანების გამო (უცხო მოყმეს ტანზე კაბა ეცვა და გარედან ვეფხის ტყავი ჰქონდა მოსხმულიო) ამ მძიმის არსებობა სავსებით ბუნებრივი იყო. სოლ. იორდანიშვილის მართებული ვარაუდის გაზიარების შემდეგაც (ტარიელს ვეფხის ტყავის კაბა ეცვა, რომელსაც ბეწვი გარეთ ჰქონდა მოქცეულიო; **გარეთმა** კომპოზიტიაო [ყუბანიევილი 1973, 131]) ეს მძიმე არ ეხამუშებოდათ პოემის გამომცემლებს სამი ათეული წლის განმავლობაში და მართებულადაც! ნამდვილად საჭიროა ეს მძიმე აქ! მის გარეშე ტაეპი ენობრივად გაუმართავია, რადგან **გარეთმა** ატრიბუტული მსაზღვრელი გამოდის **ტყავ-საზღვრულისა**, მაშინ როცა თვითონ არის **საზღვრული, ტყავისა** კი – მისი სუბსტანტიური მსაზღვრელი გახლავთ. მძიმის აღდგენის შემდეგ ტაეპის შინაარსი ასე გადმოიცემა: „მას ტანზე კაბა ეცვა, ვეფხის

² დასახელებულ მინიატურულ გამოცემაში ამ მოხსენებაში მითითებული გასწორებანი შეტანილია (იხ, ვტ მინიატურული 2006, სტრ. 403₃; 86[84]₁; 693[690]₂; 613[1606]₂; 1292[1287]₂; 667[664]₁. კავებში მიწერილია 1988 წლის გამოცემის ნუმერაცია.

ტყავის გარეთმა“. როგორც წინა მაგალითის თაობაზე მოგახსენეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ახლად გამოშვებულ მინიატურულ გამოცემაში ეს უზუსტობაც გასწორდება.

3) „ვეფხისტყაოსნის“ 690₂ ტაეპი ასე იკითხება:

„ლომი მინდორს ლომთა თანა მინდორს რული, ფერნამკრთალი“.

საუბარია დევთა ქვაბიდან არაბეთში მობრუნებულ ავთანდილზე. რასაკვირველია, გარკვეულ უხერხულობას ქმნის **მინდორს** სიტყვის ორჯერ ხმარება ერთ ფრაზაში. **ლომი**-ც ორგზის გვხვდება, მაგრამ სხვადასხვა ფუნქციით: ჯერ – მეტაფორულად (ავთანდილს გულისხმობს), შემდეგ კი – პირდაპირი მნიშვნელობით (ნადირის აღმნიშვნელია). პოემის ხელნაწერებში ტაეპის კიდევ ასეთი ვარიანტული წაკითხვები გვაქვს: „ლომი მინდორს ლომთა თანა **რული არის** ფერნამკრთალი“ ($A^9 B^{10}$), „ლომი მინდორს ლომთა თანა **ნამყოფი და** ფერნამკრთალი“ ($A^4 A^{10}$), „ლომი მინდორს ლომთა თანა **მოარული** ფერნამკრთალი“ ($D^1 D^2 D^3 D^4 A^{12}$). როგორც ვხედავთ, გადამწერებს ტაეპის მეორე ნახევარი აქვთ სხვადასხვანაირად წარმოდგენილი. პირველი ორი წაკითხვა (**რული არი** და **ნამყოფი და**, ნაცვლად **მინდორს რული**-სა) იმ ნუსხებში გვაქვს, რომლებიც A რედაქციაში ცალკე ჯგუფს ქმნიან ხშირად სხვათაგან განსხვავებული წაკითხვებით. რაც შეეხება მესამე ვარიანტს (**მოარული**), ეს D რედაქციის წაკითხვაა. D რედაქცია თავისი ინოვაციებით, როგორც წესი, ყოველთვის ეჭვს იწვევს. გამოცემებში ვახტანგიდან მოკიდებული **მინდორს რული** იყო დამკვიდრებული. 1913 წელს ს. კაკაბაძემ **მოარული** დაბეჭდა ძირითად წაკითხვად და იგივე გაიმეორა 1927 წლის გამოცემაში. იუსტ. აბულაძის ორივე გამოცემიდან (1914, 1826) მოკიდებული ძირითად წაკითხვად გამოცემებში, როგორც წესი, ტრადიციული **მინდორს რული** იბეჭდება. მხოლოდ კ. ჭიჭინაძემ (1934), პ. ინგოროყვამ (1953, 1970) და ნ. ნათაძემ დაუჭირეს მხარი ს. კაკაბაძის არჩევანს. მიხ. წერეთელმა **მინდორს რული** დატოვა, მაგრამ ტაეპის პირველ ნახევარში კონიექტურა მოიშველია: „ლომი **მინდორის** ლომთა თანა მინდორს რული, ფერნამკრთალი“. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის 1966 წ. გამოცემაში ეს წაკითხვა ა. შანიძის სხვა კონიექტურით შეიცვალა: „ლომი **მინდორთ** ლომთა თანა მინდორს რული, ფერნამკრთალი“.

ვფიქრობ, ხელნაწერთა უმრავლესობაში კარგად არის დაცული ამოსავალი წაკითხვა და ცალკეული ნუსხების სწორებათა საჭიროება არ არსებობს, ოღონდ **თანა** სიტყვის მართებულად გადააზრიანების საფუძველზე სათანადო ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური ცვლილებია ტაეპში შესატანი.

თანა ამ კონტექსტში თანდებული კი არ არის, არამედ წარმოქმნის ელემენტია. ძველ ქართულად ტაეპი ასე გაიმართებოდა: „ლომი, მინდორს ლომთათანა, მინდორს რული, ფერნამკრთალი“. ერთი ავთანდილის ნაცვლად, რამდენიმე მისნაირ გამიჯნულ საუბრისას ტაეპი ასე შეიცვლებოდა: „ლომნი,

მინდორს ლომთათანანი, მინდორს რუღნი, ფერნა-მკრთალნი“. შდრ. მსგავსი მაგალითი „ვეფხისტყაოსნის“ ინდო-ხატაელთა ეპიზოდებიდან: „შეტევებასა ლამოდეს სპანი არაბთათანანი“ (16062).

არაბთათანანი ნიშნავს „არაბებთან მყოფნი“. ჩვენს ტაეპს რომ დავუბრუნდეთ, **ლომთათანა** „ლომებთან მყოფი“ გამოდის. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ **თანა**-ს „მსგავსის“ მნიშვნელობაც აქვს (მაგ., მისთანა, მეზობლისთანა), მთელი ტაეპის აზრი შეიძლება ასე გადმოვცეთ: „ლომი (ავთანდილი), მინდორში ლომების მსგავსი, მინდორში ნასიარულევი და ფერშეცვლილი“.

ზემოთ უკვე ნახსენებ მინიატურულ გამოცემაში **არაბთათანანი** შერწყმულად, ერთ სიტყვად დაიბეჭდება. ასევე ერთ სიტყვად დაიბეჭდება **ლომთათანა-ც**.

4) „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთანა“ ამ სტროფით იწყება:

აწ საყვარელსა მიუწერს გულამოსკენილი, მტირალი,
მისმანვე ცრემლმან დაუვისის, ვის ედებოდა, ვის, ალი.
დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,
და ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი. (1287).

უმაღლესი თვალში ეცემა კაცს მეორე ტაეპის არაზუსტი რითმა – **ვის ალი** (შდრ. სხვა ტაეპების სარიტმო სიტყვები: **მტირალი, გასაგმირალი, გამომჭვირალი**). არადა ხელნაწერებში ამ სიტყვას ვარიანტი არა აქვს. **ვის** ნაცვალსახელი ამ ტაეპში სხვა უხერხულობასაც ქმნის: ერთ ფრაზაში ორჯერ გვხვდება! აღრინდელ გამოცემათაგან განსხვავებით, 1988 წლის გამოცემაში იგი მძიმეებით არის გამოყოფილი ორივე მხრიდან, იმის ნიშნად, რომ საქმე გვაქვს სიტყვის გამეორების რუსთველისთვის დამახასიათებელ წესთან.

დანარჩენ ტაეპთა სარიტმო სიტყვების გათვალისწინება სავსებით დამარწმუნებელს ხდის მიხ. წერეთლის კონიექტურას: **ვირ ალი. ვირე** (= ვიდრე) ამ ფორმით პოემაში სხვაგანაც დასტურდება: „ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, **ვირ** მეფე იყო ცნობილი“ (14774). ამგვარად წაკითხული ტაეპი – „მისმანვე ცრემლმან დაუვისის, ვის ედებოდის ვირ ალი“ – ასე უნდა გავიგოთ: „მას, ვისაც ედებოდა ალი, ალის დებისას („ედებოდის ვირ“) თავისივე ცრემლი უქრობდა ამ ალს“.

მიხ. წერეთელმა ტაეპში პირველი **ვის** ნაცვალსახელიც შეცვალა კონიექტურით: „მის-მანვე ცრემლმან დაუვისის, **მას** ედებოდის ვირ ალი“-ო. ეს კი ნამდვილად არ იყო საჭირო.

დავძენ, რომ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის 1966 წლის გამოცემაში ა. შანიძის კონიექტურაა შეტანილი: „მისმანვე ცრემლმან დაუვისის, ვის ედებოდის **კირ-ალი**“.

5) ავთანდილმა სამი წლის ძიების შემდეგ მიაგნო ტარიელს, მოისმინა მისი ნაამბობი, გადაწყვიტა დახმარებოდა ძმადნაფიცს და პირობა მისცა: არაბეთში გაებრუნდები, თინათინს უუამბობ შენს ამბავს და ისევ მოვალ, შენთვის

თავს გაეწირავო. ოღონდ პირობა მომეცი, აქედან არ წახვიდეო. ტარიელმა მიუგო:

პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი იხოს,
გული მინდორს არ გაიჭრეს, არ ირმოს და არცა ითხოს;
თუ გიტყუო, მოგაღლო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს!
და შენმან ჭვრეტა-სიასლემან მომაქარვოს სევდა, მითხოს! (664).

როგორც ვხედავთ, ამ სტროფშიც ერთი ტაეპი არახუსტი რითმითაა წარმოდგენილი. შდრ. პირველი ტაეპის **იხოს** და დანარჩენთა: **ითხოს – გამიკითხოს – მითხოს**.

ხელნაწერთა უმეტესობაში **იხოს** იკითხება. ვახტანგის გამოცემაშიც ეს წაკითხვა გვაქვს, რომელიც მომდევნო გამოცემებში ტრადიციულად მეორდებოდა. გამონაკლისია მიხ. წერეთლის გამოცემა კონიექტურით **ირხოს**, რაც ბევრით უკეთესი ნამდვილად ვერ არის ტრადიციულ წაკითხვაზე.

ხელნაწერთა ცალკეულ ჯგუფებში გვაქვს **ითხოს** ($C^7 D^1 D^3 D^4$) და **ვითხოს** ($A^4 A^8 A^9 A^{10} A^{11} A^{12} B^7 B^8$) ვარიანტები. ამათგან, ვფიქრობ, ბოლო მათგანია საყურადღებო. მასშიც, ისევე როგორც ტრადიციულ **იხოს**-ში, **ხე** სახელისაგან წარმოქმნილი ზმნა უნდა გვქონდეს, სხვა ფორმით ნაწარმოები. კერძოდ, **იხოს** თუ სასუბიექტო ქცევის ფორმაა, **ვითხოს**-ში ნეიტრალური ქცევის ფორმა **ხოს** უნდა იყოს, **ვით** ზმნიზედასთან გაერთიანებული.

შდრ. **ხე** სახელისაგან ნაწარმოები ნეიტრალური ქცევის ფორმა **ხენ**: „შენ ასეთი ხენი ვით ხენ!“ (594), რაც ნიშნავს: „შენ ასეთი ხესავით წერწეტი როგორ შექმენი“. **ხოს** შეიძლება გავიგოთ, როგორც „ხესავით ატაროს“. **ვით** რუსთველის ენაში „როგორ“-საც ნიშნავს და „როგორც“, „როგორმე“-საც. ამ შემთხვევაში „როგორმე“ სავსებით უღებია კონტექსტს. „პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი ვით ხოს, გული მინდორს არ გაიჭრეს“ = „შენი სახე ჩემ სანახავად თუ მობრუნდება, ტანს როგორმე ხესავით ატარებს, [ჩემი] გული მინდორში არ გაიჭრება“, ე. ი. „შენ თუ ჩემ სანახავად მობრუნდები და წერწეტი ტანით როგორმე წამოხვალ, მე მინდორში არ გაიჭრები“.

ლიტერატურა

ყუბანეიშვილი 1973 – ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან (XX საუკ.). II. ნაკვეთი პირველი, თბ.

ვტ მინიატურული 2006 – შოთა რუსთველი, თბ. [მთავარი რედაქცია: თამაზ გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი), გიორგი არაბული, ბაჩანა ბრეგვაძე, ალექსანდრე გვანარია, გურამ კარტოზია (მთ. რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე კიკვიძე, ზურაბ სარჯველაძე, თინათინ ცქიტიშვილი].

სამნათმეცნიერო მივლინებები

რუსულან ბერსამია, მანია ლომია, თაია ცხალაია

expedicia samegreloSi
(ანგარიში)

ლინგვისტური ექსპედიცია სამეგრელოში ჩატარდა სამეცნიერო პროექტის¹ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მონოგრაფიის – „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ – მომზადებას გამოსაცემად.

პროექტი მოიცავს სამ წელს (36 თვეს). პროექტის დამტკიცებიდან გასულია ერთი წელი.

უცხოელი ექსპერტის რეცენზიაში ჩვენი პროექტის ერთ-ერთ ღირსებად მიჩნეული გახლდათ გამოცემული მეგრული ტექსტების შევსება ახალი მასალით და მისი გათვალისწინება ლინგვისტური ანალიზის დროს. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ექსპედიცია სამეგრელოში, რომელიც **2007 წლის სექტემბრის** თვეში შედგა. მუშაობა წარიმართა ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონში. ტექსტები ჩავიწერეთ როგორც რაიონულ ცენტრებში, ისე ზემოხსენებული რაიონების სოფლებში (იხ. ექსპედიციის სქემა).

ცნობილია, რომ მეგრულის კილოებად დაყოფის მეცნიერული დასაბუთება პირველად მოგვცა ი. ყიფშიძემ, რომელიც გამოყოფს დასავლურ (ზუგდიდურ-სამურზაყანულ) და აღმოსავლურ (სენაკურ) კილოებს (Кипшидзе 1914). ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოა გავრცელებული, ჩხოროწყუ კი ცენტრალურ არეალში მდებარეობს და იქ ე. წ. გარდამავალი კილოა გავრცელებული.

მასალა ჩაწერილია MP-3 დასახელების დიქტოფონით, რომელიც სამუშაოდ ძალიან მოხერხებულია (ზომით პატარაა და სუფთად იწერს, გარკვეული მანძილიდანაც კი). აუდიომასალის ხანგრძლივობა არის 17 სთ. და 30 წთ. მასალა თემატურად მრავალფეროვანია: ჰყვებოდნენ ზღაპრებს (როგორც სამეგრელოში ეძახიან – „არიკებს“), ცალკეული ოჯახებისა და გვარების თავადასავლებს, გვარებს შორის ურთიერთობის ამბებს, მთაში მწყემსების ცხოვრების სიძნელეებს ე. წ. „აბრაგობის“ პერიოდის სამეგრელოში და სხვა. ესენი პროზაული ტექსტებია. ამას გარდა, ჩვენს მასალებში არის პოეტური ნიმუშები: შაირები, ლექსები.

ექსპედიციის დროს, როგორც წესი, რაიონში (სოფელში) დაბინავების შემდეგ იწყება ინფორმატორთა მოძიების პროცესი. ამ მხრივ თადარიგი დაჭერილი გვქონდა, თუმცა მთქმელების სიის შევსება მუშაობის პროცესშიც ხდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ დაგეგმილი ჩაწერა ყოველთვის არ გამოდიოდა სრულყოფილი, მაშინ როცა შემთხვევით შეხვედრილი ინფორმატორები ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდნენ. ასეთი შემთხვევითი, მაგრამ ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა სოფ. **მუყავაში** (წალენჯიხა).

¹ პროექტი ხორციელდება საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ) ფინანსური მხარდაჭერით.

ბარიერი ინფორმატორისა და ჩამწერის ურთერთობას თავისთავად ახლავს; გამონაკლისი არც ჩვენი მუშაობა გახლდათ, თუმცა ვცდილობდით ტექსტი, შეძლებისდაგვარად, დაუძაბავი თხრობის პირობებში ჩაგვეწერა.

ჩვენი ინფორმატორების ასაკი 60 წლიდან იწყება და 90 წლის ჩათვლითაა, თუმცა 85-90-წლიანი მონაკვეთი იშვიათია – თითო-ორი მთქმელითაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ბევრი საინტერესო ინფორმატორი გარდაცვლილი დაგვხვდა, ხოლო ოჯახს რაიმე მისეული ჩანაწერი არ აღმოაჩნდა (გამონაკლისი განსაკუთრებით ფოლკლორული ნიმუშების ცნობილი შემკრების **მამანტი კვირტიას** ოჯახი ჩხოროწყუში). საბედნიეროდ, იყო შემთხვევები, როცა შთამომავლებს (ნაწილობრივ, მაგრამ მანც) ზეპირად ასსოვდათ წინაპრების მიერ შეთხზული ლექსები თუ შაირები. სოფ. **ჯუმითში** (ჩხოროწყუ) კობა გულუასგან, ბევრ სხვა საინტერესო ისტორიასთან ერთად, ჩავიწერეთ ბაბუას – **იაკობა გულუას** – მოსწრებული სიტყვა-პასუხის ნიმუშები.

ზუგდიდში ცნობილ მეღექსესა და მოშაირეს, **ო. კვარაცხელიას**, კკითხეთ, საპასუხო შაირებს თუ გიწერენო და ბრძანა, პასუხის გამცემი ვინლა დარჩაო. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რა საშური და გადაუდებელი საქმეა ტექსტების ჩაწერა, რათა ლინგვისტური ანალიზი სრულყოფილი იყოს.

ინფორმატორების ასაკთან დაკავშირებით სხვა სირთულეც იჩენს თავს. სოფ. **საჩინოში** (წალენჯიხა) შევხვდით **127 წლის წერა-კითხვის არმცოდნე** ქალბატონს, რომელმაც გაბმული თხრობა ვერ შეძლო. მხოლოდ 2-3 ფრაზა ბრძანა თავისი დროის მეჩაიე ქალებზე. მის ნათქვამში, ჩვენი აზრით, საინტერესო ლექსიკური ერთეული დავაფიქსირეთ, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩვენს ხელთ არსებული აუდიომასალის გაშიფრვის შემდეგ ცალკეული საინტერესო და ყურადღებასიქცევი საკითხები, ცხადია, გამოიკვეთა:

I. ცნობილია, რომ ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელია ე. წ. **ზედმეტი** სიტყვებისა თუ ფრაზების ჩართვა. ამგვარი ჩანარები უჩვეულო არაა გამოცემული პროზაული მეგრული ტექსტებისთვისაც, მაგრამ ჩვენს მასალებში, ვფიქრობთ, განსაკუთრებული სიუხვითაა²; ესენია: **იახა** „დიახ“, **იახანი** „დიახ რომ“, **იახადო** „დიახ და“, **იახა** სქან ჭირუქნი „დიახ, რომ შენი ჭირიმე“, **სქან ჭირიქლო** „შენი ჭირიმე და“, **ქცგამგიო?** „ქე გამიგე?“, **ქირჩქი(ლ)ექო** „ქე გესმის?“, **ქირჩქუნო** „ქე იცი?“, **მა დოიღური**³ „მე მოგიკვდი“.

II. ინფორმატორები გაბმული თხრობისას მოულოდნელად ჩაურთავენ **ქართულ სიტყვას** თუ სიტყვებს. ეს ჩვევა თითქმის ყველა ინფორმატორმა გამოავლინა, მაგრამ ზოგმა მეტად,⁴ ზოგმა ნაკლებად. მაგ.:

ა) ჩქიმი **ნასახლარი**⁵ [ნოხორი] ქცგომირით (ვ. მორგოშია, ჯგალი);

² შესაძლებელია, გამოცემულ ტექსტებში ამგვარი ფორმების ნაკლებობა გამოსაცემად ტექსტის მომზადების წესითაც აიხსნას.

³ ერთ-ერთი ინფორმატორის (დ. ჯანჯღავა, 80 წლის) მეტყველებაში დავადასტურეთ ს. **ნაურუში** (წალენჯიხა), გამოცემულ ტექსტებში არ გვხვდება; შდრ.; ქართული: „მე მოკვდე“.

⁴ ერთი ინფორმატორის (დ. ჩიქოვანი, 52 წლის, ს. ხაბუმე (ჩხოროწყუ) მეტყველებაში დავადასტურეთ უჩვეულო ქართულ-მეგრული კონტამინირებული ფორმები: ეჭვი **მიბტანი** [მიბლი+მივიტანე], **გინმიხარუდ** [გინმიკინანდუ+იხრებოდა]. ამგვარი ფორმები დადასტურებული აქვს ი. ყიფშიძესაც (იხ. Кипшидзе 1914, 036)

⁵ მოსალოდნელი მეგრული ფორმები მოცემულია გვერდით, კვადრატულ ფრჩხილებში.

ბ) ლამაზ [სქვამი] ვარე თენა (ნ. ჩანგელია, ჯგალი);

გ) დიდი გათლილი [გოთოლირი] კოჩი რდG (დ. ჩიქოვანი, ხაბუძე).

ზოგჯერ ქართული სიტყვა რომელიმე ბრუნვაშია ჩასმული და, შესაბამისად, მეგრულში ფიქსირებული ბრუნვის ნიშანი დაერთვის.

დ) ჩაცმულ-ო⁶ [მუკოქუნელო] დG თექი (ვ. მორგოშია, ჯგალი).

III. ნეიტრალური G-ის ჩანაცვლება „ო“ ხმოვნის ადგილას, კერძოდ, სGდე „სად“ ფორმა დადასტურდა 80 წლის ქალბატონის, ნ. მორგოშიას, მეტყველებაში (ს. თაია, ჩხოროწყუ), მოსალოდნელი „სოდე“ ფორმის ნაცვლად. საკუთრივ ჩხოროწყუში ჩაწერილი ტექსტები უგამონაკლისოდ „სოდე“ ფორმას უჭერენ მხარს.

IV. რ-ს მეტათეზისის საკითხი

ცნობილია, რომ რ-ს მეტათეზისის ინტენსივობით გამოირჩევა მეგრული.

აღ. ცაგარელი აღნიშნავდა, საერთო ქართულ-მეგრულ სიტყვებს ხშირად მხოლოდ რ-ს გადასმა ასხვავებსო (A. Цагарели 1880). ჩვენს მასალებში დასტურდება პარალელური ფორმები, ხშირად ერთი ინფორმატორის მეტყველებაშიც კი: პირველი//პრივეი, ორბი//ობრი, ერეკლე//ელეკრე, ერბო//ებრო და ა. შ.

V. სახელთა მრავლობითის გამოხატვისას დასტურდება სამივე სუფიქსი: -ეფ/-ემ/-ენ „-ებ“. მოსალოდნელი იყო მხოლოდ პირველი-მეორე. -ენ სუფიქსი ნაკლები სიხშირითაა, მაგრამ მაინც დასტურდება. მაგ., ქარდეფს „ქარდაფებს“, ბადანეფს „ბავშვებს“, თოლემს „თვალებს“, მაგრამ მილიციელენც „მილიციელებს“, თოლენც „თვალებს“, კომნისტენქ „კომუნისტებმა“.

VI. ცნობილია, რომ S₁ პირის ვ- თავსართი თანხმოვნების წინ ასიმილაციურად გადადის ბ ფ ჰ მ-ში. ეს წესი ძირითადად დაცულია, მაგრამ იშვიათად ზმნურ ფორმებში „ვ“-ც იჩენს თავს: ვჭკუმი „ვჭამე“, ვშვით „დავლიეთ“, ქივზამილე „მოვიტაცე“, ვფიქრენქ // ვფირქენქ „ვფიქრობ“.

VII. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩვენთვის ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ დასტურდება ლექსიკონში. ამავე შესადარებლად ავიღეთ ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონი (ტ. I, II, III, თბ. 2001-2002), როგორც ყველაზე სრული. ეს ლექსიკური ერთეულებია:

ა) არცხება⁷ – თავისუფლება, ნებართვა, წყალობა, შებრალება.

ბ) განალინი – აღნიშნავს რიტუალს, რომლის შესრულება გვარს მოსისხლე გვარის წყევლისაგან იცავს. ეტიმოლ. ნალინი/ნალინა – ნავალი, ანუ, ინფორმატორის განმარტებით, გვარს გვერდით უნდა ჩაუაროს, არ უნდა შეეხოს მოსისხლე გვარის წყველა (მთქმელი ნ. ჩანგელია, ს. ჯგალი, წალენჯიხა):

გ) გილასეტელი/გილესეტელუ⁸ – უსაქმოდ სიარული/უსაქმოდ დადის;

დ) დომიჩაქურდუკო – მოვრეოდი, სიტყვა ჩაქუნად გამომეყენებინა და დამეჯაბნა;

⁶ გარდაქცევითი (ვითარებითი) ბრუნვის ფორმაა -ო ბრუნვის ნიშნით.

⁷ შდრ.: იმავე მნიშვნელობის ალობა დასახ. ლექსიკონში, ტ. I, გვ. 183. ორივე ლექსიკური ერთეული ორი მოსისხლე გვარის შერიგების რიტუალის აღნიშვნელია (ნ. ჩანგელია, სოფ. ჯგალი).

⁸ ო. ქაჯაიას დასახელებულ ლექსიკონში მოცემულია სეტელი – გადასვლა (იხ. ტ. II).

- ე) **თარმუმულე** – ძლიერ ძალად ასოცირებული არსება, ეტიმოლ. „მთავარი მამრი“.
 ვ) **მინმაზაჭაპურანდეს** – ზევიდან თავს ულამაზებდნენ (ამ შემთხვევაში კალათს, რომ ცუდად ნაკრეფი ჩაი არ გამოჩენილიყო).

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს მასალა საკმარისია საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად. მუშაობა გრძელდება, ახალ-ახალი ექსპედიციები იგეგმება, რათა თვალყური მივადევნოთ მეგრული მეტყველების თანამედროვე ენობრივ პროცესებს.


ლიტერატურა

Кипшидзе 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914.
Цагарели 1880 – А. Цагарели, Мингрельские этюды, II (опыт фонетики), СПб, 1880.

Rusudan Gersamia, Maia Lomia, Taia Tskhadaia

Expedition to Samegrelo
Summary

The aim of the expedition was to complement the already issued Megrelian texts with new materials and to take into account them during the linguistic analysis. We tried to make the materials thematically diverse.



ახალი წიგნები

ბესარიონ ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, ბალსზემოური დიალექტი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვეობა დაურთო ლელა ნიჟარაძემ, „უნივერსალი“, თბილისი 2007. 264 გვ.

ბ. ნიჟარაძე, „თავისუფალი სვანი“ დიდხანს მუშაობდა სვანურ ენაზე, სხვათა შორის, ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონზე. დიდხანს ფიქრობდნენ, რომ ეს ძირითადი შრომა პეტერბურგში იყო, ან – დაკარგული.

და აჰა, ამ წლებში აღმოჩნდა ავტოგრაფული ხელნაწერი ნიჟარაძეების ოჯახში და მისი გამოცემა მოამზადა ლელა ნიჟარაძემ. წელს გამოვიდა ეს ძირითადი შრომა, რომლის გამოცემა ვერ მოხერხდა ბ. ნიჟარაძის სიცოცხლეში.

რამდენიმე წლის წინ (2001 წელს) გამოვიდა კ. დონდუას ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი და ისე მთლიანი არ იყო, როგორც ბ. ნიჟარაძის ბალსზემოური (ძირითადად უშგულის) დიალექტის ლექსიკონი.

აქ ძალიან ძვირფასი მასალაა წარმოდგენილი, ბევრი ძველი სიტყვა, რომელიც დღეს თითქმის გადასულა ხმარებიდან. აგრეთვე ბევრი სიტყვა, რომლებიც ჯერ არ იყო სხვა ლექსიკონებში, მაგალითად, ლიყულფაყი (აბებრება), მგნჟმრი (აბეზარი), ლილშვი (აბურვა) და ა. შ.

რა თქმა უნდა, ქართული ენის გავლენა ძლიერია. ალბათ, შედარებით ახალი ნასესხებია, მაგალითად, ლელV < ლოდი. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ იქნება სხვადასხვა ორთოგრაფიული ვარიანტი: ლიჰAლვე || ლიელე, ლიჰლიAლი || ლიჰლიAლი.

რა თქმა უნდა, ეს ლექსიკონი ძალიან მდიდარ მასალას იძლევა არა მხოლოდ სვანური ენის ცოდნისათვის, არამედ აგრეთვე ქართველურ ენათა შედარებისათვის; მაგალითად, სვ. მაკლი, ქართ. დაკლება, ალბათ, სვ. ლიბურდე, ქართ. აბურძგენა.

ბოლოში დართულია სვანური გვარსახელების სია. ეს ყველაფერი ძალიან სასარგებლო იქნება როგორც სვანური ლექსიკოგრაფიისა და დიალექტოლოგიისათვის, აგრეთვე ქართველურ ენათა უფრო ღრმად შესწავლისათვის. მაღლობა უნდა გადავუხადოთ ქ-ნ ლელა ნიჟარაძეს ამ დიდი, კეთილშობილური და ძვირფასი შრომისათვის.

ბერნარ უტიე

*ლია აბულაძე, ანდრეას ლუდენი, ქართული ენის სახელმძღვანელო,
ჰელმუტ ბუსკეს გამოცემლობა, ჰამბურგი 2006.*

უცხო ენათა სახელმძღვანელოების საუკეთესო შემფასებლები მოსწავლეები არიან, იქნებიან ეს აუტოდიაქტები თუ ენის სასწავლო კურსის მონაწილეები. წინამდებარე წიგნის სათაურია არა გრამატიკა, არამედ „ქართული ენის სახელმძღვანელო“, ე. ი. იგი გრამატიკაზე მეტს შეიცავს. ეს უკანასკნელი წიგნის მხოლოდ ნაწილს შეადგენს და მასში მესამე განყოფილებად არის წარმოდგენილი: „ქართული ენის მოკლე გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი, სიტყვათწარმოება)“ (გვ. 179-244). სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილს შეადგენს ლექციები 1-33 (გვ. 7-178). მათ წინ უძღვის „შესავალი ქართულ დამწერლობასა და გამოთქმაში“ (გვ. 1-6). ნაშრომის ბოლოს მოყვანილია ზმნათა უღლების პარადიგმები (გვ. 245-323), „სავარჯიშოთა ამოხსნები“ (გვ. 324-334) და ქართულ-გერმანული გლოსარი (გვ. 335-397). ცალკეული ლექციები ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. დიალოგი ყოველდღიური ცხოვრებიდან, 2. შესაბამისი სიტყვები და გრამატიკული განმარტებები, 3. თანმხლები სავარჯიშოები, 4. სალექციო ტექსტის თარგმანი.

ავტორთა მიზანია, შემსწავლელს მიაწოდონ „ქართული ენის ძირითადი ცოდნა, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს ისაუბრონ ყოველდღიურ თემებზე და გაიგონ მარტივი და საშუალო სიძნელის ტექსტები“. ეს განასხვავებს ამ სახელმძღვანელოს კიტა ჩხენკელის კლასიკური ნაშრომისაგან (1958), რომელზედაც იყვნენ თავდაპირველად ორიენტირებულნი ავტორები, სურდათ რა მისი „შეკვება“ თანამედროვე მეტყველების მაგალითებით. შემდგომში ყოველდღიური დიალოგების კრებული ბოლოს საკუთარ სახელმძღვანელოდ იქცა.

დღეს უცხო ენათა შესწავლისათვის გამიზნული ყოველი გრამატიკის მთავარი ამოცანაა მოსწავლისათვის ენის ბაზისური კომპეტენციის მიწოდება, ჩვენს საკომუნიკაციო ყოველდღიურობაში დიალოგის წარმოების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მაშინ როდესაც ჩხენკელი კლასიკური გრამატიკის სქემას მიჰყვება, ავტორები ჯერ იძლევიან ყოველი ლექციისათვის საჭირო გრამატიკულ განმარტებებს და მხოლოდ მესამე ნაწილშია მოცემული კლასიკური სქემის შესაბამისი მოძღვრება ფორმათა შესახებ.

წიგნი ენის სწავლისათვის კარგ შესაძლებლობებს იძლევა, მე ვიგებ, როგორ უნდა მივესალმო ვინმეს ან დავემშვიდობო, როგორ შემიძლია ვთქვა, რას ვჭამ და რას ვსვამ, სად მივდივარ, ან როგორ დავსვა კითხვები ყველაფერი ამის შესახებ.

ზოგიერთი სურვილი მაინც რჩება, მიუხედავად ამ წიგნით გამოწვეული მთელი აღტაცებისა:

ეს ეხება „მოდვრებას დამწერლობის შესახებ“, ქართულ ანბანსა და მის ფონეტიკურ რეალიზაციას. ავტორები აცხადებენ, რომ „სრულიად ცნობიერად თქვეს უარი ქართულის სრულ ტრანსლიტერაციაზე, რადგან გამოცდილება

გვიჩვენებს, რომ შემსწავლელი ძნელად სწყდება ლათინურ ტრანსკრიპციას და ამით ქართული ანბანის სრული დაუფლება მხოლოდ ყოვნდება“. ისინი განაზღვრენ, რომ ქართული წერითი სისტემა ანბანურია და ზუსტად შესაბამეა ქართულ ბგერათა გამოთქმას.

„ეს არის 33 ასოსაგან შემდგარი ანბანური დამწერლობა, რომელიც ზუსტად არის მორგებული ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურას. ვინც ამ წერით სისტემას შეისწავლის, ის ყოველ დაწერილ ქართულ სიტყვას სწორად გამოთქვამს...“ და ცოტა ქვემოთ: „მე-2 პარაგრაფში მოცემული მითითებები გამოთქმისათვის მხოლოდ მიახლოებით ორიენტაციას ემსახურებიან“ (გვ. 1).

ამრიგად, ავტორები ამოდიან იდეალური ფონემატურ-გრაფიკული შესაბამისობიდან და ფონეტიკურ ნაწილში „შესავალი ქართულ წერით სისტემასა და გამოთქმაში“ (გვ. 1-6) საკუთარ ტრანსლიტერაციულ სისტემას იყენებენ. მე აქ ცნობილ IPA-ს სისტემას მივცემდი უპირატესობას. მაგალითისათვის: ყრუ ფშვინვიერი /tsch/-სათვის ლათინური დამწერლობაზე დამყარებული /č/-ს გამოყენებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. ასევე ფშვინვიერი /(t)z/ ტრანსლიტერირებულია /c/-თი, რაც გაუგებარია; IPA-ს ნიშანი მისთვის იქნებოდა /tʃ^h/.

ჩვენ კელს მიღებული ჰქონდა IPA-ს ნიშნები ფრიკატივებისა და აფრიკატივებისათვის და დასაწინაა, რომ ავტორები აქ მას არ გაჰყენენ.

შემდეგი კრიტიკული წერტილია ლექციების შინაარსობრივი ფორმა. მაშინ როდესაც 1-21 ლექციები საყოველღეო დიალოგებს წარმოგვიდგენენ, რომლებიც შეიძლება, მაგ., უნივერსიტეტში მოვისმინოთ, მომდევნო ლექციები (ნაწილობრივ დიალოგური ამოცანის ფარგლებში) იძლევიან წარმოდგენას საქართველოს ისტორიის შესახებ (ლექციები 22-33). ერთის მხრივ ეს ძალიან მისასაღებელია, რადგან მოცემულია გარკვეული ცოდნა ქვეყნისა და კულტურის შესახებ, მეორეს მხრივ კი აქ ვმორდებით ყოველდღიური კომუნიკაციის პრინციპს. მხოლოდ ლექციები 31-33 უბრუნდებიან ყოველდღიურ კომუნიკაციას, როდესაც საუბრობენ „ექსკურსიებზე“ კახეთსა და იმერეთში. ბოლო ლექცია კი წარმოადგენს საუბარს ქართული ენის შესახებ.

ეს არის წვრილმანები, რომლებსაც შენიშნავს ლინგვისტი და ქართული ენის შემსწავლელი, მაგრამ ისინი არ ამცირებენ წიგნის გამორჩეულად მაღალ ხარისხს. ქართული ენის ფორმათა სიმდიდრე დიდი სიზუსტით არის წარმოდგენილი და მარტივი და ნათელი ენით განმარტებული. ტექსტები და სავარჯიშოები დეტალურად ზუსტად არის დამუშავებული მათი გრამატიკული ინვენტარის შესაბამისად, რომელიც შემსწავლელს ყოველთვის შეუძლია შეავსოს გრამატიკული ნაწილისა და ლექსიკონის დახმარებით. ეს სახელმძღვანელო შემსწავლელს ქართულად ლექსის დაწერის შესაძლებლობასაც კი აძლევს, თუნდაც იგი ჯერ სრულყოფილად არ ფლობდეს ამ ენას.

გელტრაუტ ბიულოვი, მიუნსტერის უნივერსიტეტი

ალექსანდრე ონიანი	5
ალექსანდრე ონიანის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია	15
აღმოსავლეთმცოდნეობა	
<i>ნინო ეჯიბაძე</i>	23
მიმღობა არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტში	
<i>Nino Ejibadze</i>	30
Participle in the Egyptian Arabic Dialect	
<i>აპოლონ სილაგაძე</i>	31
ორიენტალიზმების საკითხისათვის	
<i>Apollon Silagadze</i>	36
Towards the Question of Oriental Loan Words	
ენის ფილოსოფია	
<i>კონსტანტინე ბრეგაძე</i>	38
იოჰან გოტფრიდ ჰერდერის ენის ფილოსოფია	
როგორც ენის ენერგეისტული თეორია	
<i>Konstantin Bregadze</i>	46
Language Philosophy by Herder as the Energetic	
Theory of Language	
კომუნიკაციური ლინგვისტიკა	
<i>მანანა რუსიეშვილი</i>	47
ინფერენციული კომუნიკაციის თაობაზე	
<i>Manana Rusieshvili</i>	51
Towards Inferential Communication	
<i>რუსუდან ზეკალაშვილი</i>	52
ადრესატის განზოგადების საშუალებები და	
კომუნიკაციური დანიშნულება	
<i>Rusudan Zekalashvili</i>	63
Means of Generalization of Addressee and	
its Communicative Functions	
მორფოლოგია/სინტაქსი	
<i>ნოდარ არდოტელი</i>	64
კაუზატივი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში	
<i>Nodar Ardoteli</i>	83
The Category of Causative in the Avar-And-Dido Languages	
<i>შუშია ავრილონიძე</i>	84
ინვერსიული ზმნების სპეციფიკა ქართულში	
(ზოგი ინდოევროპული ენის სათანადო ზმნებთან მიმართებით)	
<i>Shukia Apridonidze</i>	90
On the Specific Inversive Verbs in Georgian	
(Compared to Some Indo-European Languages)	

<i>ზურაბ ბარათაშვილი</i>	91
ორმაგი ბრუნება თანამედროვე ქართულში	
<i>Zurab Baratashvili</i>	98
Double Declension in Modern Georgian	
<i>ინეზა კიკნაძე</i>	99
-ვით თანდებული სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში	
<i>Ineza Kiknadze</i>	103
Postposition -ვით in Literary Georgian and Dialects	
<i>მაია მაღუაშვილი</i>	104
მიცემითი ბრუნვა მორფონოლოგიური ასპექტით	
<i>Maia Maduashvili</i>	113
The Dative Case According to Morphological Aspect	
<i>ქეთევან მარგიანი-სუბარი</i>	114
სვანური ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული ინტერფერენციული მოვლენები	
<i>Ketevan Margiani-Subari</i>	122
Interferential Phenomena Linked with Personal Markers of Svan Verbs	
<i>დამანა მელიქიშვილი</i>	123
ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის	
<i>Damana Melikishvili</i>	129
Towards the Principles of Classification and Qualification of the Conjugable Forms of the Georgian Verbs	
სამანტიკა/ფრაზეოლოგია/ლექსიკოლოგია	
<i>ირინე გველესიანი</i>	131
ცნება „სამკვიდრო“-ს აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართულ, რუსულსა და ამერიკულ სამართალში	
<i>Irina Gvelesiani</i>	136
Lexical Units Denoting the Concept "Estate" in Georgian, Russian and American Laws	
<i>გუბაზ გოგატიშვილი</i>	137
ლექსიკური სინონიმია ქართული ენის ფშავურ დიალექტში	
<i>Gubaz Gogatishvili</i>	148
Lexical Synonymy in a Pshavi an Dialect of the Georgian Language	
<i>მარიმე ივანიშვილი</i>	149
„დანაკის კუდი“, „ბზა“, „ბზობა“ ქართველურ ენებში	
<i>Marine Ivanishvili</i>	159
"Danakis Kudi" (Palm tree), "Bza" (Boxus) and "Bzoba" (Palm Sunday) in the Kartvelian languages	

<i>ბელა შავხელიშვილი</i>	160
ზოგი ტერმინის (ფხოვი, კოლხი, აფხაზი) ფუძის რეკონსტრუქციისთვის ქართულში	
<i>Bela Shavkhelishvili</i>	168
On the Reconstruction of the Stems of some Terms in the Georgian Language (Pkhovi, Kolkhi, Abkhaz)	
<i>იზა ჩანტლაძე</i>	170
წულ-/ჭუმ- ძირთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში	
<i>Iza Chantladze</i>	175
On Interrelation of Roots წულ-/ჭუმ (Tsul-/Chush) in the Kartvelian Languages	
<i>მერი ჩიქობავა</i>	176
გვერდის ინტერპრეტაციისათვის ქართულში	
<i>Mary Chikobava</i>	181
For the Interpretation of Georgian <i>guerd-i</i> (side)	
ტიქსტის ლინგვისტიკა	
<i>ციური ახვლედიანი, მედეა კინსურაშვილი</i>	182
სარეკლამო დისკურსის იმპლიციტური და ექსპლიციტური ასპექტები	
<i>Tsiuri Akhvlediani, Medea Kintsurashvili</i>	185
Implicit and Explicit Aspects of Advertising Discourse	
ტიპოლოგია	
<i>ირინე მელიქიშვილი</i>	186
ენათა ტიპოლოგია ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით	
<i>Irine Melikishvili</i>	200
Typology of Root Structures	
ფილოლოგია/ტიქსტოლოგია	
<i>მურამ კარტოზია</i>	201
„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისა და გაგებისათვის	
საენათმეცნიერო მივლინებები	
<i>რუსუდან გერსამია, მაია ლომია, თაია ტხადაია</i>	206
ექსპედიცია სამეგრელოში	
<i>Rusudan Gersamia, Maia Lomia, Taia Tskhadaia</i>	209
Expedition to Megrelia	
ახალი წიგნები	
<i>ბესარიონ ნიჟარაძე</i> , ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, ბალსზემოური დიალექტი, „უნივერსალი“, თბილისი. 2007 (ბერნარ უტიე)	210
<i>ლ. აბულაძე, ა. ლუდენი</i> , ქართული ენის სახელმძღვანელო, ჰელმუტ ბუსკეს გამოცემლობა, ჰამბურგი, 2006 (ედელტრაუტ ბიულოვი)	211

გამომცემლობის რედაქტორი ცირა ჯიშკარიანი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 I. Chavchavadze Ave., Tbilisi, 0128
www.press.tsu.ge 995(32) 25 14 32